

ուշեղ խաչնիծչոյ
Ժառուղոյ
դիւղչիւնի Յղեւնեւոյն



**ივანე ჯავახიშვილი
ქართული
უნივერსიტეტისათვის**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილი
ქართული
უნივერსიტეტისათვის



თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

წიგნში თავმოყრილია ივანე ჯავახიშვილის მიერ ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის მომზადებული სხვადასხვა სახის მასალები. კრებული ასახავს ივანე ჯავახიშვილის ძალისხმევას მთელ სპექტრს, რომელიც წინ უძღოდა ამ დიდი და საშვილიშვილო საქმის დაგვირგვინებას.

შემდგენელი დავით სართანია

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ცენტრის ხელმძღვანელი, თსუ მუზეუმის დირექტორის მოადგილე

რედაქტორი მალხაზ მაცაბერიძე

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018

ISBN 978-9941-13-666-5

შინაარსი

წინასიტყვა	9
მოსხენება ქართულ უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ	13
მოსხენებათა ფრაგმენტები	28
ფრაგმენტი 1	33
ფრაგმენტი 2	34
ფრაგმენტი 3	43
ფრაგმენტი 4	49
ფრაგმენტი 5	53
ფრაგმენტი 6 [პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასი]	56
ფრაგმენტი 7	58
ფრაგმენტი 8	60
დებულებები	63
ქართულ[ი] უნივერსიტეტის საზოგადოების წესდება	63
ქართული უნივერსიტეტის წესდება	72
ქართული უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი	78
Основные положения устава грузинского университета	82
Объяснительная записка къ основным положениямъ устава грузинского университета	85
უნივერსიტეტის დაარსების ღონისძიებები	89
დღის წესრიგი	89
განსახილველი საკითხები – 4 ივნისი, 1917 წელი	90
1918 წლის I სემესტრის ლექციებისა და საგნების ნუსხა	91
[საგნები, სწავლა და მასწავლებელნი, ქონებრივი სახსარი და სტუდენტები და მსმენელნი]	95
ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიუმისა, მეცნიერ-ხელმძღვანელთა და ლექტორების შემადგენლობა 1918 წ. პირველ სემესტრში	99
ტფილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ლექციებისა და სამოსწავლო გეგმის შესახებ	101

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

ნერილები	106
ივანე ჯავახიშვილი კიტა აბაშიძეს	106
ივანე ჯავახიშვილი ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანს	108
ივანე ჯავახიშვილი აკაკი ჩხენკელს	118
ივანე ჯავახიშვილი გიორგი ახვლედიანს	119
მიმართვები	122
В закавказский комисариат	122
ივანე ჯავახიშვილის მიმართვა უნივერსიტეტის სტუდენტებისა და მსმენელებისადმი	123
დანართი I. საანკეტო ფურცელი ქართველ სტუდენტობის ყოფა-ცხოვრების გამოსარკვევად	125
დანართი II. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო უნივერსიტეტის დაარსების შესახებ	128
• საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს სხდომის დღიური – 16 ენკენისთვე 1917 წ.	129
• საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს სხდომის დღიური – 23 ენკენისთვე 1917 წ.	131
• საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს სხდომის დღიური – 19 ოქტომბერი 1917 წ.	132
დანართი III. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები	134
• ქართული უნივერსიტეტის საბჭოს წინასწარი სხდომის დღიური №01 26 ნოემბერი, 1917 წ.	135
• ქართული უნივერსიტეტის საბჭოს სხდომის დღიური №02 8 დეკემბერს, 1917 წელი	137
• ქართული უნივერსიტეტი. კერძო თათბირი. წინასწარი სხდომის დღიური №03 17 დეკემბერს, 1917 წელი	138
• ქართული უნივერსიტეტის საბჭოს სხდომის დღიური №04 19 დეკემბერს, 1917 წელი	139
• ქართული უნივერსიტეტის საბჭოს სხდომის დღიური №05 27 დეკემბერს, 1917 წელი	140
• ქართული უნივერსიტეტის საბჭოს სხდომის დღიური №06 3 იანვარს 1918 წ.	141

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

• ქართული უნივერსიტეტის საბჭოს სხდომის დღიური №07 10 იანვარს 1918 წლის	142
• ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომის დღიური №01 13 იანვარს 1918 წ.	144
• ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომის დღიური №2 17 იანვარი 1918 წ.	147
• ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომის დღიური (პ. მელიქიშვილი ბინაზედ) №3 21 იანვარი. 1918 წ.	150
დანართი IV. მასალები გაზეთ „საქართველოდან“	151
• ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების კრება	152
• ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების წევრთა დამფუძნებელი კრება ღვინობისთვის 3	154
• ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების წევრთა დამფუძნებელი კრება ღვინობისთვის 8	156
• ქართული უნივერსიტეტის დროებითი გამგეობის განცხადება უნივერსიტეტის გახსნის შესახებ	158
• მომგებიან ლატარიის მომწყობ საბჭოსაგან	160
დანართი V. მასალები გაზეთ „სახალხო საქმედან“	163
• ქართული უნივერსიტეტის დაარსება ტფილისში	164
• ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების კრება	166
• ივანე ჯავახიშვილი	170
• ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებისაგან	172
დანართი VI. უნივერსიტეტის საზოგადოების ოქმები	172
• ოქმი 1917 წ. მაისის 12 დღეს	173
• ოქმი 1917 წლის მაისის 17 ქ. ქუთაისში შემდგარი საფინანსო და კულტურულ დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენლების კრების სხდომისა	173
• ოქმი (კერძო კრება) 1917 წ. მაისის 24 დღ[ეს]	176
• ოქმი 1917 წ. ივნისის 3 დღესა	177
• ოქმი 1917 წ. ივნისის 15 დღესა	179
• ოქმი 1917 წ. ივნისის 22 დღესა	180
• ოქმი 1917 წ. აგვისტოს 3 დღესა	181
• ოქმი 1917 წ. სექტემბრის 20 დღესა	182

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

• ოქმი 1917 წ. ოქტომბრის 3 დღესა	184
• ოქმი 1917 წ. ოქტომბრის 8 დღესა	187
• ოქმი 1917 წ. ოქტომბრის 9 დღესა	192
• ოქმი 1917 წ. ნოემბრის 17 დღესა	195
• ოქმი ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის და საფინანსო კომისიის შეერთებულის კრებისა 1917 წ. დეკემბრის 6 დღესა	196
• ოქმი ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის სხდომისა 18 დეკემბერი 1917 წ.	199
• ოქმი ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის სხდომისა 20 იანვარი 1918 წ.	200
• ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის სხდომის დღიური იანვრის 21. წელიწადი 1918	202
დანართი VII. მოხსენება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 20 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო-სამეცნიერო სესიის სხდომაზე 1938 წლის 25 მაისს	203
დანართი VIII. ნაწყვეტი მოგონებიდან	218

წინასიტყვა

1917 წელი გადამწყვეტი აღმოჩნდა ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. ეს იმ დიდი ძალისხმევის შედეგი იყო, რაც ივანე ჯავახიშვილმა გასწია. მან 1907 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელმაც ქართული მეცნიერების აღორძინების საფუძვლის შექმნა დაიწყო. ამ წრის წევრები მოხსენებებს წერდნენ და კითხულობდნენ ქართულ ენაზე, რაც იმ დროისათვის ბევრს შეუძლებლად ერგებებოდა. ისინი ქართული სამეცნიერო ბიბლიოგრაფიის შექმნაზე და ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაზე მუშაობდნენ. ივანე ჯავახიშვილთან მომუშავე ამ წრის წევრები – იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ჩიტაია, იუსტინე აბულაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვები – შემდეგ ახლად დაარსებული ქართული უნივერსიტეტის გამოჩენილი პროფესორები გახდნენ. ამ წრემ მოამზადა და რუსეთსა და ევროპის ქალაქებში დააგზავნა ანკეტები იმის გასაგებად, თუ სად რამდენი ქართველი სტუდენტი რა პროფესიას ეუფლებოდა. ივანე ჯავახიშვილს ეს ინფორმაცია მომავალი ქართული უნივერსიტეტის კადრებით უზრუნველყოფისთვის სჭირდებოდა.

საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებას რუსეთის ხელისუფლება ყოველნაირად აფერხებდა. სიტუაცია შეიცვალა რუსეთის მონარქიის დამხობისთანავე. თუმცა ივანე ჯავახიშვილის იდეას რუსეთის ახალ ხელისუფლებაში სიხარულით არავინ შეხვედრია.

რუსეთში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართული უნივერსიტეტის დაარსების გზაზე კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა გაჩნდა – თბილისში საქმიანობა დაიწყო რუსულენოვანმა უმაღლესმა სასწავლებლებმა. ჯერ კიდევ 1912 წლიდან თბილისში მოქმედებდა ქალთა უმაღლესი კურსები, სადაც ვაჟებიც სწავლობდნენ. 1906 წლიდან გადაწყვეტილი იყო, თბილისშივე დაარსებულიყო პოლიტექნიკური სასწავლებელი, მაგრამ მისი გახსნა სხვადასხვა მიზეზის გამო ძალიან გაჭიანურდა. ახლა ივანე ჯავახიშვილის ინიციატივამ ქართული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე ეს პროცესიც დააჩქარა და 1917 წელს მან ფუნქციონირება დაიწყო.

გარდა ამისა, რუსეთის დროებითი მთავრობა მზად იყო, თბილისში რუსულენოვანი სახელმწიფო უნივერსიტეტიც გაეხსნა. ეს საკითხიც უმოკლეს ხანში გადაწყდა. ეს სავსებით აკმაყოფილებდა იმდროინდელი ქართველი საზოგადოების ნაწილსაც, რადგანაც ახლა მათ შვილებს შორს გადაკარგვა არ მოუწევდათ.

ყველა ამ სასწავლებელში სწავლების ენა რუსული იყო. ეს ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს არ ეჩოთირებოდა და სრულიად კანონზომიერად მიაჩნდა, რადგანაც მეცნიერების სხვადასხვა დარგის ქართულად ამეტყველება შეუძლებლად ერგებებოდა.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

ყველაზე მთავარი ის იყო, რომ თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსება, კულტურულ-საგანმანათლებლოს გარდა, პოლიტიკური საკითხიც იყო. ივანე ჯავახიშვილის გეგმით ქართული უნივერსიტეტი ქართველობისთვის ქართული მეცნიერების აყვავების საფუძველი უნდა გამხდარიყო. ქართულ მეცნიერებას კი ქართველი ერის აღორძინებისათვის უნდა დაედო სათავე. რუსეთის ხელისუფლებას და იმპერიულად მოაზროვნე ინტელიგენციას სწორედ ამიტომ აღელვებდა ქართული უნივერსიტეტის იდეა. სამწუხაროდ, მათ ბანაკში აღმოჩნდა დიდი მეცნიერი და ივანე ჯავახიშვილის მასწავლებელი ნიკო მარი. მეტიც, იგი ქართული უნივერსიტეტის მოწინააღმდეგეთა ლიდერად მოგვევლინა. სწორედ მისი იდეა იყო თბილისში რუსულენოვანი ე. წ. კავკასიის უნივერსიტეტის დაარსება, რომელიც კავკასიის ყველა ეროვნების წარმომადგენელს მოემსახურებოდა და მათ რუსულ ორიენტაციას არ დააკარგვინებდა.

მიუხედავად ამ დიდი წინააღმდეგობისა და ქართველთა დიდი ნაწილის ორჭოფობა-გულგრილობისა, ივანე ჯავახიშვილმა თავისი გაიტანა. კიდევ ერთხელ, პოლიტიკურად შეცვლილ ვითარებაში, როცა რუსეთში ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკები მოექცნენ, მათთან თანამშრომლობა კავკასიის ძირითადმა პოლიტიკურმა ძალებმა არ ისურვეს და ფაქტობრივი ძალაუფლება ამიერკავკასიის კომისარიატის ხელში აღმოჩნდა. ივანე ჯავახიშვილმა ახლა სწორედ მას მიმართა. ამ უკანასკნელმა 1917 წლის 2 დეკემბერს ქართული უნივერსიტეტის წესდება დაამტკიცა. ამ დღიდან ქართულმა უნივერსიტეტმა იურიდიული არსებობა დაიწყო, ხოლო 1918 წლის 26 იანვარს თავის დაბადება საზეიმოდ გამოაცხადა.

ჩვენ შევეცადეთ, წინამდებარე კრებულში ქართული უნივერსიტეტის დაარსების პერიპეტიების ამსახველი დოკუმენტებიდან მხოლოდ იმ მასალებისთვის მოგვეყარა თავი, რომლებიც ან თავად ივანე ჯავახიშვილმა შექმნა, ან მის მონაწილეობას ასახავს. ამიტომ, წინამდებარე გამოცემა ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი მთლიანად დაკომპლექტებულია იმ მასალებით, რომლებიც ივანე ჯავახიშვილის მიერაა დაწერილი. სისრულისათვის ფრაგმენტული ჩანაწერებიც შევიტანეთ, რადგანაც თითოეული ასეთი ფურცელი ივანე ჯავახიშვილის მიერ განუული დიდი ძალისხმევით დასტურია. ეს ძალისხმევა უფრო სრულად რომ წარმოჩენილიყო, მეორე ნაწილად დანართი დავამატეთ. მასში მოცემული მასალა თავად ივანე ჯავახიშვილის მიერ არაა დაწერილი, მაგრამ ისინი კარგად აჩვენებენ ივანე ჯავახიშვილის გარჯის ცალკეულ დეტალებს. ასეთი მასალა ძირითადად ან საოქმო ჩანაწერებია, ან სავაზეთო პუბლიკაცია. ისინი სხვა ინფორმაციასთან ერთად შეიცავენ ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებებს, რომლებიც მან სხვადასხვა დროსა და ვითარებაში წარმოთქვა და მესამე პირმა – კრების მდივანმა თუ გაზეთის კორესპონდენტმა – ჩაინერა. მათი ურთიერთშეჯერებით მკითხველს შეუძლია უნივერსიტეტის დაარსების პროცესი და ამ მიმართულებით ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა თვალნათლივ წარმოიდგინოს.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

სამწუხაროდ, ყველა დოკუმენტისათვის დედნის პირის დართვა ვერ მოხერხდა, რაც უფრო თვალსაჩინოს გახდიდა მეცნიერის შემოქმედებით ლაბორატორიას. ვსარგებლობთ შემთხვევით და მადლობას მოვახსენებთ საქართველოს ეროვნული არქივის გენერალურ დირექტორს, ქალბატონ **თეონა იაშვილს**, გულისხმიერებისა და უანგარო დახმარებისათვის.

ვიმედოვნებთ, რომ მკითხველი საქმიან შენიშვნებს არ დაიზარებს, რომლებიც დიდ სამსახურს გაგვინევს არსებული კრებულის შევსებაში, აგრეთვე დიდი მეცნიერის სხვა მასალების გამოვლენასა და გამოცემაში.

მოსხენება

ქართულ უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ [1]

საქართველო ძველად იმდენად ძლიერი იყო, რომ მეზობელ დანინაურებულ დიდ სახელმწიფოებსა და ერებს, ბერძენ-ბიზანტიელებს, სპარსელებს და არაბებს განათლებითა და შემოქმედებითი სამწერლობო მოღვაწეობით კვალ-და-კვალ მისდევდა. იყო დრო, მე-XII-ე საუკუნეში მაგ[ალითად], როდესაც ჩვენმა წინაპრებმა მცირე აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში ამ მხრივ უმაღლესს ხარისხს მიაღწიეს. მაშინ განათლებასა და მწერლობას უფრო რომ საეკლესიო ელფერი ედვა და განსაკუთრებით მონასტრებში იყო მათი ცხოველმყოფელი კერა. მსწრაფლ რკინის გზებისა, ორთქლ-მავალ გემებისა და ტელეგრაფის უქონლობის დროსაც საქართველოს ისე ჰქონდა საქმე მონყობილი, რომ მაშინდელ დანინაურებულ ქვეყნებთან მაინც მუდმივი და პირდაპირი კავშირი არსებობდა: ჩვენ წინაპართა დაუცხრომელმა მხნეობამ და სულიერ განვითარებისა და ცოდნის მოყვარეობისადმი შეუფერხებელმა მისწრაფებამ ქართველობას საზღვარგარეთაც ისეთი დანესებულებანი შეუქმნა, რომელთა წყალობით საქართველოს საშუალება ჰქონდა მეზობელთა სამეცნიერო, სამწერლობო და საკულტურო წარმატებისათვის თვალ-ყური ედევნებინა და რაც მისთვის საჭირო იყო, დროზე შეეთვისებინა კიდევ. ქართველებს თავიანთი განთქმული მონასტრები უცხოეთში, ბიზანტიის სახელმწიფოში, სწორედ ისეთ ადგილებში ჰქონდათ, სადაც მაშინ სამეცნიერო-სამწერლობო, ან რაიმე საკულტურო შემოქმედებითი მუშაობა იყო გაჩაღებული, სადაც მაშინდელ განათლების ცენტრი იყო. ქართველთა მონასტრები სინას მთაზე და პალესტინაში, შავს მთაზე ანტიოქიის მახლობლად, ათონზე და პეტრიწონში სწორედ იმ დანესებულებებად იყვნენ, რომელნიც საქართველოს მაშინდელ დანინაურებულ ქვეყნებთან აერთებდნენ. მათის წყალობით ქართველობას უცხოეთში ქრისტიანულ კულტურის ნიაღში წარმოშობილ ყოველ ახალ მიმართულებებისა, ახალთახალ შესანიშნავ თხზულებისა და გამოჩენილ მოღვაწის შესახებ ცნობები ჰქონდა ხოლმე. მათმა დაუღალავმა შრომამვე ქართველი მწერლობა ბერძნულ შემოქმედების მრავალ შესანიშნავ ძეგლთა თარგმანით გაამდიდრა. ეს უცხოეთში მყოფი ქართულ[ი] გამოჩენილი მონასტრები იმის გარდა, რომ წიგნის ბეჭდვისა, ორთქლისა და ელექტრონის ძალის უცოდინარობის ხანაში საქართველოს, როგორც აღნიშნული იყო, საშუალებას აძლევდენ ბიზანტიის წარმატების ყოველ ნაბიჯის გადადგმა სცოდნოდა. ისინი ამასთანავე თავის მნიშვნელობით, ცოტა არ იყოს, სხვადასხვა ერთა უცხოეთში მყოფ თანამედროვე სამეცნიერო ინსტიტუტებსა, სადგურებსა და მისსიებს მიემსგავსებოდენ (მაგ. ფრანგულ და გერმანულ სარქეოლოგიო ინსტიტუტებს, ბიოლოგიურსა და სხვაგვარს სადგურებს).

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

თვით საქართველოშიაც უმთავრესს სამეცნიერო, სამწერლობო და საკულტურო მუშაობას მონასტრებში ჰქონდა მყუდრო კერა. აქ, ისეთს განთქმულს მონასტრებში, როგორც იყო შიო-მღვიმისა, შატბერდისა, წყაროსთავისა, ოთხთა ეკლესიისა, გელათისა და მრავალ სხვა მონასტრები, მოღვაწეობდენ ცნობილი ქართველი მოძღვარნი, მეცნიერნი ღვთისმეტყველნი, ფილოსოფოსნი და მთარგმანებელნი [2], სჯულის მეცნიერნი, უცხო ენათა მეცნიერნი, ისტორიკოსები და ხელოვანნი. როდესაც დავით აღმაშენებელმა მაგალითად გელათის მონასტერი ააგო, მან ყოველ მხრივ განთქმული ქართველი მონაზონები შეჰკრიბა, ქონებრივად უზრუნველჰყო და ისტორიკოსის სიტყვით, „მოძღურად სწავლულეებისად, სხვად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა“ [3] აქცია.

მათთან მოივლტოდენ სულიერ, ზნეობრივ და გონებრივ განვითარების მონატრული ქართველი მოზარდი თავობანი. ერთ განთქმულ მოძღვართან სწავლის შემდგომ მეორესთან და მესამესთან მიდიოდენ ხოლმე ცოდნის მოყვარეობის წყურვილის მოსაკლავად. ზოგჯერ უცხოეთში მყოფ ქართულ მონასტრებშიც მიემგზავრებოდნენ ხოლმე ამა თუ იმ განთქმულ ქართველ მეცნიერ ბერ-მოძღვართან სწავლის დასამთავრებლად. ცნობებიც მოგვეპოვება, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში თვით უცხოელ სახელოვან მეცნიერებთანა და ფილოსოფოსებთანაც მუშაობდენ ხოლმე, როდესაც არჩეულ დარგში საუკეთესო მცოდნე უცხოეთში ეგულებოდათ. თვითეული სახელოვანი მონასტერი მეცნიერებისა, სიბრძნისა და ხელოვნების რომელიმე დარგით იყო განთქმული, თავისი განსაკუთრებული მიმართულება ჰქონდა.

ქართულ ძველ განათლების ისტორიის ერთ-ერთ საგულისხმიერო მოვლენათაგანად მოძღვრობა და მოძღვართ-მოძღვრობა უნდა ჩაითვალოს. მოძღვარნი „უმღვდელი“ მონაზნები იყვნენ, რომელნიც მოზარდ თავობას ასწავლიდენ და ვითარცა გზად ცხონებისად მიმყვანებელნი „სულთა გამკითხველობა“-საც [4] კისრულებდენ. ქართველი მოძღვარი ბერძნულს თავდაპირველს „დიდასკალოს“-ს, ანუ მასწავლებელს და მერმინდელს სომხურს „ვარდაპეტ“-ს უდრის, რომელიც ქრისტიანობის პირველ ხანებში აგრედვე „უღვდელი“ ბერი იყო, ესე იგი ხუცობის პატივი არ ჰქონდა და მღვდელ-მონაზონად არ ითვლებოდა. თუმცა საქართველოშიც ამ მოძღვრობას თანდათან ელფერი ეცვლებოდა და მოძღვართა მოღვაწეობაში ხალხისათვის განსაკუთრებით „სულთა მკურნალობა“ იყო მიმზიდველი, მაგრამ მაინც ისინი მასწავლებელნი იყვნენ და ვისაც მაშინ უმწვერვალეს მეცნიერების შეთვისება ჰსურდა, ერთ-ერთ განთქმულ მოძღვართან მიდიოდა და სწავლობდა ხოლმე. ამ მოძღვრებას საქართველოში როგორც ეტყობა თავისი წესწყობილება ჰქონია და მოძღვრებს გარდა „მოძღუართ-მოძღუარი“-ც [5] არსებობდა. თვით სახელიც გვაფიქრებინებს, რომ ის ყველა მოძღვრების უფროსი უნდა ყოფილიყო. მაგრამ რომ მასაც უმთავრეს მოვალეობად სასულიერო მეცნიერების მასწავლებლობა ჰქონია, ამას ის გარემოებაც ცხადჰყოფს, რომ მოძღვართ-მოძღვარს მონაფენი ჰყოლია.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

რაკი მოძღვრებს დიდი პატივისცემა ჰქონდათ მაშინდელ ქართველ საზოგადოებაში დამსახურებული, არც გასაკვირველია, რომ მოძღვართ-მოძღვარიც განსაკუთრებით პატივცემული ყოფილიყოს. მართლაც „კარის გარიგება“ [6] ამტკიცებს, რომ მოძღვართ-მოძღვარს დარბაზობის დროსაც და ისედაც თვით კათალიკოსზე მეტი პატივისცემა(ც-კი ეკუთვნოდა, საქართველო]ს ეკლესიის მწყემსმთავარსა და საჭეთმპყრობელზედაც-კი მაღლა იდგა.

ამ კერძო მასწავლებლობას, რომელიც მეცნიერ, განთქმულ მოძღვართა ხელში იყო, განსაკუთრებულ სამოსწავლო დაწესებულების და სასწავლებლის სახე არ მიუღია, არამედ კერძო ხასიათი ჰქონდა. როცა განთქმული მოძღვარი გარდაიცვლებოდა, თუ მას ღირსეული მოადგილე არ ჰყავდა, თვით საქმეც თავისდათავად ისპობოდა, მაგრამ გიორგი მთანმინდელის თავოსნობით ათონის მონასტერში და გრიგოლ ბაკურიანის წყალობით პეტრიწონის მონასტერში მუდმივი სასულიერო სასწავლებელიც იყო შექმნილი, სადაც იმ დროის კვალობაზე ბევრი მონაფეები იყვნენ თავმოყრილნი განსასწავლელად.

უცხოეთში მყოფ ქართულ მონასტრებსა და შიგ საქართველოში მომქმედ მონასტრების მუდმივ, დაუცხრომელ სამეცნიერო-სამწერლობო და საკულტურო მუშაობის წყალობით ქართველს ერს მაშინ საშუალება ჰქონდა ერთის მხრით უცხო და მეზობელ ერთა კულტურულ წარმატებას არ ჩამორჩენოდა და მათს დაწინაურების ყოველის ნაბიჯის გადადგმას და ახალ მიმართულებას ფეხდაფეხ მისდევნებოდა.

ჩვენმა ერმა ისიც შესძლო, რომ უკვე იმ დროსვე, სხვებზე ადრე თავისს განათლებასა და მწერლობა-მეცნიერებაში საერო და არაქრისტიანული ელემენტებიც შეითვისა, სპარსულ პოეზიის ქმნილებანი შეიტკობო და საკუთარი საერო მხატვრული, სააშუკო-საგმირო და რაინდული ხასიათის მწერლობა შეჰქმნა. სიბრძნისმეტყველებისა და მკურნალობის მეცნიერების დარგებშიაც ჩვენი წინაპრები მარტო ქრისტიანულ-ბერძნულ შემოქმედების შესწავლით არ დაკმაყოფილებულან, არამედ არაბულ-სპარსულ მდიდარ მწერლობითაც უხვად ისარგებლეს. რა გზით და საშუალებით ითვისებდა ქართველობა სპარსულ-არაბთა კულტურის ნაყოფს, ამის შესახებ ჯერ ჩვენ გარკვეული ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ არაბულისა და სპარსულ მწერლობის ღრმა ცოდნა გვაფიქრებინებს, რომ იგი განთქმულ მეცნიერ-მასწავლებლებთან, იქნებ შეიხებთან, ბეჯითი სწავლისა და მუშაობის ნაყოფი უნდა ყოფილიყო. სხვაფრივ წარმოუდგენელია, საიდგან შეეძლო შეეძინა მაგ[ალითად] დავით აღმაშენებელს ყურანის ისეთი საფუძვლიანი ცოდნა, რომ მაჰმადიან სჯულის მეცნიერებთან კამათი შესძლებოდა?

სპარსულ-არაბულ მეცნიერებისა და მწერლობის შეთვისებით ქართველობა მაჰმადიანურ ქვეყნებისა და კულტურის ცხოველმყოფელს წყაროსაც დაენაფა. ამით ქართველთა აზროვნობას ფართო მსოფლმხედველობა გადაეშალა და ბერძნულ-ქრისტიანულ დინჯ და მკაცრ შემოქმედებასთან ერთად მწველ აღმოსავლეთის ლალი და სიცოცხლით აღსავსე ფერადოვანი კულტურის ნაყოფი იგემა.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

ქართველობამ ეს ორი მთავარი კულტურული სამფლობელო ესოდენ გულის სიღრმემდე შეითვისა და თავის შემოქმედებაში განუყოფლად შეაერთა, რომ ქართული კულტურა აღმოსავლეთსაც ეკუთვნის და დასავლეთსაც, ქრისტიანულსაც და მაჰმადიანურსაც. ამით ქართველობამ მაშინდელ მსოფლიო კულტურის შეერთება შესძლო და ამიტომაც არის, რომ მის მაშინდელს გონებრივს და ნივთიერს შემოქმედებას ის ცალმხრივობა არ ეტყობა, რომლითაც ცნობილია იმ დროინდელი ბიზანტიური, სომხური, ასურული და ცოტაოდნად თვით სპარსულ-არაბული მწერლობა და კულტურაც.

ხვარაზმელთა შემოსევამ და მონღოლთა, ხოლო შემდეგ სპარს-ოსმალთა ბატონობამ როგორც ვიცით საქართველოს წარმატება შეაფერხა და კულტურულად დასცა. ქართული სამეცნიერო და მხატვრული აზრის ბუნებრივი განვითარებაც რასაკვირველია შეაფერხა. ამასთანავე ბიზანტიის თანდათან დაქვეითების გამო უცხოეთში მყოფ ქართულ მონასტრებს წინანდებურად აღარ შეეძლოთ თავიანთი მაღალხარისხიანი მოღვაწეობა განეგრძოთ: რაკი თვით იმ ქვეყნებში სამეცნიერო და სამწერლობო შემოქმედება დაძაბუნებული იყო, კულტურა დაეცა, აღარც იქ მყოფ ქართულ მონასტრებს შეეძლოთ [7] თავიანთ სამშობლოში ბიზანტიის გონებრივ წარმატების მოციქულობა გაეწიათ. შემდეგ ხომ, როდესაც ბიზანტია პოლიტიკურად დაეცა და მთელი მისი სამფლობელო ოსმალებს ჩაუვარდათ ხელში, უცხოეთში მყოფ ქართულ მონასტრებს კულტურული მნიშვნელობა თითქმის სრულებით დაეკარგათ. საუბედუროდ მონღოლთა ბატონობამ და სხვა მიზეზებმაც საქართველოს აღმოსავლეთისა და სამხრეთის მეზობლებიც, სპარსნი და არაბებიც, კულტურულად დააქვეითა. ამიტომ არც ამ ქვეყნებითგან-ლა შეეძლოთ ჩვენს წინაპრებს ცხოველმყოფელ გონებრივ შემოქმედებითა და კულტურული წარმატებით ესარგებლათ. კულტურის კერა უკვე ამაზე უწინარესაც ბიზანტიაში ჩაქრა და თანდათან დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის ქვეყნებში აენთო. პოლიტიკურად დაცემული და დაუძღურებული საქართველო იმ მხრივაც იყო უბედური და იმიტომაც ჩავარდა უმწეო მდგომარეობაში, რომ მას მეზობლებშიაც დანიანურებული აღარავინ მოეძებნებოდა და ყოველგვარ აყვავებულ კულტურის ცენტრებს დასავლეთს ევროპაში ასე დაშორებული და მოწყვეტილი იყო. იქ მას არც ათონისა და შავისმთის მსგავსი მონასტრები ან სხვა რაიმე დაწესებულება მოეპოვებოდა, რომ მათი საშუალებით ამ წარმატების მოზიარე გამხდარიყო და არც პირდაპირი კავშირი შეეძლო რომ ჰქონოდა დასავლეთ ევროპის განათლებულ ქვეყნებთან. უამისოდ კი მონღოლთა ბატონობით წელში განყვეტილი ქართველობა თავის კულტურულ მდგომარეობის გამოსწორებას როგორ მოახერხებდა?

თუ წინათ ქართული სამეცნიერო ენა საუცხოვოდ შემუშავებული და შესაფერისად მოქნილი იყო, ეხლა მას უკვე არც შესატყვისი ტერმინოლოგია ჰქონდა და აღარც ახალ მსოფლმხედველობისა და მეცნიერების ახალ დარგების მოციქულები მოეძებნებოდა.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

აღორძინების ხანაში საქართველოს სრულ განახლებას ამას გარდა ის გარემოებაც აფერხებდა, [8] რომ დასავლეთ ევროპის სამეცნიერო ენაც, ჯერ ლათინური და შემდეგ ახალი ენებიც, საქართველოში უცნობი იყო. ამ მხრივაც ძველ ხანასთან შედარებით ქართველობა მეტად ცუდს მდგომარეობაში ჩავარდა: თუ წინათ ბერძნულ და სპარსულ ენის მცოდნენი საქართველოში მრავალნი იყვნენ, განახლებისა და აღორძინების ხანაში XVII-XVIII ს.ს.-ში ლათინური და ახალი უცხო ენები თითქმის არავინ, თითო-ოროლამ თუ იცოდა. ამის გამო ცოდნისმოყვარე ქართველობას თავისი სულიერი წყურვილის მოკვლა მხოლოდ სხვების საშუალობითა და დახმარებით შეეძლოთ. ამგვარ შუამავლებად კათოლიკეთა სამღვდლოება იყო [9] და მე-XVII-ე საუკუნეში, სულ უკანასკნელ ხანებში რუსულ ენის მცოდნენი. მაგრამ კათოლიკე ბერების დახმარება შემთხვევითი იყო, ხოლო რუსული სამეცნიერო მწერლობაც, მაშინ ახალი ფეხადგმული, მეტად სუსტობდა [10], ჯერ თავისი სამეცნიერო შემოქმედება არ ჰქონდა და მხოლოდ გერმანულითგან და ფრანგულითგან ნათარგმნით იკვებებოდა. ამიტომ როდესაც ქართველები რუსულითგან სთარგმნიდნენ, თითქმის ყოველთვის თარგმანის თარგმანი გამოდიოდა და დედანის ცხოველმყოფელობა აკლდა. უკვე ეფრემ მცირემ [11] სამართლიანად დაჰგმო ესეთი ნაწარმოებნი და ამ გზით ცხადია შეუძლებელი იქმნებოდა ქართული სამეცნიერო მწერლობა დასავლეთ ევროპისას დასწეოდა. და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რაკი ბერები წინანდებურად მეცნიერებაში და მწერლობაში პირველობას ვეღარ დაიჩემებდნენ და საქართველოშიაც ორივე დარგი თანდათან ერისკაცთა კუთვნილებად იქცა, მონასტრებს მნიშვნელობა დაეკარგათ და არც მეცნიერებისა და არც მწერლობის კერად და უმაღლეს სასწავლებლად ითვლებოდნენ. საქართველოს მეფეები და მმართველი წრეები მშვენივრად გრძნობდნენ ქართული მეცნიერებისა და მწერლობის აყვავების აუცილებლობას და თითონაც პირადად შრომას და ქონებას არ ზოგავდნენ, რომ ჩვენს ქვეყანას ამ უმწეო მდგომარეობითგან თავი დაეღწია. რაკი მონასტრებში უმაღლეს მეცნიერებისა და განათლების ცეცხლი უკვე აღარ ღვიოდა, უნდა მათი მაგიერი დანესებულება, უმაღლესი სასწავლებელი დაარსებულიყო, თუ რომ ქართველობას გონებრივი დაქვეითება და გავლეურება არ ჰსურდა. მართლაც ი[ოანე] ბატონიშვილის მიერ 10 მაისს, 1799 წელს ტფილისში, შედგენილს საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების პროექტში, რომელიც გიორგი მეფემ დაამტკიცა, ამის შესახებ ერთი საყურადღებო ცნობა მოიპოვება. ი[ოანე] ბატონიშვილის პროექტით საზოგადოებრივად რამდენიმე ჯგუფად დაყოფილს საქართველოში სკოლაც ერთგვარი არ იყო. უმაღლეს სასწავლებლებში, რომელშიაც „მეებარებოდნენ-ო თავად-აზნაურნი და პირველნი მოქალაქეს შვილები“, საქმე ისე უნდა ყოფილიყო დაყენებული, რომ „მიუჩინოთ მუხ მცოდნენი კაცნი, რათა ასწავლიდნენ სამეცნიეროსა სწავლასა და სამხედროსაცა, აგრეთვე ენებთა. ამის მოურნედ იყოს განათლებისა მთავარი და ესე აძლევედეს რიგსა და ჯამაგირთა ოსტატებსა“-ო. ქვემოთ იმ ენების სიაც არის მოყვანილი, რომელნიც ამ სასწავლებლების მონაფეებს უნდა შეეთვისებინათ:

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

„სასწავლებლებსა მას შინა ჰსწავლობდენ ქართულსა, სომხურსა, თათრულსა, რუსულსა და თუ შეიძლება ბერძნული და ლათინურიც უკეთესი იქნების“-ო. ამგვარი უმაღლესი სასწავლებელი „სამს ადგილას გაიმართოს სკოლა ტფილისსა, გორსა და თელავსა შინა“-ო.

ამ სამ მაღალ სასწავლებელსა გარდა „იყოს ამაზედ მდებალი სასწავლებლები, დუქნები ანუ სახლები. ამასა შინა ისწავლებოდნენ მსახურნი კაცის შვილნი და მდაბლები ვაჭართ შვილები. აგრეთვე გლეხისაც ვისაც როგორად შეეძლოს“-ო. როგორც ეტყობა ამ დაბალ სასწავლებლებშიც ენების შესწავლა სავალდებულო უნდა ყოფილიყო. ყველა ზემოაღნიშნულს მაღალსა და დაბალს სასწავლებლებში „ოსტატები ანუ მასწავლებლები იყვნენ მეფის ხარჯითა, ხოლო მონაფენი თვით მშობელთა ხარჯითა ვიდრე შემოსავალთ განვრცობამდე“-ო. მამსადაამე შემდეგში მაინც, სწავლა საქართველოში უფასო უნდა ყოფილიყო. ამ საერო სკოლებს გარდა „ეს სახედვე სასულიერო სასწავლებლები იყო განწესებით და ამის მოურნეობა კათალიკოს[ს] და სულიერსა მთავარსა“-ო. (პეტრეს ქალაქის საჯარო სამკითხველოს ი[ოანე] ბატონიშვილისეული ნიგნთსაცავის ხელთნაწერი : № 15, თავი „მეორ-მოცდა მეთვრამეტე“).

ზემონათქვამიდან ცხადია, რომ 1799 წელს აღმოსავლეთს საქართველოში სამლიცეუმის მსგავს უმაღლეს სასწავლებლის გახსნა ყოფილა გადამწყვეტილი, სადაც ქართველ მოზარდ თაობისათვის „სამეცნიერო სწავლა“ და ექვსი ენა უნდა შეესწავლებინებინათ. ეს გეგმა მხოლოდ იმიტომ არ განხორციელდა, რომ რუსეთმა საქართველო]ს დამოუკიდებლობა მოსპო და არამცთუ მაშინ, აქამდისაც, 117 წლის განმავლობაში, როგორც ვიცით, მთელს ამიერკავკასიაშიც-კი ერთი რუსული უმაღლესი სასწავლებელიც-კი არ გაუხსნია. ქართულის გახსნის უფლება ხომ ბოლო დრომდის არავის არ ჰქონდა.

მას შემდგომ რაც რუსთა მთავრობამ 1783 წელს დადებული ხელშეკრულობა წარბეუხრელად დაარღვია და საქართველოს დამოუკიდებლობა მოსპო, ყველა დანესებულებათაგან ჩვენი დედა ენა განდევნა, სკოლაც კი არ დაინდო და დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში რუსული გააბატონა, რაღა მოსალოდნელი იყო, რომ რუსეთის მთავრობას ქართველთა გულის ნადებზე, ქართულ უმაღლეს სასწავლებლის დაარსებაზე ეზრუნა. პირიქით, არას დროს ჩვენი ერი ისეთს განსაცდელში არ ყოფილა, რა განსაცდელიც ქართველობას რუსთა მთავრობის ნყალობით მე-XIX-ე საუკუნეში] თავს დაატყდა [12]. ქართულს ენას სავარჯიშო ასპარეზი მოუსპო, არც სახელმწიფო და საზოგადოებრივ დანესებულებებში, არც სასამართლოსა და სკოლაში მისი ხმა აღარ ისმოდა. მას სამოქმედო ასპარეზად მხოლოდ ეკლესია და თეატრი-ღა დარჩა, მაგრამ პირველშია-კი მთავრობამ მას სრული თავისუფლება არ შეუწარჩუნა. ერთბაშად ისე მოხდა, რომ ქართული ქართველთა მეცნიერებისა და ხელოვნების, სარწმუნოებისა და კულტურის უზენაეს სულისკვებების გამომხატველ ნაზ და მომხიბლავ იარაღად-კი აღარ იყო, არამედ დაბალხარისხოვან ტომის ენის მსგავსად მხ-

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

ოლოდ შინაურობაში სახმარებელად, „საყველპუროდ“ იქცა. ქართული სამეცნიერო ენა, მე-XVIII-ე საუკუნეში] და მე-XIX-ე საუკუნის] დამდეგს ქართველ მეცნიერთა დაულალავ შრომის წყალობით გამოცოცხლებული, ზემოაღნიშნული პირობებისა და გარემოებათა გამო ისე დაეცა და ჩამოქვეითდა, რომ განათლებული ქართველი სულიერად გადაგვარდა და თავის უგულითადეს და უწმინდეს გრძნობებისა და აზრების ქართულად გამოთქმა ძლივს-ღა ეხერხებოდა. ჩვენი ენა საუკუნოებით შემუშავებული და მდიდარი უცხო გავლენით წაირყვნა და შესაბრალისად გადატაკდა. თუ ჩვენი ხალხი ეროვნულად არ გადაგვარდა და ჩვენმა დედაენამ ესოდენ უმწეო მდგომარეობაშიც თავი შეინარჩუნა, თანდათანობით კვლავ მოლონიერება და ნელნელა აღორძინებაც-კი დაეტყო, მხოლოდ ქართველ მოღვაწეების, პოეტების, მწერლების, დრამატურგებისა და მსახიობთა და თითო-ოროლა მეცნიერის თავგამოდებულ და დაუცხრომელ პირად მხნეობის წყალობით. ეკლიანი და საძნელო იყო მათი გზა, შემადრწუნებელი იყო მათი მდგომარეობა, რაკი საზოგადოების შეუგნებლობისა და რუსთა მთავრობის მსახველ მტარვალობის გამო, იმ თავგანწირულ მუშაკებს მარტოდ-მარტოთ და მხოლოდ საკუთარი თაოსნობითა და ძალღონით უნდა ეწარმოებინათ თავიანთი საყვარელი ეროვნული საქმე. მაგრამ მათმა წმინდა სულისკვეთებამ და სპეტაკმა, უანგარო მოღვაწეობამ შედარებით უხვი ნაყოფი გამოიღო: ჩვენმა ენამ ძალა მოიკრიფა, პოეზია არამცთუ გამოცოცხლდა, არამედ შემოქმედების მშვენიერი ძეგლებიც-კი შეგვიძინა. ქართული ენა საზოგადოებრივ დაწესებულებებში კვლავ გაისმა და ეხლა უკვე რამოდენიმე ქართული სამეცნიერო საზოგადოებაც-კი გვაქვს. რასაკვირველია ჯერ კიდევ ბევრი შრომა და მხნეობაა საჭირო, ქართული მეცნიერებისა და აზროვნების აყვავებამდის ჯერ ბევრი რამე გვიკლია, მაგრამ ყველა გრძნობს, რომ შესაძლებელია ქართულმა აზროვნებამ და ენამ წინანდებურად ლაღად ფრთა გაშალოს, ქართველობამ კვლავ აზროვნების უმწვერვალეს სფერომდე აღმაფრენა შეიძლოს და თავის ამ სულისკვეთებისათვის შესაფერისად მოქნილი და მდიდარი ენა შეჰქმნას. ხოლო თუ ჩვენ გვინდა, რომ ამ ჩვენს აღორძინებას მტკიცე საფუძველი ჰქონდეს, ფესვები მაგრად გაედგას და უხვად გაიფურჩქნოს, უნდა დაუყოვნებლივ ჩვენს თანამედროვე ვითარებას ჩავუკვირდეთ და საქმის შესატყვისი სამოქმედო გეგმა შევიმუშავოთ, რომლის განსახორციელებლად არაფერი უნდა დავზოგოთ და არავითარ დაბრკოლების წინაშე არ უნდა შევდრკეთ.

საქართველოს თანამედროვე აღორძინება უეჭველია ჯერ კიდევ ძალიან ნორჩია, რომ მას გულმტკიცენიული მზრუნველობა არ ესაჭიროებოდეს. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ არც ერთ ეროვნებასა და ქვეყანას არ შეუძლიან შეუჩერებელი კულტურული ზრდა, თუ რომ მას შესაფერისად განვითარებული და მუდამ წარმატებაში მყოფი მეცნიერება არ აბადია. ერის ყოველი წარმატება, თვით ნივთიერ კულტურის სფეროშიაც-კი თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღმოჩენებზეა დამოკიდებული. ცნობილია, რომ გერმანიის ქიმიურ ნივთიერებათა

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

და სამღებრო მრენველობის განმაცვიფრებელი ზრდა გერმანული საქმიანო მეცნიერების დაუცხრომელ წარმატების ნაყოფია. თუ გერმანია ამ მსოფლიო უმაგალითო ომის ტვირთის სიმძიმეს ყველაზე უკეთესად იტანს და ყველგან, სადაც იგი მოქმედებას დაიწყო ხოლმე, მისი ყოველივე ნაბიჯი მიზანშეწონილია, ეს სხვათა შორის იმითაც აიხსნება, რომ თეორიული სოციალური და ჰუმანიური მეცნიერებანიც იქ მაღალ ხარისხამდე არის განვითარებული და მუშაობა შეუჩერებლივ სწარმოებს. რაც უნდა კარგად შეისწავლოს პრაქტიკულად გამოსაყენებელი ტექნიკის თვით უკანასკნელი აღმოჩენა და საშუალებანი, თუ რომ თეორიული მეცნიერება მას საფუძვლიანად მუდამ ნიადაგს არ უმაგრებს, ამგვარს ცოდნას ვითარცა ნამდვილ ხელოსნურსა მცირედი ღირებულება აქვს და თანდათან უნდა უეჭველად ჩამოქვეითდეს. ამიტომ ცხადზე უცხადესია, რომ თუ ჩვენ გვსურს ჩვენი ერის გონებრივსა და კულტურულს ნორჩს აღორძინებას ფესვები გავუმაგროთ, მთელი ჩვენი ძალღონით ქართულ მეცნიერების შექმნას და აყვავებას უნდა ხელი შევუწყოთ. რა გზით?

ჩვენი წარსულის მაგალითითგან ნათლად სჩანს, რომ უმაღლეს მეცნიერებასა და მწერლობისათვის განსაკუთრებული დანესებულებანი და მეცნიერთა საკმარისი ცხოვრება საჭირო. როგორც ვიცით, ძველად ქართული მონასტრები ჩვენ სამშობლოში და უცხოეთში, მოძღვარნი და მოძღვართ-მოძღვარნი ამ დიად მიზნის განხორციელებას ემსახურებოდენ. უკვე აღნიშნული იყო, რომ კარგა ხანია რაც ჩვენ ამის მაგიერი არც დანესებულებანი და არც საამისოდ საჭირო მოღვაწენი საქართველოში ერთად თავმოყრილნი გვყვანან. ის ორიოდ სამეცნიერო საზოგადოება, რომელიც გვაბადია, რასაკვირველია სრულებით საკმარისიც არ არის, მათ საპატიო მუშაობასაც შემთხვევითი ხასიათი აქვს. არქეოლოგიისა, ისტორიისა, ეთნოგრაფიისა, მწერლობისა, მკურნალობისა და ბუნებისმეტყველების გარდა ჯერ ერთი რომ მეცნიერების მრავალი სხვა დარგიც არსებობს და თუ ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი წარმატება ყოველმხრივი და საფუძვლიანი იყოს, უნდა იმდენს ვეცადნეთ, რომ ჩვენში მეცნიერება მთელის თავისი მრავალფეროვანებით და მრავალმხრივობით გაიფურჩქნოს. მეორე ისა, რომ აწინდელს ჩვენს სამეცნიერო საზოგადოებებში საქებური მუშაობა უნებლიედ, სხვათა შორის სწარმოებს. მათი წევრნი სხვა თავიანთ პირდაპირ მოვალეობით არიან დატვირთულნი და ქართულს მეცნიერებას და სამეცნიერო საზოგადოებას შეუძლიანთ მხოლოდ იმდენად ემსახურონ, რამდენადაც მათ მოცლა ექმნებათ. უნებლიედ მათი მუშაობა სამშობლოსათვის მათი გულმოდგინეობის ნამეტანობის ნაყოფია ხოლმე. მეცნიერებას კი მუდმივი და დაუცხრომელი მსახურნი და ქურუმნი სჭირია. ის მხოლოდ, ვინც მთელ თავის ძალღონეს მეცნიერების შესწავლასა და კვლევა-ძიებას ანდომებს, შესძლებს კიდევ, რომ მსოფლიო მეცნიერების მსწრაფლ განვითარებას არ ჩამორჩეს. თუმცა უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებელში მყოფი მეცნიერი ქართველი პროფესორები, დოცენტები, ასისტენტები და ლაბორანტები არც ისე ცოტანი გვყვანან,

როგორც ბევრსა ჰგონია, მაგრამ თითქმის ყველანი რუსეთის და თითო-ოროლა უცხოეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში არიან გაფანტულნი. ქართული მეცნიერებისათვის სამსახური მათს პირდაპირს მოვალეობას არ შეადგენს და ამის გამო მომეტებული მათგანი იძულებულია მთელი ნიჭი და თავისი ძალღონე რუსულ უმაღლეს სასწავლებლებს შეაღიოს. ასე შორიშორს მყოფნი და გაფანტულნი თუნდაც რომ ქართულ მეცნიერებას თავგანწირულ მხნეობით ემსახურონ, ცხადია მაინც ქართულ სამეცნიერო მწერლობას და სკოლას ვერ შეჰქმნიან. ამისთვის უნდა ერთი ქართული სამეცნიერო უმაღლესი დაწესებულება შეიქმნას, რომლის წევრთა უმთავრესსა და პირდაპირს მოვალეობას მხოლოდ ქართულ მეცნიერებისათვის სამსახური და მის წარმატებასა და აყვავებაზე ზრუნვა უნდა შეადგენდეს. მარტო ამგვარს დაწესებულებას შეუძლიან ქართულ მეცნიერებისა და შემოქმედებითი აზროვნების დაუფასებელ, ცხოველმყოფელ კერად და მანათობელად იქცეს.

რაკი ამ აზრის სიმაართლე ვგონებ თავისდათავად ცხადი უნდა იყოს, ამიტომ ეხლა ის საკითხი-ლა გვაქვს გამოსარკვევი, თუ რა სახისა უნდა იყოს ეს ქართული უმაღლესი დაწესებულება. ზოგსა ჰგონია ჩვენში, რომ ასეთ დაწესებულებად სამეცნიერო აკადემია უნდა იყოს და სწორედ სამეცნიერო აკადემიის დაარსება მიაჩნიათ საჭიროდ. მაგრამ სრულებით შემცდარი აზრია. რაკი სამეცნიერო აკადემია რაღაც უუმაღლეს სამეცნიერო დაწესებულებად ითვლება და აკადემიკოსობისათვის არავითარი საგანგებო არც სამეცნიერო გამოცდა და არც ხარისხი არის საჭირო, არამედ აკადემიკოსად ირჩევენ ხოლმე უკვე სახელგანთქმულ მეცნიერებს, ამის გამო სამეცნიერო აკადემიებში საქმე ისეა დაყენებული, რომ ჩვეულებრივ 45-50 წ. უფრო ჯიელი მეცნიერი იშვიათად თუ ეღირსება ხოლმე აკადემიკოსობას. ხოლო რაკი შემოქმედებისა და სამეცნიერო ნაყოფიერების ძალა ადამიანს სწორედ 30-50 წლოვანობის ხანაში შესწევს და აზროვნობასაც ამ ხანაში თავისუფალი აღმაფრენა და ჭაბუკური გამბედაობა აქვს, ისე გამოდის, რომ სანამ მეცნიერი უფრო ნაყოფიერი და ძალღონით სავსეა, ის აკადემიკოსად არ ითვლება და როცა უკვე სახელი მოუხვეჭნია და სიბერე ეპარება, ის აკადემიკოსად ხდება. ამასთანავე რათგან აკადემიკოსის მოვალეობაა ახალგაზრდა მეცნიერთ მფარველობა გაუწიოს და მოეხმაროს, ამიტომ აკადემიკოსების მოღვაწეობა დიდ მოუცლელობის გამოც დიდ ნაყოფიერებას ვერ იჩენს. იგი იძულებულია სხვათა და თავის წინამოადგილეების შრომების გამოქვეყნებას შეაღიოს ისედაც უკვე ხანშიშესული პირადი ნიჭი და ძალ-ღონე. ამას გარდა, სამეცნიერო აკადემია ვინროდ შემოზღუდული სამეცნიერო დაწესებულებაა, მეცნიერების სრული და მთლიანი სამფლობლოს მაგიერ იქ ყველა დარგები კი არ არის წარმოდგენილი, არამედ მხოლოდ ზოგიერთი უმთავრესი. ესეც არის, რომ სამეცნიერო აკადემია მარტო თვით აკადემიკოსებისათვის არსებობს, საზოგადოებასთან მას მცირედი დამოკიდებულება აქვს, მოზარდ თავობასთან ხომ არავითარი კავშირი არა აქვს და ამის გამო მისი მოქმედების და გავლენის სფეროც შედარებით ვინროდ არის შემოზღუდული. სულ სხვაა უნივერსიტეტი: იქ მეცნიერე-

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

ბა მთელის თავის მრავალმხრივობითა და მრავალფერადოვანებით სუფევს, ყველა თავის მიმართულებებით. სამეცნიერო გამოცდებისა და ხარისხების წყალობით იქ ერთად მოღვაწეობენ სიცოცხლითა, ნიჭითა და გამბედავობით სავსე ახალგაზრდა მეცნიერნიც [და] სიბრძნის ბრძმედით გაკაჟებული განთქმული მეცნიერნიც. უნივერსიტეტი ამასთანავე უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულებაც არის და იმავე დროს უმაღლეს მეცნიერების სასწავლებელიც, სადაც მოზარდი ახალგაზრდობა და ჭაბუკნი, მომავალი თავობა მეცნიერ-მკვლევართა მოძღვრობითა და ხელმძღვანელობით უმაღლეს მეცნიერებას ითვისებს, სამეცნიერო მუშაობას ეჩვევა და თანდათან მის თანამოზიარედ ხდება. აქ მჭიდრო სულიერი კავშირია მეცნიერთა და მომავალ თავობას შორის. აქ შესაძლებელი ხდება მეცნიერების ცხოველი, შეუჩერებელი მიმდინარეობა და მეცნიერება დაუშრეტელ, ცოცხალ ძალად არის ქცეული. სწორედ ასეთი დაწესებულებაა ჩვენ ქართველებისათვის საჭირო. სამეცნიერო აკადემიისა და უნივერსიტეტის ერთად შენახვა ჩვენ არ შეგვიძლიან და არც იმოდენი ძალა შეგვწევს, ამიტომ ცხადია ჩვენი მოვალეობა უნდა იყოს ქართულ უმაღლეს სასწავლებლის დაარსებაზე ვიზრუნოთ და არა აკადემიაზე. დასავლეთ ევროპის მაგალითიც ნათლად გვიჩვენებს, რომ იქაც ჯერ უნივერსიტეტები იყო, ხოლო შემდეგ აკადემიები გაჩნდა. ჩვენშიაც მომავალი გვიჩვენებს, საჭირო იქმნება (და თანაც შევძლებთ) თუ არა ისეთ ძვირფას დაწესებულების შექმნას, როგორც სამეცნიერო აკადემიაა? ამ ჟამად-კი ამაზე ფიქრიც კი ზედმეტი იქმნებოდა.

მაგრამ იქნებ უკეთესი იყოს მომავალი ქართულ უმაღლესი სასწავლებელი ტექნიკური იქმნეს და არა უნივერსიტეტი? მაშინვე უკვე როდესაც ამ რამდენიმე წლის წინათ ტფილისში რუსული უმაღლეს სასწავლებელზე იყო ლაპარაკი, ქართველი საზოგადოების აზრი ნათლად გამოირკვა, მთელი ქართველობა უნივერსიტეტს თხოულობდა და ეხლაც უეჭველია იმავე აზრს უნდა მივდიოთ. ტექნიკურ სასწავლებლებთან უნივერსიტეტს ის ცხადი უპირატესობა აქვს, რომ უნივერსიტეტში მეცნიერების შემოქმედებითი, დამაინაურებელი და ამამოძრავებელი ძალა, თეორიული კვლევა-ძიებაა გაბატონებული, ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში კი ყურადღება განსაკუთრებით თეორიულ მეცნიერების პრაქტიკულად გამოყენებაზეა მიქცეული. სულ ერთია ტექნიკურ სასწავლებლებშიაც საზოგადო თეორიულ მეცადინეობის სწავლებაც უნდა იყოს და ჩვენ არც ქონებრივად შეგვიძლიან და ჯერ ჯერობით არც იმოდენი კულტურული ძალა შეგვწევს, რომ უნივერსიტეტიცა და რამდენიმე ცალ-ცალკე ტექნიკური სასწავლებელიც, გინდ მარტო ერთი სრული პოლიტექნიკუმიც შევიწახოთ. უნივერსიტეტთან-კი შემდეგში შეიძლება სასოფლო მეურნეობისა და სხვაგვარი ტექნიკური ინსტიტუტები დაარსდეს. თეორიულ მეცნიერებას სხვებთან ერთად უნივერსიტეტში მოისმენენ და შეისწავლიან, გამოსაყენებელ მეცნიერებათა საგნებს-კი ინსტიტუტებში შეისწავლიან. ამ გზით ხარჯებიც ძალზე შემცირდება და მეცნიერთა რიცხვიც გაცილებით ნაკლები დაგვჭირდება. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ მომზადებული ქართველ მკვლე-

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

ვარ-მეცნიერთა სიმცირე პირველ ხანებში მაინც ძალიან საგრძნობი იქმნება. მაშასადამე ამ მხრივაც ცხადია, რომ ის ქართული უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც უნდა დაარსდეს, უეჭველად უნდა უნივერსიტეტი იყოს.

უნივერსიტეტს რომ მარტო სამეცნიერო დაწესებულების თვალსაზრისითაც არ შევეხოთ, პრაქტიკული მოთხოვნებიც და თვით ცხოვრება გვაიძულებს უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებელი შევქმნათ. ჩვენს ორს ქართულს ვაჟთა გიმნაზიებში, სამს ქალთა საშუალო სასწავლებელში [13], ქუთაისის საკომერციო სასწავლებელში და საქართველოს საკათალიკოზოს ორთავე სემინარიასა და ექვს[ს]ავე სასულიერო სასწავლებელში, სკოლის მომავალს ნაციონალიზაციასა [ანუ] გაეროვნულებასაც რომ თავი დავანებოთ.¹ მეცნიერებაში ქართულად განსწავლილი ახალ-ახალი მასწავლებელი ხომ ყოველთვის საჭირონი იქმნებიან. ნუთუ მასწავლებელმა წი, რომ ჩვენი ხსნანდებურად უნდა რუსულ უნივერსიტეტებში რუსულად შესწავლილი ხელმეორედ თავისით ქართულად შეისწავლოს? დაბალსა და საშუალო ეროვნულს სკოლას ბუნებრივი და საღი განვითარება არ შეუძლიან, თუ რომ ეროვნულს განათლებას უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება, ეროვნული უმაღლესი სასწავლებელი არ აგვირგვინებს. ან განა ქართულ განახლებულ ეკლესიის სამღვდელთა უმაღლეს ქართულ სწავლა-განათლებას უნდა იყოს მოკლებული? რუსეთში რომ პოლიტიკური მდგომარეობა ჩვენთვის ისე უბედურად შემოტრიალდეს, რომ ერობის მეტს სხვას ვერას ველირსნეთ,² განა ამ უკიდურეს შემთხვევაშიც ჩვენთვის ქართულად განსწავლული ეკონომისტები, სტატისტიკოსები და ფინანსისტები საჭირონი არ იქმნებიან? ყოველი ქართველი გრძნობს ეხლანა დაუცხრომელ შრომაში, კერძო თავოსნობაში და საკუთარ მრენველობის შექმნაშია. დასავლეთ ევროპისა, ამერიკისა და იაპონიის მაგალითი ცხად ჰყოფს, რომ ამისთვის ერთის მხრით პოლიტიკურ ეკონომიის და საფინანსო მეცნიერების, მეორეს მხრით საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიურ მეცნიერებათა წარმომადგენლების მედგარი კვლევა-ძიებაა საჭირო. შეუძლებელია რაიმე ეკონომიურ და საფინანსო პოლიტიკის წარმოება იმ ქვეყნებში, სადაც ალბ-მიცემობისა, მრენველობის ვითარება და ქონებრივი ძალა გამორკვეული და მეცნიერულად შესწავლილი არ არის. ან როგორ უნდა განვითარდეს ჩვენში თუნდ ქვამადნის დამუშავება, როდესაც ნივთიერების შემადგენლობის გამოკვლევა ადგილობრივ არავის შეუძლიან და ნიმუშები ანალიზისათვის ან რუსეთის, ან უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში უნდა გაიგზავნოს ხოლმე. ამგვარად ვგონებ

¹ მოხსენება დაწერილია იმ დროს, როდესაც ეს საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ იყო [14].

² „დაწერილია იმ დროს, როცა ჯერ კიდევ ეს საკითხი გამორკვეული არ იყო. ეხლა თვით დროებითი მთავრობა ეროვნულ-ტერიტორიულ თვითმმართველობას აუცილებელ საჭიროებად სთვლის“ [15].

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

ცხადი უნდა იყოს, რომ ჩვენი ცხოვრების პრაქტიკული მოთხოვნილებაა ქართულ უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობას გვიკარნახებს.

საქართველოს და კავკასიის წარსული და აწმყო, მისი ბუნება და ადამიანი უნდა შეადგენდეს ამ ქართულ უნივერსიტეტის ყოველმხრივ სამეცნიერო კვლევა-ძიების უპირველეს მიზანს. ქართველ ერის ისტორიული ბედი საუკუნეთა განმავლობაში მრავალ სხვა და სხვა კულტუროსან ერის ბედთან იყო დაკავშირებული და თუ დასავლეთ ევროპის მკვლევართათვის აღმოსავლეთის კულტურის შესწავლა უფრო რომ მეცნიერული ცოდნისმოყვარეობის შედეგია, ჩვენ ქართველთათვის და ქართული მეცნიერებისათვის ასურელთა, სპარსელების, ბერძნების, არაბების, სომხების და სხვათა ისტორიისა, მწერლობისა და კულტურის შესწავლა თვით ჩვენივე წარსულისა და აწმყოსათვის არის აუცილებლად საჭირო.

აი ეს არის ქართული უნივერსიტეტისათვის ნამდვილი მეცნიერული მოწოდება და ქართული და კავკასიის ენათმეცნიერების, აღმოსავლეთის და ქართულ ეთნოლოგიისა, ისტორიის, მწერლობისა, სამართლისა და კულტურის შესწავლით ქართულ მეცნიერებას კაცობრიობის აზროვნების მსოფლიო საუნჯეში ფასდაუდებელი განძის შეტანა შეუძლიან. მეორეს მხრით ჩვენი სამშობლოს ბუნებაც, უძრავი და მოძრავი, უტყვი და მეტყველი, იმდენად საყურადღებოა მკვლევარისათვის, ადგილობრივ პირობების გამო თვით კაცის სხვა და სხვა სწეულებას ეგოდენი ჯერ კიდევ შეუსწავლელი, განსხვავებული თვისებები აქვს, რომ აქაც ჩვენ უმადლეს სასწავლებლის მეცნიერ ბუნების მეტყველთა და სამკურნალო ფაკულტეტს ფართო და საპატიო სამოქმედო ასპარეზი ექმნება. ყოველ ერის მეცნიერებას მსოფლიო გონებრივ შემოქმედებისათვის იმოდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი საერთო კაცობრიობის საღაროში საკუთარს წვლილს შეიტანს და თავისებურობას გამოიჩინოს. ზემოაღნიშნულითგან ცხადი უნდა იყოს, რომ თუ ქართველი მეცნიერნი თავის მოვალეობას პირნათლად აასრულებენ და საკმაო ნიჭს გამოიჩინენ, ქართულს უნივერსიტეტს და ქართულ მეცნიერებას შეუძლიან საჭირო თავისებურობაც გამოიჩინოს და მსოფლიო შემოქმედებაში საკუთარი წვლილიც შეიტანოს.

ქართულ უნივერსიტეტი ერთსა და იმავე დროს სამეცნიერო კვლევა-ძიებისა და ცდის დაწესებულებაა უნდა იყოს და უმადლესი სამეცნიერო სასწავლებელიც, სადაც მეცნიერების შესწავლა და სამეცნიერო მუშაობის მეთოდებისა და პრაქტიკის შეთვისება შესაძლებელი იქმნება. ამ უნივერსიტეტის პროფესორები და ხელმძღვანელები მართლ ლექციების მკითხველნი-კი არ უნდა იყვნენ, არამედ უპირველესად ყოვლის მეცნიერნი და მკვლევარნი, რომელნიც თავიანთ ნაშრომებით მეცნიერების წარმატებას უნდა ხელს უწყობდნენ და მეცნიერებაში ცხოველ მისა-ბაძავ მაგალითადაც იყვნენ მოზარდ თავობისათვის [16].

წყარო: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი, №836.

შენიშვნები და კომენტარები:

1. ეს მოხსენება თავის დროზე გამოქვეყნდა გაზეთებში „საქართველო“ (1917 წ. №№212, 213, 216, 218) და „სახალხო საქმე“ (1917 წ. №62, 63, 66 და 68), შემდეგ კი, 1948 წელს, დაიბეჭდა თსუ შრომებში (ტ. 33 B). საგაზეთო ტექსტში ბეჭდვისას რამდენიმე ლაფსუსია გაპარული, რომელიც, სამწუხაროდ, 1948 წლის პუბლიკაციაშიც გადავიდა. მხოლოდ ერთი მაგალითით დავკმაყოფილდები. ამ მოხსენებაში ივანე ჯავახიშვილი ამბობს, რომ უცხოეთში არსებული ქართული მონასტრები ქართველობას შესაძლებლობას აძლევდა, „მეზობელ ერთა კულტურულ წარმატებას არ ჩამორჩენოდა და მათს დაწინაურების ყოველი ნაბიჯის გადადგმას და მიმართულებას ფეხდაფეხ მისდევნებოდა“. დაბეჭდილ ტექსტში ეს აზრი დამახინჯებულია, რადგან „წარმატების“ ნაცვლად დაბეჭდილია „წარმოების“. ეს სიტყვა ამ მოხსენებაში სხვაგანაც იგივენირადაა შეცვლილი. გარდა ამისა, ამ უკანასკნელში მთელი წინადადებები და აბზაციც კია ამოღებული, რადგანაც მათი შინაარსი საბჭოთა იდეოლოგიისათვის მიუღებელი იყო. წინამდებარე პუბლიკაცია ემყარება დედნისეულ ვარიანტს და საბჭოთა ცენზურის მიერ ამოღებული ადგილები განსხვავებული (დახრილი და გადიდებული) შრიფტითაა მოცემული. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში დაცული ტექსტი ივანე ჯავახიშვილს ცარცის ქალაქის ფურცლებზე შავი მეღვინით აქვს დაწერილი. სათაურში ავტორის მიერ გადაშლილია: „სამეცნიერო უმაღლესი სასწავლებლის“, მის ნაცვლად ზედწერია: „უნივერსიტეტის“ და გრძელდება: „დაარსების აუცილებლობის შესახებ“. ეტყობა, ავტორმა თავიდან ასე დაასათაურა „მოხსენება ქართული უმაღლესი სასწავლებლის დაარსების აუცილებლობის შესახებ“ და შემდეგ, გაზეთში მიტანის დროს, შეცვალა და საბოლოოდ ასეთი სახე მისცა: „მოხსენება ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ“. თავიდან, როდესაც ივანე ჯავახიშვილი 12 და 17 მაისს მოხსენებით გამოდიოდა, და უფრო ადრეც, ქართველ საზოგადოებაში კამათი იყო, თუ რა ტიპის უმაღლესი სასწავლებელი უნდა დაარსებულიყო საქართველოში. ყველა არ იყო უნივერსიტეტის დაარსების მომხრე, ზოგს აკადემია სურდა და ზოგს პოლიტექნიკური სასწავლებელი. ივანე ჯავახიშვილი ამ საქმის კურსში იყო და ამიტომაც, მაშინ – პირველ შეკრებაზე, 12 მაისს – მოხსენების სათაურში სიტყვა „უნივერსიტეტი“ ვერ იქნებოდა. მაგრამ როცა უკვე ყველაფერი უნივერსიტეტის სასარგებლოდ გადაწყდა და ამ საქმიანობის შესახებ პრესაში გამოცხადებაც დადგინდა, რა თქმა უნდა, სიტყვა „უნივერსიტეტი“ უნდა ყოფილიყო კიდევაც სათაურში მოცემული. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ამ სათაურის ქვეშ არის მინაწერი: „ივ. ჯავახიშვილის მოხსენება ქართული უნივერსიტეტის

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე წაკითხული 12 მაისს 1917 წ. ტფილისში და 17 მაისს ქუთაისში“.

აღსანიშნავია ერთი დეტალიც: ხელნაწერი დევს კონვერტში, რომელსაც აწერია (თუმცა რატომღაც მერე იგი ფანქრით გადაუხაზავთ): „თან ახლავს შემომნიშვნელის [პროფ. გ. თავზიშვილის] ბარათი 1960 წ. 29 დეკემბერის, ხელნაწერის მისთვის გადაცემის შესახებ“. ეს ხელნაწერი ამ საქმეში არ დევს. ეტყობა, იგი სხვაგან მოათავსეს, მაგრამ ჩვენ ვერც სხვაგან მივაკვლიეთ. შესაძლებელია, გ. თავზიშვილი ყოფილიყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი და ამიტომ შესაძლოა, მას ამ პარტიის ორგანოში, გაზეთ „სახალხო საქმეში“ ეთანამშრომლა კიდევ. სწორედ ამ გზით უნდა ჰქონოდა მას ივანე ჯავახიშვილის ეს ხელნაწერი.

2. ივანე ჯავახიშვილი ხმარობს სიტყვას „მთარგმანებელნი“, რადგან „თარგმანება“ არ ნიშნავს თარგმნას – ერთი ენიდან თხზულების მეორე ენაზე გადმოტანას, როგორც ეს დღეს გვესმის. „მთარგმანება“ დედნისეული ტექსტის კომენტირებასა და გარჩევა-განხილვას ნიშნავდა (იხ. ილია აბულაძის და ზურაბ სარჯველაძის ლექსიკონები).
3. ციტატა მოყვანილია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებიდან. იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 331.
4. ეს სიტყვა წითელი ფანქრითაა გახაზული. არ ჩანს, იგი ავტორისეულია თუ არა.
5. ეს სიტყვა წითელი ფანქრითაა გახაზული. არ ჩანს, იგი ავტორისეულია თუ არა.
6. იგულისხმება XIV ს-ის ძეგლი „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა აღმოაჩინა 1908 წელს ქართლის ერთ ოჯახში და რომელშიაც გადმოცემულია საქართველოს მეფის კარზე მიღებული ეტიკეტი.
7. ამ წინადადების დასასრული მეორე გვერდზეა მიწერილი, მაგრამ ავტორს ის არ მოსწონებია, გადაუშლია და იმ სახით გაუგრძელებია, როგორც ახლაა. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ესეც მოვიყვანოთ: „თავის ნაშრომისათვის ის მრავალმხრივობა შეენარჩუნებინა, რომელიც ადგილობრივ და ორიგინალურ შემოქმედებასთან შეერთებული ყველაზე უფრო მიმზიდველი და ძვირფასია“.
8. აქ მთელი წინადადება დაუნერია, მაგრამ შემდეგ იგი ავტორს არ მოსწონებია და გადაუხაზავს. აი ეს ადგილიც: „მეზობლები მას მასავით ჩამორჩენილები ჰყავდა და უაღრეს განათლებისა და დიდი კულტურის კერას, დასავლეთს ევროპას, ისე იყო დაშორებული, რომ პირდაპირ მას ხელი არ მიუწვდებოდა. ამას ის ფრიად დამაბრკოლებელი გარემოებაც ზედ დაერთო“.
9. აქ ავტორს დაუნერია: „აგრედვე თითო-ოროლა სომეხი მღვდელი“, მაგრამ შემდეგ გადაუშლია.
10. აქ ავტორს დაუნერია: „და არაფერს თავისებურობას არ შეიცავდა“, მაგრამ შემდეგ გადაუშლია.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

11. ეფრემ მცირე – XI საუკუნის ქართველი საეკლესიო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი, ისტორიკოსი და ფილოსოფოსი.
12. ეს წინადადება წითლადაა გახაზული.
13. ეს წინადადება წითლადაა გახაზული.
14. შენიშვნა ეკუთვნის ივანე ჯავახიშვილს, რომელიც გულისხმობს, რომ მოხსენების გაკეთების დროს (12 და 17 მაისი) არა, მაგრამ მოგვიანებით, მოხსენების გაზეთში დაბეჭდვის დროს, როცა ეს საკითხი უკვე გადანყვეტილი იყო.
15. შენიშვნა ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის და გულისხმობს რუსეთის დროებით მთავრობას. მოხსენების დაწერისა და საზოგადოებისთვის ზეპირად წარდგენის დროს კი ეს საკითხი ჯერ არ იყო გადანყვეტილი, ხოლო გაზეთში გამოქვეყნების დროს მთავრობას ძველი პოზიცია უკვე შეცვლილი ჰქონდა.
16. დედანში და გაზეთში გამოქვეყნებულ ვარიანტებშიც მინერილია: „გაგრძელება იქმნება“, მაგრამ გაზეთებში მისი გაგრძელება არ გამოქვეყნებულა. ჯერჯერობით ვერც არქივში მივაკვლიეთ გაგრძელების ტექსტს. სავარაუდო მასალის შესახებ იხ. „მოხსენებათა ფრაგმენტების“ შესავალი.

მოსხენებათა ფრაგმენტები

1917 წლის 5 მაისს ივანე ჯავახიშვილი მეუღლეს წერდა: „**მე გწერდი, რომ ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტის დაარსების შესახებ მოხსენებას ვამზადებ. დღეს ვათავებ კიდევ, 80 გვერდიანი გამოვიდა. ხვალ პატარა კრება გვაქვს მეცნიერთა და რამდენიმე დღის შემდგომ ბანკების და სამეცნიერო საზოგადოებათა წარმომადგენლების კრებას მოვიწვევ, რომელზედაც გამოირკვევა რამდენ ფულის გამოღება შეუძლიანთ ჩვენს საკრედიტო დანესებულებებს. ვგონებ, რომ ამ საქმის განხორციელებას ყველანი ხელს შეუწყობენ და მოხერხდება კიდევ**“.

ეს კრება თბილისში შედგა 1917 წლის 12 მაისს. ამ კრებაზე გაკეთებული მოხსენება მოგვიანებით დაიბეჭდა გაზეთებში „საქართველო“ და „სახალხო საქმე“. ორივეგან მითითებულია, რომ გაგრძელება იქნებაო, მაგრამ ამ გაზეთებში არავითარი გაგრძელება არ დაბეჭდილა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ივანე ჯავახიშვილის პირად ფონდში ინახება ამ მოხსენების დედანი (№836), რომელიც ზუსტად იმ მოცულობისაა, როგორც გაზეთებშია დაბეჭდილი და მასაც ბოლოს მინერილი აქვს, რომ გაგრძელება იქნებაო. ეტყობა, ეს ხელნაწერი გაზეთში მიტანილი ხელნაწერია, რომელიც მოგვიანებით გ. თავზიშვილის მიერ შემოტანილ იქნა არქივში. იგი შეიცავს 67 გვერდს. გამოდის, რომ მას აკლია 13 გვერდი.

ახლა ძნელი სათქმელია, სადაა ეს ნაწილი, საერთოდ შემორჩა კი? ჩვენ მხოლოდ ვარაუდი შეგვიძლია, რომ დარჩენილი ნაწილი მართლაც უნდა იყოს გადარჩენილი. სანამ ამ ვარაუდს გავავრცობდეთ, მოვიყვანოთ უნივერსიტეტის საზოგადოების კრების ოქმებიდან ერთი ადგილი: „**პროფ. ი. ჯავახიშვილმა წაიკითხა თავისი მოხსენების მეორე ნაწილი: მომავალი უნივერსიტეტის ორგანიზაცია და საჭირო ხარჯები**“ (ფონდი 471. ანან. 1. საქმე 1. ფ. 4). ეს კრება კი რიგით მეორეა, რომელიც გაიმართა იმავე წლის 17 მაისს ქ. ქუთაისში. ეტყობა, ივანე ჯავახიშვილმა თავიდან კი იფიქრა თავისი მოხსენების ორივე ნაწილის პრესაში გამოქვეყნებაზე, მაგრამ მერე მხოლოდ პირველით დაკმაყოფილდა. ოქმის ეს ადგილი კარგ მინიშნებასაც შეიცავს. ეს მეორე ნაწილი ყოფილა „**მომავალი უნივერსიტეტის ორგანიზაცია და საჭირო ხარჯები**“.

ასეთი შინაარსის მასალა მართლაც მოიპოვება საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივში (ფ. 471. I. №7). მაგრამ აქ 13 გვერდის ნაცვლად გაცილებით მეტია. თავად ტექსტი კი არასრულია. მას აკლია დასაწყისი, დასასრული და შიგნითაც თხრობაში ხარვეზებია. გარდა ამისა, ტექსტში არის გარკვეული სახის გამეორება, სადაც ერთი და იგივე შინაარსია გადმოცემული, მაგრამ განსხვავებული რედაქციით. ეს ფურცლები კი სანერი მელნის მხრივაც განსხვავებულია. ეტყობა, მეცნიერმა 17 მაისს წაკითხული მოხსენების მეორე ნაწილი შემდეგაც რამდენჯერმე გადაამუშავა და მოახსენა საზოგადოების კრებას. ამ მასალაში ორი სხვადასხვა

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

დროს დაწერილი ტექსტია ერთმანეთში არეული, მაგრამ ნაკლული გვერდების გამო და თავად ავტორის მიერ მათი მეორეჯერ გამოყენებისას გადაკეთების მიზეზითაც მათი მკვეთრი გამიჯვნა ძნელდება. მაგრამ ჩვენ ვალდებული ვართ, ამგვარი სამუშაო შევასრულოთ და მკითხველს ჩვენი არგუმენტები შევთავაზოთ.

შემორჩენილია ივანე ჯავახიშვილის მოხსენებების ტექსტები, რომლებიც ნაკლული სახისაა, მაგრამ უდავოდ უნივერსიტეტის დაარსებამდეა შექმნილი და სწორედ ამ საკითხს ეხება. ისინი მოცემულ თემაზე მეცნიერის შეხედულებებს გამოვკცემს და უნივერსიტეტის დაარსების მთელ პროცესსაც უფრო თვალსაჩინოს ხდის. ამიტომაც მათი გამოქვეყნება აუცილებელია.

ივანე ჯავახიშვილის ეს ფურცლები სხვადასხვა დანესებულებაში და სხვადასხვა საქმეშია გაბნეული. მთლიანად მათი მოძიება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა, ნაწილი კი, რაც სახეზეა, ყოველთვის არ ებმის ერთმანეთს. საქმე ისაა, რომ უქალაქობის გამო ხშირად თითოეულ ფურცელს მეორეჯერაც იყენებდნენ ხოლმე, პირველს გადახაზავდნენ და მეორე გვერდზე წერდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვადასხვა ფურცლის პირველი გვერდის შინაარსის თანმიმდევრობას ყურადღებას არ აქცევდნენ. ამიტომ ერთი და იმავე მოხსენების ფურცლები მეორედ გამოყენების გამო სხვადასხვა ადგილას ხვდებოდა.

ამის გარდა, ერთი მოხსენების ფურცლების არე-დარევის მიზეზი იყო ისიც, რომ ივანე ჯავახიშვილს მოცემულ თემაზე მრავალჯერ მოუწია საჯაროდ გამოსვლა. იგი, ვითარების გათვალისწინებით, უკვე დაწერილ მზა მოხსენებას ხან აკლებდა რამეს, ხან ამატებდა. ამის კვალი მოცემულ ხელნაწერებსაც ეტყობა. მეცნიერის სიკვდილის შემდეგ მისი არქივის ნაწილი შინ დარჩა და ნაწილი კი უნივერსიტეტში. მათი შემდეგი დამუშავებამაც ამ ფურცლების უსისტემოდ განაწილებას შეუწყო ხელი.

ამჟამად ჩვენთვის საინტერესო მასალები დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივში (ფონდი 471, ანაწერი I, საქმე 7 და 25) და საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ივანე ჯავახიშვილის ფონდი). მკითხველი რომ ამ მასალებს გაეცნობა, უთუოდ დაგვეთანხმება, რომ ისინი ავტორს უნივერსიტეტის დაარსებამდე აქვს შექმნილი და სწორედ უნივერსიტეტის დასაარსებელ ღონისძიებებს ეხება. ამ ფურცლებზე მოცემული ტექსტის შინაარსი უფლებას გვაძლევს, მთელი ეს მასალა ორ ნაწილად გავყოთ. ერთი ნაწილი უშუალოდ 12 მაისის მოხსენების თანმიმყოფი მოხსენების მეორე ნაწილის შემცველია, მეორე კი უფრო მოგვიანო ხანის. ამ გაყოფის საფუძველს იძლევა თავად ტექსტში მოხსენიებული უნივერსიტეტის დასახელების განსხვავებული ვარიანტები. ესენია „ქართული თავისუფალი უნივერსიტეტი“ და „ქართული უნივერსიტეტი“.

თავდაპირველად განზრახული იყო, რომ თბილისში დაარსებულიყო „ქართული თავისუფალი უნივერსიტეტი“, მაგრამ მოგვიანებით, კერძოდ კი 1917 წლის 15 ივნისს, ივანე ჯავახიშვილმა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების საორ-

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

განიზაცო კომისიის კრებაზე მოითხოვა უნივერსიტეტის დასახელებიდან სიტყვა „თავისუფალი“ ამოეშალათ. მისი აზრით, „ეს სიტყვა კერძობით ხასიათს აძლევს გაზრახულ დანებსეზლებას, მაშინ როდესაც საქართველოს ავტონომიის წყობილებაში ხსენებული უნივერსიტეტი იქნება მთავრობის უნივერსიტეტი. ამიტომ მას ეწოდება: „ქართული უნივერსიტეტი“ (საქ. ერ. არქივი, უახლესი ისტ. არქ. ფონდი 471. ან. 1. №1. ფ. 14).

ეს მოსაზრება მომდევნო კრებამ, რომელიც გაიმართა 22 ივნისს, გაიზიარა და დაადგინა კიდევაც: „მომხსენებლისავე წინადადებით კრებამ გადასწყვიტა: უნივერსიტეტის სახელწოდებიდან გამოტოვებულ იყოს სიტყვა „თავისუფალი“ და ამ უმაღლეს სასწავლებელს ეწოდებოდეს „ქართული უნივერსიტეტი“ (ფონდი 471. ანან. 1. საქმე 1. 16).

ამდენად, ზემოხსენებული ხელნაწერის ეს ერთი ნაწილი, სადაც ჩვენი უნივერსიტეტის მოხსენიებისას გამოყენებულია სიტყვა „თავისუფალი“, ივანე ჯავახიშვილის მიერ შექმნილია 1917 წ. 15 ივნისამდე. უნდა ვივარაუდოთ, რომ მეცნიერს 12 მაისისთვის ხელთ ჰქონდა 80-გვერდიანი მოხსენება, რომელიც შემდეგ, 17 მაისისთვის, კიდევ უფრო გაზარდა. ამას გვავარაუდებინებს ის გარემოება, რომ 17 მაისის სხდომაზე გაკეთებული მოხსენების II ნაწილად ჩვენ მიერ მიჩნეული მასალა აშკარად მეტია 13 გვერდზე. არადა ეს ფურცლები არ შეიძლება 15 ივნისის მერე დაწერილიყო.

როდის უნდა იყოს დაწერილი ამ მასალაში დაცული ტექსტის მეორე ნაწილი? ამის პასუხიც ხსენებული კრების ოქმების ძუნწ სიტყვებში უნდა ვეძიოთ. მართლაც, 1917 წლის 3 ოქტომბრის ოქმში ვკითხულობთ: „შემდეგ პრ. დოც. ი. ა. ჯავახიშვილმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა ქართულ უნივერსიტეტის დაარსების აზრის აღორძინება, თან და თანი განვითარება და პრაქტიკული საქმიანობა ამ აზრის განსახორციელებლად. შემდეგ მან აღნუსხა მთავარი თეზისები თავისის მოხსენებისა, რომელიც წაკითხული იყო საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზედ, გააცნო საზოგადოებას მთავარი მუხლები წესდებისა და უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი. დასასრულ აუწყა დამსწრეთ წესდებისა და ძირითად დებულებათა დამტკიცების საქმის ვითარება. სხვათა შორის ი. ა. ჯავახიშვილი ვრცლად შეეხო საკითხს ეროვნულ უნივერსიტეტის უპირატესობას კავკასიის საერთო უნივერსიტეტთან შედარებით და მრავალის მოსაზრებით დაასაბუთა თავისი აზრი ამ უპირატესობის შესახებ“ (ფონდი 471. ანან. 1. საქმე 3. ფ. 1-2).

აქვე ყურადღება უნდა მივაქციოთ ოქმის ერთ ფრაზას: ივანე ჯავახიშვილმა „აღნუსხა მთავარი თეზისები თავისის მოხსენებისა, რომელიც წაკითხული იყო საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზედ“. ხსენებულ ხელნაწერში ამგვარი სახის მასალა მცირედ, მაგრამ მაინც, მოიპოვება. გარდა ამისა, აქ მომდევნო წინადადებაცაა საინტერესო: „გააცნო საზოგადოებას მთავარი მუხლები წესდებისა და

უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი“. ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივში (№25) ინახება მასალა, რომელიც აგრეთვე ნაკლულ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ამ შინაარსის შემცველი ნამდვილადაა. მასში მოცემული მითითება უნივერსიტეტის ძირითად დებულებების მუხლებზე, რომლებიც ციტატების სახითაა მასში მოცემული, ზუსტად ემთხვევა ივანე ჯავახიშვილის მიერ საბოლოოდ შემუშავებულ და ოფიციალურად მიღებულ დებულების მუხლებს. ამდენად, ეს მასალაც (№25) ამ კრებაზე წინა მასალაზე (№7) გადაბმულად იქნა წარმოდგენილი, მაგრამ მათი ერთმანეთზე შემაერთებელი ფურცლები სადაა, ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია.

კიდევ ერთი საკითხი. მოცემულ მასალაში (№7) დაცულია უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მოწყობის გეგმა და პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასის გაანგარიშების წესი. ამ მასალასაც ეტყობა, რომ იგი ადრიდანვე იყო განხილვისა და ფიქრის საგანი, მაგრამ საბოლოოდ იგი საზოგადოების კრებისთვის მომხსენებელს უნდა გაეცნო 1917 წლის 8 ოქტომბერს. შესაბამის ოქმში წერია: „ამის შემდეგ პრ. დოც. ივ. ჯავახიშვილმა წარმოთქვა სიტყვა სამოქმედო გეგმის შესახებ. უწინარეს ყოვლისა ივ. ჯავახიშვილი შეეხო უნივერსიტეტის ნივთიერ მხარეს.

მოხსენების მეორე ნაწილში ი. ჯავახიშვილი შეეხო უნივერსიტეტში სამოსწავლო საქმის დაყენებას. მისის აზრით, ამთავითვე შეიძლება დაარსდეს ფაკულტეტი სიბრძნისმეტყველებისა. ეს ფაკულტეტი შეიცავს ჰუმანურ სამეცნიერო საგნებს – როგორც, მაგალითად, ფილოსოფიას, საისტორიო-საფილოლოგიო და სპეციალურ საგნებს – ბუნებისმეტყველებისა და მათემატიკისა. ასეთი სისტემა – ერთ ფაკულტეტზე რამდენიმე დარგის შეერთებისა – გერმანული სისტემაა და ყოვლად ხელსაყრელი, განსაკუთრებით ქართული უნივერსიტეტისათვის. ასე, თუ ამთავითვე საბუნებისმეტყველო განყოფილების გახსნა ქონებრივად შევძელით, მაშინ, რაკი სამკურნალო ფაკულტეტის პირველი ორი კურსი იგივეა, რაც საბუნებისმეტყველო განყოფილებისა, - ორი წლის შემდგომ შესაძლებელია მოეწყოს სამკურნალო ფაკულტეტი; ამიტომ ახლავე შეგვიძლიან გამოვაცხადოთ სამკურნალო ფაკულტეტის დაარსება. მხოლოდ, რადგანაც ამ ფაკულტეტს დასჭირდება სხვა და სხვა კლინიკები, – საჭიროა ამთავითვე ზრუნვა, რომ ზოგიერთი ადგილობრივი სამკურნალო გადაეცეს ქართულ უნივერსიტეტს. ამ მხრივ უნივერსიტეტს დახმარება უნდა გაუწიოს ქართველ მკურნალთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებამ. – რაც შეეხება იურიდიულ ფაკულტეტის გახსნას, ეს უფრო საძნელოა, რადგანაც სამეცნიერო ხარისხიანი იურისტები ქართველთა შორის, გარდა 1-2, არ მოიპოვებიან. მაშინ როდესაც სხვა დარგის მეცნიერებისათვის 30-მდე სწავლულია უკვე ხარისხიანი.

ამის შემდეგ, ი. ჯავახიშვილმა ვრცლად განმარტა, როგორ იქნება მოწყობილი ისტორიკო-ფილოლოგიური განყოფილება უნივერსიტეტისა და აღნიშნა,

რომ ამ განყოფილებაზედ სწავლება იქნება, სხვათა შორის, არაბულის და სპარსულის ენებისა და მეცნიერებისა, რომ უნივერსიტეტი გაჰყვანის ამ ქვეყნებში თვალსაჩინო მონაფეთ, მეცნიერებაში გასაწვრთნელად და მერე მათვე გამოიყენებს თავისთვის“ (ფონდი 471. ანან. 1. საქმე 3. ფ. 4).

ხსენებული მასალის მოცემულ მონაკვეთში ივანე გერმანიას ასახელებს. ამასვე მოწმობს პრესაში გამოქვეყნებული ანგარიშიც (გაზ. საქართველო, 1917 წ. №222).

კიდევ ერთი საკითხი: მოცემული შინაარსის შემცველი მასალა დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ივანე ჯავახიშვილის ფონდი, №841). მასში ფურცლის ორივე გვერდია გამოყენებული. ერთზე ფრაგმენტული ტექსტია, რომელიც ზემოხსენებულ თემატიკას ზუსტად იმეორებს, მისი მეორე გვერდი კი პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასის გაანგარიშებას ეხება.

ამდენად, მთელი ეს მასალა ასახავს უნივერსიტეტის დაარსების სამზადისის ორ პერიოდს: I. 12 მაისიდან 15 ივნისამდე და II. 15 ივნისიდან 8 ოქტომბრამდე. ჩვენ მათ ამ ფრაგმენტების სახით აქვე ვათავსებთ იმ იმედით, რომ მომავალში იქნებ სადმე აღმოჩნდეს ის ფურცლები, რომლებიც მათ აკლიათ და ერთიანი სურათის შექმნას შეგვაძლებინებს. ასეც რომ არ მოხდეს, ეს ფურცლები ივანე ჯავახიშვილისეული თავდადებული მუშაობის ლაბორატორიაში ხომ კარგად გვახედებს!

ფრაგმენტი 1 [1]

... იყოს იქ, სადაც არც [2] მოსაწესრიგებლად თეორიულად შესაფერისი მომზადებული პირნი მინათმფლობელობის თანამედროვე მდგომარეობის გამოსარკვევად, წინასწარი სამეცნიერო გამოკვლევები საჭირო არ იქმნება? ან როგორ უნდა განვითარდეს ჩვენში თუნდ ქვამადნის დამუშავება, როდესაც ნივთიერების შემადგენლობის გამოკვლევა ადგილობრივ არავის შეუძლიან და ნიმუშები ანალიზისათვის ან რუსეთის, ან უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში უნდა გაიგზავნოს ხოლმე? ამგვარად, ვგონებ, ცხადი უნდა იყოს, რომ ცხოვრების პრაქტიკული მოთხოვნილებაც ქართულ უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობას გვიკარნახებს [3].

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, №7, ფ. 52.

შენიშვნები და კომენტარები:

1. ეს ფურცელი არის 12 მაისის მოხსენების ტექსტის ერთ-ერთი ფურცლის შავი ვარიანტი. ამ მოხსენების დედანი, რომელიც ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ივანე ჯავახიშვილის ფონდი, №836), ფ. 61-ზე დაუნერია და შემდეგ გადაუშლია: „**თუ რა და რამდენი შემოდის გარეთგან და რა და რამდენი გააქვს გარეთ ამ ქვეყანას ყოველწლიურად მხოლოდ გულუბრყვილოს შეუძლიან იფიქროს, ვითომც მინათმფლობელობის საკითხი შეიძლება გონივრულად გადაწყვეტილი**“. ზემოთ მოცემული ფურცლის ტექსტი ამის გაგრძელებაა.
2. ეს 4 სიტყვაც გადახაზულია. როგორც ეტყობა, წინა ფურცლის დასასრული რომ გადახაზა, ესეც მიაყოლა, მაგრამ მერე შემდეგ თავად მთელი ფურცელიც გვერდზე გადადო და ახალზე ის ტექსტი დაწერა, რაც 12 მაისს გაკეთებულ მოხსენებაშია.
3. უკანასკნელი წინადადების ნაწილი „**ქართულ უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობას გვიკარნახებს**“ ფურცლის მეორე გვერდზეა მკაფიო ხელით მოგვიანებით მიწერილი.

ფრაგმენტი 2 [1]

ეხლა ამ აზრის განხორციელების საკითხილა გვაქვს განსახილველი. მომავალი ქართული უმაღლესი სასწავლებელი რასაკვირველია სრული უნივერსიტეტი უნდა იყოს და ყველა ფაკულტეტებს შეიცავდეს. იქ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტებიც უნდა გვქონდეს, რომელიც გერმანულ უნივერსიტეტების ფილოსოფიურს, ხოლო რუსულს ისტორიულ-ფილოლოგიურსა და ფიზიკურ-სამათემატიკო ფაკულტეტებს უდრის, ამის გარდა, სამართლის მეცნიერების ანუ იურიდიული და სამკურნალო ფაკულტეტიც უნდა იყოს. სასურველია, რომ ის სამეცნიერო საგნები, რომელსაც გერმანულს საპროტესტანტო და საკათოლიკე საღვთისმეტყველო ფაკულტეტებზე ასწავლიან ქართულ მომავალ უნივერსიტეტშიაც იყოს ან ცალკე ღვთისმეტყველების ფაკულტეტის სახით, ან იქნებ სიბრძნისმეტყველების ანუ ფილოსოფიურ ფაკულტეტის სალექციო გეგმასა და სიაში იყოს შეტანილი. თუნდაც რომ ცალკე ღვთისმეტყველების ფაკულტეტი შეიქმნას, მას პრაქტიკული ხასიათი კი არ უნდა ჰქონდეს, იქ მღვდელმსახურებისათვის კი არ უნდა ამზადებდნენ, არამედ მხოლოდ მეცნიერულ თვალსაზრისით ხელმძღვანელობდეს და მის ერთადერთ მიზნად საზოგადოდ სარწმუნოებათა და განსაკუთრებით საქრისტიანო დოღმატიკის, მწერლობის, მთარგმნელობის, ლიტურჯიკის, საეკლესიო სამართლისა, წესწყობილებისა და ზნე-ჩვეულებათა მეცნიერულ-ისტორიულ შესწავლა უნდა დაისახოს. ჩვენში ბევრნი სარწმუნოებას აღმაცერად უყურებენ და ამის გამო თავიანთ ღირსების დამამცირებლად მიაჩნიათ საღვთისმეტყველო მეცნიერებაზე სჯა-ბაასიც-კი. მაგრამ ამ შემთხვევაში ფრიად სამწუხარო ცნებათა აღრევა და გაუგებრობაა.

რწმენა და ამა თუ იმ სარწმუნოების აღსარება ან უარყოფა და ურწმუნოება რასაკვირველია ყოველ ადამიანის პირადი შეგნებისა და გრძნობის საქმეა, მაგრამ სულ სხვაა სარწმუნოებათა ისტორიულ-მეცნიერული შესწავლა. შეიძლება ადამიანი ურწმუნოც იყოს, მაგრამ რომ სარწმუნოებას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და იგი ადამიანთა მოდგმის სულიერ შემოქმედების ერთ-ერთ უძლიერეს დარგის გამოხატულობაა, ამის უარყოფა არავის შეუძლიან. რაკი ჰუმანურ მეცნიერებათა მიზანი ადამიანის სულიერ შემოქმედების ყოველმხრივ გამოხატულობის შესწავლაა, ამიტომ თეორიულ მეცნიერებაც მოვალეა სარწმუნოებათა მეცნიერულ-ისტორიული შესწავლა თავს იდვას.

საქრისტიანო და სამაჰმადიანო საღმრთო წერილისა (დაბადების, სახარების, კურანის და სხვათა) წარმოშობისა და თანდათან განვითარების ისტორია, მაგ. იმდენად საგულისხმიერო და დიდმნიშვნელოვანი საგანია, რომ იქ, სადაც ამ საგნებს მეცნიერი-მკვლევარი არა ჰყავს, უნივერსიტეტიც სრული სამეცნიერო უმაღლეს დანესებულებად ვერ ჩაითვლება. ამის გამო ცალკე ფაკულტეტის სახით, თუ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტში ჩართვით მომავალში მაინც ქართულ თავისუფ-

ალ უნივერსიტეტში საღვთისმეტყველო მეცნიერებათა ლექციებიც უნდა შემოღებული იქმნას.

[2] თავისთავად ცხადია, რომ ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტის, როგორც ნესდებისდა შედგენილობის საკითხი, ისე ხარჯთაღრიცხვა ზედმინევნით და საბოლოოდ შემდეგში იქმნება შემუშავებული, როდესაც დანამდვილებით გამოირკვევა, რომ ამ განძრახვის განსახორციელებლად საჭირო ქონებრივი სახსარი იქმნება. ამიტომ ის, რასაც ქვემოთ უნივერსიტეტის შემადგენლობის შესახებ იქმნება ნათქვამი, მხოლოდ წინასწარ მოსაზრებად უნდა იყოს მიჩნეული.

ქ[ართულ] თავისუფალ სრულს უნივერსიტეტში შემდეგი ფაკულტეტები იქმნება: 1). სიბრძნისმეტყველებისა ანუ ფილოსოფიური საბუნებისმეტყველო და სასოფლო-სამეურნეო განყოფილებითურთ [3]. 2). სამართლის მეცნიერების ანუ იურიდიული და 3). სამკურნალო. თავდაპირველად სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი იხსნება, ან საბუნებისმეტყველო განყოფილებითურთ ეხლავე, ან ჯერ ხანად უამისოდ. და შემდეგ, წინასწარ შედგენილ გეგმისდა მიხედვით, თანდათანობით დანარჩენი ფაკულტეტებიც უნდა გაიხსნას და სრულ უნივერსიტეტად იქცეს.

ვიდრე მოხსენებას განვაგრძობდე, ორიოდ სიტყვა მაქვს სათქმელი ზემონახმარ ტერმინის „სიბრძნისმეტყველების“ ფაკულტეტის განსამარტავად და გასამართლებლად. ფილოსოფიური ფაკულტეტი გერმანიაში ენათმეცნიერების, საკუთრივ ფილოსოფიურ საგნების, სიტყვიერების, ისტორიის, ხელოვნების, პოლიტიკურ ეკონომიისა, სახელმწიფო სამართლის და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო მეცნიერებას შეიცავს. ამ შემთხვევაში „ფილოსოფიური“ ფაკ[ულტეტი] ძველ, ფართო მნიშვნელობით არის ნახმარი და მეცნიერების ჰუმანურ-სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო დარგების შემცველია. მეცნიერული აზროვნების მრავალმხრივობისა და საფუძვლიანობისათვის სასურველია, რომ ეს სამი უმთავრესი დარგი მართლაც ერთად იყოს. მათ შორის მრავალი საერთო სამეცნიერო კვლევის საგნებიცაა. და თუ ეს შეხედულება შესაწყნარებელი იქმნება მომავალ ქართულ უმაღლეს სასწავლებლისათვის, უნდა შესატყვისი ტერმინი შექმნილიყო. ფილოსოფიას ქართულში ვინრო, საკუთრებითი მნიშვნელობა ჰქონდა და ეხლაცა აქვს და ამიტომ ჩვენ მიზნისათვის არ გამოდგებოდა. სამაგიეროდ „სიბრძნე“ ამისთვის შესაფერისია; მას ძველადაც მუდამ ფართო მნიშვნელობა ჰქონდა და ეხლაც ამგვარადვე ფართოდ იგულისხმება. შოთას უკვდავი ქმნილებაც ცხადჰყოფს, რომ „სიბრძნე“ მაშინ იმგვარადვე ფართო მნიშვნელობით იხმარებოდა, როგორც დასავლეთ ევროპაში და გერმანიაში ძველად სიტყვა ფილოსოფია ესმოდათ. „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“-ო, ნათქვამია ვეფხისტყაოსანში. მაშასადამე, ჰლეზიაცა და ხელოვნებაც „სიბრძნე“-დ ითვლებოდა. ეს ტერმინი ფართო ცნების შემცველი ყოფილა და მას ცოდნის სხვადასხვა დარგი ჰქონია. აი ამის გამო, ვგონებ, გერმანულ „ფილოსოფიურ ფაკულტეტი“-ს გადმოსაცემად ქართულად „სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი“ უნდა ვიხმაროთ.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

მომავალში, როდესაც ქ[ართულ] უნივერსიტეტის წესდება საბოლოოდ შედგენილი იქმნება, მაშინ გამოირკვევა რამოდენიმე ეხლა სათუოდ დატოვებული საკითხი. [მათ შორის ისიც, თუ საღვთისმეტყველო საგნები სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს მიემატება, თუ მისთვის განსაკუთრებულ ფაკულტეტი შეიქმნება] [4]. მაშინვე გადასწყდება [5]. ფრიად მნიშვნელოვანი საკითხიც საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო მეცნიერების დარგების შესახებ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს შეუერთდება, თუ ეს დარგები ცალკე ფაკულტეტად იქმნება გამოყოფილი. რაკი ამ უკანასკნელ საკითხის გადასაწყვეტად თვით ბუნებისმეტყველთა და მათემატიკოსთა ცოდნა და აზრიც არის საჭირო, ამიტომ აქ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მხოლოდ ჰუმანურ მეცნიერებათა დარგების მოსაწყობად შედგენილი გეგმა იქმნება წარმოდგენილი.

ამ განყოფილებაზე შემდეგი კათედრები უნდა იყოს:

- 1). ფილოსოფიისა,
- 2). ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკისა (2 პროფ.),
- 3). საზოგადო ანთროპო[ლოგია], გეოგრაფია და ეთნოლოგია,
- 4). საზოგადო და შედარებითი ენათმეცნიერებისა,
- 5). ქართული ენათმეცნიერებისა (ისტორიულ მეცნიერება. 2 პროფ.),
- 6). კილო-კავთა,
- 7). კავკასიის ენების ენათმეცნიერება,
- 8). ბერძნულ და ბიზანტიურ მესიტყვეობისა (ფილოლოგიისა),
- 9). ლათინური მესიტყვეობა,
- 10). სპარსული ფილოლოგიისა (ენა და მწერლობა)
- 11). არაბულ ” ”
- 12). სომხურ ” ”
- 13). ოსმალურ ” ”
- 14). ებრაულ და ასურულ ” ”
- 15). საზოგადო და ქართულ სიძველეთამეცნიერება,
- 16). ძველი აღმოსავლეთის ისტორია,
- 17). ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორია,
- 18). ბიზანტიის ისტორია,
- 19). დასავლეთ ევროპისა და მსოფლიო ისტორია,
- 20). ქართველ[ი] ერისა და საქართველოს ისტორია,
- 21). მახლობელ აღმოსავლეთის არაბეთ-სპარსეთ-ოსმალეთის ისტორია,
- 22). სომხეთის ისტორია,
- 23). რუსეთის და სლავიანთა ისტორია,
- 24). საეკლესიო ისტორია,
- 25). ღვთისმეტყველებისა და საეკლესიო მწერლობის ისტორია,

26). საზოგადო ესთეტიკა, სიტყვიერების თეორია და რომანულ-გერმანული მესიტყვეობა,

27). ქართულ[ი] ძველ[ი] სიტყვაკაზმულ მწერლობის ისტორია,

28). „ ახალ ” ” ”

29). ხელოვნების თეორია, საზოგადო და ქართულის ისტორია,

30). რუსული მწერლობის „ [6],

31). პოლიტიკური ეკონომია და სტატისტიკა,

32). სახელმწიფო სამართალი,

33). ქ[ართუ]ლ[ი] სამართლის ისტორია.

ამას გარდა სასაუბრო ენის შესასწავლად შემდეგ ენები უნდა იყოს: გერმანული, ფრანგული, ინგლისური, არაბული, სპარსული, სომხური და ოსმალური.

ზემოაღნიშნული ნუსხაც იდეალურია, რომლის განხორციელება მხოლოდ თანდათანობით შეიძლება. ამჟამად ჩვენ გვეყოლებიან მხოლოდ შემდეგ დარგების წარმომადგენელი: 1). ფილოსოფიისა, 2). ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკისა, 2). [7] საზოგადო და საქართველოს ანთროპოლოგიისა, გეოგრაფიისა და ეთნოლოგიისა, 3). საზოგადო და შედარებითი ენათმეცნიერებისა, 4). ქართული ისტორიული და შედარებითი ენათმეცნიერებისა, 5). ქართული კილოკავების მეცნიერებისა, 6). საზოგადო და ქართულ სიძველეთამეცნიერებისა, 7). ძველ აღმოსავლეთის ისტორიისა, 8). ქართველ ერისა და საქართველოს ისტორიის, 9). რუსეთისა და სლავიანთა ისტორიისა, 10). საეკლესიო ისტორიისა, 11). საეკლესიო მწერლობის ისტორიისა, 12). პოლიტიკურ ეკონომიისა და სტატისტიკისა და 13). ქ[ართუ]ლ სამართლის ისტორიისა. ამასთანავე პირველდანიყებითი სწავლება და პრაქტიკული ვარჯიშობა იქმნება არაბულ, სპარსულ, სომხურ და ოსმალურ ენებისა, რასაკვირველია ახალ ენებისაც. ყველა ამ ენებისათვის ლექტორები იქმნებიან. განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული იქმნება სამეცნიერო სემინარების მოწყობას და სტუდენტთა სამეცნიერო ვარჯიშობას, რომელთაც პროფესორთა გარდა განსაკუთრებული ხელმძღვანელი ეყოლებათ.

[8] ქ[ართუ]ლ თავისუფალ უნივერსიტეტში იქმნებიან 1). პროფესორები, რომელთაც მოძღვართ-მოძღვრობის სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო შრომები აქვთ და ფაკულტეტის პროფესორთა კოლეგია პროფესორად აირჩევს და უნივერსიტეტის საბჭო დაამტკიცებს. მათი მოვალეობაა, თავიანთი ნიჭი და ძალა სამეცნიერო კვლევა-ძიებას მოახმარონ, სტუდენტებს ლექციები უკითხონ და სამეცნიერო მუშაობას შეაჩვიონ. არც დოცენტობა და არც საექტრაორდინარო და საორდინარო პროფესორობა არ უნდა არსებობდეს. რაკი მოძღვართ-მოძღვრობის ხარისხის მქონებელი ფაკულტეტის მიერ არჩეულია პროფესორად და საბჭოს მიერ დამტკიცებულია და სავალდებულო სამეცნიერო დარგი აქვს ჩაბარებული, ის სხვებისაგან უფლებით არ განირჩევა. პროფესორთა შორის განსხვავება მხოლოდ სამსახურის წლოვანებაზეა დამოკიდებული და ამასაც მხოლოდ ქონებრივი მდგომარეობით

რეობისათვის აქვს მნიშვნელობა. არსებობს მხოლოდ კერძო დოცენტობა. ყოველს მეცნიერს, რომელსაც ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტისაგან მოძღვართ-მოძღვრობის სამეცნიერო ხარისხი აქვს მინიჭებული და ორს საცდელს ლექციას ნაიკითხავს ერთს ფაკულტეტის წინაშე, ფაკულტეტისავე მიერ მიცემულ თემაზე და დაიცავს, ხოლო მეორეს საკუთარ თემაზე სტუდენტების წინაშე საჯაროდ, უფლება აქვს კერძო ლექციების კითხვა დაიწყოს უნივერსიტეტში [9].

2). სამეცნიერო ვარჯიშობის ხელმძღვანელნი, ახალგაზრდა მეცნიერნი, რომელთაც სამეცნიერო ხარისხი აქვთ და საკმაო გამოცდილება მოეპოვებათ, რომ სტუდენტთა სამეცნიერო ვარჯიშობასა, სემინარსა, ლაბორატორიებსა და კლინიკებში ხელმძღვანელობა გაუწიონ. ხელმძღვანელებსაც ფაკ. საბჭო ირჩევს და ამტკიცებს.

3). სასაუბროდ შესასწავლ ენების ლექტორები, რომელთაც ენის საფუძვლიანი თეორიულიც და პრაქტიკული ცოდნაც აქვთ და სწავლებისათვის შესაფერისი გამოცდილება მოეპოვებათ. მათაც ფაკულტეტი ირჩევს. ქართ. თავის. უნივერსიტეტს სრული ავტონომია აქვს [10]. სამეცნიერო და სამოსწავლო საქმეების განგება, აგრედვე შინაური წესწყობილება პროფესორთა საბჭოს უცილობელი უფლებაა. სავარაუდო ხარჯთაღრიცხვისდა მიხედვით ხარჯების განევაც მისივე საქმეა. უნივერსიტეტთან არსებობს მხოლოდ საკონტროლო საბჭო. იქ მონაწილეობას იღებენ ყველა იმ დაწესებულებათა და ქველმოქმედთა წარმომადგენელნი, რომელნიც უნივერსიტეტის შესანახავად ყოველწლიურად განსაზღვრულს სახსარს გამოიღებენ ან ერთდროულად ძირითად თანხად დიდს სათავენოსა შესწირავენ. ეს საბჭო მოვალეა, უნივერსიტეტის გამგეობის მიერ წარდგენილი ანგარიში განიხილოს და ყველა გასამართლებელი საბუთების გაშინჯვის შემდგომ ანგარიშის შესახებ თავისი დასკვნა გამოსთქვას, უნივერსიტეტის საბჭოს და თავიანთ დაწესებულებას აცნობოს. ამას გარდა უნივერსიტეტთან სამეურნეო საბჭოც არსებობს, რომლის მოვალეობაა, ხარჯების ყოველ ახალ გადიდების, მის ფინანსურ მიზანშეწონილობისა და ქონებრივ შესაძლებლობის შესახებ ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს მსჯელობა იქონიოს და თავისი აზრი გამოსთქვას ხოლმე. ამ სამეურნეო საბჭოში მონაწილეობას უნივერსიტეტის გამგეობისა და პროფესორთა უხუცესთა საბჭოს [11] წარმომადგენლებს გარდა უნივერსიტეტისათვის ქონებრივ საღსრის გამომღებ დაწესებულებათა და ქველმოქმედთა წარმომადგენელნიც იღებენ.

თავისუფალ ქართულ უნივერსიტეტის განსახორციელებლად სამი უმთავრესი პირობა არის საჭირო და ეს სამი პირობა ამასთანავე შეიძლება იმ დაბრკოლებად გახდეს, რომელთა დაძლევა უეჭველად მოგიხდება: ქართველ მეცნიერთა შესაფერისი რაოდენობა, მსმენელ მოსწავლეთა საკმაო რიცხვი და ქონებრივი სახსარი.

რომ ქართულ თავისუფალს უნივერსიტეტს ამთავითვე შესაფერისი გავლენიანობა ჰქონდეს, მეცნიერების ყველა საჭირო უფლებებით უნდა იყოს აღჭურვილი და მომავალში თავისთვის სამეცნიერო მოღვაწეთა შექმნისა და შერჩევის უფლება

მოეპოვებოდეს, საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ პროფესორთა თავდაპირველს შემადგენლობაში ყოველს წევრს სამეცნიერო ხარისხისათვის გამოცდა ჩაბარებული და დისერტაციაც რუსეთში სამაგისტრო, უცხოეთის უნივერსიტეტისა სადოქტორო დაცული ჰქონდეს. ვისაც მხოლოდ გამოცდა აქვს ჩაბარებული, ის პროფესორის მოვალეობის აღმსრულებლად უნდა ითვლებოდეს. რაკი როგორც ერთი მხრივ რუსეთის ყველა უნივერსიტეტების წარმომადგენელთა მიერ სამკურნალო დოქტორობის ხარისხი ლექციების კითხვის უფლების მისაღებად საკმარისი არ არის, ამიტომ სამკურნალო ფაკულტეტისათვის საჭირო პირობების შემუშავება და სხვების მოწვევა იმ ქართველ მეცნიერ მკურნალთა საქმეა, რომელნიც სხვადასხვა უნივერსიტეტებში პროფესორებად და დოცენტებად არიან და ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტში გადმოვლენ. რა წამს ქართულ უნივერსიტეტების ფაკულტეტებში ყოველ დარგისათვის სამეცნიერო ხარისხით აღჭურვილნი პროფესორები თავმოყრილნი იქმნებიან, თვით ქართულ უნივერსიტეტის კოლეგიას შეუძლიან, შესატყვის მომზადების მქონენი სამეცნიერო ხარისხისათვის გამოსცადოს და დისერტაციის წარმოდგენისა, განხილვისა ფაკულტეტში და საჯაროდ დაცვის შემდგომ შესაფერისი სამეცნიერო ხარისხი მიანიჭოს. ამას გარდა მეცნიერების წინაშე განსაკუთრებული და თვალსაჩინო ღვაწლის გამო ქართულ უნივერსიტეტს უფლება ექმნება, ცნობილს მეცნიერს *honoris causa* სამეცნიერო ხარისხი მიანიჭოს. თავისდათავად ცხადია, რომ ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტის მიერ მინიჭებულს სამეცნიერო ხარისხებს მხოლოდ თვით ამ უნივერსიტეტისათვის ექმნება ძალა და მნიშვნელობა. ერთბაშად სრული უნივერსიტეტის გახსნა ყველა ფაკულტეტებითა და ყველა საგნებით ჩვენ რასაკვირველია არ შეგვიძლიან. ამიტომ უნდა ეხლავე გეგმა შემუშავდეს და თანდათანობით ამ გეგმის განხორციელებას შევუდგეთ. ყველაზე უწინარეს სიბრძნისმეტყველების ანუ საფილოსოფიო ფაკულტეტი გაიხსნას და იმავე დროს მეცნიერების იმ დარგებისათვის, რომელთა წარმომადგენელნი გვაკლია, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლადამთავრებულთაგან ნიჭიერნი ქართულ პროფესორთა კოლეგიის მიერ არჩეული იყვნენ და საზღვარგარეთ სამეც- [12]

სრული უნივერსიტეტის შექმნაც შესაძლებელი იქმნება [13].

ეხლა იმის შესახებ მოგახსენებთ, ეყოლება თუ არა ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტს საკმაო მსმენელები? საამისოდ საჭირო ცნობების [14] გამოსარკვევად უნდა წინასწარ გამოვანგარიშოთ ორთავე სქესის ქართველ მოწაფეთა საერთო რიცხვი, ყველა საშუალო სასწავლებელში რომ სწავლას ათავებენ. სამწუხაროდ ამის შესახებ პირდაპირი ცნობები ოფიციალურ გამოცემებში არ მოიპოვება, არამედ მხოლოდ საშუალო სასწავლებლებში ყველა კლასებში მოსწავლე მოწაფეთა რიცხვია გამოანგარიშებული და ამის გამო ამ რიცხვისდა მიხედვით უნდა უკანასკნელ კლასში მყოფთა რიცხვი დაახლოვებით გამოვარკვიოთ. როგორც კავკასიის ოლქის ხუთი წლის ანგარიშითგანა სჩანს (იხ. *Кавказский учебн. округ за пятилетие 1908-1912 гг. Тифлис, 1914 г.*), კავკასიაში მარტო საზოგადო განათლების ყველა საშუალო სას-

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

ნავლებლებში, ტექნიკურ საშუალო სკოლებსა და სამოსწავ. ინსტიტუტებს გარდა, 1908 წ. 1 იანვარს ყველა კლასებში 8 160 მოწაფე ითვლებოდა ორთავე სქესისა (იხ. გვ. 7), 1909 წ. 1 იანვ. (იქვე) 9 923 ირიცხებოდა (იქვე 12). თუ ამ რიცხვებს ათ კლასის მიხედვით ათად გავყოფთ, მაშინ თითო კლასზე 816 და 992 მოწაფე მოდის ორთავე სქესისა. რათგან უკანასკნელს კლასში ჩვეულებრივ დანარჩენ კლასებზე უფრო ნაკლებია ხოლმე და ამას გარდა ყველა ვერ ათავებს, სიფრთხილის გულისათვის წარმოვიდგინოთ, რომ უკანასკნელ კლასზე თითო კლასის რაოდენობის მხოლოდ 2/3 მოდის, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ 1908 წელს ყველა საზოგადო საშუალო სასწავლებლებში სულ ცოტაც რომ ავიღოთ 546 მოწაფეს უნდა გაეთავებინა ორთავე სქესისას, ხოლო 1909 წელს კი 660-ს.

რაკი მოწაფეთა რიცხვი შემდეგ წლებში ცხადად მატულობდა, ეხლა რასაკვირველია გაცილებით მეტი იქმნება. მაგრამ სიფრთხილის გულისათვის სავარაუდოდ ანგარიშისათვის 600 ავიღოთ. ამ რიცხვის სისწორეს ამტკიცებს ის ცნობაც, რომელიც ბატონმა უზნაძემ მომანოდა ამავე საკითხის შესახებ. მხოლოდ მას ქართველ მოწაფეთა რაოდენობა %-ის კვალობაზე აქვს ნაანგარიშევი. ამდაგვარად ნავარაუდები ორთავე სქესის ქართველ მოწაფეთა ყოველწლიური რიცხვი, რომელიც საზოგადო საშუალო ყველა სასწავლებლებს (სემინარიებსა და საკომერციო სასწავლებლებს გარდა) ათავებენ, დაახლოებით 480 უდრის, თუ სემინარიელთა და საკომერციოელთა საერთო რიცხვს მხოლოდ 120 კაცადაც ვიანგარიშებთ, მაშინაც საერთო ყოველწლიური რიცხვი სულ ცოტა 600 გამოდის. თუ 5-ად გავამრავლებთ (რათგან სამკურნალო ფაკულტეტზე და ყველა უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში ხუთ წელსაა სწავლა და უნივერსიტეტსაც ხუთ წელიწადზე ადრე იშვიათად ათავებენ ხოლმე), გამოვა 3 000. მაშასადამე ყველანი ვინც საშუალო სასწავლებელს ათავებენ, რომ უმაღლეს სასწავლებელში შედიოდნენ, ქართველთა რიცხვი ყველა უმაღლეს სასწავლებლებში სულ ცოტა 3 000 უნდა ყოფილიყო. ნამდვილად კი როგორც ჩემგან მოხდენილმა ანკეტამ [15] გამოარკვია, სულ დაახლოებით 1 300 ითვლება. მაშასადამე სხვადასხვა მიზეზების გამო 1 700-მდე უმაღლეს სასწავლებლებში ვერ ანუ ვერ შედის. წარმოვიდგინოთ, რომ ამათგან ათასს კაცს არც სურდა სწავლა და იმიტომ არ შევიდა უმაღლეს სასწავლებელში, გვრჩება მაინც 700-მდე, რომელთაც უმაღლესი სწავლა-განათლება სიშორისა და ქონებრივ დაბრკოლების გამო არ მიუღიათ და რომელნიც, მაშასადამე ტფილისში რომ თავისუფალი ქ-ლ უნივერსიტეტი გაიხსნას, შემოვლენ. აქ როგორც აღნიშნული იყო, არც საშუალო ტექნიკურ და არც სამოსწავლო ინსტიტუტების შესახებ ცნობებია მხედველობაში მიღებული. ამას გარდა არც თავისუფალ მსმენელთა რიცხვია მითვლილი. ზემოაღნიშნულის შემდგომ ვგონებ, ცხადია, რომ თუნდაც მომავალმა ჩვენმა ქართულმა უნივერსიტეტმა იმ რაოდენობითგან, რომელიც აქამდის რუსეთსა და უცხოეთის უნივერსიტეტებში შედიოდა, თავისკენ არავინ მოიზიდოს, მას მაინც მსმენელთა სრულებით საკმაო რიცხვი ეყოლება.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

დასასრულ ქონებრივ სახსარის თავობაზე, მაგრამ ამის პასუხის მოცემა შეგიძლიანთ, თქვენ, ბ[ატონ]ნო და ეხლა უკანასკნელი და გადამწყვეტი სიტყვა თქვენ გეკუთვნით.

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი I, №7.

შენიშვნები და კომენტარები:

1. ამ საქმეში (საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ან. I, №7.) აკინძული მასალები ლოგიკური თანმიმდევრულობით არაა დალაგებული. ზოგჯერ მომდევნო ფურცელი წინაა მოთავსებული. ჩვენ შევეცადეთ, ეს ხარვეზი გაგვესწორებინა, მაგრამ აქვე ვუთითებთ იმ ფურცლებს ჩვენეული თანმიმდევრობით: ფფ.: 53; 54; 55; 57; 56; 81; 58; 59; 60; 61; 62; 63; 64; 65; 66; 67; 86; 87; 88; 89; 68; 69; 71; 70; 72; 73; 74; 75; 76; 77; 78; 79; 80.
უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს გახლავთ 1917 წლის 17 მაისს ქუთაისში გაკეთებული მოხსენების მეორე ნაწილი, რადგანაც ამ კრების ოქმში წერია: „პროფ. ი. ჯავახიშვილმა წაიკითხა თავისი მოხსენების მეორე ნაწილი: მომავალი უნივერსიტეტის ორგანიზაცია და საჭირო ხარჯები“ (საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ან. I, №1, ფ. 4).
2. ამ წინადადების წინ დაუნერია და შემდეგ გადაუხაზავს: **„უნივერსიტეტმა იმ რაოდენობითგან, რომელნიც აქამდისინ რუსეთისა და უცხოეთის უნივერსიტეტებში შედიოდნენ, თავისკენ არავინ მოიზიდოს, მას მანაც მსმენელთა სრულებით საკმაო რიცხვი ეყოლება“**. ამ წინაარსის წინადადება ქვემოთ მოიპოვება და ეტყობა, შავი ვარიანტი იყო, რომელიც გადახაზა და შემდეგ სხვა ტექსტი დაწერა.
3. აქ უნებლიე შეცდომაა: ყველგან წერს სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოს ერთად, აქ კი **„სამათემატიკო“** გადახაზულია და **„საბუნებისმეტყველო“** დატოვებული. მის შემდეგ განყოფილება უნდა დაეწერა. დაწერა „განყო“ და **„ფილო“** გადაიტანა. აქ, ეტყობა, გაახსენდა კიდევ სხვა სპეციალობა და იგი ჩაამატა **„სასოფლო სამეურნეო“**. გადატანის დროს **„განყო-ფილო“**-ს დასასრული **„საბუნებისმეტყველო“**-ს ბოლო ნაწილად იგულისხმება და **„განყოფილებითურთ“** ხელახლა დაწერა.
4. აქ კვადრატული ფრჩხილი ავტორისაა.
5. წერია სიტყვა **„მეორე“** და გადახაზულია.
6. აქ ისტორია იგულისხმება, რადგან ზემოთა სტრიქონი შემდეგაა ჩამატებული და 27-28-ის ბრჭყალები აქაც იგულისხმებოდა.
7. აქ დანომვრაში შეცდომაა და ასე გრძელდება ქვემოთაც.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

8. აქ ფურცელი ისეა ჩაკერებული, რომ ეს აბზაცი II გვერდზეა მოხვედრილი. ამიტომ ამ წინაუქმობას ვასწორებთ.
9. ამ ფურცელზე ივანე ჯავახიშვილს მიუწერია და მერე წაუშლია: „**გარდა განსაკუთრებული ხელმძღვანელნი ეყოლებათ სათავეში**“.
10. აქ ადრე წერებულა: „**უნდა ჰქონდეს მინიჭებული**“.
11. სიტყვები „**და პროფესორთა უხუცესთა საბჭოს**“ გადახაზულია წვრილი ხაზით. ძნელი სათქმელია ავტორის მიერ თუ არა. უიმისოდ კი აზრი არ იმართება. თანაც ეს სიტყვები ტექსტის „არქაულობაზე“ მიუთითებს: დებულება ჯერ შემუშავებული არაა და სავარაუდო ორგანოებზე საუბრობს.
12. ასე წყდება და მისი გაგრძელება ჯერჯერობით ვერ მოვნახეთ.
13. მთელ ფურცელზე მხოლოდ ეს წინადადება წერია. ეტყობა, იგი ან მოხსენების დასრულების მაჩვენებელია, ან რომელიღაც აზრის დასასრულებლად ჩამატებული ფურცელი.
14. „**შემდეგ ისიც დიდმნიშვნელოვანი გამოსარკვევი საკითხია** (ეს გადახაზულია მკრთალი მელნით, დაწერილია კი მკაფიო მელნით) **ეხლა იმის შესახებ მოგახსენებთ** (ეს სამი სიტყვა მკრთალი მელნითაა ჩამატებული), **ეყოლება თუ არა ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტს საკმაო მსმენელები?** ამდენად წერებულა მკაფიოდ: „**შემდეგ გამოსარკვევი საკითხია, ეყოლება თუ არა**“. შემდეგ ასე გადაუკეთებია: „**შემდეგ ისიც დიდმნიშვნელოვანი გამოსარკვევი საკითხია, ეყოლება თუ არა**“. ბოლოს კი ასე გადაუწყვეტია: „**ეხლა იმას მოგახსენებთ, ეყოლება თუ არა**“. „**საამისოდ საჭირო ცნობების**“ (თავდაპირველად წერებულა: „**ცნობები გვექონდეს**“), შემდეგ 1 სიტყვის ჩამატებით ასე გადაუკეთებია: „**ცნობების გამოსარკვევად**“.
15. ადრე წერებულა „**აღწერამ**“, რომელიც გადაუკეთებია „**ანკეტამ**“.

ფრაგმენტი 3 [1]

თუ ვინიცობა ჩვენი იმედი არ გამართლდა და დროებით მთავრობის სახალხო განათლების მინისტრმაც არ მოისურვა ძველ წესწყობილების მახინჯ მემკვიდრეობის უარყოფა და ქართულ უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებანი არ დაამტკიცა იმის მომიზეზებით, რომ წინანდელი კანონი კერძო სასწავლებელთა შესახებ ჯერ შეცვლილი და გაუქმებული არ არის, თანაც არც ახალი რამე კანონი არსებობს ამის თაობაზე, მაშინ ჩვენც უნებლიედ ისევ ძველი კანონის ნიადაგზე უნდა შევდგეთ და ამისდა მიხედვით ვიმოქმედოთ. ამ მხრივ 1914 წ. 1 ივლისს დამტკიცებული კანონიც კერძო სასწავლებლების შესახებ „Законъ о частныхъ учебныхъ заведеніяхъ, классахъ и курсахъ Министерства Народнаго Просвещения, не пользующихся правами правительственныхъ учебныхъ заведеній“ და განსაკუთრებით ამ კანონში მოთავსებული „წესები კერძო სასწავლებლებისა, კლასებისა და კურსების შესახებ“ ჩვენ სრულს საშუალებასა და უფლებას გვაძლევს, ქართული უნივერსიტეტი გავხსნათ. ეს უნივერსიტეტი უმაღლესი „კერძო“ სასწავლებელი იქნება (წესდების § 2, 4, 30 და 31). განსაზღვრულ პირობებში, თუ რომ სახალხო განათლების მინისტრი სცნობს, რომ ამ კერძო უმაღლეს სასწავლებელში სწავლება მთავრობის უნივერსიტეტის თანასწორად არის დაყენებული, მის მოწმობებს მსმენელთა მიერ სამეცნიერო სწავლის დამთავრების შესახებ ისეთი ძალა ექმნება, როგორც მთავრობის უნივერსიტეტების ამგვარსავე მოწმობებსა და ამ კერძო უნივერსიტეტის სტუდენტებს მთავრობის უნივერსიტეტების სტუდენტებთან ერთად შეუძლიანთ სახელმწიფო გამოცდები ჩააბარონ (იხ. § 29, შენ. 3. „Удостоверения о прослушании курса наукъ въ техъ изъ высшихъ частныхъ учебныхъ заведеній, поступление въ кои будетъ обусловлено правилами, утвержденными Министромъ Народнаго просвещения, приравниваются къ выпускникамъ университетскимъ свидетельствомъ, если постановка преподавания въ сихъ учебныхъ заведеніяхъ будетъ признана Министромъ Н. Пр. ровно университетской. Лица, представившія свидетельство означенныхъ учебныхъ заведеній, подвергаются испытанию по общимъ для всехъ университетовъ правиламъ испытанийъ въ комиссияхъ“).

თუმცა ამ კანონში ამის შესახებ პირდაპირ არაფერია ნათქვამი, მაგრამ ამავე „წესების“ §§ 17 და 31 საშუალებას გვაძლევენ, ცოტა მაინც გამოვარკვიოთ, თუ რა პირობების ასრულებაა საჭირო, რომ ეს კერძო უმაღლესი სასწავლებლები მთავრობის უმაღლეს სასწავლებლების თანასწორად იყვნენ ცნობილი. უპირველესი მოთხოვნილება ის არის, რომ ამ სასწავლებელთა გამგენი და მასწავლებელნი განათლების იმგვარსავე ცენზის პატრონნი იყვნენ, რა განათლებაც შესატყვისს მთავრობის სასწავლებლებშია სავალდებულო („Заведывающіе, преподаватели и воспитатели въ частныхъ учебныхъ заведеніяхъ, классахъ и курсахъ избираются изъ

числа лицъ мужского или женского пола, которая, удовлетворяя требованиямъ статьи 10, получили образование не ниже требуемого отъ этихъ должностныхъ лицъ въ соответствующихъ правительственныхъ учебныхъ заведенияхъ“). § 31 გვაფიქრებინებს, რომ კერძო უმაღლეს სასწავლებლისათვის ამგვარ აუცილებელ გარემოებად უნდა ითვლებოდეს შემდეგი პირობები [2]: გამგეს და პროფესორებს და მასწავლებლებს განათლების იმგვარივე ცენზი უნდა ჰქონდეთ, რაც მთავრობის უმაღლეს სასწავლებლების გამგეებსა და პროფესორებს და დოცენტებს, ლექტორებს, ესე იგი სამეცნიერო ხარისხი უნდა ჰქონდეთ, ან სამეცნიერო ხარისხისათვის გამოცდა მაინც ჩაბარებული უნდა ჰქონდეთ, პროფესორთა საბჭოს მიერ უნდა იყვნენ არჩეულნი და თანაც სახალხო განათლების მინისტრის მიერ დამტკიცებული უნდა იყვნენ („1. Заведывающий ... по представлению учредителей или совета профессоровъ учебного заведения или курсовъ, ... утверждается Министромъ Народного Просвещения каждый разъ на срокъ не более трехъ лет. 2. Профессоры и представители избираются изъ лицъ ... имеющихъ права по образованию, какъ профессоры и преподаватели однородного по преподаваемымъ наукамъ правительственнаго учебного заведения, и если они при этомъ утверждаются въ должности Министромъ Народного Просвещения“). ჩვენ უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებებში ზემოთმოყვანილი კანონის § 31-ის უმთავრესი მოთხოვნილება, რომ პროფესორები და სხვა მასწავლებლები მთავრობის უმაღლეს სასწავლებელთა შესატყვის თანამდებობის პირებს თავიანთ განათლებით არ ჩამოუვარდებოდნენ, დაცულია და მე-9-ე მუხლში ნათქვამია: „ქართულ უნივერსიტეტში პროფესორები [3] და კერძო დოცენტობა შეუძლიან მხოლოდ იმ მეცნიერებს, რომელსაც ან მოძღვართ-მოძღვრობის სამეცნიერო ხარისხი აქვს, ან რუსეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტის სამაგისტრო (გინდ სადოქტორო), ხოლო უცხოეთის უნივერსიტეტების სადოქტორო ხარისხი, მაგრამ ისე-კი, რომ დიპლომი და დისერტაცია განხილული უნდა იყოს ფაკულტეტის მიერ“. მხოლოდ ამ უკანასკნელ ნაწილის შესახებ შეიძლება აგვიხივდეს სახ[ალხო] გან[ათლების] სამინისტრო და უცხოეთის სამეცნიერო ხარისხი საკმარისად არ სცნოს, თუმცა ჩვენს განმარტების მოხსენებაში აღნიშნულია, რომ თვით რუსეთშიაც მეცნიერთა შორის უნივერსიტეტში ამ აზრს მომხრე ჰყავს და ეხლაც თუმცა იშვიათად, მაგრამ მაგვარი შემთხვევა რუს[ეთის] მთავრობის უმაღლეს სასწავლებლებშიც გვხვდება. ჩვენს ძირითად დებულებებში არაფერია მხოლოდ ნათქვამი იმაზე, რომ ქართ[ული] უნივერსიტეტის პროფესორები და თვით რექტორიც მინისტრის მიერ უნდა იყვნენ დამტკიცებული. მაგრამ თვით კანონშიაც პროფესორთა და სხვა მასწავლებლების მინისტრის მიერ დამტკიცება კერძო უმაღლეს სასწავლებლისათვის საზოგადო და აუცილებელი მოთხოვნილება არ არის. ეს მოთხოვნილება მხოლოდ მაშინ უნდა იყოს უთუოდ ასრულებული, როდესაც კერძო უნივერსიტეტს ერობანი, ქალაქები, სასოფლო საზოგადოებანი და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებანი ან წოდებანი და სამ-

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

რეგლოები ქონებრივად ეხმარებიან (§ 30 და 31). ქართულ უნივერსიტეტს ეს ორი მუხლი არ ეხება იმიტომ, რომ ის ქონებრივად მხოლოდ კერძო საზოგადოება ე.წ. „ქართ[ული] უნივერსიტეტის საზოგადოება“ ეხმარება. არც ერთ ზემოაღნიშნულ დანესებულებისაგან ჩვენს მომავალს უნივერსიტეტს პირადად თითონ არ მიეცემა, არამედ თუ მოისურვეს მხოლოდ ამ კერძო დანესებულებას. კანონში საზოგადო წესად რექტორისა და პროფესორთა და სხვა მასწავლებელთა შესახებ მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ მათი მოწვევის უფლება დამაარსებელს აქვს. თავისდთავად ცხადია, მაგრამ § 31-ითგან სჩანს, რომ დამაარსებელს შეუძლიან ეს თავისი უფლება პროფესორთა საბჭოს დაუთმოს. კანონით დამაარსებელი ან პროფესორთა საბჭო არჩეულს პირს თავის თანამდებობის ასრულების უფლებას თვითვე აძლევს, მხოლოდ მოვალეა შვიდი დღის განმავლობაში ეს გარემოება ქალაქის მზრუნველს აცნობოს და თანაც ყველა საბუთებიც გაუზზავნოს, რომელთაგანაც მტკიცდება, რომ არჩეულს პირს მინდობილი თანამდებობის ასრულების უფლება აქვს. (იხ. §16: „Учредитель (содержатель) частных учебных заведений, классов и курсов избирает заведующего, преподавателей, а также прочих служащих ..., сообщая о сем без промедления и не позже семи дней попечителю учебного округа ... с приложением удостоверений на право каждого из них исполнять обязанности к которым они допущены“). კანონის ეს მოთხოვნილება კი ქართ. უნივერსიტეტის წესდების ძირითად დებულებებშიც არის დაცული და იქ მე-12-ე §-ში ნათქვამია: „უნივერსიტეტის გამგეობა ყოველწლიურად სამოსწავლო უწყებას ლექციების ნუსხას უგზავნის და პროფესორთა, კერძო დოცენტების, მეცნიერ ხელმძღვანელთა და ლექტორების შემადგენლობისა და იმათ განათლებისა და სამეცნიერო ცენტრის შესახებ ცნობებს აწვდის“. ქართული უნივერსიტეტის წესდების ძირითადს დებულებების მე-6-ე §-ში ნათქვამია, რომ „უნივერსიტეტში ლექციებს ქართულად კითხულობენ, ქართულადვე სწარმოებს პრაქტიკული ვარჯიშობაც“. არც ამის აკრძალვა შეუძლიან სახ[ალხო] გან[ათლების] სამინისტროს, რათგან კანონშიაც გარკვევით არის ნათქვამი, რომ „სამოსწავლო ენის არჩევა კერძო სასწავლებლებსა, კლასებსა და კურსებზე თვით დამაარსებელთა ნებაზეა დამოკიდებული იმ პირობით კი, რომ რუსული ენისა და სიტყვიერების, აგრეთვე რუსეთის ისტორიასა და გეოგრაფიას სახელმწიფო ენით ასწავლიდნენ“ (§ 7. „Выбор языка преподавания в частных учебных заведениях, классах и курсах предоставляется учредителям (содержателям) с тем однако, что а) русский язык и словестность, а также отечественная история и география преподаются на государственном языке“). კანონში დადებულ პირობას ეხლა, როდესაც გაეროვნებული საშუალო სკოლებში ამ საგნებსაც მონაფეთ დედაენით ასწავლიან, მით უმეტეს რაკი თვით დროებითა მთავრობამაც სხვათა შორის სკოლის სრული გაეროვნულება თავის სამოქმედო გეგმაში შეიტანა და განსახორციელებლად სცნო, უკვე მნიშვნელობა და ძალა დაეკარგა.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

ჩვენ უნივერსიტეტის წესდების ძირითადს დებულებებში (§ 12) ნათქვამია, რომ „უნივერსიტეტის გამგეობა ყოველწლიურად სამოსწავლო უწყებას ლექციების ნუსხას უგზავნის“ მხოლოდ ცნობად, თორემ „სამეცნიერო-სამოსწავლო სფეროშიაც და საუნივერსიტეტო მართვა-გამგეობისა და შინაურ მეურნეობის მხრივ იგი სრულებით დამოუკიდებელია და ყველა ამ საქმეებს თვითვე განაგებს“ (§ 1). თვით კანონიც ამასვე ამბობს, რომ „სასწავლო საგნებისა და გამოყენებად ცოდნათა არჩევა და სამოსწავლო გეგმების შედგენა დამარსებელთა უფლებაა“-ო (§ 8). დამარსებელნი მოვალენი არიან მხოლოდ საზოგადო სამოსწავლო დაწესებულებას [აცნობონ] ისიც მხოლოდ ერთხელ, როდესაც კერძო უმაღლეს სასწავლებლის გახსნის შესახებ თხოვნას წარადგენენ (§ 12. Учредитель частного учебного заведения, классов и курсов, предварительно открытия их, обязанъ подать прошение подлежащему учреждению или должностному лицу съ приложениемъ ... 2) План учебныхъ занятий).

ქართული უნივერსიტეტის წესდებაში აღნიშნულია, რომ „სტუდენტებად შეიძლება ორთავე სქესის პირნი იყვნენ, რომელთაც საშუალო სასწავლებელი უნდა ჰქონდეთ გათავებული“ (§ 13). ამათ გარდა „ორთავე სქესის თავისუფალ მსმენელნიც არიან“ (§ 14). მაშასადამე, ორთავე სქესს ქართული უნივერსიტეტში შესვლის უფლება აქვს თანასწორად. ესეც კანონის მიერ აკრძალული არ არის, მხოლოდ საამისოდ განსაკუთრებული ნებართვის აღებააო საჭირო სახ[ალხო] გან[ათლების] მინისტრისგანო (§ 5. „Совместное обучение ... допускается съ разрешения ... въ высшихъ учебныхъ заведенияхъ, классахъ и курсахъ Министра Народного Просвещения и притомъ на техъ основанияхъ, которые будутъ указаны по сем ... при выдаче разрешения“). ძნელი წარმოსადგენია ეხლა, როდესაც თითქმის ყოველ დარგში სქესთა თანასწორობაა განხორციელებული, რომ ამ საკითხის გამო სამინისტრომ რაიმე წინააღმდეგობა გაგვიჩინოს.

კანონით კერძო უმაღლეს სასწავლებლისათვის სახ[ალხო] გან[ათლების] მინისტრის ნებართვაა საჭირო (§ 11. „Высшие частные учебные заведения, классы и курсы открываются съ разрешения Министра Народного Просвещения“). რაკი ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრნი „დროებით მთავრობის სახელითა და უფლებით“ (отъ имени и на правахъ членовъ Временного Правительства) იყვნენ აღჭურვილნი, ამიტომ ჩვენ ქართული უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებანი მთავრობის აქაურ წევრებს, საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარეს, ბ-ნ ხარლამოვს წარვუდგინეთ. თუმცა მან ძირითადი დებულებანი მოიწონა და სამოსწავლო ოლქის მხრივაც მხარს უჭერდა ჩვენი დებულებების დამტკიცებას, მაგრამ რაკი ბ[ატო]ნმა ხარლამოვმა ვერ იკისრა მისი დამტკიცება, რათგან იმისი აზრით მის უფლებას არ შეადგენს, არამედ მხოლოდ სახ[ალხო] გან[ათლების] მინისტრისას, ამიტომ თვით ბ[ატო]ნმა ხარლამოვმა თავისი და სამოსწავლო ოლქის დასკვნითურთ

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

საგანგებო მოხელის ხელით პეტრეს ქალაქში გაგზავნა. თვეზე მეტია მას შემდგომ, მაგრამ ჯერაც პასუხი არ მოსულა.

ფორმალურად რომ მოვქცეულიყავით და შემდეგში მოქცევა მოგვიხდეს, უნდა თხოვნა სახ[ალხო] გან[ათლების] მინისტრის სახელობაზე იყოს დანერილი და თანაც შემდეგი დამატებაც გაეგზავნოს: 1. საბუთები, რომლითაც მტკიცდება, რომ დამაარსებელს კერძო სასწავლებლის გახსნისა და შენახვის უფლება აქვს. 2. სასწავლო მუშაობის გეგმა. 3. ცნობები: სად და რა ალაგს უნდა გაიხსნას სასწავლებელი ორთავე სქესისათვის, თუ ერთისათვის, სტუდენტთათვის თავშესაფრითურთ თუ არა, ეძლევა თუ არა უნივერსიტეტს დახმარება ერობისა, საქალაქო თვითმმართველობისა, საზოგადოებრივ დაწესებულებებისა ან წოდებისაგან. 4. ხელწერილი იმის შესახებ, რომ სასწავლებელს სალი და ჰიგიენური ბინა ექმნება და ამასთანავე ყველა საჭირო სამოსწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებით (კლინიკებით, საანატომიო კაბინეტით და სხვით) იქნება უზრუნველყოფილი (§ 12).

ქართული უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებანი წარვადგინეთ, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ამ უმაღლეს სასწავლებელს ქონებრივად კერძო საზოგადოება ინახავს, ქართ[ული] უნივერსიტეტის საზოგადოებად წოდებული, რომ ორთავე სქესისათვის არის, რომ თანდათანობით უნდა სრული უნივერსიტეტად იქცეს, ხოლო თავდაპირველად სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი გაიხსნება, რომ პროფესორებს უეჭველად სამეცნიერო ხარისხი უნდა ჰქონდეთ. თვით კანონშიაც ნათქვამია, რომ კერძო უმაღლეს სასწავლებლის დამაარსებელს, თუ მოისურვებს, შეუძლიან თხოვნასთან ერთად სასწავლებლის წესდებაც წარმოადგინოს და მისი დამტკიცება ითხოვოს (§ 12-ის შენიშვნა).

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე 25, ფ. 25-43.

შენიშვნები და კომენტარები:

1. ტექსტი ნაკლულია: აკლია დასაწყისი და ბოლოც. დანერილია ივანე ჯავახიშვილის მიერ მაღალი ხარისხის პრიალა ფურცლებზე შავი მელნით. ტექსტის შინაარსი მეტყველებს, რომ იგი რომელიღაც მოხსენების ნაწილია, რომელიც უნივერსიტეტის დაარსების პერიოდში არის გაკეთებული. მისი მიახლოებითი დათარიღებაც შეიძლება. ტექსტში ნათქვამია შემდეგი: უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი „**ბატონმა ხარლამოვმა თავისი და სამოსწავლო ოლქის დასკვნითურთ საგანგებო მოხელის ხელით პეტრეს ქალაქში გაგზავნა. თვეზე მეტია მას შემდგომ, მაგრამ ჯერაც პასუხი არ მოსულა.**“ ხარლამოვი იყო ოზაკომის თავმჯდომარე და მან კოტე აფხაზს, უნივერსიტეტის საზოგადოების ერთ-ერთ დამაარსებელს, აცნობა 29 აგვისტოს, რომ 22 აგვისტოს განხილულ იქნა უნივერსიტეტის საზოგადოების წესდება და უნივერსიტეტის

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

ძირითადი დებულებანი. უნივერსიტეტის საზოგადოების წესდება დასამტკიცებლად სასამართლოს გადაეგზავნაო (საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, აღ. I. ფ. 20). უნივერსიტეტის ძირითად დებულებაზე კი არაფერს ამბობს. მაგრამ, სავარაუდოდ, იმ დღეებში უნდა მომხდარიყო მისი პეტერბურგში გაგზავნა. რადგან ივანე ჯავახიშვილი წინამდებარე ტექსტში ამბობს, რომ თვეზე მეტიაო ამ ამბიდან გასული, ეს მოხსენებაც 1917 წლის ოქტომბერში უნდა იყოს გაკეთებული. მართლაც, უნივერსიტეტის საზოგადოების სხდომის (გაიმართა 1917 წლის 3 ოქტომბერს) ოქმში ვკითხულობთ: „**ი. ა. ჯავახიშვილმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა ქართულ უნივერსიტეტის დაარსების აზრის აღორძინება, თან და თანი განვითარება და პრაქტიკული საქმიანობა ამ აზრის განსახორციელებლად. შემდეგ მან აღნუსხა მთავარი თეზისები თავისის მოხსენებისა, რომელიც ნაკითხული იყო საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზედ, გააცნო საზოგადოებას მთავარი მუხლები წესდებისა და უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი. დასასრულ აუწყა დამსწრეთ წესდებისა და ძირითად დებულებათა დამტკიცების საქმის ვითარება**“ (არქივი, 471. I. №3. ფ. 1-2.)

2. გამეორება: „ითვლებოდეს“ მეორეჯერაც წერია.
3. კალმისმიერი შეცდომაა: უნდა ეწეროს „პროფესორობა“.

ფრაგმენტი 4 [1]

ქართულ უნივერსიტეტში იქმნებიან 1). პროფესორები, რომელთაც მოძღვართ-მოძღვრობის, ანუ დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო ნაშრომები აქვთ და ფაკულტეტის მიერ პროფესორად არჩეულ იქმნებიან და უნივერსიტეტის საბჭო მათს არჩევანს დაამტკიცებს. რუსეთის უნივერსიტეტების მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი და უცხოეთის უნივერსიტეტების სადოქტორო ხარისხი მოძღვართ-მოძღვრობის ხარისხის თანასწორად ითვლება, მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაში დიპლომი და დისერტაცია ფაკულტეტის მიერ უნდა იყოს განხილული.

პროფესორთა მოვალეობაა თავიანთი ნიჭი და ძალა სამეცნიერო კვლევა-ძიებას მოახმარონ, სტუდენტებს ლექციები უკითხონ და სამეცნიერო მუშაობას შეაჩვიონ.

არც დოცენტობა და არც საექსტრაორდინარო და საორდინარო პროფესორობა არ უნდა არსებობდეს. რაკი მოძღვართ-მოძღვრობის ხარისხის მქონებული მეცნიერი ფაკულტეტის მიერ პროფესორად არის არჩეული და მას სავალდებულო სამეცნიერო დარგი აქვს ჩაბარებული, ის სხვებისაგან უფლებით არ განირჩევა. პროფესორთა შორის განსხვავება მხოლოდ სამსახურის წლოვანებაზეა დამოკიდებული და ამის მიხედვით არიან ჩვეულებრივი, უხუცესი და დამსახურებული პროფესორები. სამსახურის წლოვანებაზე დამოკიდებულს განსხვავებასაც მხოლოდ ქონებრივ მდგომარეობისათვის აქვს მნიშვნელობა იმ მხრივ, რომ ყოველ ხუთი წლის შემდგომ ჯამაგირი ემატება.

ქართულ უნივერსიტეტში არსებობს მხოლოდ კერძო დოცენტობა. ყოველს მეცნიერს, რომელსაც ქართულ უნივერსიტეტისაგან მოძღვართ-მოძღვრობის ხარისხი აქვს მინიჭებული და ორს საცდელს ლექციას ნაიკითხავს, ერთს ფაკულტეტის წინაშე ფაკულტეტისაგანვე მიცემულ თემაზე და თავის დებულებებს დაიცავს, ხოლო მეორეს საჯაროდ სტუდენტების წინაშე თვით მისგანვე არჩეულ თემაზე, უფლება აქვს ქართულ უნივერსიტეტში ლექციების კითხვა დაიწყოს.

არც დოცენტობა და არც საექსტრაორდინარო და საორდინარო პროფესორობა არ უნდა არსებობდეს. რაკი მოძღვართ-მოძღვრობის ხარისხის მქონებული ფაკულტეტის მიერ არჩეულია პროფესორად და საბჭოს მიერ დამტკიცებულია და სავალდებულო სამეცნიერო დარგი აქვს ჩაბარებული, ის სხვებისაგან უფლებით არ განირჩევა. პროფესორთა შორის განსხვავება მხოლოდ სამსახურის წლოვანებაზეა დამოკიდებული და ამასაც მხოლოდ ქონებრივი მდგომარეობისათვის აქვს მნიშვნელობა. არსებობს მხოლოდ კერძო დოცენტობა. ყოველს მეცნიერს, რომელსაც ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტისაგან მოძღვართ-მოძღვრობის სამეცნიერო ხარისხი აქვს მინიჭებული და ორს საცდელს ლექციას ნაიკითხავს, ერთს ფაკულტეტის წინაშე, ფაკულტეტისავე მიერ მიცემულ თემაზე და დაიცავს, ხოლო მეორეს საკუთარ თემაზე სტუდენტების წინაშე საჯაროდ, უფლება აქვს კერძო ლექციების კითხვა დაიწყოს უნივერსიტეტში [2].

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

დასასრულ სასყიდლის შესახებ. როგორც უკვე აღნიშნული იყო, უნივერსიტეტში იქმნებიან პროფესორები, ხელმძღვანელები და ლექტორები. არავითარი იმგვარი განსხვავება, როგორც უცხოეთსა და რუსეთში ჩვეულებრივ და არაჩვეულებრივ, შტატში მყოფ და შტატს გარეშე მყოფ პროფესორთა შორის არსებობს, ქართულ უნივერსიტეტში არ უნდა იყოს და მათ შორის გარჩევა მხოლოდ ნამსახურობის წლოვანებაზე იქმნება დამყარებული, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ყოველ ხუთი წლის სამსახურის შემდგომ ჯამაგირი მოემატება.

ქართულ უნივერსიტეტისათვის ჯამაგირის რაოდენობაზე არ დავინწყებთ საუბარს. ეს საკითხი თვით კრებამ გადასწყვიტოს. ურიგო არ იქმნება მხოლოდ უცხოეთისა და რუსეთის უნივერსიტეტების შესახებ ცნობები მოვიყვანოთ. გერმანიაში სხვადასხვა სასყიდელი ეძლევა არაჩვეულებრივს და ჩვეულებრივს პროფესორს. ამას გარდა ყოველს 4 წელიწადში ერთხელ ჯამაგირს 400 მარკა ემატება და ჯამაგირს გარდა ჰონორარიც ეძლევათ მსმენელთა რაოდენობისდა მიხედვით. ქვემოთ მხოლოდ ჯამაგირის (ნამსახურო)-ბის ფასიანად შესახებ იქმნება ცნობები მოყვანილი.

არაჩვეულებრივი პროფესორი	ჩვეულებრივი პროფესორი
2540 მარ. – 3300 მარკამდე	4540-5700 მარკამდე
4 წლის შემდ. 2940-3700 მარკამდე	4950-6100 „
8 წ. შ. 3340-4100 „	5350-6700 „
12 „ „ 3740-4500 „	5750-7100 „
16 „ „ 4140-4900 „	6150-7500 „
20 „ „ 4540-5300 „	6550-7900 „
24 „ „ 4940- 5700 „	6950-8300 „

ჰონორარის რაოდენობა თვალსაჩინოდ განსხვავდება. მაგ. 1900 წელს 3 პროფესორს 40 000 მარკაზე მეტი ჰქონდა, 7-დს 30 000 მარკაზე მეტი, 9-ს 25 000 მარკაზე მეტი, 18-ს 20 000 მარკა, 55-ს 15 000 მარკაზე მეტი. 73-ს 12 000 მარკაზე მეტი, 65-ს 10 000 მარკაზე მეტი [3], 114-ს – 8 000 მარ-ზე მეტი, 128-ს 6 000 მარ-ზე მეტი, და 30-ს 6 000 მარ-ზე ნაკლები. ორთა შუა რიცხვად ნაანგარიშევი 1900 წ. პრუსიაში ჩვეულ. პროფესორის მთელი შემოსავალი 11 735 მარკას უდრიდა (Prof. F. Seiler, Gtsichichte des deutschen Unterrichtswefens, II Sam. Goschen, 1906 წ. II, 68-69).

რუსეთში 1905 წ. შემუშავებული ახალ საუნივერსიტეტო წესდებაში, რომელიც ჯერაც განხილული და დამტკიცებული არ არის, ასე არის ნაგარაუდები.

ორდინარ პროფესორს ჯამაგირი ბინა-ჭამის ფულითურთ 4500 მან. ხუთი წლის შემდგომ 5250 მან. და ათი წლის შემდგომ 6 000 მან. ექსტრაორდინარ პროფესორს ჯამაგირი ბინა-საჭმლის ფულითურთ 2500 მან. ხუთი წლის შემდგომ 3250 მან. და ათი წლის შემდგომ 4 000 მან. ეძლევა. დოცენტებს, ლექტორებს, უფროს ასისტენტებს, პროზეკტორებს ჯამაგირი ყველაფრით 1500 მან. ხუთი წლის შემდგომ 2000 მან, და ამაზე მეტი რამდენიც უნდა იმსახუროს, არაფერი ეძლევა.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

ლაბორანტებს, კლინიკის ორდინატორებს, უმცროს ასისტენტებს, მუზეუმების, კაბინეტებისა და სემინარების დამცველებს, მენიგნსაცავებს უფროს თანაშემწეებს და დავთარხანის გამგეს სულ 9 000 მან. ხუთი წლის შემდგომ 1200 მან. უფროს მენიგნსაცავებს სულ 2500 მან. 5 წლის შემდგომ 2750 მან. 10 წ. შ. – 3 000 მან. პროვიზორს სულ 1200 მან. და ნასწავლ მებალეს 1500 მან, ხოლო მის თანაშემწეს 600 მან, (იხ. Объяснительная записка к проекту устава имп. Российского Университета. 1915 г. 91-92.)

პენსია ასე იყო ნავარაუდები: ორდინარი-პროფესორი 25 წ. სამსახურში 3 000 მან. 30 წ.-ში – 4500 მან. ექსტრაორდინარ-პროფესორი 25 წ.-ში – 2000 მან. და 30 წ. შ. 3000 მან. ეძლევა. დოცენტებს და სხვებს მათს მსგავსთ 25 წ. შ. 1 000 მან. 30 წ. შ. 1500 მან. (იქვე 99-100).

ამ წინასწარ ცნობების შემდგომ შეიძლება ქ-ლ უნივერსიტეტში მსახურთა ჯამაგირების დანიშნისა და რაოდენობის წესსაც შევხვით. რაკი ჩვენ არც დოცენტობა და არც ორდინარი და ექსტრაორდინარი პროფესორები გვეყოლებიან და პროფესორთა მხოლოდ ერთი ჯგუფი იქმნება, ამიტომ მათთვის ერთგვარი საზომი უნდა იყოს შემუშავებული, მაგ. შემდეგი: ძირითადი ჯამაგირი თავდაპირველად პროფესორად არჩეულს თვეში 6 სავალდებულო სალექციო საათში წელიწადში 2400 მან. ექმნება, ხოლო ყოველს ხუთი წლის სამსახურის შემდგომ ამ ჯამაგირს 600 მან. ემატება და ამიტომ ამგვარი ცხრილი გვექმნება:

1-5 წლამდის თვეში 200 მან., წელიწადში 2400 მან.	3600
5-10 „ „ 250 „ „ 3000 „ 4200	
10-15 „ „ 300 „ „ 3600 „ 4800	
15-20 „ „ 350 „ „ 4200 „ 5400	
20-25 „ „ 400 „ „ 4800 „ 6000	

ამასთანავე თუ ეხლა ქართულ უნივერსიტეტის დაარსებისას ქართველი მეცნიერი სხვა უმაღლეს სასწავლებლითგან გადმოსვლის დროს სამსახურის საპენსიო წლებს ჰკარგავს, მას ის წლები უნდა ჩაეთვალოს და ზემოთმოყვანილ ცხრილის მიხედვით შესაფერისი ჯამაგირი დაენიშნოს[4].

მეცნიერ ხელმძღვანელთ ძირითად ჯამაგირად წელიწადში 1800 მან. ექმნებათ, ანუ თვეში 150 მან. ხოლო ხუთი წლის შემდგომ წელიწადში 2400 მან. და თვეში 200 მან. უხდება. თუ პროფესორად იქმნებიან არჩეულნი, წინანდელი სამსახური ჯამაგირისათვის ეთვლება.

ლექტორებს წელიწადში 1200 მან. – 1500 მან. თავდაპირველად თვეში 100 მან. 5 წელის შემდგომ 150 მან.

აუცილებლად საჭიროა პენსიების დანესებაც.

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე 7.

შენიშვნები და კომენტარები:

1. საქმეში (საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი I, საქმე 7.), რომელშიაც ეს მასალაა დაცული, სათანადო ფურცლები არეულია. ჩვენი აზრით, მოცემული ფრაგმენტის ფურცლები შემდეგია: ფ. 82; 83; 84; 85; 90; 91; 92; 93; 94; 95; 96; 97.
2. ამ ფურცლის II გვერდზე წინადადებაა „**გარდა განსაკუთრებული ხელმძღვანელნი ეყოლებათ სათავეში**“. ეს ივანე ჯავახიშვილის მიერ გადახაზულია.
3. ეს ბოლო გამეორებულია.
4. ამის შემდეგ ეს აბზაცი გადახაზულია: „**იმისდა მიუხედავად რომ ისინი ქართულ უნივერსიტეტში პირველ წელიწადს სამსახურის წლოვანებისდა მიხედვით მათ მხოლოდ 2400 მან. უნდა ჰქონოდათ**“.

ფრაგმენტი 5 [1]

ფურცელი 112.

პირველი ხარისხი დასრულების *baccalarius* ანუ *baccalanreus* 24
facnetos artium [2]

მეორე ხარისხი *magister artium*

ღვთისმეტყველების დოქტორობისათვის 30

ცოდნის გარდა წლოვანება იყო საჭირო 24-25

ფურცელი 113.

კერძო [3] დოცენტობის ღირსება მეცნიერების თავისუფ[ალი] განვითარება,
 სამეცნიერო კვლევის ახალ მიმართულებების შექმნის გამბედაობა და შეცილება
 227-228

ფურცელი 114.

ჯამაგირი:

ჩვეულებრივ პროფ[ესორს]	არაჩვეულ[ებრივ] პროფ[ესორს] [4]
[5] 4000 – 48000 M. [6]	2000 – 24000 M.
[7] 40 – 900	540 – 900

4540 – 5700 M.	2540 – 3300 M.
4 წ[ლის] შემდეგ 400 – 400	400 – 400

4950 – 6100 M.	2940 – 3700 M.
8 წ[ლის] შემდეგ 400 – 400	400 – 400

5350 – 6700 M.	3340 – 4100 M.
12 წ[ლის] შემდეგ 400 – 400	400 – 400

5750 – 7100 M.	3740 – 4500 M.
16 წ[ლის] შემდეგ 6150 – 7500	4140 – 4900
20 წ[ლის] შემდეგ 6500 – 7900 M.	4540 – 5300 M.
24 წ[ლის] შემდეგ 6950 – 8200	[8]

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

ფურცელი 114-ბ.

ლექციების სასყიდელი სხვადასხვაგვარია იხ. გვ. 106.

კერძო დოცენტებს მხოლოდ ჰონორარი

კერძო დოცენტობისათვის პრუსიაში დაბეჭდ[დილი] სამეც[ნიერო] შრომებია საჭირო და ორი საცდელი ლექცია, ერთი ფაკულტეტში საუბრიტურთ, მეორე სა-ჯარო სტუდენტების წინაშე. 128

ფურცელი 115.

წინათ დოქტორობის ხარისხი ამავე დროს პროფესორობისა და დოცენტო-ბის უფლებასაც ანიჭებდა. შემდეგ საგანგებო რამდენიმე პაექრობა იყო საჭირო ფაკულტეტში ავტორის დაბეჭდილ თხზულებების შესახებ რომ [ლექციის] კითხვის ნება მიეღო. 129-130

ასისტენტები 136-137

ფურცელი 116.

უნივერ[სიტეტის] წესდება მთავრობის მიერ არის დამტკიცებული. 92

მთავრობის მიერ მინიჭებული აქვს სამოწველოდ, სამღვდლოდ მომზადება და სამეცნიერო ხარისხის მიცემის უფლება. 92

უნივერ[სიტეტი] დამოკიდებულია სამინისტროსაგან, ზოგან საგანგებო მზრუნ-ველები, კურატორები არის დანიშნულნი. 93

ფურცელი 117.

უნივერსიტეტის ავტონომია: პროფ[ესორებისა] და რექტორ-დეკანების, უხუ-ცესთა საბჭოს, სტ[უდენტთა] დასჯის არჩევანის უფლება. 94-95

ფაკულტეტების უფლება: ზრუნვა ლექციებისა და სავარჯიშოების სისრულეზე, სტუდენტთა წარმატებაზე, ხარისხების და ჯილდოების მინიჭება, საპროფესოროდ დატოვება. 95

ლექციების სიის შედგენა და გამოქვეყნება. პროფესორობის სამზღვარი [9] ავსტრია[ში] 70 წელიწადი. 97-98

ფურცელი 117.

საკითხები პრაქტიკული მოთხოვნების დამაკმაყოფილებელ საგნების სწავ-ლების სასურველობაზე სამინისტროს უფლებასაც შეადგენს. 100

პროფ[ესორთა] დანაშაულობა და პასუხისმგებლობა. 100

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

გერმანიაში პროფესორების დანიშვნა მთავრობის (მეფის, მინისტრის) უფლებას შეადგენს, მაგრამ პროფესორთა საბჭოს წარდგენილობა არის ხოლმე [საჭირო] სასურველ პირზე, მხოლოდ მთავრობას შეუძლიან ისედაც, სხვაც დანიშნოს. 101

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 471, ანაწერი I, საქმე 98.

შენიშვნები და კომენტარები:

1. დანერილია ფანქრით მომცრო ფურცლებზე. ეტყობა, იგი უნივერსიტეტის დაარსების მზადების დროსაა დანერილი და ლიტერატურიდან ივანე ჯავახიშვილს საინტერესო ადგილები ამოუწერია. სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს ამონაწერების გვერდზე დასმული რიცხვები. ისინი ნაშრომის გვერდებზე უნდა მიუთითებდეს. სავარაუდოდ, ეს მასალა ამონერილი უნდა იყოს გერმანელი ავტორის, ფრიდრიხ საილერის, ნაშრომიდან – Prof. Dr. Friedrich Seiler, *Geschichte des Deutschen Unterrichtswezens*, 1906, Leipzig. მეცნიერის პირად ბიბლიოთეკაში ამ ნაშრომის I ტომი აღმოჩნდა, ამონაწერები კი II ტომიდან უნდა იყოს. სხვა ბიბლიოთეკებში კი ამ ნაშრომს ვერ მივაგენით.
2. არ ვარ დარწმუნებული ზუსტად ამოვიკითხე თუ არა.
3. აქ „მოდღვ“ დაუნერია და მერე გადაუშლია.
4. ივანე ცდილობს, უცხოური სიტყვები ქართულად თარგმნოს და დაამკვიდროს ქართულ მეტყველებაში. ამიტომ იგი ორდინალურ პროფესორს ჩვეულებრივ პროფესორს ეძახის და არაორდინალურ პროფესორს – არაჩვეულებრივ პროფესორს.
5. არ იკითხება, გაურკვეველია.
6. ალბათ გერმანული ფულის სახელს „მარკას“ აღნიშნავს.
7. არ იკითხება, გაურკვეველია.
8. აქ რატომღაც არაფერი წერია.
9. აქ ადრე „გერმანიაში“ დაუნერია და მერე გადაუშლია.

ფრაგმენტი 6 [1]

ფურცელი 1.

უნივერსიტეტის წესდების ძირითად დებულებაშიც საგანგებოდ აღნიშნული არის, რომ უცხოეთის დოქტორების თბზულებანი ფაკულტეტებმა ჯერ უნდა განიხილონ და შემდეგ პროფესორად მოინვიონ, (მხოლოდ იმიტომ, რაკი ქართ. უნივერსიტეტში პროფესორობა არჩევანზეა დამოკიდებული და მაშასადამე საპროფესორო თბზულებების წინასწარი დაფასება თავისდათავად იგულისხმება [2]) იმგვარადვე როგორც პეტერბურგის უნივერსიტეტის საბჭოს მიერ შედგენილს წესდების პროექტშია ნათქვამი.

ფურცელი 3.

ქართ[ული] უნივერსიტეტის არსებითი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ იქ ლექციები და ყოველგვარი სამეცნიერო სწავლა ქართულად იქმნება. კერძო უნივერსიტეტს და უმაღლეს სასწავლებელს ამის განხორციელება აქამდისაც, რევოლიუციამდეც, [3] კანონის ძალით შეეძლო. ხოლო ეხლა როდესაც ყოველ საფეხურის სკოლების ნაციონალიზაცია თვითუღმა ეროვნულმა და სოციალისტურმა დასებამაც, სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ყრილობამაც საჯაროდ აუცილებელ და დაუყოვნებელ საჭიროებად სცნეს და

ფურცელი 5.

თვით სახალხო განათლების სამინისტრომაც-კი, როგორც სატელეგრაფო სააგენტოს ცნობებითგანა სჩანს, სახელმწიფოს ხარჯით უკრაინული გიმნაზიების გახსნაც დააპირა. უკრაინულ სამოსწავლო სახელმძღვანელოების გამოსაცემად ხაზინისაგან 20 000 მან.-სა მოთხოვა (4 ივლისის ცნობა). კიევის მთავრობის უნივერსიტეტშიაც-კი ზოგიერთ ლექციებს სახ[ალხო] განათლების მინისტრის ბრძანებისამებრ ენკენისთვითგან უკრაინულად წაიკითხავენ. ყველა ამის შემდგომ (ქართ. უნივერსიტეტის უფლება ქართულად [4]) სრულებით ცხადი უნდა იყოს, რომ ქართ[ულ] უნივერსიტეტს, რომელიც კერძო

ფურცელი 5-ის II გვერდი:

ასეთ ქართ. უნივერსიტეტის არსებობის კანონიერების მტკიცება ხომ მეტი იქმნებოდა [5].

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

ფურცელი 7.

...ლის ისტორიის ლექციებს გარდა უნდა ბიზანტიურ სამართლის ისტორიის, მაჰმადიანურ სამართლის ისტორიის, ქართული სამართლის ისტორიისა და ქართული და კავკასიურ უფლებრივ ზნე-ჩვეულებათა შესახები ლექციებიც მოენწყოს. საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე განსაკუთრებული ყურადღება საქართველოსა და საზოგადოდ სამხრეთისა და მახლობელი აღმოსავლეთის ბუნების ყოველნაირს შესწავლას მიექცევა. ამგვარადვე სამკურნალო ფაკულტეტზე საქართველოს, კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთის მკვიდრთა ჯანმრთელობისა და ავადმყოფობა-სნეულებათა, სამხრეთისა და ტროპიკულ ქვეყნებისათვის დამახასიათებელ სხვადასხვა მოარულის ავადმყოფობისა და სნეულებათა გა[მო]კვლევა.

წყარო: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი, №841.

შენიშვნები და კომენტარები:

1. ეს ფრაგმენტი რომელიღაც მოხსენების ტექსტია, რომელიც უნივერსიტეტის გახსნამდეა გაკეთებული. მასალა, ეტყობა, ავტორს მეორეჯერაც გამოუყენებია, უფრო სწორად, ამ ქალაქის II გვერდი, სადაც პროფესორების ხელფასების ოდენობაა მითითებული. ორივე გვერდი ერთსა და იმავე დროს არ არის დაწერილი, რადგან ტექსტსა და ხელფასის ოდენობას შორის არავითარი ბმა არ არის. მაგრამ ძნელი სათქმელია, პირველად ხელფასები დაიწერა და შემდეგ მოხსენების ტექსტი, თუ პირიქით, რადგან მელანი ერთგვარია. თუმცა ერთი და იმავე მელნით ერთი ან რამდენიმე თვის მერეც შეეძლო ეწერა. სიზუსტისათვის აქ თითოეული ფურცელი ცალ-ცალკეა გადმოღებული და თავისი საარქივო ნომრით მოცემული, ასევე მისი მეორე გვერდიც. მელანი არის შავი და მკაფიო. დაწერილია კარგი ხარისხის თეთრ, თითქმის კვადრატულ ფურცლებზე, ივანე ჯავახიშვილის ხელით, შავი მელნით. ზომა 22X18 სმ. მეორე გვერდებიც ჩათვლილია და ამიტომაც ასეთი ნუმერაცია (რატომღაც მასალის დამუშავებისას არ იცავენ დანომვრის ერთნაირ წესს). იქნებ ეს რუსეთში გაგზავნილი ძირითადი დებულებების განმარტებითი ბარათის ნაწილია? რუსულად დაწერილი ბარათიც სწორედ ამგვარი შინაარსისაა (იხ. საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 2081. I. №191. ფ. 11-12).
2. ფრჩხილებში მოცემული ეს წინადადება გადახაზულია.
3. აქ ადგილია დატოვებული, ალბათ იმ კანონის მუხლის ჩასაწერად.
4. ეს წინადადება გადახაზულია.
5. თავუკულმაა მიწერილი.

ფრაგმენტი 7 [1]

[პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასი]

პროფესორებს:

1). მ. წერეთელი	3 600 მან.
2). დ. უზნაძე	4 200 მან.
3). შ. ნუცუბიძე	4 200 მან.
4). დეკ. კ. კეკელიძე	4 200 მან.
5). ს. ავალიანი	4 200 მან.
6). ე. თაყაიშვილი	3 600 მან.
7). გ. ახვლედიანი	3 600 მან.
8). აკ. შანიძე	3 600 მან.
9). იოს. ყიფშიძე	3 600 მან.
10). ფ. გოგიჩაიშვილი	3 600 მან.
11). ივ. ჯავახიშვილი	5 400 მან.

43, 800 მან.

პროფესორებს:

1). რაზმაძე	3600 მან.
2). ბენაშვილი	6000 მან.
3). გ. ჯავახიშვილი	3600 მან.
4). ა. ჯავახიშვილი	5400 მან.
5). პ. მელიქიშვილი	3600 მან.
6). მოსეშვილი	4800 მან.
7). სოლ. ზაქ. ქურდიანი	4800 მან.
8). ანატ. ნათიშვილი	4800 მან.
9). ფიზიოლ. მოსეშვილი	4800 მან.
10). თვალჭრელიძე	4800 მან.
11). ? ბერიტაშვილი	3600 მან.
12). ? ვაშაკიძე	3600 მან.

52, 800 მან.

ფიზიკისას	3 600
ბიოლოგიისას	3 600

59 000

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

1-5	3600
6-10	4200
11-15	4800
16-20	5400
21-25	6 000 მან.

მეცნიერ-ხელმძღვანელებს	2 400
ლექტორს	1800
დატოვებულს საქართვე. და რუსეთში	1200
„ საზღვარგარეთ	1800
	59000
	43800

	192800
	2400
	8

	19200

ლექტორებს

1). ციბაძეს	1800 მან.
2). აბაშიძეს	1800 მან.
3). აბულაძეს	1800 მან.
4). ფრანგ. ენისას	1800 მან.
5). გერმ. „	1800 მან.
6). ინგლისურ. „	1800 მან.
7). იტალიურისას	1800 მან.

12 600 მან.

წყარო: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი, №841.

შენიშვნები და კომენტარები:

1. იხ. ფრაგმენტი 5-ის პირველი შენიშვნა.

ფრაგმენტი 8 [1]

ფურცელი 98.

სამართლის მეცნიერების ფაკულტეტის კათედრები:

1. რომაულ-ბიზანტიური სამართალი
2. სამოქალაქო სამართალი და სარჩელი
3. სააღმკვეთი სამართალი და სარჩელი
4. სახელმწიფო სამართალი
5. საერთაშორისო სამართალი
6. სისხლის სამართალი და სასამართლოს წარმოება
7. საფინანსო სამართალი
8. სამოხელეო სამართალი
9. საეკლესიო სამართალი
10. რუსული სამართლის ისტორია
11. ქართული სამართლის ისტორია ივ. ჯავახიშვილი
12. სამართლის ფილოსოფია

23 პროფ. და 17 დოცენტი (პეტ. უნ. 20+21)

ფურცელი 99.

საბუნებისმეტყველო-სამატემატიკო ფაკულტეტის ანუ განყოფილების საგნები:

- | | | |
|--|--------------|------------------------------------|
| 1. მატემატიკა | რაზმაძე. | <i>მუსხელიშვილი</i> |
| 2. მექანიკა | მუსხელიშვილი | |
| 3. ვარსკვლავთმრიცხველობა და გეოდეზია | | პროფ. ბენაშვილი |
| 4. ფიზიკა | | |
| 5. ფიზიკური გეოგრაფია | | ა. ჯავახიშვილი |
| 6. ქიმია | | ბ. მელიქიშვილი
მოსეშვილი |
| 7. ა. სატეხნოლოგიო და სატეხნიკო ქიმია | | <i>შალამბერიძე ?</i> |
| 8. ელექტრო ქიმია | | <i>ყაუხჩიშვილი</i> |
| 9. მინერალოგია და კრისტალოგრაფია | | <i>თვალჭრელიძე</i> |
| 10. გეოლოგია, პალეონტოლოგია და პეტროგრაფია | | ყიფიანი.
<i>ალექ. ჯანელიძე.</i> |
| 11. ბოტანიკა და დენდროლოგია | | <i>ჭურდიანი</i> |
| 12. ზოოლოგია | | |
| 13. ანატომია | | ნათიშვილი |
| 14. გისტოლოგია და ებრიოლოგია | | |

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

15. ცხოველთა სახისმეტყველება
16. სასოფლო მეურნეობა
17. გეოგრაფია

გ. ჯავახიშვილი.

28 პროფ. და 11 დოცენტი (Проект главн. положений устава Университета. С-Петербург. 1905. 20-21)

ფურცელი 100.

სამკურნალო ფაკულტეტის საგნები:

1. სამკურნალო ქიმია
2. „ ფიზიკა
3. ფიზიოლოგია *ქ. უთათელაძე ?*
4. ფარმაცია და ფარმაკოგნოზია
5. ფარმაკოლოგია და რეცეპტურა *მოსეშვილი, ტყეშელაშვილი, ჭეიშვილი*
6. პათოლოგიური ანატომია *კრინიცი*
7. საზოგადო პათოლოგია
8. კერძო „ და თერაპია
9. ბაქტერიოლოგია *ს. ამირეჯიბი და ე. ჩიჯავაძე*
10. დიაგნოსტიკა საპროპედევტიკო კლინიკითურთ
11. საზოგადო თერაპია
12. საქირურგო პათოლოგია საპროპედევტიკო კლინიკითურთ *გელეიშვილი*
13. დესმურგია, მექანურგია და ორთოპედია
14. საფაკულტეტურო სათერაპიული კლინიკა
15. „ საქირურგო „
- 15-ა. ნერვების ავადმყოფობანი
16. სულიერი ავადმყოფობანი
- 16-ა. „ „ კლინიკა
17. ჰიგიენა
18. კანისა და სქესობრივი ავადმყოფობანი კლინიკითურთ
19. საოპერაციო ქირურგია ტოპოგრაფიული ანატომიითურთ
20. ბებობა კლინიკითურთ [2]
- 20-ა. „ კლინიკა
21. გინეკოლოგია
- 21-ა. „ კლინიკა
22. ბავშვების ავადმყოფობანი
- 22-ა. „ „ კლინიკა
23. ოფთალმოლოგია
- 23-ა. „ კლინიკა

- 24. უროლოგია [3]
- 25. საჰოსპიტალო თერაპევტ. კლინიკა
- 26. „ საქირურგიო „
- 27. ეპიზოოტია და ვეტერინარია
- 28. უროლოგია კლინიკითურთ
- 29. რინოლოგია, ლარინგილოგია და ოტიატრია კლინიკითურთ
- 30. ოდენტოლოგია
- 31. სამოსამართლო ექიმობა
- 32. მკურნალობის ისტორია

ფურცელი 101.

- მატემატიკა 1
- მექანიკა 1
- ვარსკვალავთ მრიცხველობა და გეოდეზია 1
- ფიზიკა 1
- ქიმია
- ტექნოლოგია და ტექნიკური ქიმია 2 [4]
- მინერალოგია და კრისტალოგრაფია 1
- გეოლოგია, პალეონტოლოგია და პეტროგრაფია 1
- ზოოლოგია 1
- ანატომია, ჰისტოლოგია და ემბრიოლოგია 1
- ბოტანიკა 1
- მეტერიოლოგია და ფიზიკური გეოგრაფია 1
- ანთროპოლოგია და ეთნოლოგია 1
- მეურნეობა 1

პროფესორი 14 - 84 000 მან. + 9 - 2 000 ასისტენტი.

წყარო: საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, აღ. I. №7. ფ. 98-101

შენიშვნები და კომენტარები:

1. დანერილია შავი, მკრთალი მელნით. სიზუსტისათვის ფურცელ-ფურცელ არის გადმოტანილი. დახრილი შრიფტით მოცემული სიტყვები ფანქრითაა მიწერილი მოგვიანებით.
2. ეს სიტყვა გადახაზულია.
3. გადახაზულია.
4. ეს რიცხვი „2“ ერთდროულად ეკუთვნის ამ და წინა სტრიქონსაც.

დებულებები

ქართულ[ი] უნივერსიტეტის საზოგადოების წესდება [1]

1. საზოგადოების მიზნისათვის

§ 1. ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება ქ. ტფილისში არსდება.

§ 2. საზოგადოების მიზანია, ქართული უნივერსიტეტი დააარსოს ტფილისში და ამ დანესებულების შესანახავად საჭირო ერთდროული თუ ყოველწლიური ქონებრივი სახსარი გამოიღოს.

§ 3. ქართულ უნივერსიტეტს სრული ავტონომია აქვს, რომლის დებულებანი ამ დანესებულების ძირითადს დაფუძნებითს წესდებაში იქმნება განსაზღვრული. ეს წესდება ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მიერ შედგენილი და დამტკიცებული უნდა იყოს. სამეცნიერო-სამოსწავლო სფეროში და მართვა-გამგეობის მხრივაც იგი დამოუკიდებელია და ქართული უნივერსიტეტის გამძლოლი და მმართველი მხოლოდ პროფესორთა კოლეგიაა.

§ 4. ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებას ამ უნივერსიტეტის მარტო ქონებრივი მხარე ეკითხება.

2. საზოგადოების შემადგენლობისათვის

§ 5. საზოგადოებას საპატიო, დამფუძნებელი და დამხმარე წევრები ჰყავს.

§ 6. საპატიო წევრებად საზოგადოების ჩვეულებრივი, ან საგანგებო კრება იმ პირთ ირჩევს, რომელთაც ქართული უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით ან უნივერსიტეტის შესანახავად საზოგადოებას განსაკუთრებით დიდს უძრავს ან მოძრავს ქონებას, თუ განსაკუთრებით დიდს (არა უმცირეს 1 000 თუმნისა) სათავნოს შესწირავს.

§ 7. დამფუძნებელ წევრებად საზოგადოების კრების მიერ ჩაითვლებიან:

- ა). ის პირნი და დანესებულებანი, რომელნიც პირველს დაფუძნებითს კრებას, ვითარცა ქართულ სამეცნიერო, საკულტურო-საგანმანათლებლო და საკრედიტო დანესებულებათა, ქართულ პოლიტიკურ დასების მთავარ კომიტეტებისა და დროგამოშვებითი მწერლობის წარმომადგენლნი, დაესწრნენ, ქართული უნივერსიტეტის დაარსება აუცილებელ საჭიროებად აღიარეს და ამ საქმის ეხლავე განხორციელება თავის მოვალეობად დაისახეს.
- ბ). ამასთანავე ის პირნი, რომელნიც დამფუძნებელი წევრისათვის დადებულს გადასახადს ყოველწლიურად 25 მანეთს ან ერთბაშად ოცდაათ თუმანს (300 მან.) შემოიტანენ.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

გ). ან ის პირნი და დაწესებულებანი, რომელნიც ყოველწლიურად თავიანთი წმინდა შემოსავლიდან მუდმივ გადასახადის სახით განსაზღვრულ პროცენტის (25 მან-ზე არანაკლებ წელიწადში) შემოტანას იკისრებენ და შემოიტანენ კიდევ.

§ 8. დამხმარე წევრებად საზოგადოების კრების მიერ ის პირნი ჩაირიცხებიან, რომელნიც ყოველწლიურს სანევრო გადასახადს ხუთ მანეთს ან ერთბაშად ათ თუმანს შემოიტანენ.

§ 9. ვინც ორი წლის განმავლობაში ზედიზედ ნაკისრებ ყოველწლიურს შესაწევარს ან პროცენტს ან სანევრო გადასახადს არ შემოიტანს, წევრთა სიითგან ამოიშლება.

§ 10. საპატიო და დამფუძნებელ წევრთ ყველა იმ სქემებისა და საკითხების განხილვისა და გადამწყვეტის უფლება აქვთ, რაც კი საზოგადოების კრებების უფლებას შეადგენს (იხ. V. საზოგადოების კრებებისათვის).

§ 11. [2] დამხმარე წევრები საზოგადოების ჩვეულებრივსა და საგანგებო კრებებში ყველა საქმეებისა და საკითხების განხილვასა და გადამწყვეტაში პირადად კი არ იღებენ მონაწილეობას, არამედ წარმომადგენლებს ირჩევენ ოცზე ერთს, და წარმომადგენლებს იგივე უფლება აქვთ, რაიც საპატიო და დამფუძნებელ წევრებს.

3. საზოგადოების ქონებისათვის

§ 12. საზოგადოების ქონება შესდგება:

- ა). დამფუძნებელ წევრთა მიერ ერთბაშად შემოტანილ და ყოველწლიურ სანევრო გადასახადისაგან;
- ბ). საზოგადოებრივ დაწესებულებათა და ქველმოქმედთა მიერ შემოწირული დიდ თანხებისაგან;
- გ). შემოსავლის კვალობაზედ განსაზღვრული ყოველწლიურ გადასახადის სახით დამფუძნებელ წევრთა მიერ შემოტანილ ფულისაგან;
- დ). დამხმარე წევრთა მიერ ან ერთბაშად შემოტანილ ან ყოველწლიურად გადახდილ ფულისაგან.

§ 13. საზოგადოებას უფლება აქვს უძრავი ქონებაც – მიწა, სახლი და ყოველგვარი შენობა, – შეიძინოს და იქონიოს.

§ 14. საზოგადოების მთელი ფული ორ ნაწილად უნდა იყოს გაყოფილი:

- ა). ხელუხლებელ სათავნოდ და
- ბ). სახარჯავ თანხად.

§ 15. ხელუხლებელი სათავნო ძირითად თანხად უნდა იყოს და, როდესაც იგი საზოგადოების საერთო კრების მიერ წინასწარ განსაზღვრულ რაოდენობად იქცევა,

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

მხოლოდ ამ დროითგან მოყოლებული ამ სათავენოს ყოველწლიური სარგებელი უნდა საზოგადოების მთავარ მიზანს, ქართულ უნივერსიტეტის შენახვას, მოჰხმარდეს.

§ 16. ხელუხლებელი სათავენო შესდგება:

- ა). მომგებ ლატარიის წყალობით შემოსული ფულისაგან;
- ბ). დამფუძნებელ და დამხმარე წევრთა მიერ ერთბაშად შემოტანილ სანევრო გადასახადისაგან და
- გ). საზოგადოებრივ და საკრედიტო დანესებულებათა, ქველმოქმედთა და წევრთა მიერ ერთდროულად შესანევარის მსგავსად შემოტანილ დიდ თანხების ერთ ნაწილისაგან. ამ ნაწილის რაოდენობა საზოგადოების საერთო კრებამ უნდა განსაზღვროს ან ერთხელ და სამუდამოდ, ან ყოველწლიურად.

§ 17. სახარჯავი თანხა შესდგება:

- ა). საზოგადოებრივ და საკრედიტო დანესებულებათა, ქველმოქმედთა და წევრთა მიერ შესანევარის მსგავსად ერთდროულად შემოტანილ დიდ თანხების ნაწილისაგან, რომლის რაოდენობა საზოგადოების საერთო კრების მიერვე უნდა იყოს განსაზღვრული ან სამუდამოდ ან ყოველწლიურად;
- ბ). შემოსავლის კვალობაზე გადასახადის სახით დამფუძნებელ წევრთა მიერ ყოველწლიურად შემოტანილ ფულისაგან;
- გ). დამფუძნებელ და დამხმარე წევრთა ყოველწლიურად შემოტანილ სანევრო გადასახადისაგან.

§ 18. ხელუხლებელი სათავენოცა და სახარჯავი თანხაც უეჭველად ერთ-ერთ საკრედიტო დანესებულებაში უნდა იყოს შეტანილი დამხმარე საზოგადოების სახელობაზე და ქართულ უნივერსიტეტის შესანახავად უნდა იყოს განკუთვნილი.

§ 19. სახარჯავ თანხიდან, რომელშიც ხელუხლებელ სათავენოს სარგებელიც შედის, ქართული უნივერსიტეტის გამგეობას უფლება აქვს მისგანვე წინასწარ შედგენილის და ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების საერთო კრების მიერ დამტკიცებულ სავარაუდო ხარჯთაღრიცხვისა და მიხედვით ბანკიდან საჭიროებისა-ებრ ფული გამოიტანოს ხოლმე უნივერსიტეტის შესანახავად და ყველა ხარჯების დასაფარავად.

§ 20. უნივერსიტეტის გამგეობა მოვალეა თვე და თვე გატანილ ფულის რაოდენობა და დანიშნულება საზოგადოების გამგეობას აცნობოს, ხოლო საკონტროლო საბჭოს ამასთანავე განუთხრო ხარჯების გასამართლებელი საბუთებიც გამოუგზავნოს ხოლმე.

§ 21. ქართული უნივერსიტეტის გამგეობის მიერ ბანკიდან ფულების გამოტანის თაობაზედ საზოგადოების გამგეობისა და უნივერსიტეტის გამგეობის მიერ შეთანხმებით უნდა საგანგებო სახელმძღვანელო წესრიგი იყოს შემუშავებული.

§ 22. ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებას საკუთარი ბეჭედი აქვს.

4. საზოგადოების ორგანოებისათვის

§ 23. საზოგადოებას ჰყავს: ა). გამგეობა და ბ). საკონტროლო საბჭო.

ა). გამგეობა

§ 24. გამგეობას საზოგადოების საერთო კრება ირჩევს სამი წლის ვადით. არჩევანში საპატიო, დამფუძნებელი წევრნი და დამხმარე წევრთა წარმომადგენელნი იღებენ მონაწილეობას.

§ 25. გამგეობაში ხუთი კაცია, რომელთაგან ერთს საზოგადოების კრება თავმჯდომარედ ირჩევს და ერთს მოლარედ. გამგეობას მდივანი და ანგარიშის მწარმოებელი სასყიდლით მონვეული ჰყავს.

§ 26. გამგეობა მოვალეა:

- ა). საზოგადოების ყოველწლიურს შემოსავლის დროულსა და წესიერს მოგროვებაზე და თანაც მის ქონებრივ სახსრისა და შემოსავლის გადიდებაზე ზრუნავდეს.
- ბ). საზოგადოების ყოველწლიური შემოსავალ-გასავლის სავარაუდო ხარჯ-თაღრიცხვა და მოქმედების წლიური ანგარიში შეადგინოს და წლიურ კრებას განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგინოს.
- გ). უნივერსიტეტი გამგეობის მიერ განეულის ხარჯების ყოველწლიური ანგარიში საზოგადოების წლიურ კრებას წარუდგინოს საკონტროლო საბჭოს დასკვნითურთ.
- დ). ყოველგვარი მიწერ-მოწერა და დამოკიდებულება ჰქონდეს საზოგადოების უძრავ-მოძრავ ქონებისა და სათავნოების შესახებ, როგორც კერძო პირებთან და დაწესებულებებთან, ისე მთავრობისა და ოფიციალურ დაწესებულებებთან.

§ 27. გამგეობისავე მოვალეობაა საზოგადოების ჩვეულებრივი და საგანგებო კრებები მოინვიოს, ამ კრებებზე განსახილველ საკითხების სია წინასწარ გამოაქვეყნოს და კრებისათვის განსახილველი საქმეები და მოხსენებანი მოამზადოს.

§ 28. გამგეობა ამას გარდა მოვალეა: უნივერსიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი პირველი სავარაუდო ხარჯთაღრიცხვისა, ხოლო შემდეგში ხარჯების ყოველი ახალ გადადების ქონებრივად შესაძლებლობის შესახებ სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს მსჯელობა იქონიოს და თავის დასკვნითურთ საზოგადოების წლიურს კრებას გადასცეს დასამტკიცებლად.

§ 29. თუ საზოგადოების გამგეობის დასკვნა უარყოფითი იქმნება, უნივერსიტეტის გამგეობას უფლება აქვს, საზოგადოების გამგეობის დასკვნის შესახებ თავისი მოსაზრებაც წარმოადგინოს. საზოგადოების წლიურ კრებას სავარაუდო

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

ხარჯთაღრიცხვის დროს საზოგადოების გამგეობის დასკვნასთან ერთად უნივერსიტეტის გამგეობის საპასუხო მოსაზრებაც უნდა მოხსენდეს.

§ 30. როდესაც §§ 28 და 29-ში აღნიშნულ საკითხებზეა მსჯელობა, საზოგადოების გამგეობის სხდომებში უნივერსიტეტის გამგეობის სამი წარმომადგენელი იღებს მონაწილეობას ხარჯთაღრიცხვის განსახილველ ცნობების განმარტებისათვის.

ბ). საკონტროლო საბჭო

§ 31. საკონტროლო საბჭოსაც საზოგადოების წლიური კრება ირჩევს სამი წლის ვადით იმავე წესით, როგორც გამგეობას.

§ 32. საკონტროლო საბჭოში სამი წევრია, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობის მოვალეობას ასრულებს.

§ 33. საკონტროლო საბჭო მოვალეა:

ა). უნივერსიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი ხარჯების ყოველწლიური ანგარიში დამტკიცებულ სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის და მიხედვით განიხილოს და ყოველგვარი ხარჯების გასამართლებელი საბუთები გასინჯოს და ანგარიშის შესახებ თავისი დასკვნაც გამოთქვას, რომელიც ორ ცალად უნდა იყოს დანერილი და ერთი უნივერსიტეტის გამგეობასა და პროფესორთა საბჭოს უნდა გაეგზავნოს და ერთიც საზოგადოების გამგეობას გადაეცეს.

ბ). საზოგადოების გამგეობის მოქმედების ანგარიში განიხილოს, ყველა გამამართლებელი საბუთები საზოგადოების შესავალ-გასავლის შესახებ გასინჯოს და თავისი დასკვნა საზოგადოების წლიურს კრებას წარუდგინოს.

§ 34. საკონტროლო საბჭოს სხდომებში, როდესაც უნივერსიტეტის ანგარიში ირჩევა, უნივერსიტეტის გამგეობის სამი წარმომადგენელიც იღებს მონაწილეობას, მაგრამ მხოლოდ ანგარიშის ცნობების განსამარტავად.

§ 35. უნივერსიტეტის გამგეობა მოვალეა საკონტროლო საბჭოს დასკვნის შესახებ საზოგადოების გამგეობას თავისი განმარტება წარუდგინოს. საზოგადოების გამგეობამ თავის მხრივ უნივერსიტეტის საფინანსო ანგარიშთან და საკონტროლო საბჭოს დასკვნასთან ერთად საზოგადოების წლიურს კრებას უნივერსიტეტის გამგეობის ეს განმარტებაც წარუდგინოს.

5. საზოგადოების კრებისათვის

§ 36. საზოგადოების საერთო კრებები ან ჩვეულებრივია ხოლმე, ან საგანგებო.

§ 37. ერთი ჩვეულებრივი კრება უეჭველად წლიური უნდა იყოს და მის საგანს მო-

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

მავალ წლისათვის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვისა და ყველა ორგანოების მოქმედების წარსულ წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება შეადგენს.

§ 38. სამს წელიწადში ერთხელ წლიური კრება ამას გარდა საზოგადოების ორგანოებს – გამგეობას და საკონტროლო საბჭოს – ირჩევს ხოლმე.

§ 39. საზოგადოების საერთო კრებების უფლებას ზემოაღნიშნულ (37 და 38) მუხლებში დასახელებულის გარდა შემდეგიც შეადგენს:

- ა). ახალ წევრების მიღება და არჩევა;
- ბ). გამგეობის და საკონტროლო საბჭოს არჩევა;
- გ). ამ ორგანოების მოქმედების ანგარიშისა და მოხსენებათა მოსმენა, განხილვა და დამტკიცება;
- დ). საზოგადოების სავარაუდო ყოველწლიურ ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება;
- ე). ყოველწლიურ საწევრო გადასახადის რაოდენობის განსაზღვრა;
- ვ). უძრავ ქონების შეძენის დასტურის მიცემა;
- ზ). სათაუნოსა და სახარჯავ თანხის რაოდენობის განსაზღვრა;
- ყ). სათაუნოსა და სახარჯავ თანხის შენახვის წესრიგი და იმ საკრედიტო დაწესებულების დასახელება, სადაც საზოგადოების მთელი ფული უნდა იყოს შეტანილი;
- თ). სახარჯავ თანხის ბანკიდან უნივერსიტეტის გამგეობის მიერ გამოტანის საზოგადო წესრიგის დამტკიცება და
- ი). საზოგადოების წესდების შეცვლა და თავის ორგანოებისათვის სახელმძღვანელო ინსტრუქციების მიცემა.

§ 40. წესდების მუხლების შეცვლისათვის საზოგადოების წევრთა 2/3-ის თანხმობაა საჭირო.

§ 41. საზოგადოების საერთო საგანგებო კრების მოწვევა გამგეობის გარდა საზოგადოების წევრთაც შეუძლიანთ მოითხოვონ. ამისთვის საკმარისია 15 საპატიო და დამფუძნებელმა წევრმა და დამხმარე წევრთა წარმომადგენელმა წერილობით განცხადება გადასცეს გამგეობას, რომელშიაც საგანგებო კრების მიზანი უნდა იყოს აღნიშნული.

§ 42. ქართ[ულ] უნივერსიტეტსაც აუცილებელი უფლება აქვს, თავის რექტორის, ანუ გამგებლის ხელით საზოგადოების გამგეობაში წერილობითი განცხადება შეიტანოს, რომ საგანგებო კრება მოწვეულ იქმნეს.

§ 43. ორს ზემოდ აღნიშნულ შემთხვევაში საზოგადოების გამგეობა მოვალეა, ორი კვირის განმავლობაში საგანგებო კრება მოიწვიოს.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

§ 44. საზოგადოების ყველა საერთო კრების თავმჯდომარედ გამგეობის თავმჯდომარეა, ან მისი მოადგილე. მხოლოდ, როდესაც გამგეობის წლიური ანგარიში, ან გამგეობის რომელიმე მოქმედება ირჩევა, მაშინ ამ დროისათვის კრება განსაკუთრებულს თავმჯდომარეს ირჩევს.

§ 45. ყველა კრებებში მონაწილეობის უფლება აქვს საპატიო და დამფუძნებელ წევრებს. როდესაც დამფუძნებელ წევრად რომელიმე საზოგადოებრივი და საკრედიტო, ან არადა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება ირიცხება, მაშინ დამფუძნებელ წევრად მათ მიერ არჩეული წარმომადგენელი ითვლება. ამასთანავე ყველა კრებებში მონაწილეობის უფლება დამხმარე წევრთა წარმომადგენელთაც აქვთ.

§ 46. ყოველი ოცი დამხმარე წევრი ერთს წარმომადგენელს ირჩევს 3 წლის ვადით.

§ 47. უნივერსიტეტის გამგეობის წარმომადგენელნი მოვალენი არიან ყველა კრებებს, რომელშიაც უნივერსიტეტის ქონებრივ მხარეს შესახები რაიმე საკითხი ირჩევა, დაესწრონ და უნივერსიტეტის ქონებრივ მხარეს შესახებ კრებას ყველა საჭირო ცნობები და განმარტება მიაწოდონ.

§ 48. ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების საზოგადო კრების დადგენილებისამებრ შეუძლიან თავისი მოქმედება შესწყვიტოს, მაგრამ ამ კრებაში ყველა წევრთა 2/3-მა უნდა მიიღოს მონაწილეობა და თვით დადგენილებაც დამსწრეთა 2/3-დის მიერ უნდა იყოს დადასტურებული. საქმეების მოსანესრიგებლად და მესამე პირისადმი ყველა შესაძლებელ ვალდებულებათა დასაკმაყოფილებლად საზოგადო კრება განსაკუთრებულს 7 კაცისაგან შემდგარს საკვალიფიკაციო კომისიას ირჩევს, რომელიც მოვალეა, თავის მიერ შედგენილი სალიკვიდაციო გეგმა საზოგადო კრებას წარუდგინოს დასამტკიცებლად.

§ 49. მოქმედების საბოლოოდ შეწყვეტის შემდგომ ყოველივე მოძრავი და უძრავი ქონება (ფული, სახლი და სხვა), რაც კი საზოგადოებას დარჩება, უნდა ქართულ უნივერსიტეტს გადაეცეს ტფილისში მის სრულ საკუთრებად. ხოლო თუ ვინიცობა ქართული უნივერსიტეტი არ იქმნა, მაშინ საზოგადო კრების სურვილისამებრ ერთ-ერთ ქართულ დაწესებულებას უნდა გადაეცეს სამეცნიერო-საგანმანათლებლო მიზნისათვის მოსახმარებლად.

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზი
გიორგი დურმიშხანის ძე ჟურული
ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილი
იასონ მერაბის ძე ლორთქიფანიძე
ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი
ტფილისი. სტამბა „სახალხო საქმე“

წყარო: ქართულ[ი] უნივერსიტეტის საზოგადოების წესდება, თბ., 1917 წ.

შენიშვნები და კომენტარები:

1. ეს დოკუმენტი ცალკე ბროშურად დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო საქმის“ სტამბაში და უნივერსიტეტის საზოგადოების კრებაზე დარიგდა. მისი ერთი ეგზემპლარი დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ივანე ჯავახიშვილის პირად ფონდში, რომელსაც თავფურცელზე შავი მელნით გაკეთებული ივანე ჯავახიშვილის ავტოგრაფი ამშვენებს.

წესდების ეს ტექსტი თავის დროზე გამოქვეყნდა გაზეთებში „საქართველო“ (1917 წ. №21-112) და „სახალხო საქმე“ (1917 წ. №60), ხოლო 1967 წელს – კრებულში „საისტორიო მოამბე“ (№21-22, გვ. 336-339.) საქართველოს უახლესი ისტორიის არქივში (ფონდი 471, ანან. 1. საქმე №5) დაცული მასალის მიხედვით. აქ მითითებულია: „[1917 წელი]. დედანი, სანერ მანქანაზე დაბეჭდილი. საბუთს თარიღი არა აქვს, იგი დადგენილია სხვა საბუთების მიხედვით. შესწორებები და დამატებები შეტანილია ივანე ჯავახიშვილის ხელით. ხელრთვა „ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი“, ავტოგრაფია“.

ივანე ჯავახიშვილი რადგან კერძო უნივერსიტეტს აარსებდა, მის დამფუძნებლად ან კერძო პირი, ან კერძო (არასახელმწიფო) დაწესებულება უნდა გამოსულიყო. ვინაიდან ამ დიდი საქმის განმახორციელებელი და ფინანსურად უზრუნველმყოფელი კერძო პირი ქართველობას მაშინ არ ჰყავდა, საქმე ერთობლივი ძალისხმევით უნდა მოგვარებულიყო. ამიტომ ივანე ჯავახიშვილის გეგმით სპეციალურად უნდა შექმნილიყო უნივერსიტეტის დამაარსებელი და ფინანსურად უზრუნველმყოფი დაწესებულება. ამის თაობაზე საინტერესოა ე. თაყაიშვილის მოგონება: პეტერბურგიდან **„ივ. ჯავახიშვილი უკვე შემუშავებული კერძო ქართული უნივერსიტეტის დაარსების გეგმით ჩამოვიდა ტფილისში. ... გეგმა მარტივი იყო. უნდა შეგვედგინა საზოგადოება, რომელიც იზრუნებდა სახსრების აღმოსაჩენად, თანხის შესაკრებად. თვით უნივერსიტეტი სწავლა-მეცნიერების და გამგეობის საქმეში სრულიად ავტონომიური იყო“** (ე. თაყაიშვილი, დამსახურებული პროფესორის პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალების გამო. წიგნში: დაბრუნება. ტ. 1. გვ. 14-15). ასეთად მოაზრებულ იქნა „ქართული უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოება“, რომლის დასახელებაშიაც შემდეგში სიტყვა „დამხმარე“ ამოიღეს.

„ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ წესდებაზე მუშაობის დაწყება გადაწყდა 1917 წლის 3 ივნისს. ამის შესახებ საზოგადოების კომისიის კრების ოქმში ვკითხულობთ: **„შემუშავდეს პროექტი ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოებისა, რათა წარედგინოს იგი მთავრობას დასამტკიცებლად. ამ პროექტის შედგენა იკისრა თავ. ი. ა. ჯავახიშვილმა“** (საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი. ფონდი 471. აღ. 1. საქ. 1. ფ. 12). ივანე ჯავახიშვილმა ეს პროექტი კომისიას წარუდგინა 1917 წლის 15 ივნისს და მასში გარკვეული შესწორებები იქნა შეტანილი. ხოლო 1917 წლის 22 ივნისს კრებას ივანე ჯავახიშვილმა წარუდ-

გინა როგორც საზოგადოების წესდების, ისე უნივერსიტეტის წესდების ძირითად დებულებათა პროექტები. ამის შესახებ ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების კრების ოქმში ვკითხულობთ: „**მომხსენებელმა თავ. ი. ა. ჯავახიშვილმა წაიკითხა შესწორებული რედაქცია ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტის საზოგადოების წესდების პროექტი და თვით უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი**“ (საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, აღ. 1. საქმე 1. ფ. 23). კრებამ ერთხმად მიიღო საზოგადოების წესდება და უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებანი. „**როგორც საზოგადოების წესდება, აგრეთვე უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი, მცირე შესწორებით, რომელიც სხდომაზევე იყო შეტანილი წაკითხულ პროექტებში, – კრებამ ერთხმად მიიღო**“, – ვკითხულობთ საზოგადოების კრების ოქმში (იქვე, ფ. 23).

წესდებაზე ხელმომწერნი პირები – კ. აფხაზი, გ. ყურული, ე. თაყაიშვილი, ი. ლორთქიფანიძე და ივ. ჯავახიშვილი – იმდროინდელი საქართველოს თვალსაჩინო პირები იყვნენ. აღნიშნულ წესდებას ხელს კი იმიტომ აწერენ, რომ ისინი იყვნენ „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ მიერ შექმნილი კომისიის წევრები, მათ გარდა კომისიაში სხვებიც შედიოდნენ, მაგრამ იმ დღეს (1917 წლის 3 აგვისტოს), როცა მოხდა წესდებაზე ხელის მოწერა, მოწვეული ნოტარიუსის, გიორგი ლუარსაბის ძე მაჭავარიანის, დასწრებით, მხოლოდ ეს ხუთი პირი იმყოფებოდა (საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, აღ. 1. საქ. 1. ფ. 25).

2. ტექსტში შეცდომით წერია „10“.

ქართული უნივერსიტეტის წესდება

ძირითადი დებულებანი:

საზოგადო

§ 1 (=1) ქართული უნივერსიტეტი ტფილისში უმაღლესი სამეცნიერო-სამოსწავლო თვითმმართველი ავტონომიური დაწესებულებაა: სამეცნიერო-სამოსწავლო სფეროშია და საუნივერსიტეტო მართვა-გამგეობისა და შინაურ მეურნეობის მხრივ იგი სრულებით დამოუკიდებელია და ყველა ამ საქმეებს თვითვე განაგებს.

§ 2. ქართული უნივერსიტეტის პროფესორებთა, კერძო დოცენტებისა და მეცნიერხელმძღვანელთა, ვითარცა უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულების წევრთა, მოვალეობას მართო მოსწავლეთათვის ლექციების წაკითხვა-კი არ შეადგენს, არამედ მეცნიერების წინაშე სამსახური და სამეცნიერო კვლევა-ძიება.

§ (= 13 და 14) ქართული უნივერსიტეტში შეუძლიან ისწავლონ ორთავე სქესის პირნი [1]. მოსწავლენი შეიძლება ან სტუდენტებად, ან მსმენელებად იყვნენ. სტუდენტებად შეუძლიანთ იყვნენ ისინი, რომელთაც საშუალო სასწავლებელი აქვთ დასრულებული. თვითეულს ფაკულტეტს უფლება აქვს, თუ საჭიროდ სცნობს, უნივერსიტეტში შემომსვლელთ რომელიმე საგნის ან საგნების დამატებითი გამოცდის ჩაბარება მოთხოვოს.

მსმენელობისათვის საშუალო სასწავლებლის დასრულების მოწმობა საჭირო არ არის.

ბეჭედი [2]

შემადგენლობა

§ 2. (= 5) ქართული უნივერსიტეტი სრული უნივერსიტეტი უნდა იყოს და შემდეგ ფაკულტეტებს შეიცავდეს: 1). სიბრძნისმეტყველებისას ანუ ფილოსოფიურს ფაკულტეტს, რომელიც საისტორიო-საფილოლოგიო, აღმოსავლურ ენებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების სამეცნიერო საგნებს შეიცავს. 2. სამართლის მეცნიერების ანუ იურიდიულს ფაკულტეტს და 3. სამკურნალო ფაკულტეტს. პირველად სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი იხსნება და შემდეგ დანარჩენებიც.

§ (= 6) უნივერსიტეტში პროფესორები, კერძო დოცენტები, მეცნიერხელმძღვანელები და ლექტორები ლექციებს ქართულად კითხულობენ. ქართულადვე სწარმოებს პრაქტიკული ვარჯიშობაც.

§ (= 10) ქართული უნივერსიტეტს უფლება აქვს დოქტორის, ანუ მოძღვართ-მოძღვრობის სამეცნიერო ხარისხისათვის უნივერსიტეტთან დატოვებული ან გა-

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

რეშეთ მოსული გამოსცადოს და უკეთუ შესატყვისს ცოდნას გამოიჩინს, წარმოდგენილ დისერტაციის ფაკულტეტში განხილვისა და ჯერ ფაკულტეტშივე, ხოლო საჯარო პაექრობის დროსაც წარმოდგენილ დებულებათა და დისერტაციის დაცვის ღირსეულად ცნობის შემდგომ, დოქტორის, ანუ მოძღვართ-მოძღვრობის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭოს.

\$ (= 11) ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს შეუძლიან მეცნიერების წინაშე განსაკუთრებული ღვაწლის გამო მოძღვართ-მოძღვრობის ანუ დოქტორის სამეცნიერო ხარისხი ცნობილს მეცნიერს უგამოცდოდ და უდისერტაციოდაც პატივისცემის ნიშნად *honoris causa* [3] მიანიჭოს.

დამოკიდებულებისათვის მთავრობის დაწესებულებებთან

\$ (= 12)

\$ (= 18)

უნივერსიტეტის მართვა-გამგეობის ორგანოები:

უნივერსიტეტს სამგვარი ორგანოები აბადა:

საკანონმდებლო [4]

1. განმგებელი ორგანოები
2. სახელისუფლო
3. სასაქმისმოქმედო

გამგებელ ორგანოებად ითვლება:

- a. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო
- b. ფაკულტეტების საბჭოები
- c. გამგეობა
- d. სარევიზიო კომისია

სახელისუფლო ორგანოებად ითვლებიან:

- a. უნივერსიტეტის რექტორი
პრორექტორი [5]
- b. ფაკულტეტების დეკანები
- c. ფაკულტეტების მდივნები

საქმისმოქმედო ორგანოებად ითვლება:

- a. სამეურნეო საბჭო
- b. გამგეობის კანცელარია
- c. ნიგნოსაცავი

გამგებელი ორგანოები

I. უნივერსიტეტის საბჭოსათვის

უნივერსიტეტის საბჭოს მონაწილენი არიან ყველა დამსახურებული პროფესორები, პროფესორები [6] და დოცენტები.

უნივერსიტეტის საბჭო უზენაესი ორგანოა: იგი განაგებს ყველა საქმეებს, რომელთათვის წესდების ძალით საბჭოს დასტური საჭიროა. ყველა ძირითად საკითხების გადაწყვეტა როგორც აკადემიურ, ისე სამოსწავლო, საგამგეო და სამეურნეო დარგებითგან, აგრედე წესდების შემუშავება, შეცვლა ან შევსება, ყოველგვარ სახელმძღვანელო წესებისა და ინსტრუქციების დამტკიცება მის უფლებას შეადგენს [7].

5. ფარული კენჭისყრით ამტკიცებს ფაკულტეტების მიერ არჩეულ პირადი შემადგენლობის სამეცნიერო-სამოსწავლო ნაწილის იმ პირთ, რომელთაც უნივერსიტეტის წესდების ძალით პროფესორთა საბჭოს ნევრობის უფლება აქვს (პროფესორებს და დოცენტებს).

6. იხილავს და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭოს და გამგეობის ნევრთა მიერ აღძრულ ყველა საკითხებს, რომელნიც ეხებიან უნივერსიტეტში ახალ-ახალ დაწესებულებების შექმნას ან სამეცნიერო-სამოსწავლო ნაწილის ახალ თანამდებობის დაწესებას ან უნივერსიტეტის ისეთი საგამგეო-სამეურნეო ნაწილს ახალ თანამდებობის შემოღებას, გინდ უკვე არსებულ თანამდებობის წარმომადგენელთა რიცხვის გამრავლებას, როდესაც მათი უზრუნველყოფა საბჭოს მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის გადიდებას მოითხოვს [8].

7. უნივერსიტეტის საბჭო ურჩევს რექტორს და საბჭოს მდივანს და ამტკიცებს ფაკულტეტების დეკანებს, მდივნებს და უნივერსიტეტის ყველა სამეცნიერო-სამოსწავლო დაწესებულებათა გამგეების ფაკულტეტების მიერ არჩევას [9].

უნივერსიტეტის საბჭო იხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას და ანგარიშს.

უნივერსიტეტის საბჭო იხილავს და ამტკიცებს ფაკულტეტების აზრს უნივერსიტეტში ახალ კათედრებისა ან დაწესებულებათა დაარსების შესახებ.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

უნივერსიტეტის საბჭო ამტკიცებს ფაკულტეტების დადგენილებას სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ.

სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის შემადგენლობის პირთა დათხოვნა ან გადაყენება პროფესორთა საბჭოს უფლებას შეადგენს. ამგვარი საქმე უნდა გამგეობის ან სათანადო ფაკულტეტის მიერ იყოს აღძრული, ხოლო გადაწყვეტილება ფარულ კენჭისყრით უნდა დადასტურდეს.

უნივერსიტეტის საპატიო წევრებად არჩევა ც უნივერსიტეტის საბჭოს განსაკუთრებულს უფლებას შეადგენს.

შენიშვნა] 1. უნივერსიტეტის საპატიო წევრად შეიძლება მხოლოდ გამოჩენილ მეცნიერი ქართველი თუ უცხოელი იყოს არჩეული.

უნივერსიტეტის საბჭო ირჩევს რექტორს, სამეურნეო საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრებს, უნივერსიტეტის მდივანსა და ხაზინადარს და წიგნთსაცავის გამგეს.

უნივერსიტეტის საბჭოს წინაშე პასუხისმგებელია რექტორი, გამგეობა, ყველა დანესებულებათა გამგენი, სამეურნეო საბჭო, სარევიზიო კომისია და წიგნსაცავის გამგე.

ფაკულტეტის საბჭოსათვის

ფ. ფაკულტეტის საბჭოში მონაწილეობას იღებენ დამსახურებული პროფესორები, პროფესორები და დოცენტები [10], პროზექტორები, ასისტენტები და ლექტორები. ამ ორს უკანასკნელს ჯგუფს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სამეცნიერო ხარისხი და უ-ტში ორი წლის სამსახურის დროს გამოცდილება მოეპოვება.

ფ. ფაკულტეტის] საბჭოს უფლებას შეადგენს:

a. სამოსწავლო საქმეზე ზრუნვა და გეგმების შედგენა, ახალ კათედრების დაწესების საჭიროების შესახებ უნივერსიტეტის] საბჭოში მოხსენების და შუამდგომლობის წარდგენა;

b. მოსწავლე პროფესორთა დასახელება, წინასწარი არჩევანი და უნივერსიტეტის საბჭოში დასამტკიცებლად წარდგენა;

c. პრაქტიკულ] ვარჯიშობის ხელმძღვანელთა, პროზექტორების, ლექტორების, ასისტენტებისა და ორდინატორების არჩევა და ამის შესახებ უნივერსიტეტის საბჭოსა და გამგეობისათვის ცნობების მიწოდება;

d. უნივერსიტეტთან სამეცნიერო და საპროფესორო მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად დატოვება;

e. სტუდენტებისა, სწავლა დამთავრებულთა, დატოვებულებისა და სამეცნიერო ხარისხის მაძიებელთათვის გამოცდების დაწესება, დანიშვნა და დაჭერის შესახებ შეფასების მონაწილეობის მიცემა;

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

f. სამეცნიერო ხარისხის მისაღებად წარმოდგენილი გამოკვლევების განხილვა და პაექრობისა და დაცვის შემდგომ მოძღვართ-მოძღვრობის (დოქტ[ორის]) ხარისხის მინიჭება;

g. საპრემიოდ წარმოდგენილი თხზულებათა განხილვა და დაჯილდოვება;

i. სანიგნოსაცავო კომისიის წევრთა არჩევა.

პროფესორთა, კერძო დოცენტთა, მეცნიერ-ხელმძღვანელთა და ლექტორების სამეცნიერო შრომების დასაბეჭდავად დასტურის მიცემა და ქონებრივ სახსრის განსაზღვრა.

სამეურნეო საბჭოსათვის

სამეურნეო საბჭო შესდგება გამგეობის, პრორექტორისა [11] და უნივერსიტეტის საბჭოს ორი წარმომადგენლისაგან და [12] თვითოეულ ფაკულტეტის საბჭო სამეურნეო საბჭოში თითო წარმომადგენელს, პროფესორსა გზავნის სამი წლის ვადით. პრორექტორი თავმჯდომარეა სამეურნეო საბჭოსი [13].

სამეურნეო საბჭოს მოვალეობაა:

უნივერსიტეტის შენობას თვალყური ადევნოს და როდესაც შეკეთება ან გადაკეთება მიშენება, ან ახლად აგება, ან ავეჯეულობის შექმნაა საჭირო, ხარჯთაღრიცხვა, გეგმები და მოხსენება, პირობის და ყოველგვარ სამეურნეო საქმის წერილები და საჯარო ვაჭრობის პირობები დაამზადოს.

სამეურნეო საჭირომ ყველა დამზადებული საბუთები უნდა წარუდგინოს:

1. შენობის შეკეთების, სამეურნეო ხარჯების და ავეჯეულობის შექმნის შესახებ უნივერსიტეტის გამგეობას დასამტკიცებლად;

2. შენობის გადაკეთებისა, მიშენების და ახლად აგების შესახებ გამგეობას განსახილველად და უნივერსიტეტის საბჭოს დასამტკიცებლად.

სამეურნეო საბჭო მოვალეა შექმნილი ყოველგვარი სამეურნეო სახმარი და ავეჯეულობა, აგრედვე შეკეთებული ან გადაკეთებული, ან მიშენებული, ან ახლად აგებული შენობა გასინჯოს, ჩაიბაროს და შესაფერისი ოქმი შეადგინოს და ყოველგვარი გასამართლებელი საბუთები უნივერსიტეტის გამგეობას ჩააბაროს [14].

სარევიო კომისია

უნივერსიტეტის სამდივნოსათვის

დანესებულებათათვის

უნივერსიტეტის წიგნისაცავი

წყარო: ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე 25. ფ. 1 – 22.

შენიშვნები და კომენტარები:

აქ მოთავსებული უნივერსიტეტის ძირითადი დებულებების თავდაპირველი ვარიანტი დაწერილია ივანე ჯავახიშვილის მიერ პრიალა თაბახის ფურცლის ნახევარზე შავი მელნით.

1. ეს ხომ საბოლოოდ დამუშავებული ტექსტი არაა და ამ ადგილას წინადადებაც გაუმართავია.
2. ასეა ფურცლის ბოლოს მინერილი. ალბათ, უნივერსიტეტის ბეჭედზე უნდა ყოფილიყო საუბარი.
3. ასე წერია.
4. შემდეგაა ჩამატებული.
5. შემდეგაა ჩამატებული. როგორც ეტყობა, ივანე ჯავახიშვილი თავიდან პრორექტორის თანამდებობაზე არ ფიქრობდა და იგი მოგვიანებით დაამატა.
6. **„პროფესორის“** წინ ეწერა **„ექსტრაორდინარი და ორდინარი“**. ეს სიტყვები გადაშლილია, რადგან ივანე ჯავახიშვილმა მოგვიანებით პროფესორთა ამგვარი წოდებები უარყო. ხოლო შემდეგ წერებულა **„პროფესორის მოადგილენი“**. ესეც გადაშლილია.
7. ამის შემდეგაც (მუხლები 5, 6, 7) ივანე ჯავახიშვილის ხელია, მაგრამ კალმის მიხედვით სხვა დროს დაწერილს ჰგავს: უფრო წვრილი ხაზებია და მეტად მკაფიო.
8. ამის შემდეგ ჩამატებულია 1 ფურცელი.
9. კვლავ თავდაპირველი ფურცლები გრძელდება.
10. წერებულა და გადაშლილია: **„პროფესორების| მოადგილენი, მეცნიერ-ხელმძღვანელნი და ლექტორები“**. ასევე წერებულა **„კერძო დოცენტები“** და სიტყვა **„კერძო“** წაშლილია.
11. ადრე **„პრორექტორის“** ნაცვლად **„ერთი წარმომადგენლისა“** წერებულა ანუ **„გამგეობის ერთი წარმომადგენელი“** იგულისხმებოდა, რომელიც გადახაზულია.
12. აქ გადახაზულია შემდეგი წინადადება: **„როდესაც ქართული უნივერსიტეტი სრულ უნივერსიტეტად იქცევა, მაშინ“**.
13. წინადადება **„პრორექტორი თავმჯდომარეა სამეურნეო საბჭოსი“** შემდეგაა ჩამატებული. ეს მელნის ფერსაც ეტყობა, უფრო მკრთალია. მან ხომ ზემოთ თავდაპირველი ვარიანტის **„გამგეობის ერთი წარმომადგენელი“** გადახაზა და მის ნაცვლად **„პრორექტორი“** ჩაწერა. აქ ეს ცვლილება სათანადოდ ასახა და პრორექტორს შესაბამისი ფუნქცია მიანიჭა.
14. ამის შემდეგ მხოლოდ სათაურებია მოცემული და სათანადო მუხლები კი არა.

ქართული უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი [1]

§ 1. ქართული უნივერსიტეტი ტფილისში უმაღლესი სამეცნიერო-სამოსწავლო ავტონომიური დაწესებულებაა: სამეცნიერო-სამოსწავლო სფეროშია და საუნივერსიტეტო მართვა გამგეობისა და შინაურ მეურნეობის მხრივ იგი სრულეობით დამოუკიდებელია და ყველა ამ საქმეებს თვითვე განაგებს.

§ 2. ქონებრივ სახსარს ქართულ უნივერსიტეტს „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება აძლევს“.

§ 3. ქართულ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო და გამგეობა თვითვე ადგენს უნივერსიტეტის ყოველწლიურს წინასწარ სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას, რომელიც ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობამ და წევრთა წლიურმა კრებამ მხოლოდ ქონებრივად შესაძლებლობის მხრივ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს. ამ დამტკიცებულ სავარაუდო ყოველწლიურ ხარჯთაღრიცხვისა და მიხედვით უნივერსიტეტის გამგეობას საგანგებო ინსტრუქციისა და თანახმად ბანკში შენახული ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების სახარჯო თანხითგან თვითვე გამოაქვს ფული და უნივერსიტეტის ყველა ხარჯებს ისტუმრებს. **(იხ. ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების წესდების მე-20-ე და 22 მუხლი)**

§ 4. უნივერსიტეტის გამგეობა მოვალეა თვედათვე გატანილ ფულის რაოდენობა და დანიშნულება დამხმარე საზოგადოების გამგეობას აცნობოს. ხოლო ამავე საზოგადოების საკონტროლო საბჭოს ამასთანავე განუელ ხარჯების გასამართლებელი საბუთებიც გამოუგზავნოს ხოლმე. **(ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების წესდების § 21)**

§ 5. ქართული უნივერსიტეტი სრული უნივერსიტეტი იქმნება და შემდეგ ფაკულტეტებს უნდა შეიცავდეს: 1. სიბრძნის მეტყველების ანუ ფილოსოფიურს ფაკულტეტს, რომელშიაც საისტორიო-საფილოლოგიო, აღმოსავლეთის ენებისა და სამატემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების საგნები შედის. 2. სამართლის მეცნიერების, ანუ იურიდიულს ფაკულტეტს და 3. სამკურნალო ფაკულტეტს. პირველად ფილოსოფიური ფაკულტეტი იხსნება და შემდეგ თანდათანობით დანარჩენებიც.

§ 6. პროფესორები, კერძო დოცენტები, მეცნიერი ხელმძღვანელები და ლექტორები უნივერსიტეტში ლექციებს ქართულად კითხულობენ. ქართულადვე სწარმოებს პრაქტიკული ვარჯიშობაც.

§ 7. ქართულ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობენ და ასწავლიან პროფესორები, კერძო დოცენტები, მეცნიერი ხელმძღვანელები და ლექტორები. პროფესორად მეცნიერს ჯერ ფაკულტეტის საბჭო ირჩევს, ხოლო შემდეგ პროფესორთა საბჭო ამტკიცებს. ხელმძღვანელს და ლექტორს შესატყვის პროფესორის წინადადებისამებრ ფაკულტეტის საბჭო ამტკიცებს.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

შენ. 1. ქართულ უნივერსიტეტისათვის პროფესორთა პირველად მოსანვევად ქართულ უნივერსიტეტის გამგეობამ უნდა სამს რუსეთის უნივერსიტეტების ან უმაღლეს სასწავლებლის სამეცნიერო ხარისხის მქონებელს მეცნიერს მიჰპარტოს და მომავალ ქართულ უნივერსიტეტის პირველ პროფესორთა მოწვევა, სანამ პროფესორთა საბჭო შესდგება, მათი მოვალეობაა [2].

§ 8. ქართულ უნივერსიტეტში მხოლოდ ერთი სამეცნიერო მოძღვართ-მოძღვრობის (დოქტორის) ხარისხია.

§ 9. ქართულ უნივერსიტეტში პროფესორობა და კერძო დოცენტობა შეუძლიან მხოლოდ იმ მეცნიერს, რომელსაც ან მოძღვართ-მოძღვრობის სამეცნიერო ხარისხი აქვს, ან რუსეთის ერთ-ერთი უნივერსიტეტის სამაგისტრო (გინდ სადოქტორო), ხოლო უცხოეთის უნივერსიტეტების სადოქტორო ხარისხი, მაგრამ ისეთი კი, რომ დიპლომი და დისერტაცია განხილული უნდა იყოს ფაკულტეტის მიერ.

შენ. 1. თუ რომ რუსეთის რომელსამე უმაღლეს სამეცნიერო სასწავლებელში ვისმეს უხარისხოდაც პროფესორობა, ან დოცენტობა მოპოვებული აქვს, ქართულ უნივერსიტეტის გამგეობას და პროფესორთა საბჭოს განსაკუთრებულ შემთხვევაში შეუძლიან ისინიც ქართულ უნივერსიტეტის პროფესორად მიიწვიოს.

შენ. 2. ვისაც სამეცნიერო ხარისხისათვის რუსეთის უნივერსიტეტში მხოლოდ გამოცდა აქვს ჩაბარებული, დისერტაცია კი ჯერ არ დაუცავს, სანამ დისერტაციას დაიცავდეს, პროფესორის მოვალეობის აღმსრულებლად ითვლება.

§ 10. ქართულ უნივერსიტეტს უფლება აქვს მოძღვართ-მოძღვრობის სამეცნიერო ხარისხისათვის უნივერსიტეტთან დატოვებული ან გარეშეთ მოსული გამოსცადოს და უკეთუ შესატყვის ცოდნას გამოიჩინოს, წარმოდგენილი დისერტაციის ფაკულტეტში განხილვისა და ჯერ ფაკულტეტშივე, ხოლო შემდეგ საჯაროდაც დავის ღირსეულად ცნობის შემდგომ მოძღვართ-მოძღვრობის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭოს.

§ 11. ქართულ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს შეუძლიან მეცნიერების წინაშე განსაკუთრებულ ღვაწლის გამო მოძღვართ-მოძღვრობის (დოქტორის) სამეცნიერო ხარისხი ცნობილს მეცნიერს უგამოცდოდ და უდისერტაციოდაც პატივისცემის ნიშნად *Honoris causa* მიანიჭოს.

§ 12. უნივერსიტეტის გამგეობა ყოველწლიურად სამოსწავლო უწყებას ლექციების ნუსხას უგზავნის და პროფესორთა, კერძო დოცენტობის, მეცნიერ ხელმძღვანელთა და ლექტორობის შემადგენლობისა და იმათ განათლებისა და სამეცნიერო ცენტრის შესახებ ცნობას აწვდის.

§ 13. ქართულ უნივერსიტეტის სტუდენტებად შეიძლება ორთავე სქესის პირნი იყვნენ, რომელთაც საშუალო სასწავლებელი უნდა ჰქონდეთ გათავებული.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

თვითეულს ფაკულტეტს უფლება აქვს, თუ საჭიროდ სცნობს, უნივერსიტეტში შემომავალი რომელიმე საგნის ან საგნების დამატებითი წინასწარი ცოდნა მოსთხოვოს.

§ 14. სტუდენტებს გარდა, ქართულ უნივერსიტეტში, ორთავე სქესის თავისუფალი მსმენელნიც არიან.

§ 15. სტუდენტები და თავისუფალი მსმენელნი უნივერსიტეტის სასარგებლოდ ლექციების მოსმენის უფლებისათვის ფულს იხდიან, რომლის რაოდენობა პროფესორთა საბჭოს მიერ უნდა იყოს განსაზღვრული.

§ 16. ქართ[ული] უნივერსიტეტის გამგეობა სტუდენტებს და თუ მოისურვებენ თავისუფალ მსმენელებსაც უნივერსიტეტში ლექციების მოსმენისა, მუშაობის და გამოცდების დაჭერის შემდგომ შესაფერის მონომობას აძლევს.

§ 17. ნიჭიერ და სამეცნიერო კვლევა-ძიების უნარის პატრონს სწავლადამთავრებულ სტუდენტებს პროფესორთა წინადადებით თვითეულ ფაკულტეტის პროფესორთა საბჭო უნივერსიტეტთან სტოვებს სამეცნიერო კვლევა-ძიებაში დასაწინაურებლად და შემდეგ თვით საპროფესოროდ მოსამზადებლადაც.

§ 18. ქართ[ულ] უნივერსიტეტის პროფესორები, მეცნიერი ხელმძღვანელნი, ლექტორები და უნივერსიტეტთან დატოვებულნი სანამ უნივერსიტეტს ემსახურებიან სამხედრო ბეგარისაგან არიან განთავისუფლებულნი.

§ 19. ქართ[ულ] უნივერსიტეტის სტუდენტებს სწავლის დამთავრებამდე საერთო სახელმწიფო კანონებისდა მიხედვით სამხედრო ბეგარის მოხდის ვადა ეძლევათ.

§ 20. ქართ[ულ] უნივერსიტეტს საკუთარი ბეჭედი აქვს.

თ[ავადი] კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზი

გიორგი დურმიშხანის ძე ყურული

ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილი

ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი

იასონ მერაბის ძე ლორთქიფანიძე

წყარო: ფონდი 471, I. საქმე 24, ფ. 70-72.

შენიშვნები და კომენტარები:

1. დოკუმენტი პირველად გამოაქვეყნა თ. ტაბლიაშვილმა. იხ. „საისტორიო მოამბე“ №21-22. გვ. 336-339. მასში მითითებულია: „[1917 წელი. ქართული უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებანი, შედგენილი ივანე ჯავახიშვილის მიერ. დედანი, სანერ მანქანაზე დაბეჭდილი. საბუთს თარიღი არა აქვს, იგი დადგენილია სხვა საბუთების მიხედვით. შესწორებები და დამატებები შეტანილია ივანე ჯავახიშვილის ხელით. ხელრთვა „ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი“, ავტოგრაფია“.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

წინამდებარე გამოცემა ემყარება არქივისეულ დედანს. შავი შრიფტით დაბეჭდილია ივანე ჯავახიშვილის მიერ შეტანილი შესწორებები და ხელმოწერები.

ეს არის ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი და უნივერსიტეტის საზოგადოების კომისიის სხდომაზე 1917 წლის 22 ივნისს განხილული და მიღებული უნივერსიტეტის წესდების ძირითად დებულებათა ტექსტი (საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, აღ. I. საქმე 1. ფ. 23), რომლის რუსული ვარიანტი წარედგინა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტს დასამტკიცებლად.

1917 წლის 22 ივნისს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების კრებას ივანე ჯავახიშვილმა წარუდგინა როგორც ამ საზოგადოების წესდების, ისე უნივერსიტეტის წესდების ძირითად დებულებათა პროექტები. ამის შესახებ ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების კრების ოქმში ვკითხულობთ: **„მომხსენებელმა თავ. ი. ა. ჯავახიშვილმა წაიკითხა შესწორებული რედაქცია ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტის საზოგადოების წესდების პროექტი და თვით უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი“** (საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471. აღ. I. საქმე 1. ფ. 23.) კრებამ ერთხმად მიიღო საზოგადოების წესდება და უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებანი. **„როგორც საზოგადოების წესდება, აგრეთვე უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი, მცირე შესწორებით, რომელიც სხდომაზევე იყო შეტანილი წაკითხულ პროექტებში, – კრებამ ერთხმად მიიღო.“** – ვკითხულობთ საზოგადოების კრების ოქმში (იქვე, ფ. 23).

რაც შეეხება ამ დებულებათა მუხლების განმარტებას, ასეთი მოხსენება ივ. ჯავახიშვილმა საზოგადოებას მოახსენა 1917 წლის 3 ოქტომბერს. ამის შესახებ ოქმში აღნიშნულია: ივანე ჯავახიშვილმა **„... აღწუსა მთავარი თეზისები თავისის მოხსენებისა, რომელიც წაკითხული იყო საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზედ (ივლისსხმება 1917 წლის 12 მაისი. დ.ს.) გააცნო საზოგადოებას მთავარი მუხლები წესდებისა და უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი“** (საქართველოს უახლესი ისტ. არქივი, ფონდი 471. აღ. I. საქ. 3. ფ. 2).

1917 წლის 20 სექტემბრის უნივერსიტეტის საზოგადოების კრების ოქმში ვკითხულობთ: **„დასასრულ თავ. ი. ა. ჯავახიშვილმა დასძინა, რომ წინასწარ განძრახულის კრებისა, [3] გაზეთებში დაბეჭდილი იქნება წესდება საზოგადოებისა. ძირითადი დებულებანი უნივერსიტეტისა და მისი მოხსენება უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ“** (საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471. აღ. I. საქმე 1. ფ. 41). პრესაში მართლაც გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის მოხსენება, უნივერსიტეტის საზოგადოების წესდება, მაგრამ უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებანი კი არა.

2. შავად მოცემული (გაბოლდებული) ადგილები ივანე ჯავახიშვილის მიერ ხელითაა ნაბეჭდში მიწერილი.
3. დედანში ასე წერია: **„წინასწარ განძრახულის კრებისა“**, მანქანაზე ბეჭდვის ლაფსუსია. უნდა ეწეროს: **„წინასწარ კრების მიერ განძრახულის მიხედვით“**.

ОСНОВНЫЕ ПОЛОЖЕНИЯ УСТАВА ГРУЗИНСКОГО УНИВЕРСИТЕТА

§ 1. Грузинский Университет в Тифлисе представляет собою высшее научно-учебное автономное учреждение: в сфере учено-учебной, административной и внутренне-хозяйственной он вполне независим и всеми делами ведает самостоятельно.

§ 2. Груз. Университету финансовые ресурсы доставляет «Общество Грузинского Университета».

§ 3. Совет профессоров и правление Груз. Университета ежегодно сами составляют предварительную смету расходов груз. Университета, которую правление и общее годовое собрание членов общества Груз. Университета должны рассмотреть лишь с точки зрения финансовой осуществимости и утвердить. Руководясь этой утвержденной предварительной сметой, правление Груз. Университета согласно специальной инструкции само по мере надобности выносит необходимые денежные суммы из расходного фонда Общества Груз.Университета, хранящегося в банке, и покрывает все расходы и счета университета (см. §§ 20 и 22 Устава О-ства Груз. Унив.).

§ 4. Правление Груз. Университета обязано ежемесячно извещать Правление Об-ства Груз. Университета о размерах и назначении вынесенных из банка сумм, а контрольному совету вместе с тем препровождать и оправдательные документы всех произведенных расходов.

§ 5. Груз. Университет должен быть полным Университетом и включать в себе следующие факультеты: 1) Философский, равняющийся факультетам историко-филологическому, восточных языков и физико-математическому. 2) Юридический и 3) Медицинский. Сначала открывается философский факультет, а затем постепенно и другие факультеты.

§ 6. Лекции читаются и практические занятия в Груз.Университете ведутся на груз. языке.

§ 7. В Груз. Университете лекции читаются и занятия ведутся профессорами, приват-доцентами, учеными руководителями и лекторами. Профессоров избирает совет факультета и утверждает совет профессоров Университета; ученых руководителей и лекторов утверждает, по представлению соответствующего профессора, совет факультета. ПРИМЕЧ.1. Для выбора первоначального состава профессоров вновь открывающегося Груз. Университета Правление Общества обращается к трем ученым, обладающим ученой степенью и преподающим в Рос.

Университетах, которые сообщают приглашают лиц первоначального профессорского персонала до тех пор пока составят профессорскую коллегию.

§ 8. В Груз. Университете только одна научная степень модзварт-модзвари или доктора.

§ 9. Профессором или приват-доцентом Груз.Университета может быть лишь ученый, обладающий ученой степенью Модзварт-Модзвара или доктора Груз. Университета, либо магистра (и доктора) одного из Российских Университетов, или степенью доктора одного из иностранных университетов при условии рассмотрения факультетов докторского диплома и диссертации.

ПРИМЕЧ. 1. Имеющий без степени профессуру или доцентуру в одном из Рос. Университета или друг. Высших учебн. Заведений в исключительных случаях может быть приглашен профессором и советом профессоров Груз. Университета.

ПРИМЕЧ. 2. Магистрант одного из Российских Университетов, не защитивший магистерской диссертации, до защиты считается исполняющим обязанности профессора.

§ 10. Груз. Университет имеет право подвергать оставленного при Груз. Университете, либо удовлетворяющего требованиям экстерна, испытанию на степень доктора, а после сдачи экзаменов, удовлетворительной защиты представленной диссертации в факультетском заседании и на публичном диспуте представлять диссертанту ученую степень доктора (Модзварт-Модзвара) избранной научной дисциплины.

§ 11. За выдающиеся научные заслуги Совет Профессоров Груз. Университета может удостоить ученого ученой степени honoris causa и без специального экзамена и защиты диссертации – степенью доктора (Модзварт-Модзвара).

§ 12. Правление Университета ежегодно сообщает учебному ведомству обозрение лекций и преподавания личный состав профессоров, приват-доцентов, ученых руководителей и лекторов и сведения об их научном и образовательном цензе.

§ 13. Студентами Груз.Университета могут быть лица обоего пола, окончившие курс в средних учебных заведениях. Каждый из факультетов может заблаговременно потребовать дополнительно предварительные знания по одному или нескольким предметам.

§ 14. В Груз. Университет принимаются вольнослушателями лица обоего пола.

§ 15. Студенты и вольнослушатели уплачивают университету плату за право слушания лекций и за практические занятия, размер которой устанавливается советом профессоров.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

§ 16. Правление Груз.Университета студентам (если пожелают и вольнослушателям) прослушавшим установленный курс лекций и выполнившим обязательные практические занятия, а также сдавшим экзамены, выдает соответственные свидетельства.

§ 17. Обнаружившим талант и способности к научным изысканиям из окончивших курсов наук в Груз.Университете Совет факультета по представлению профессора оставляет при Груз. Университете для усовершенствования в науках, а затем и для приготовления к профессорскому званию.

§ 18. Профессора, ученые руководители, лектора и оставленные при Груз. Университете, пока служат при университете, освобождены от военной повинности.

§ 19. Студенты Груз. Университета до окончания курса имеют отсрочку по военной повинности на общем основании закона о военной повинности.

§ 20. Груз. Университет имеет собственную печать.

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო არქივი, ფონდი 2081, ანაწერი I, საქმე №191, ფ. 8-9.

შენიშვნები და კომენტარები:

დოკუმენტი პირველად ქვეყნდება. იგი რუსულ ენაზე დაწერილი და მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტია, რომელშიც კორექტორული შეცდომები გასწორებულია ივანე ჯავახიშვილის მიერ. რამდენიმე ადგილას შავი მელნით ცალკეული ფრაზებიც კია ჩამატებული. ეტყობა, ეს დოკუმენტი ოფიციალურ დაწესებულებებისადმი, ალბათ ამიერკავკასიის კომისარიატისადმი, წარდგენილი ვარიანტია, რადგანაც ამ დოკუმენტს მოცემულ საარქივო საქმეში წინ უძღვის მიმართვა ამიერკავკასიის კომისარიატისადმი (საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო არქივი, ფონდი 2081, ანაწ. I. საქმე №191. ფ. 6). მას თან ახლავს ასევე რუსულ ენაზე დაწერილი „ქართული უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებების განმარტებით ბარათი“.

ОБЪЯСНИТЕЛЬНАЯ ЗАПИСКА КЪ ОСНОВНЫМ ПОЛОЖЕНИЯМЪ УСТАВА ГРУЗИНСКОГО УНИВЕРСИТЕТА

Грузинский Университет предназначал в своей будущей деятельности те же научные задачи, которые общи университетам всех стран и народов. Но сверх того своей первейшей и ближайшей задачей Груз. Университет считает всестороннее научное изучение прошлого и современности человека и природы Грузии, Кавказа и Ближнего Востока. По этой-то причине программа лекций Груз. Университета в вышеуказанных областях знания будет соответственно обширна, включая в себе такие дисциплины, каковые совокупно в этом виде и с этой точки зрения еще не были намечены в качестве предметов научного изучения и университетского преподавания. Особенно широко предположено поставить грузиноведение, наприм. грузинское языкознание, изучение груз. диалектологий и кавказоведения, будет введено чтение лекции: по груз. эпиграфике и палеографии, по экономической истории Грузии, по современному экономическому положению Грузии, Кавказа и ближнего Востока, по аграрному вопросу в Грузии, по груз. церковной истории, по истории груз. светской литературы, по истории груз. Искусства. Сверх обычных лекции предполагается постепенно организовать чтение лекции по персидско-грузинской, византийско-грузинской, армяно-грузинской, турецко-грузинской литературам и истории и по друг. На юридическом факультете кроме обычных лекций по истории и догм римского права должны быть лекции и по истории византийского права, по истории груз. права, по груз. и кавказскому обычному или адатному праву и по истории мусульманского права. По ряду естественных наук особенное внимание будет обращено всестороннее изучение природы Грузии, Кавказа и Ближнего Востока, а также вопросы из области медицины тропических стран.

Соответственно к другим высшим учебным заведениям России, высокий научный уровень и достоинство преподавательского персонала Грузинского Университета и самого учреждения гарантируются тем требованием, по которому согласно § 9-му Основных положений Груз. Университета, профессором Груз. Университета может быть лишь лицо обладающее ученой степенью доктора или «модзгварт-модзгвара». Разница между груз. университетом и Российскими университетами заключается лишь в том, что в Уставе Груз. Университета принята только одна ученая степень доктора. Но такого же принципа придерживается «проект главных положений устава университета, выработанный Советом Императорского С.Петербургского Университета» в 1905 году, в котором упоминается также лишь одна ученая степень доктора, равняющаяся прежней, да и теперь существующей, первой

ученой степени магистра – В § 73 упомянутого проекта сказано: «Никто не может быть профессором, не имея степени доктора одного из российских университетов. Примечание. ЛИЦА, УДОСТОЕННЫЕ МАГИСТРА ПО УСТАВАМ 1863 и 1884 г.г. ПРИРАВНИВАЮТСЯ ПО ПРАВАМ ПО НАСТОЯЩЕМУ УСТАВУ К ДОКТОРАМ (стр.24). И из § 65 явствует, что совет С.Петербургского Университета признавал необходимой лишь одну ученую степень доктора (стр.22-23).

Хотя это положение об одной ученой степени (доктора) полностью и не вошло в проект общего Устава Российских университетов, выработанный в 1905 году Министерством Народного Просвещения на основании мнения представителей всех российских университетов, и там сказано: «Удерживаются и впредь две ученые степени, магистра и доктора, по разрядам наук, кои соответствуют факультетским кафедрам, с распространением означенных двух степеней и на медицинский факультет, где доселе существовала лишь одна ученая степень» доктора медицины (объяснительная записка к проекту общего устава Императорских российских университетов. С.П.Б. 1905 г., стр.28). Но и в этом проекте прежний принцип не избег изменения и для получения профессуры по данному проекту имеет реальное значение лишь одна, именно первая, ученая степень магистра. Там сказано: «УСЛОВИЯ ЗАМЕЩЕНИЯ ПРЕПОДАВАТЕЛЬСКИХ ДОЛЖНОСТЯМИ ИЗМЕНЯЮТСЯ В ТОМ СМЫСЛЕ, ЧТО КАК ШТАТНЫМ ДОЦЕНТАМ, ТАК И ЭКСТРАОРДИНАРНЫМ ПРОФЕССОРАМ МОЖЕТ БЫТЬ ЛИЦО, ИМЕЮЩЕЕ СТЕПЕНЬ МАГИСТРА, и лишь для получения высшего оклада, присвоенного должности ординарного профессора, требуется высшая ученая степень – доктора» (28 IX). Эта же мысль в другом месте «Объяснительной Записки» высказана еще отчетливее: «СОГЛАСНО ПРОЕКТУ НОВОГО УСТАВА ДЛЯ ЗАНЯТИЯ НЕ ТРЕБУЕТСЯ НЕПРЕМЕННО ДОКТОРСКОЙ СТЕПЕНИ КАК НЫНЕ: МАГИСТР, Т.Е. УЧЕНЫЙ, ЗАЯВИВШИЙ СЕБЯ ХОТЯ БЫ ОДНОЙ ДЕЛЬНОЙ, САМОСТОЯТЕЛЬНОЙ РАБОТОЙ, МОЖЕТ, ТАКИМ ОБРАЗОМ, ПОЛУЧИТЬ СРАЗУ ИЗВЕСТНОЕ МАТЕРИАЛЬНОЕ ОБЕЗПЕЧЕНИЕ В КАЧЕСТВЕ ШТАТНОГО ДОЦЕНТА, А ЗАТЕМ И ВИДНОЕ ПОЛОЖЕНИЕ В КАЧЕСТВЕ ЭКСТРАОРДИНАРНОГО ПРОФЕССОРА» (ibid. Стр.176). Следовательно вторая ученая степень и по проекту нового устава имеет значение «Лишь для получения высшего оклада». А так как по уставу в Груз. Университете деления на экстраординарных и ординарных профессоров не существует и размеры профессорского оклада повышаются сообразно с количеством лет службы в университете, то совершенно ясно, принцип необходимости лишь одной ученой степени для получения профессуры, принятый в груз. Университете, в основных чертах вполне гармонирует с общим духом проекта нового устава российских университетов и общим стремлением рус. Академических сфер.

Одной из отличительных особенностей представленных основных положений будущего грузинского университета должно быть признано как будто-бы и то положение, что в Груз. Университете может быть профессором и ученый, обладающий ученой степенью доктора одного из заграничных университетов. Но и это положение не находится в противоречии с общим духом российских университетских ученых и деятелей. Это видно хотя бы и из «проекта главных положений устава университета», выработанного в 1905 году советом С.Петербургского Университета, в § 65 которого говорится: «Доктора иностранных университетов могут быть приравняемы соответственными факультетами к кандидатам или к докторам российских университетов по рассмотрению их дипломов и трудов» (стр. 23). Очевидной и с этой стороны устав Груз. Университета согласуется с стремлением российских университетских ученых, так как в основных положениях будущего Груз. Университета имеется годовое требование о предварительном размострении дипломов и трудов приглашаемых профессорами ученых, так как в основных положениях будущего Груз. Университета имеется годовое требование о предварительном рассмотрении дипломов и трудов приглашаемых профессорами ученых.

Из остальных §§-ов Основных положений Устава Груз. университета заслуживает упоминания тот, в котором указано, что студенты груз. Университета до окончания курса в Университете пользуются на общем основании льготной отсрочкой по отбыванию воинской повинности. Такой же льготной отсрочкой пользуются и студенты частных высших учебных заведений в России, как наприм. Психоневрологического Института в Петрограде, Комерческого Института в Москве и др., а также студенты, учащиеся в заграничных университетах и различных высших учебных заведениях. Следовательно и в данном случае Груз. Университету будет предоставлена не исключительная привилегия, а произойдет лишь распространение уже принятого в России относительно частных высших учебных в России и заграничных высших учебных заведениях порядка и давно существующей практики.

Особенной отличительной чертой Груз. Университета является, собственно говоря, только то, что лекции и практические занятия в нем будут вестись на груз. языке. Частные университеты и др. Высшие учебные заведения могли это осуществить и прежде, еще до революции, на основании закона 1 июня 1914 г. Теперь же, когда необходимость безотлагательного осуществления национализации школы всех типов торжественно признана всероссийским учительским съездом, всеми социалистическими, демократическими и националистическими партиями, а также съездами представителей советов рабочих, солдатских и крестьянских депутатов всей России, да и само Министерство Народного Просвещения, по

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

сообщении телеграфного агенства, решило открыть на государственный счет украинские гимназии даже для издания учебников на украинском языке требует ассигнования из сумм государственного казначейства 20000 рублей, а в Киевском Университете по распоряжению Министра Народного Просвещения уже с осени текущего года вводится чтение лекций по некоторым предметам на украинском языке, - после всего этого совершенно ясно, что Груз. Университет, основываемый на средства частного «Общества Груз. Университета», имеет неоспоримо право вести чтение лекций и всех практических занятий на грузинском языке.

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო არქივი, ფონდი 2081, ანაწერი I, საქმე №19, ფ. 10-12.

შენიშვნები და კომენტარები:

დოკუმენტი პირველად ქვეყნდება. იგი რუსულ ენაზე დანერვილი მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტია, რომელშიც კორექტორული შეცდომები გასწორებულია ივანე ჯავახიშვილის მიერ. იგი ახლავს ასევე რუსულ ენაზე შედგენილ „ქართული უნივერსიტეტის წესდების ძირითად დებულებებს“, რომელიც იმავე საქმეშია დაცული.

უნივერსიტეტის დაარსების ღონისძიებები

დღის წესრიგი

მოსახსენებელი და განსახილველი საკითხები:

1. მოხსენება იმის შესახებ, [რომ] პეტერბურგში წერილი გავაგზავნე, რომ ზ. ავალიშვილმა მომგებიანი სესხის მოწყობის შესახებ ყველაფერი შეიტყოს და გვაცნობოს.
2. მოხსენება და განხილვა საზოგადოების წესდებისა.
3. საფინანსო გეგმის შემუშავება.
4. ცნობა სამათემატიკო-საფიზიკო განყოფილების ეხლავე გახსნის შესახებ.
5. პროფესორების, მეცნიერ ხელმძღვანელთა, ლექტორებისა და დატოვებულთათვის გასამრჯელოს განსაზღვრა, რომ სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის შედგენა შესაძლებელი იყოს.
6. სტუდენტებისა და თავისუფალ მსმენელებისათვის სწავლის ფულის განსაზღვრა.
7. მომავალ ქუთათურ-ბაქოელთა შეერთებული კრების დრო და მოწვევა.
8. კომიტეტის ჩვეულებრივ კრებებისათვის დღის არჩევა.

წყარო: საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი I, საქმე 25, ფ. 44.

შენიშვნები და კომენტარები:

დანერვილია ივანე ჯავახიშვილი მიერ შავი მელნით პრიალა, მაღალი ხარისხის ოთხკუთხა, კვადრატული ფორმის ფურცელზე. ეს არის ივანე ჯავახიშვილის ხელით დანერვილი გეგმა მომავალი კრებისათვის, რომელიც გაიმართა 15 ივნისს, ვინაიდან მან ლატარიის შესახებ საკითხი სწორედ ამ დღეს კრებაზე ახსენა პირველად. ოქმში ვკითხულობთ: „ი. ა. ჯავახიშვილმა აცნობა კრებას, რომ იგი შეეკითხა წერილით პეტროგრადში თავ. ზურ. დავ. ავალიშვილს საჭირო მომგებიან ლატარიის შესახებ“ (საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471. I. №1. ფ. 14).

განსახილველი საკითხები 4 ივნისი – 1917 წელი

1. სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო განყოფილებათა 1 კურსის ეხლავე გახსნის შესახებ ხარაძე და მუსხელიშვილი.
2. საპროფესოროდ მონვევის წერილების დაგზავნა და ქართ. მეცნიერთა შეკითხვა, მოისურვებენ თუ არა გადმოსვლას და როდის, ან რა პირობებით? [1].
3. დამოკიდებულება აქაურ უმაღ. საქალებო კურსებთან და მომავალ პოლიტიკონიკუმთან.
4. ქართულ მომავალ თავისუფალ უნივერსიტეტთან დატოვებისა და დატოვებულთა საკითხი და სია [2].
5. დროებ[ითი] კოლეგიუმის შედგენა და დროებით გამგეობის არჩევა.
6. წინასწარი მუშაობა:
 1. წიგნსაცავის კოლეგიუმის შედგენა
 2. კაბინეტების მოწყობის საკითხი
 3. სატერმინოლოგიო მუშაობა [3].

წყარო: საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე 25, ფ. 45.

შენიშვნები და კომენტარები:

დანერილია ივანე ჯავახიშვილის მიერ შავი მელნით პრიალა, მაღალი ხარისხის ოთხკუთხა, კვადრატული ფორმის ფურცლებზე. აქ უკვე თარიღი მოცემულია: 1917 წლის 4 ივნისი. წინა დღეს, 3 ივნისს, გაიმართა უნივერსიტეტის საზოგადოების კრება. ამ კრებაზე ივანე ჯავახიშვილმა დააყენა საკითხი, რომ „ამ საქმის მეტი დახანება არ შეიძლება“ (საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 471. I. №1. ფ. 7). ეს დოკუმენტი აჩვენებს, თუ რა ინტენსივობით მუშაობს ივანე ჯავახიშვილი, რომელიც ფუჭად ერთ ნუთსაც არ კარგავს. იგი არა მარტო თეორიულ საფუძვლებს ამზადებდა მომავალი უნივერსიტეტისათვის, არამედ არანაირ შავ სამუშაოსაც არ ერიდებოდა. მან აქტიური მოქმედება დაიწყო, თუმცა მისი თანამოაზრეები ზოზინობენ.

1. ამ კითხვას გვერდზე მინერილია „მიწეროს“.
2. ამას წინ უწერია: „აკ. შანიძე, დ. უზნაძე, ივ. ჯავახიშვილი, დეკ. კ. კეკელიძე“.
3. მინერილია: „კომიტეტი შეიტანონ ??ონოს შესახებ“.

1918 წელს I სემესტრის ლექციებისა და საგნების ნუსხა

პროფ. მოადგილე შ. ნუცუბიძე:

ფილოსოფიის შესავალი	კვირაში	1 საათს
ძველი ფილოსოფიის ისტორია	„	2 საათს [1]
საფილოსოფიო სემინარი: სტუდენტებთან და მსმენელებთან შეთანხმებით	„	2 საათს

პროფ. დ. უზნაძე:

შესავალი საექსპერიმენტო ფსიქოლოგიაში	კვირაში	2 საათს
--------------------------------------	---------	---------

პროფ. მოადგილე აკ. შანიძე:

ქართული ენის შესწავლის ისტორია [2]		
არაბული ენა	კვირაში	4 საათს
ძველი სომხური	„	2 საათს

ე. თაყაიშვილი:

ქართული სიძველეთა მეცნიერება		
ანუ არქეოლოგია	„	2 ს. [3]
მსოფლიო ისტორია	„	2 ს.

პროფ. მოადგილე გ. ახვლედიანი:

საზოგადო ენათმეცნიერება	კვირაში	2 საათს
ლათინური ენა (დასაწყისი კურსი)		

პროფ. იოს. ყიფშიძე:

ძველი ქართული	„	2 ს.
ძველი ქართული მწერლობის ისტორია	„	1 ს.

პროფ. კორ. კეკელიძე:

საეკლესიო ისტორია	„	2 ს.
-------------------	---	------

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

პროფ. ი. ა. ჯავახიშვილი:

საქართველოს ისტორია, შესავალი და საზოგადო კურსი	„	2 ს.
ქართული სამართლის წყაროები და ისტორია		1 ს.
საისტორიო სემინარი სტუდენტებთან და მსმენელებთან შეთანხმებით		

პროფ. მოადგილე ს. ავალიანი:

რუსეთისა და სლავების ისტორია	„	2 ს.
მინათმფლობელობა საქართველოში	„	1 ს.

პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი:

პოლიტიკური ეკონომია	„	2 ს.
არაბული ენა	„	4 ს. [4]

მეცნიერი ხელმძღვანელი იუს. აბულაძე:

სპარსული ენა	„	3 ს.
--------------	---	------

ლექტორი ელ. ორბელიანისა:

ფრანგული ენა	„	3 ს.
--------------	---	------

ლექტორი არტ. ლაფსტი:

გერმანული ენა	„	2 ს.
---------------	---	------

ლექტორი ილ. ყიფშიძე:

გერმანული ენა	„	3 ს.
---------------	---	------

ლექტორი ვანდა ლამბაშიძის:

ინგლისური ენა		3 საათს
---------------	--	---------

წყარო: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის პირადი ფონდი, №849.

შენიშვნები და კომენტარები:

ამ ნომრით მოცემული დოკუმენტი 13 ფურცლისაგან შედგება, მაგრამ რატომ-ღაც 14-ია მითითებული. მისი ერთი ნაწილი სხვადასხვა ზომისა და ფერის ფურცლებისაგან შედგება და დანომვრაც არეულია. ერთ ფურცელზე, რომელზეც მიწერილია რიცხვი „14“, ლექციების ცხრილია მოცემული ვიღაც უცნობის ხელით, მეორე გვერდზე კი ივანე ჯავახიშვილის მიერ ფანქრითაა მიწერილი: **„ბ-ნ კანდელაკის ტლ. № 6-25“**. გამოდის, რომ ეს განათლების სახალხო კომისრის, დ. კანდელაკის, ტელეფონის ნომერია. იგი კი საბჭოთა წლებში მოღვაწეობდა. ასე რომ, ამ ნაწილს დროის მიხედვით საერთო არაფერი აქვს მეორე ნაწილთან.

მეორე ნაწილი კი ერთგვაროვანი ფურცლებისაგან შედგება და ივანე ჯავახიშვილის მიერ დაწერილ ერთგვაროვან ტექსტს შეიცავს. იგი მართლაც 1917 წლის ამსახველია და აქაც ამის გამო წარმოვადგენთ. ეს მეორე ნაწილი რომ უნივერსიტეტის დაარსებისათვის დაწყებული მუშაობის პირველივე დღეებს ასახავს, ჩანს იქიდანაც, რომ აქ შ. ნუცუბიძე, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი და ს. ავალიანი დასახელებული არიან, როგორც „პროფესორის ამხანაგები“. ამგვარი თანამდებობა მოგვიანებით ივანე ჯავახიშვილმა უარყო. ეს ნაწილი თანმიმდევრობითაა გადანომრილი პირველიდან შვიდის ჩათვლით.

პირველ ნაწილში შემდეგი საინტერესო ინფორმაციის შემცველი მასალაცაა:

ფურცელი 3: **„ფილოს[ოფოსი] დაწელია. ახალციხის გიმნ[აზიის] მასწავლებელი. მოსკოვის უნივერსიტეტი გაათავა.“** ეს იმდროინდელია, როცა უნივერსიტეტში სერგი დაწელიას მოწვევა დადგა დღის წესრიგში და ივანე ჯავახიშვილი ამაზე ფიქრობდა. ამ ფურცელზე აგრეთვე რაღაც რიცხვებია, ეტყობა, ივ. ჯავახიშვილი რაღაცას ანგარიშობდა, თან ფიქრობდა და თან ასო გ-ს და ასო ქ-ს ხატავდა ფანქრით. მეორე გვერდზე კი ფანქრითვე წერია: **„მაჭავარიანის ბინაზეა. 11-70 დ. უზნაძე“**.

კიდევ უფრო საინტერესოა ფურცელი 13. ამ ფურცელზე ასეთი ჩანაწერია ფანქრით: **„ჯანელიძე წინათ ბიოლოგი ყოფილა. რაკი შეიძლება ყიფიანი გამოვიყენოთ გეოლოგიისათვის, იქნებ ჯანელიძე ისევ თავის დარგს დაუბრუნდეს. 4 კურსი მოსკოვის უნივერსიტეტი. დავითაშვილი. ბიოლოგოსი“**.

ცნობილია, რომ ალ. ჯანელიძე უცხოეთში იყო მივლინებული სწავლის დასასრულეებლად. მანამდე კი გეოლოგიის კურსის წაკითხვა საქართველოს მუზეუმის დირექტორს, გეოლოგ ნოე ყიფიანს მიანდეს. ამის გამო ალ. ჯანელიძე განაწყენდა და საერთოდ უარი თქვა უნივერსიტეტში მუშაობაზე. თუმცა საქმე მალე მოგვარდა და გეოლოგიის დარგს იგი ჩაუდგა სათავეში. დისერტაციის დაცვის შემდეგ ალ. ჯანელიძეს დოცენტის თანამდებობა შესთავაზეს. მან ეს ითაკილა. **„უნივერსიტეტიდან შინ დავბრუნდი და განცხადება დავწერე უშუალოდ რექტორის სახელზე. უნივერსიტეტს დიდ მადლობას მოვახსენებდი ნდობისა და ყურადღები-**

სათვის, რაც ჩემს უცხოეთში მივლინებაში გამოიხატა... გავიდა რამდენიმე დღე და რექტორმა, ბატონმა ივანემ, დამიბარა. ჩანს, განზრახული ჰქონდა დავერნ-მუნებინე, განცხადება უკან წამელო, დიდი მორიდებით და ჩვეული პატივისცემით მოვახსენე, რომ ჩემი გადაწყვეტილება საბოლოო იყო და რომ მე ვხელმძღვანელობდი არა პირადი გრძნობით, არამედ საქმის ინტერესით. რამდენადაც ეს მესმოდა. როგორც შემდეგ მითხრეს, ბატონ ივანეს ეთქვა, „გულცივი ადამიანი ყოფილა, ბატონო“ (იხ. ალ. ჯანელიძე, მოგონებანი, გვ. 157-158). მაგრამ მალე ყველაფერი მოგვარდა და გეოლოგიის საგნების გაძლოლა მთლიანად მას დაეკისრა (იქვე. გვ. 159).

1. ეს სტრიქონი მთლიანად გადახაზულია.
2. ეს სტრიქონი გადახაზულია ავტორის მიერ.
3. ე. თაყაიშვილს მხოლოდ ეს ერთი საგანი უნერია. მერე დიდი ადგილია დატოვებული. ალბათ სხვა საგნების მისამატებლად. ასეთი ცარიელი ადგილები თითქმის ყველა გვარის შემდეგაა დატოვებული. მაგრამ ქვემოთ რომ „მსოფლიო ისტორია“ წერია და მას გვერდით ლექტორის გვარი მითითებული არა აქვს, აჩენს ეჭვს, რომ იგი ე. თაყაიშვილისთვის არ იყო ნაგულისხმევი.
4. არაბული ენა ზემოთ აკ. შანიძეს ჰქონდა მიწერილი და აქ რატომ მეორდება გაუგებარია.

[საგნები, სწავლა და მასწავლებელნი, ქონებრივი სახსარი და სტუდენტები და მსმენელნი]

საგნები:

- 1). ძველი აღმოსავლეთისა და ებრაელთა [1] ისტორია (მ. წერეთელი)
- 2). ღვთისმეტყველება და დოღმატიკა
- 3). ლოლიკა, ფსიქოლოგია (დ. უზნაძე) და ფილოსოფიის ისტორია (შ. ნუცუბიძე)
- 4). ზნეობრივ მოძღვრებათა ისტორია
- 5). საეკლესიო მწერლობის ისტორია და ლიტურჯიკა (დეკ. კ. კეკელიძე)
- 6). საეკლესიო ისტორია საზოგადო და ქართული (ს. გორგაძე)
- 7). დასავლეთ [2] ევროპის ისტორია (გ. ქიქოძე) [3]
- 8). რუსეთის ისტორია (ს. ავალიანი)
- 9). საქართველოს ისტორია (ივ. ჯავახიშვილი)
- 10). საეკლესიო და სამოქალაქო სიძველეთა მცენიერება (ე. თაყაიშვილი)
- 11). საეკლესიო სამართალი
- 12). საზოგადო ენათმეცნიერება (გ. ახვლედიანი)
- 13). ქართული ენათმეცნიერება (ა. შანიძე, ი. ყიფშიძე)
- 14). ქართული მწერლობის ისტორია (ს. ლ. ლომია)
- 15). ბერძნული ენა და მწერლობა (ს. ყაუხჩიშვილი)
- 16). ლათინური ენა და მწერლობა
- 17). სომხური ენა და მწერლობა
- 18). ებრაული და ასურული ენა და მწერლობა (ბააზაშვილი)
- 19). არაბული ენა და მწერლობა (ციბაძე) [4]
- 20). სპარსული ენა და მწერლობა (ი. აბულაძე)
- 21). ოსმალური ენა და მწერლობა (ჰაიდ. აბაშიძე)
- 22). ფრანგული ენა
- 23). გერმანული „ (არ. ლეისტი?) [5]
- 24). ინგლისური „ (გ. სვანიძე)
- 24 a). იტალიური [6]
- 25). სპარსეთისა, არაბეთისა და ოსმალეთის ისტორია
- 26). ხელოვნების ისტორია (დ. შევარდნაძე)
- 27). ქართული ეპიგრაფიკა და პალეოგრაფია
- 28). ქართული სამართლის ისტორია (ივ. ჯავახიშვილი)
- 29). პოლიტიკური ეკონომია და სტატისტიკა (ფ. გოგიჩაიშვილი)
- 30). სახელმწიფო სამართალი (ზ. ავალიშვილი, ნანიეშვილი) [7]
- 31). სისხლის სამართალი

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

- 32). სამოქალაქო სამართალი
- 33). საფინანსო სამართალი
- 34). რომაულ-ბიზანტიურ სამართლის ისტორია
- 35). რუსული სამართლის ისტორია
- 36). რუსული ენა და მწერლობა
- 37). გეოგრაფია და ეთნოგრაფია (გ. ჯავახიშვილი)
ჯანელიძე გეოლოგია [8].

სწავლა და მასწავლებელი

უნივერსიტეტის თანდათან გახსნა:

- 1). ჯერ ფილოსოფიური ანუ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, შემდეგ სამკურნალო;
- 2). რატომ არის საჩქარო სამკურნალო ფაკულტეტის გახსნის საკითხი (სამკურნალოები შეიძლება დაისაკუთრონ).
- 3). ამ საკითხის გადაწყვეტა უნდა ქართველ მკურნალ პროფესორებისა და ქ-ლ სამკურნალო საზოგადოების შეერთებულს კრებას [ეთხოვოს].
- 4). [9]. იურიდიული ანუ სამართალმეცნიერების ფაკულტეტი.
- 5). რის განხორციელება ეხლავე შეგვიძლიან და როგორი სამზადისი უნდა იყოს მომავლისათვის, რომ ჩვენი უნივერსიტეტი სრულ უნივერსიტეტად იქცეს.

ქონებრივი სახსარი:

- 1). ბინა.
- 2). ლექციების ფული.
- 2 a). სანევრო ფული [10].
- 3). 800 000 მან. [11].
- 4) დახმარება თავადაზნაურობისა და საკრედიტო-სამრეწველო საზოგადოებათაგან: ბანკები, შავი ქვის მრეწველთა საბჭო, ქართველ ნავთის მრეწველთა ამხანაგობისაგან.
- 5). კერძო ქველმოქმედთა შემოწირულებისაგან.
- 6). მომგებ[იან] ლატორიის [12] ნებართვის აღება.

რუსულ უნივერსიტეტების ნაკლი სწავლის ხანმოკლეობაა: 5-6 თვეს და თანაც მრავალი დღესასწაულები. ეს ორივე ნაკლი ჩვენ უნდა თავითგან ავიცილოთ და იმის გარდა, რომ კვირის გარდა სხვა ყველა უქმე დღეებში ჩვენ ლექციები და სწავლა

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

გვექნება, თვით სამოსწავლო წელიწადი 9 თვეს გასტანს, ენკენისთვეში დაიწყება და მაისის დამლევს გათავდება. საშობაოდ და სააღდგომოდ უქმეები თითო კვირამდე უნდა შევამციროთ. ლექციები და სწავლა დილითგან საღამომდე, რომ თავისუფალ მსმენელებს [13] საშუალება ჰქონდეთ ლექციები მოისმინონ.

სტუდენტები და მსმენელები [14]

წყარო: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის პირადი ფონდი, 847.

შენიშვნები და კომენტარები:

დანერილია კარგი ხარისხის მომცრო ფურცლებზე ივანე ჯავახიშვილის ხელით შავი მელნით. გვარები შემდეგში მინერილია ფანქრით. ჩვენ ისინი ფრჩხილებში ჩავსვით. არქივში გვერდების დანომვრა რატომღაც იწყება 6-დან. ეტყობა, პირველი 5 ფურცელი შემდეგში სხვაგან მოათავსეს. ჩვენ ისინი შინაარსის მიხედვით გადავალაგეთ. ზოგიერთი საგანი ქვეშ გახაზულია ფანქრით.

ივანე ჯავახიშვილის ამ ჩანაწერში რამდენიმე საკითხია ჩანიშნული: „საგნები“, „სწავლა და მასწავლებლები“, „ქონებრივი სახსარი“ და „სტუდენტები და მსმენელები“. სათაურიც მათი გაერთიანებით მივეცი. ეს ბოლო საკითხი გაშლილი არა აქვს. როგორც ჩანს, ჩანაწერი გაკეთებულია იმ დროს, როცა ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის საზოგადოების სხდომებზე 1917 წლის ზაფხულისა და შემოდგომის მანძილზე უნივერსიტეტის გახსნის შესახებ მოხსენებებს აკეთებდა. ეს არის შავი ჩანაწერი და დანერილია 1917 წლის 26 ნოემბრამდე. ამ დღეს შეიკრიბა მომავალი უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო და დაადგინეს, რომ ჯერ გაიხსნას ერთი ფაკულტეტი – სიბრძნისმეტყველებისა – „ჰუმანურ მეცნიერებათა“ გარდა, მათემატიკური და საბუნებისმეტყველო განყოფილებებით (პროფესორთა საბჭოს ოქმები, თბ. 2006 წ. გვ. 82). ანალოგიურ თემაზეა საუბარი ამ დოკუმენტშიც.

1. სიტყვა „ებრაელთა“ გადახაზულია ფანქრით.
2. სიტყვა „დასავლეთ“ გადახაზულია ფანქრით.
3. იქვე მინერილია ფანქრით „ალ. წერეთელი“, მაგრამ გადახაზულია ფანქრითვე.
4. ეს გვარი ფანქრით არაა მინერილი, იმავე შავი მელნითაა.
5. კითხვის ნიშანი ავტორისეულია. ეტყობა, ეს იმ დროზე მიგვითითებს, როცა მოლაპარაკების პროცესი მიმდინარეობდა არტურ ლაისტთან და ეს საკითხი დადებითად ვერ გადაწყდა.
6. ფანქრითაა ჩამატებული.
7. ეს გვარები ისეა მინერილი, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი სხვა იურიდიული საგნების ლექტორებადაც უნდა იგულისხმებოდნენ. მაგრამ გ. ნანეიშვილი უნი-

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

ვერსიტეტიდან გაგ ზავნილი სტუდენტია და ეს ჩანაწერი როდინდელია, ძნელი სათქმელია.

8. ეს ამ სიის ქვემოთ ფანქრითაა მინერილი და სიის ნომერიც არ უზის.
9. აქ ისევ შეცდომით ვწერია და ასე გრძელდება შეცდომა.
10. სიტყვა „სანევროში“ ალბათ საზოგადოების სანევრო შენატანი იგულისხმება. შემდეგშია შავი მელნით ჩამატებული.
11. ბანკის გირავნობის ფურცლების განაღდებათ შედგენილ თანხაზე იყო საუბარი და ის იგულისხმება.
12. ასე წერია.
13. თავისუფალი მსმენელები ის ახალგაზრდები იყვნენ, რომლებიც უნივერსიტეტში სრულ კურსს კი არ ისმენდნენ, არამედ მხოლოდ მათთვის საინტერესო რამდენიმე საგანს და სწავლის ქირასაც შესაბამისად იხდიდნენ.
14. ამ პარაგრაფს ტექსტი არ მოჰყვება.

ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიუმისა, მეცნიერ-ხელმძღვანელთა და ლექტორების შემადგენლობა 1918 წ. პირველ სემესტრში

უნივერსიტეტის რექტორი: დამსახურებული პროფესორი პეტრე გრიგოლის ძე **მელიქიშვილი** (ქიმიის დოქტორი).

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი: პროფ. ივ. ა. **ჯავახიშვილი** (ქართული ფილოლოგიის მაგისტროსი პეტერბურგის უნივერსიტეტისა).

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მდივანი: პროფ. იოს. ალექ. **ყიფშიძე** (ქართული ფილოლოგიის მაგისტროსი პეტერბურგის უნივერსიტეტისა).

პროფ. **[ანდრია ბენაშვილი** (გეოდეზიისა და ვარსკვლავთმრიცხველობის პროფესორი პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტისა და სამხედრო-საინჟინრო აკადემიისა. ლექციების კითხვას დაიწყებს, როდესაც სამათემატიკო განყოფილება გაიხსნება).

პროფ. **კორნ. კეკელიძე** (საეკლესიო ისტორია და მწერლობა. ღვთისმეტყველების მაგისტროსი).

პროფ. **დ. უზნაძე** (ფსიქოლოგია და პედაგოგიკა. ფილოსოფიის დოქტორი ჰალეს უნივერსიტეტისა).

პროფ. **ფ. გოგიჩაიშვილი** (პოლიტიკური ეკონომია და სტატისტიკა. ფილოსოფიის დოქტორი ლაიფციგის უნივერსიტეტისა).

პროფესორის მოადგილე **ანდ. რაზმაძე** (უმაღლესი მათემატიკის მაგისტრანტი, მოსკოვის უნივერსიტეტის პრივ.-დოცენტი. ლექციებს შემოდგომითგან დაიწყებს).

პროფესორის მოადგილე **სვ. ავალიანი** (ისტორიის მაგისტრანტი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივ.-დოცენტი).

პროფესორის მოადგილე **შ. ნუცუბიძე** (ფილოსოფიის მაგისტრანტი, პეტერბურგის უნივერს.).

პროფესორის მოადგილე **გ. ახვლედიანი** (საზოგადო და შედარებითი ინდოევროპული ენათმეცნიერება. ენათმეცნიერების მაგისტრანტი, ხარკოვის უნივერს.).

პროფესორის მოადგილე **აკ. შანიძე** (ენათმეცნიერება. ქართული ფილოლოგიის მაგისტრანტი, პეტერბურგის უნივერს.).

მეცნიერი ხელმძღვანელი **ე. თაყაიშვილი** (ქართული სიძველეთა-მეცნიერება, ანუ არქეოლოგია).

მეცნიერი ხელმძღვანელი **იუს. აბულაძე** (სპარსული ენა).

ლექტორი **ელ. ორბელიანისა** (ფრანგული ენა).

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

ლექტორი არტ. ლაისტი (გერმანული ენა).

ლექტორი ილ. თ. ყიფშიძე (გერმანული ენა).

ლექტორი ვანდა ლამბაშიძისა (ინგლისური ენა).

ტფილისის უნივერსიტეტის გამგეობა

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი 54, საქმე 1, ფ. 1-4.

შენიშვნები და კომენტარები:

დოკუმენტი პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „სახალხო საქმეში“ 1918 წლის 25 (7) იანვარს, შემდეგ კი 1948 წელს თსუ შრომებში, ტ. XXXIII.

ტფილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ლექციებისა და სამოსწავლო გეგმის შესახებ

ტფილისის ქართული უნივერსიტეტი სიბრძნისმეტყველების ანუ ფილოსოფიური ფაკულტეტი შეიცავს ყველა იმ საგნებს, რომელიც რუსეთის უნივერსიტეტების სამს ფაკულტეტზეა, – საისტორიო-საფილოლოგიოზე, აღმოსავლეთ ენებისაზე და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოზე. ამჟამად ტექნიკურ და ქონებრივ დაბრკოლებათა გამო (ლაბორატორიებისა და კაბინეტებისათვის მონყობილობისა და იარაღების შეძენის შეუძლებლობის გამო) ამ ფაკულტეტის მხოლოდ ჰუმანურ და სოციალურ დარგების ლექციები მოეწყობა. შემდეგ (იმედია შემოდგომითგანვე) სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო დარგების ლექციებიც დაიწყება. ჰუმანურ და სოციალურ დარგების ლექციების სიაც თანდათანობით შეივსება და მხოლოდ მეოთხე წელიწადში შეიქმნება სრული.

ამჟამად-კი, 1918 წ. პირველ სემესტრში, შემდეგი ლექციები იქმნება:

1. ფილოსოფიის შესავალი (კვირაში 1 საათს)
საფილოსოფიო სემინარი (“ 2 ს.)
2. საექსპერიმენტო ფსიქოლოგიის შესავალი (2 ს.)
3. საზოგადო ენათმეცნიერება (2 ს.)
4. მსოფლიო ისტორია (2 ს.)
5. ქართული სიძველეთმეცნიერება, ანუ არქეოლოგია (2 ს.)
6. საქართველოს ისტორია (2 ს.)
საისტორიო სემინარი (2 ს.)
7. საეკლესიო ისტორია (2 ს.)
8. ქართულ ძველ მხატვრულ მწერლობის ისტორია (1 ს.)
9. რუსეთისა და სლავების ისტორია (2 ს.)
10. ქართული სამართლის წყაროები და ისტორია (1 ს.)
11. პოლიტიკური ეკონომია (2 ს.)
12. მიწისმფლობელობა საქართველოში (1 ს.)
13. ძველი ქართული (2 ს.)
14. ლათინური ენა (3 ს.)
15. ძველი არაბული ენა (4 ს.)
16. ძველი სომხური ენა (2 ს.)
17. სპარსული ენა (3 ს.)
18. გერმანული ენა (3 ს.)
19. ინგლისური ენა (3 ს.)
20. ფრანგული ენა (3 ს.)

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

ყველა ამ საგნების ერთად არამცთუ შესწავლა, მოსმენაც-კი არც ერთს სტუდენტს, ან მსმენელს არ ძალუძს და თუნდაც რომ შეიძლებოდეს, არც საჭიროა. საუნივერსიტეტო საგნების სივრცე და მრავალფეროვნება სამეცნიერო დარგებისდა მიხედვით სპეციალობას აუცილებელ საჭიროებად ხდის. ამის გამო რუსეთის უნივერსიტეტებში განსაკუთრებული განყოფილებანი არსებობენ (კლასიკური, საისტორიო, რომანულ-გერმანული, რუსული და სლავური). რაკი ამგვარი დანაწილება მხოლოდ პრაქტიკულ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არის შექმნილი და მკვიდრ სამეცნიერო საფუძველზე აგებული არაა, ამიტომ ამგვარი დანაწილება ტფილისის უნივერსიტეტში უარყოფილია. ამის მაგიერ სტუდენტების სახელმძღვანელოდ შედგენილია მხოლოდ სანიმუშო სამეცნიერო-სამოსწავლო გეგმა, რომელიც იმ საზოგადო დებულებაზეა დაფუძნებული, რომ ჰუმანურ ცოდნის შეძენა და მეცნიერების შესწავლა შეიძლება ან 1. ფილოსოფიურის თვალსაზრისით, ან 2. ფსიქოლოგიურად, ან 3. ენათმეცნიერების მხრით, ან 4. ხელოვნების თვალსაზრისით (სიტყვიერების დარგი და ხატოვან-ნივთიერი ხელოვნება), ან 5. ისტორიულად, ან 6. სოციალ-ეკონომიურ თვალსაზრისით. ამ საზოგადო დებულებისდა თანახმად ქვემოთ ჯერ-ჯერობით შემდეგი სამეცნიერო დარგების გეგმა იქმნება მოყვანილი: 1. ფილოსოფიის დარგისა, 2. ფსიქოლოგიის დარგისა, 3. ენათმეცნიერებისა, 4. სიტყვიერებისა, 5. საისტორიო, 6. საეკონომიო. ამ დარგების გარდა სხვაც შეიძლება იყოს და სტუდენტს, ან მსმენელს თითონაც უფლება აქვს, თავის სამეცნიერო მიხედვებისა და სურვილის მიხედვით სხვა საკუთარი გეგმა შეადგინოს და ამ გეგმისდა თანახმად შეიძინოს უნივერსიტეტში სამეცნიერო ცოდნა.

სამეცნიერო დარგების სხვაობისდა მიუხედავად, ისეთი საგნებია, რომელთა ცოდნა ყველასათვის არის საჭირო და ამის გამო ყველა დარგებისათვის არის სავალდებულო. ასეთ ყველასათვის სავალდებულო საგნებად 1. ლოლიკა, 2. ფსიქოლოგია. 3. ფილოსოფიის შესავალი, 4. საქართველოს ისტორია (დროებით) და 5. ერთ-ერთი თანამედროვე ევროპული ენათაგანი ითვლება.

ამ ყველასათვის სავალდებულო საგნებს გარდა თვითეულ დარგისათვის განსაკუთრებული საგნებია საჭირო, რომელთა სია ქვემოთ არის მოყვანილი. სანამ სტუდენტი, ან მსმენელი ამ სიების გადაკითხვას შეუდგებოდეს, უნდა გაითვალისწინოს, რომ თვითოეული დარგის შესწავლა ან საზოგადო თეორიის მხრივ, ან ამასთანავე ერთ-ერთ ეროვნების, ან ქვეყნის, ან მეცნიერების საგანგებო შტოისა (მაგ. ისტორიკოსმა შეიძლება ან ისტორიის ფილოსოფია (თეორია და მეთოდოლოგია) აირჩიოს, ან ძველ აღმოსავლეთის, ან ძველ საბერძნეთის ან რომის, ან საქართველოს, ან სომხეთის, ან სპარსეთის, ან დასავლეთ ევროპის ისტორია. ამგვარადვე ენათმეცნიერმა თავის ცოდნის განსაკუთრებულ საგნად შეიძლება ან ქართულენოვანი აილოს, ან ინდოევროპული, ან სემური ენათმეცნიერება, ან არადა მხოლოდ ცალ-ცალკე ენა და სხვა-კი არა). ამისდა გვარად სხვადასხვა საგნებს სხვადასხვა მნიშვნელობა ექმნება: ზოგისათვის ერთი ჯგუფი საგნებისა იქმნება საჭირო, ზოგისათვის მეორე, ზოგისათვის მესამე.

I. ფილოსოფიის დარგი

1. ყველასათვის სავალდებულო საგნები.
2. ფილოსოფიის ისტორია: ძველი, საშუალო, აღმოსავლეთისა, ქართული და ახალი.
3. ენათმეცნიერების შესავალი.
4. უმაღლესი მატემატიკი[ს] ერთი საგანთაგანი.
5. ან საზოგადო ფიზიკა, ან საზოგადო ქიმია, ან მსოფლიო ისტორია.
6. ძველი ქართული და სპეციალობისდა მიხედვით ერთ-ერთი ენა: ან ბერძნული, ან ლათინური, ან არაბული, ან სანსკრიტი.

II. ფსიქოლოგიის დარგი

1. ყველასათვის სავალდებულო საგნები.
2. საექსპერიმენტო ფსიქოლოგია (თეორია და პრაქტიკული მუშაობა).
3. ფილოსოფიის ისტორია.
4. ენათმეცნიერების შესავალი.
5. საზოგადო ანატომია და ფიზიოლოგია, განსაკუთრებით ნერვებისა.
6. უმაღლეს მათემატიკის ერთი დარგთაგანი.
7. საზოგადო ფიზიკა და პრაქტიკული მუშაობა.

III. ენათმეცნიერების დარგი

ა.

1. ყველასათვის სავალდებულო საგნები.
2. საზოგადო ენათმეცნიერება.
3. საექსპერიმენტო ფონეტიკა, ანუ ბგერათმეცნიერება.
4. ყელ-ცხვირ-პირის ანატომია და ფიზიოლოგია.
5. ძველი ქართული.
6. საზოგადო შედარებითი ენათმეცნიერება (ინდოევროპული, ქართული, სემური და თურქული).
7. [1] ერთ-ერთი კლასიკური ენა: ან ბერძნული, ან ლათინური, და სანსკრიტი.

ბ. ქართული ენათმეცნიერება

8. ქართული მწერლობის საზოგადო ისტორია.
9. ქართული ენის ისტორიული გრამატიკა.
10. ახალი ქართული და კილოკავები.
11. მეგრულ-ჭანური.
12. სვანური.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

13. აბხაზური.
14. შედარებითი ქართ.-მეგრულ-სვანურის გრამატიკა.
15. არაბული ენა (მომავალში: ან ასურული, ან ებრაული) 4 სემესტრის განმავლობაში.
16. ან სომხური, ან სპარსული, ან თურქული (2 სემესტრის განმავლობაში).

IV. სიტყვიერების დარგი

1. ყველასათვის სავალდებულო საგნები.
2. ენათმეცნიერების შესავალი და სინტაქსი
3. სიტყვიერების თეორია.
4. ესთეტიკის ისტორია და თეორია.
5. ძველი ქართული ენა.
6. საზოგადო და ქართული საეკლესიო მწერლობის ისტორია.
7. ძველი ქართული მხატვრული მწერლობის ისტორია.
8. ახალი ქართული მხატვრული მწერლობის ისტორია.
9. ქართული ხალხური პოეზია (და კილოკავები ან მეგრულ-ჭანური, ან სვანური).
10. მსოფლიო მწერლობის ისტორია სპეციალობისდა მიხედვით; ან ბერძნულ-რომაულის, ან ბერძნულ-ლათინურ-ბიზანტიურის, ან არაბულ-სპარსულის, ან სომხურის, ან სპარსულ-თურქულის, ან რუსულის.
11. სპეციალობისდა მიხედვით ენები: ან ბერძნულ-ლათინური, ან სომხური, ან გერმანულ-ფრანგული, ან ინგლისური, ან არაბული და სპარსული, ან თურქული, ან რუსული.

V. საისტორიო დარგი

1. ყველასათვის სავალდებულო საგნები.
2. ენათმეცნიერების შესავალი.
3. ქართულ სამართლის ისტორია, ან სამართლის თეორია.
4. პოლიტიკური ეკონომია.
5. საზოგადო და ქართული სიძველეთამეცნიერება.
6. ძველი აღმოსავლეთის ისტორია.
7. მსოფლიო ისტორია.
8. მახლობელ აღმოსავლეთის ისტორია (არაბეთი, სპარსეთი და ოსმალეთი, სომხეთი).
9. მსოფლიო და ქართული საეკლესიო ისტორია.
10. ისტორიის მეთოდოლოგია და ფილოსოფია.
11. მსოფლიო ან ქართული ხელოვნების ისტორია.
12. ძველი ქართული ენა და სპეციალობისდა მიხედვით ენები: ან ასსირიული, ან ბერძნულ-ლათინური, ან სომხური და არაბული, ან არაბული და სპარსული, ან

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

ლათინური და ერთ ევროპულ[ული] ენათაგანი, ან ოსმალური და იტალიური.

ამას გარდა, ვინც განსაკუთრებულ საგნად საქართველოს ისტორიას აირჩევს:

13. ქართველი ერის ისტორია (სპეც. კურსები) და საქართველოს საისტორიო გეოგრაფია.
14. საქართველოს ეკონომიური ისტორია.
15. ქართული მწერლობის ისტორია (საზოგ. კურსი).
16. ქართული ეპიგრაფიკა, პალეოგრაფია, სფრაგისტიკა და ნუმიზმატიკა.

VI. საეკონომიო დარგი

1. ყველასათვის სავალდებულო საგნები.
2. პოლიტიკური ეკონომია და სემინარი.
3. სტატისტიკა (თეორია და პრაქტიკული ვარჯიშობა).
4. საფინანსო მეცნიერება.
5. სახელმწიფო სამართალი.
6. სააღმშენებლო სამართალი.
7. საერთაშორისო სამართალი.
8. სამოხელეო სამართალი.
9. საეკონომიო მოძღვრებათა ისტორია.
10. საქართველოს ეკონომიური ისტორია.
11. ქართულ სამართლის ისტორია.
12. მინათმფლობელობა საქართველოში.
13. ერთ-ერთ ან ევროპული, ან აღმოსავლეთის ენათაგანი.
14. ბუჰხალტერია (თეორია და პრაქტ. ვარჯიშობა).

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის
დეკანი ივ. ჯავახიშვილი

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი 54, საქმე 1, ფ. 5-21.

შენიშვნები და კომენტარები

პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოში“ 1918 წლის 29 იანვარს, შემდეგ კი თსუ შრომებში (1948 წ. ტ. XXXIII).

1. ზემოაღნიშნულ 7-ის ნაცვლად თავდაპირველად ეწერა „6“, მაგრამ შემდეგ ფანქრით გადასწორებულია „7“-ად. ამის შესაბამისად ქვემოთ 7, 8. 9... გადასწორებულია იმავე ფანქრით 8, 9, 10.

წერილები

ივანე ჯავახიშვილი კიტა აბაშიძეს

ს. ხოვლე [1]

1916. 30 მარიაპოლისთვის

საყვარელო ძმაო კიტა! [2]

ხვალ ტფილისში მივდივარ და 1 ენკენისთვის ცივ რუსეთისაკენ გავემგზავრები. მაინცადამაინც წინათაც დიდის ხალისით არ მივდიოდი ხოლმე. ეხლა ხომ რაღა თქმა უნდა; დაწყობილ გამოკვლევის წერა უნდა უნებლიედ შევწყვიტო, შევკრა ჩემ წიგნები და ნამუშევარი და ისევ გზას გავუდგე, რომ იქაც იგივე სამუშაო გავაგრძო. უკუღმართობაა, რომ ჩვენ ქვეყანაში საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი არა გვაქვს და დაბალს და ცივ პეტერბურგის სიბნელეში უნდა ვისხედეთ ჩვენი დღენი და ჩვენი გული და გონება კი სამშობლო ქვეყნისა და ბუნებისაკენ მოიწვევდეს [3]. როგორც განზრახული მქონდა „ქ-ლ სამართლის ისტორიის“ I წიგნი „სახელმწიფო სამართალი“ ისევ ვერ დავამთავრე, რომ ეხლავე დასასტამბად მიმეცა. ამ ზამთარს უნდა დავამთავრო საბოლოოდ, რომ საშობაოდ გამომცემელს ჩავაბარო. მრავალი საგულისხმეო საკითხი ირკვევა და საქართველოს სახელმწიფო წესწყობილება სრულებით მკაფიოდ და ცხადლივ წარმომიდგა. სადამ შეგროვილ მასალებისდა მიხედვით გამოკვლევის წერას შევუდგებოდი, მე არც კი მეგონა, რომ ამდენად ზედმიწევნით გამოირკვეოდა საქართველოს სახელმწიფო ცხოვრების სურათი და წესწყობილების უმთავრესი დაწესებულებანი. ამავე დროს „ქ-ლ ერის ისტორიის“ მე-III-ე წიგნსაც ვწერ და თანდათან „ისტორიის მიზნისა და მეთოდების“ მე-III-ე წიგნისთვისაც ცალ-ცალკე საკითხების კვლევას შევუდეგი.

მაგრამ ამ საგანზე კმარა. ეხლა სულ სხვა, ჩემთვის სრულიად უცხო საკითხს უნდა შევეხო. ამ ერთი კვირის წინად ჩვენთან მოვიდა თ. ივ. დ. ჯავახიშვილის ცოლი, რომლის ქმარიც წინათ ახალციხეში იყო ბოქაულად, ხოლო ეხლა მცხეთაშია გადმოყვანილი, მაგრამ ეს ადგილი არ მოსწონს. უნდა გითხრა, რომ როგორც განსვენებულ ალ. ყიფშიძისაგანა და გიგა თუმანიშვილისაგანაც გამიგონია, ეს ივ. დ. ჯავახიშვილი პატიოსანი კაცია და, თანაც, რაც პირდაპირ სასწაულმოქმედებად უნდა ჩაითვალოს, ბოქაულობაში მოქრთამე არა ყოფილა. ჩვენ შორის უკვე აღარავითარი ნათესაობა არ არის, ჩვენ მარტო სახლიკაცებად ვითვლებით. ყმანვილობაშიც კარგი იყო და ოცი წელიწადია, რაც არ მენახა. ამიტომ მხოლოდ სხვის ნალაპარაკებით შემიძლიან მისი წინანდელი თვისებები დავახასიათო. იმისი ცოლიც (Legatus-ის [4] დაა) ძალიან პატიოსანი და სათნო პიროვნებად სჩანს. მან მითხრა, რომ

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

თურმე ჭიათურაში ბოქაულის თანამდებობა უნდა განთავისუფლდეს და მას უნდოდა გაგეგო, მართალია თუ არა, რომ ჭიათურის ბოქაულს ბინას აძლევენ მუქთად და შვილებსაც უზრდინან, ან თუ მართლა ჯამაგირიც ჩვეულებრივზე მეტი აქვს. ყველა ეს თუ მართალია, ის მთხოვდა შენთვის მეთხოვნა, რომ დაჰხმარებოდი ამ თანამდებობის მიღებაში. მე სწორე გითხრა, ცოტა მეუცხოვა, რომ შავი ქვის მრენველთა საბჭოზე იყოს ეს დამოკიდებული, მაგრამ მან მითხრა, რომ საბჭოს შეუძლიან, გავლენა მოახდინოსო. იქნებ მართლა საბჭო ინახავდეს ამ თანამდებობის პირს და მაშინ შეიძლება რაიმე გავლენა გქონდეს. ერთი სიტყვით, თუ რამე შეგიძლიან და მოხერხდება, დაეხმარე. მაგრამ წარმოდგენილი მაქვს, რამდენი მთხოვნელი იქმნება და რამდენი გთხოვდა უკვე დახმარებასაც. ამ კანდიდატს მხოლოდ ის დიდი უპირატესობა აქვს, რომ პატიოსანი და მოუსყიდველ ადამიანად ითვლება. პასუხი სტაზიას მისწერე და ის შეატყობინებს. ჩვენ ყველანი გვარიანად ვართ, მხოლოდ კახა [5] არის ფერმკრთალი და ვერც სუქდება. გუშინწინ ყვავილი ავუცერით. არ ვიცი, გამოაჩნდება თუ არა. თანდათან ლაპარაკს და სიარულსაც იწყობს. ეხლა აგარაკად ყველანი ქუთაისში იქმნებით. გაკოცებთ ყველას სიყვარულით ჩვენ ოთხივენი. დედაშენს და შენს დას ხელკოცნას მოვახსენებ. დედა ჩემი და გიორგი [6] გულითადს სალამს გითვლიან. შენი ვანო ჯავახიშვილი.

წყარო: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი, № 1373.

შენიშვნები და კომენტარები:

1. არაა მითითებული, თუ სადაა წერილი ვაგ ზავნილი.
2. კიტა აბაშიძე ივანე ჯავახიშვილის ქვისლი იყო და დიდი პატივისცემა და მეგობრობა ჰქონდათ. იგი იყო ცნობილი ქართველი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე. ამ დროს მუშაობდა ჭიათურაში, შავი ქვის მრენველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.
3. აი როგორ წუხს ივანე ჯავახიშვილი საქართველოში უნივერსიტეტის არარსებობაზე და როგორ მოუწევს მას გული სამშობლოსაკენ. ამიტომ, სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ, როცა მას ამის შანსი მიეცა, მაშინვე შეუდგა მიზნის განხორციელებას.
4. Legatus – ლათინურია და ელჩს ნიშნავს. ალბათ ირონიით მოიხსენიებს ვილაც უცნობ პირს.
5. კახა – ივანე ჯავახიშვილის მეორე შვილი.
6. გიორგი – ივანე ჯავახიშვილის ძმა.

ივანე ჯავახიშვილი ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანს

I

ტფილისითგან [1]
1917. 28. IV.

ჩემო საყვარელო სატრფო სტაზიაჯან! რომ იცოდე რანაირად მინდა თქვენი ნახვა, შენთან ყოფნა! დღეებსა ვთვლი, როცა ჩვენ ერთად ვიქნებით. გუშინნინ გიორგი [2] ჩამოვიდა, აქ რაც სასყიდლებია, იყიდის და წაიღებს. მე ვუთხარი, რომ 7 შემდგომ 7-9 ამოვალთ მეთქი. როდესაც შენ მომწერ წინდანიწვე შევატყობინებ ხოვლეში [3] და იმ დღისთვის ეტლიც იქმნება და ურემსაც დაგვახვედრებენ. ვშიშობ, რომ შენთვის ძნელი არ იყოს მარტოკა ბავშვებით მოგზაურობა. ამიტომ მე ვაპირობ ამოსვლას და მე წამოგიყვანთ. განსაკუთრებით ყვირიონში [4] ადგილის მოძებნა იქმნება ძნელი. მომწერე როდის დააპირებ წამოსვლას და მე მაშინვე შენთან გავჩნდები. შვიდამდის მეც იმ საქმეს მოვრჩები, რომელზედაც ეხლა ვმუშაობ. მოხსენებას ვადგენ ქართულ უმაღლეს სასწავლებლის შესახებ. პირველ მაისამდის იმედი მაქვს გავათავებ. მერმე აქ მყოფ მეცნიერთ მოვიწვევ (კერძოდ უკვე მოველაპარაკე სათითაოდ) და წავუკითხავ. განხილვისა და მოწონების შემდგომ ბანკებისა და საზოგადოების წარმომადგენლებს მოვიწვევ იმის გამოსარკვევად, თუ რამდენს გამოიღებენ ამ საქმის განსახორციელებლად. როდესაც ამასაც მოვრჩები, და თუ საჭირო ყოველწლიური თანხა შესდგა, მაშინ ყველა ქართ[ველ] პროფესორებს, დოცენტებს, ლაბორანტებსა და ასისტენტებს წერილებს დავუგზავნი და შევეკოთხები, რომელს მათგან ჰსურს გადმოსვლა და რა პირობით. მე იმედი მაქვს, რომ 7-მდის ამას ყველაფერს მოვრჩები და ჩვენ რომ ხოვლეში ავალთ, ტფილისში უკან დაბრუნება აღარ მომიხდება და სულ ერთად ვიქმნებით, ჩემო სიხარულნო, რასაკვირველია, რომ უქმეს წინა დღესა და მომდევნო დღეს არ აირჩევდე, რომ ბევრი ხალხი არ იყოს. მოთმინება მეკარგება: ჩემ ჩიტუნიებთან მინდა ყოფნა, ჩემ მომხიბლავ ღვთაების [5] ნახვა და თაყვანისცემა მწყურიან. მარტოობა მომბეზრდა. შენთან ახლოობასა და შენ ტკბილს ალერსზე ვოცნებობ. მამ შენ პასუხს ველი. მე სრულებით კარგადა ვარ. დაგკოცნით სამივეს [6], ჩემს სიცოცხლის სიხარულებს. ჩემს პატარა მზეთუნახავსაც რასაკვირველია ტკბილად მშვენიერ ტუჩიკოებს დავუკოცნი. ყველანი მომიკითხე. შენი მარად მოტრფიალე ვანიკო.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

P.S. კიტას [7] ხან უყუჩდება ტკივილები და ხან წამოდგება კიდევ. ხან ისევ ეწყობა. ამგვარი ნევრალგია ზოგჯერ თურმე 6 თვეს გასტანს ხოლმე. კვლავ დაგკოცნი მთლად ჩემებურად. შენი ვანიკო.

წყარო: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანის ფონდი, №218.

შენიშვნები და კომენტარები:

1. წერილი გავ ზავნილია თბილისიდან ქუთაისში
2. გიორგი – ივანე ჯავახიშვილის ძმა.
3. ხოვლე – ივანე ჯავახიშვილის მშობლიური სოფელი თანამედროვე კასპის მუნიციპალიტეტში.
4. ყვირიონი – დაუდგენელი ტოპონიმი.
5. გულისხმობს თავის ქალიშვილს, ნათელას.
6. სამივეში იგულისხმება: მეუღლე სტაზია და შვილები – ნათელა და კახა.
7. კიტა აბაშიძე ამ დროს თბილისშია და მის ჯანმრთელობაზე ივანე ჯავახიშვილი ზრუნავს. სტაზია კი სწორედ კიტას ოჯახში ქუთაისში იმყოფება.

II

ტფილისითგან [1]
1917. 5. V.

ჩემო საყვარელო სტაზიკოჯან! გუშინ ზ. მაჩაბლის [2] დედას გამოვატანე წერილები თქვენთან და მეც ვისარგებლე შემთხვევით და წერილი გამოგიგზავნე. ჩემო გვრიტო. მე ცოტა შემაფიქრიანა იმ გარემოებამ, რომ არც კერესელიძის [3] ცოლს ჩამოუტანია შენი წერილი და არც ფოსტით მომსვლია აქამდის. ვშიშობ შენ ან ბავშვები ავად არ იყვნენ. რატომ არ მატყობინებ თუ ასეა. ყველაფერს თავს დავანებებ და საჩქაროდ თქვენთან გამოვწვედი. თამარა [4] მეუბნება, რომ ტასო გედევანიშვილსაო [5] [სურდა წამოსვლა] ჩვენსა და ალბად იმას გამოატანეს და რაკი იმას შემოუგვიანდა, ალბად წერილებიც იმიტომ არ მოგვდისო, მაგრამ მე მაინც მოუსვენრად ვარ და თუ ამ სამს დღეში ვერაფერი შევიტყვე, წამოსვლა გადაწყვეტილი მაქვს. კიტა დღეს კარგად გრძნობს თავს, ამდგარია. ელექტრონი კარგად მოქმედობს და შველის. საზოგადოდ უკეთობა ეტყობა და ალბად მალე სრულებით მორჩება. საეკლესიო საქმეები ცუდად მიდის, ბენეშევიჩი [6] ისე სულმდაბალი ადამიანი გამოდგა, რომ ხვალ მასთან ყოველგვარი კავშირი და მოლაპარაკება შესწყდება. მე გწერდი, რომ ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტის დაარსების შესახებ მოხსენებას ვამზადებ. დღეს ვათავებ კიდევ, 80 გვერდიანი გამოვიდა. ხვალ პატარა კრება გვაქვს მეცნიერთა და რამდენიმე დღის შემდგომ ბანკების და სამეცნიერო საზოგადოებათა წარმომადგენლების კრებას მოვიწვევ, რომელზედაც გამოირკვევა რამდენ ფულის გამოღება შეუძლიანთ ჩვენს საკრედიტო დაწესებულებებს. ვგონებ რომ ამ საქმის განხორციელებას ყველანი ხელს შეუწყობენ და მოხერხდება კიდევ. ამ წერილს გრ. გველესიანის [7] ქალს ვატან. ჩემო მტრედიკო საყვარელო, მომწერე ყველაფერი, როგორა ხართ შენ და ჩვენი ჩიტუნები. ისე ძნელია ასე ცალ-ცალკე და მოშორებით ყოფნა. ბედი არა მაქვს, ერთხელ ვერ მოეწყო ისე, რომ ჩვენ სურვილზე შეგვძლებოდა ყოფნა. დაგკოცნი ჩემს სიცოცხლეებს და ჩემს თვალისჩინებს კახუნას, ნათელას და შენ ჩემო გვრიტიკო მომხიბლავო. თავით შენი პატარაობის სურათი მიკიდია და ისე მომწონს და შევხარი, რომ უნდა მარტოკა შენი სურათი ჩემთვის გადავიღო. ყველას მოეხვიე ჩემ მაგიერ, თეკლე ხომ არ მიჯავრდება? ველი შენს წერილს მოუთმენლად შენი ნახვის ბედნიერების მონატრული მარად შენი ვანო.

შენ იმ ამბავის შესახებ, ჩვენ რომ ვიცით და შენ რომ მითხარი, არას მწერ. ერთი-ორი სიტყვა მაცნობე ჩემო მტრედიკო. აქაც ჩამოცხა და აბა მანდ რა იქნება. ნეტავი თუ მანდ ყოველდღე წვიმს. ველი, ველი შენს ამბავს, არაფრის ხალისი მაქვს, სანამ

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

შენი წერილი არ მომივა. ნეტავი კი კარგათ იყოთ ჩემო საყვარელო და სხვა არა მინდა რა მეტი. დაგიკოცნი ისევ ჩემს მშვენიერს მოლულუნე მტრედიკოს. მარად შენი მოტრფიალე ვანიკო. ჩემ პატარა მზეთუნახავსაც ტუჩებს ტკბილად დავუკოცნი. შენი ქმარიკო.

წყარო: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანის ფონდი, №221.

შენიშვნები და კომენტარები:

1. წერილი გავ ზავნილია თბილისიდან სოფელ ხოვლეში.
2. ზ. მაჩაბელი – ვინაობა ვერ დავადგინეთ.
3. კერესელიძე – ვინაობა ვერ დავადგინეთ.
4. თამარა – ანასტასიას და თუ კიტას ქალიშვილი ?
5. ტასო გედევანიშვილი – ვინაობა ვერ დავადგინეთ.
6. ბენეშევიჩი – რუსი პროფესორი, რომელიც ავტოკეფალიის საქმის გასარკვევად და მოსაგვარებლად დროებითა მთავრობამ მოავლინა საქართველოში. თავიდან მას ძალიან აქებდა ივანე ჯავახიშვილი, მაგრამ მერე, თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, ბენეშევიჩმა ანტიქართული პოზიცია დაიჭირა.
7. გრ. გველესიანი – ივანე ჯავახიშვილის დროინდელი საზოგადო მოღვაწე.

III

ტფილისითგან
1917. 2. VI. [1]

ჩემო სტაზიკო! გუშინ, შაბათს, დედას პენსიის აღება ვერ მოვახერხე: იმოდენა ხალხი იყო, რომ კიბეზე იდგნენ რიგში ჩამნკრივებულნი. ამიტომ ორშაბათსაც აქ მომიხდება ყოფნა. ორშაბათსავე საადგილმამულო ბანკში უნდა წავიყვანო ის კომისია, რომელსაც საუნივერსიტეტო კომისიამ გირავნობის ფურცლების წინასწარ გამოსყიდვით შემდგარ ფულის გამოტანის შესახებ მოლაპარაკება მიანდო. ამ კომისიას ეს დავალება არ აუსრულებია და თუ მე თითონ არ წავიყვანე ისინი ბანკში, არასდროს არ მივლენ. საშინელი ზარმაცობაა ჩვენში და საქმის გაკეთება ეძნელებათ. ამგვარად, სამშაბათს დილით ამოვალ ხოვლეში. იმ დროისთვის, რომ ურემი იყოს გრაკალში [2] კარგი იქმნებოდა. ნეტავი თქვენ ყველანი როგორა ხართ? წარმოდგენილი მაქვს როგორ ილღები მარტოკა. გაკოცებთ ყველას, განსაკუთრებით კი თქვენ სამივეს ჩემს სიხარულებს. თქვენი ვანო.

წყარო: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანის ფონდი, №224.

შენიშვნები და კომენტარები:

1. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში საქალაქო დეპუტატების, რომელშიც ეს წერილი დევს, არის ნათელა ჯავახიშვილის შენიშვნა: „გაუგებარია. შემდეგი წერილი ქუთაისში იგზავნება და ეს კი ხოვლეში. თარიღია შეცდომით?“ ეტყობა, მართლაც ასეა: ივანე ჯავახიშვილის წერილში საუბარია ბანკის გირავნობის ფურცლებზე, რომელიც უნივერსიტეტის საზოგადოების მიერ პირველად ნახსენები იყო 1917 წლის 3 ივნისს (საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ან. I. №1, ფ. 8), შემდეგ კი 20 სექტემბერს (საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ან. I. №1, ფ. 22). ეს საკითხი დაზუსტებას საჭიროებს.
2. გრაკალი – სოფელი თანამედროვე კასპის მუნიციპალიტეტში.

IV

ტფილისითგან [1]
1917. 9. VI.

ჩემო მტრედიკო საყვარელო სტაზიკუნა! ჩვენი წერილები ერთი მეორეს ასცდებოდა ხოლმე და ამის გამო გარკვეული ვერა გადაგვიწყვეტია. შენმა წერილმა ცოტა დამამშვიდა. ტ. გედევანიშვილის გამო დაგვიანებულა შენი წერილი. მე მაინც შენი ტკივილები მანუხებხ. ბორჯომის წყალი სვი სადილ[ის] წინ და დაბინდებისას. ხოვლეში რომ მოგიყვანთ, უეჭველად უნდა ტფილისში ექიმს გაესინჯვინო. გუშინ პირველი პატარა კრება გვექონდა ქ-ლ უნივერსიტეტის შესახებ და 12-ს მინდა დიდი კრება მოვიწვიო. ამის შემდგომ მე ქუთაისში ამოვალ და ორიოდე დღეს დავრჩები. თუ ჩემი აქ მოხსენება მოინონეს და განხორციელება შესაძლებელი იქნება, მაშინ მანდაც უნდა მოვანყო კრება და ეს საქმე გავაცნო. ასე რომ მე მიცადე, ჩემო გვრიტო, მალე მოვალ და წამოგიყვანთ. მაინც აქ თითქმის ყოველდღე ავდრებია და გრაკალ-ხოვლეში საშინელი ტალახი იქმნება. ხოვლეში და სხვა მახლობელ სოფლებში ახალქალაქამდის საშინელი სეტყვა ყოფილა. რასაკვირველია ყველაფერი გაფუჭებული იქმნება. მაგრამ ისევ ეხლა სჯობია, ვიდრე შემდეგში. დედასგან წერილი მომივიდა. მოუთმენლივ გველის. ტფილისელთგან კიტა უკვე დადის კრებებზე, თუმცა ჯერ რასაკვირველია წოლისაგან სისუსტეს გრძნობს. ბიძია საშას [2] გულის ტკივილები მოსდის ხოლმე ხშირად. თუმცა თითონ არ იცის და ნევრალგია ჰგონია, მაგრამ გულის ანგინა აქვს, გულის ჭიდილს რომ ეძახიან ჩვენში. აქამდის გ. მაღალაშვილი [3] ნათლიკოს [4] უმაღავდა, მაგრამ გუშინ ძალიან მოუვიდა და მაშინ უთხრა. მაინც გულისჭიდილი სუსტად მოსდის ხოლმე და მგონია მალე გადაუვლის. ამ ბოლო დროს ქალაქსა თამაშობდა ხშირად და 5-11 საათამდის ისხდნენ ხოლმე, რასაკვირველია, ძალზე მოიქანცებოდა. არ ვიცი, შეიტყვეთ თუ არა, რომ მაშოს, მართას ქალს, სპარსეთში ქმარი გიგო [5] მოჰკვდომია საოფლისაგან. მართას შვილმა ჩამოიტანა ეს ამბავი. სანწყალი მართა სოხუმითგან ჩამოვიდა. აქ სულ მოღრუბლული იყო და წვიმდა. დღეს პირველიდღეა, რომ გამოიდარა და მზეა, მაგრამ ვგონებ ისევ გაავდრდება. ეს არის კარგი, რომ გრილა. ნათელას ფეხსაცმლის ძირი გაუკეთეს თუმნად, მაინც ისე გადასაგდებელი იყო და ახალს ეხლა 30 მანეთადაც ვერ იშოვი. როცა წამოვალ, მაშინ წამოვიღებ, პატარა საგზაო კალათასაც. იყავით კარგად ჩემო სიხარულებო. მალე გნახავთ და მოგეხვევით სამივეს, ჩემს იმედებსა, ისე ტკბილად როგორც მიყვარხართ. ეს სამი დღეა ჩემი „ქართული სამართლის ისტორიის“ კორექტურა მომივიდა. ძლივს! მე გადანყვეტილი მქონდა, უნდა ჩამომერთმია. ბარტყები ჩვენი კახუნა და

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

ნათელა დამიკოცნე. შენც. ჩემო თვალისჩინო, დაგიკოცნი ლამაზ თვალებს და თავით ფეხრთამდის გემთხვევი ჩემს სიყვარულის ღვთაებას. შენი მარად მოტრფიალე ვანო. პატარა მზეთუნახავსაც სიყვარულით ტუჩებსაც ვუკოცნი და ვეაღერებები.

წყარო: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანის ფონდი, №225.

შენიშვნები და კომენტარები:

1. წერილი გავ ზავნილია თბილისიდან ქუთაისში.
2. ბიძია საშა – ალექსანდრე ორბელიანი, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის მეუღლე.
3. ვ. მაღალაშვილი – როგორც ირკვევა, ივანე ჯავახიშვილის ახლობელთა წრესთან დაახლოებული ექიმი იყო.
4. ნათლიკო – ასე ეძახდნენ შინაურობაში ივანეს მეუღლის, სტაზიას, მამიდას, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს.
5. მაშო, მართა, გიგო – ჯერჯერობით დაუდგენელია ამ პიროვნებების ვინაობა.

V

ტფილისითგან [1]
1917. 6. აგვ[ისტო].

ჩემო საყვარელო სტაზიკო!

დღეს ვაპირებდი წამოსვლას, მაგრამ რაკი ქართ[ული] უნივერსიტეტის წესდებას ზოგმა წევრმა დროზე არ მოაწერა ხელი, გუშინ ვერ შევიტანე კომისარიატში დასამტკიცებლად. სამშაბათამდის მომიხდება დარჩენა და სამშაბათს დილას მატარებლით წამოვალ. კიტამ დედა შენის ნახვა მოინდომა და თეკლემ [2] და თამარამაც [3] მაშინვე მოსწერეს, რომ ბავშვებზე ზრუნვამ არ შეაფერხოსო, ბავშვებს რამდენიმე დღით სტუმრად გზავნიან. მეცა და გიორგიმაც [4] ვუთხარით, რომ არაფერი შეწუხება არ არის მეთქი. თუ თითონ ბავშვებმა სტუმრად წასვლა ირჩიონ, თორემ ისე არა ღირს. დედას, თუ ჩამოვა, შეუძლიან თავის სახლის შესახებ განცხადება შეიტანოს კომისარიატში, იმიტომ რომ ეს მდგმურები ყოვლად საზიზღარნი გამოდგნენ, ბრიყვნი და არც წერილობითს პასუხს იძლევიან და არც დავცლითო. მათთან ლაპარაკი არა ღირს და არც უნდა შეინუხოს [თავი] დედამ და მაგათს თითონ მილიცია გაასახლებს. სამშაბათს მე თითონ წამოვიღებ ყველაფერს სანოვაგესაც.

გაკოცებთ ყველას და მეტადრე თქვენ სამივეს.

შენი მარად ვანო.

წყარო: *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანის ფონდი, №227.*

შენიშვნები და კომენტარები:

1. წერილი გავზავნილია თბილისიდან სოფელ ხოვლეში.
2. თეკლე – ანასტასიას და, კიტა აბაშიძის მეუღლე.
3. თამარი – ანასტასიას და.
4. გიორგი – ივანეს ძმა.

VI

ტფილისით [1]
1917. 5 ოქტომბერს

ჩემო საყვარელი სტაზიკოჯან! რამდენი ხანია წერილი არ მომიწერია. მე თითონ მინდოდა ხოვლეში ამოსვლა და ამიტომ ვფიქრობდი, რომ წერილზე ადრე გნახავდი, მაგრამ იმოდენი საქმეები მაქვს, რომ აქამდის წამოსვლა ვერ მოვახერხე. ჯერ ერთი ქართ[ული] უნივერსიტეტის გამო ბევრი სამუშაო მაქვს და კიტასაც ფერშალი დაეთხოვა რამდენიმე დღით და ჩემს მეტი არავინ არის, ექიმებიც ღამლამობით აღარ მორიგეობენ, რაკი საჭირო არ არის. ამის გამო რასაც წინათ დილით ექიმი უკეთებდა ხოლმე და იმ დღეებში, როდესაც ფერშალი წასული იყო, ყველაფრის გაკეთება მე მიხდებოდა. კიტას თუმცა უკეთობა ეტყობა წინანდელთან შედარებით, მაგრამ მაინც ყოველდღე სიცხეს აძლევს და სიღამბლევ ისევ ისე აქვს. ქართ[ული] უნივერსიტეტის საზოგადოების კრება იყო და კვირას გაგრძელება იქმნება. შენ მეკითხები პეტერბურგში წასვლა ხომ არ მოგიხდებაო. წასვლას არ ვაპირებ: აქა ვრჩები და იანვრითგან ქართ[ულ] უნივერსიტეტს უეჭველად ვხსნით. ჩემო სტაზიკო, მე გადავწყვიტე თქვენი აქ ჩამოყვანა ამ მოკლე ხანში. ბინა უკვე თავისუფალია. მდგმურებს მხოლოდ პატარა ოთახი უჭირავთ ქვევით და ზემო ორი ოთახი. ბინა განმწმენდილი იქმნება. შენც მანდ მზადებას შეუდექი: სარეცხი დაარეცხინე, კვერცხები, ერბო და კარტოფილი ჩამოატანინე და მეც იმ კვირის შუა რიცხვებში, ოთხშაბათს ალბად, ამოვალ და წამოგიყვანთ. ირემას [2] ჭიპი სპირტით გაუნმინდე ხოლმე და ქსეროფორმიანი მარილი დაადე ხოლმე. ქსეროფორმის დაყრა სჯობდა, მაგრამ აქ არსად იშოვება. ლაპისის ფანქრით დაწვა ერთხელ შეიძლება, მაგრამ ვახტანგმა [3] სთქვა, რომ არაფერი საჩქარო არ არის, რომ ჩამოიყვანთ, თუ საჭირო იქმნება, მაშინ გავუკეთებთო. ვფიქრობ, რომ დაწვა არ მოუხდებაო. ტანინის დაყრაც შეიძლება ჭიპზე. ორ ჩვენს დიდს სარეცელს და კახასას ჩამოვიტანთ. ბავშვებისთვისაც რაც საჭირო იქმნება. სასადილო და სამზარეულოს ჭურჭელს დედა ქუთაისითგან იბარებს. ავეჯი ზოგი აქ არის, ზოგი ვანდასთან [4], ზოგსაც ვიშოვით. ნავთის სამზარეულო ვიყიდე კიდევ. სანოვაგესაც ვიყიდი. აქამდის ვერაფერი გამოგიგზავნეთ, რომ არ იშოვებოდა. დღეს ან ხვალ თუხარელის სახელობაზე გამოვატან. იყავით ჩემო გვრიტებო კარგად ჩემ სასიხარულოდ. გაკოცებთ მრავალს სიყვარულით ყველას, მეტადრე თქვენ ოთხივეს. ნეტავი ფეხი როგორა გაქვს. დედაკაცი ნუთუ არ მოვიდა გიორგისაგან. დაგიკოცნი ლამაზ თვალებს. მარად შენი ვანო.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

წყარო: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანის ფონდი, №231.

შენიშვნები და კომენტარები:

1. წერილი გავზავნილია თბილისიდან სოფელ ხოვლეში.
2. ირემა – ალბათ ახალშეძენილი შვილი ლალი (ალექსანდრე) ჯავახიშვილი იგულისხმება. ეს საკითხი კიდევ დასაზუსტებელია.
3. ვახტანგი – ეტყობა, ივანე ჯავახიშვილის ოჯახთან დაახლოებული ექიმი.
4. ვანდა – მისი ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია.

ივანე ჯავახიშვილი აკაკი ჩხენკელს [1]

(1917 წლის 9 ოქტომბერი)

ტფილისი

1917. 9 ოქტომბერს [2]

ღრმად პატივცემულო
ბატონო აკაკი!

„ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ გუშინდელ საერთო კრებაზე თქვენ ერთმხრივ არჩეულ იყავით გამგეობის თავმჯდომარედ. დღეს 9 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე დანიშნულია ხსენებული საზოგადოების გამგეობისა და საფინანსო კომისიის პირველი შეერთებული კრება. გთხოვთ მოზრძანდეთ და დაესწროთ ამ კრებას. სხდომა ამიერკავკასიის ბანკის სადგომში იქმნება (შესავალი „Троицкая ул.“ სამების ქუჩითგან) [3].

თქვენი პატივისმცემელი
ივანე ჯავახიშვილი.

წყარო: *ჟურნალი „კავკასიონი“, XIX, პარიზი, 1978 წ. გვ. 7. დაიბეჭდა ავტორის ფაქსიმილზე. იქვე მითითებაა, რომ მისი დედანი ინახება ჟურნალის რედაქციაში.*

შენიშვნები და კომენტარები:

1. დედანი დაკარგულია. დედნად უნდა ჩაითვალოს ჟურნალ „კავკასიონში“ დაბეჭდილი ავტორისეული ფაქსიმილე. მოგვიანებით ეს წერილი დაბეჭდა თავის წიგნში გ. შარაძემ. იხ. მისი უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი I. თბ., 1991, გვ. 13.
2. დედანში აქაც და ქვემოთაც ასე წერია: „ოქტომბერი“.
3. ამ ქუჩის თანამედროვე მდებარეობა ჯერჯერობით დაუდგენელია.

ივანე ჯავახიშვილი გიორგი ახვლედიანს

(1917 წლის 27 ოქტომბერი)

27 ოქტ[ომბერი]. 1917 წელს.
ტფილისი [1]

დიდად პატივცემულო
ბატონო გიორგი!

ორი კვირა იქმნება მას აქეთ, რაც თქვენი ღია წერილი გადმომცეს, რომელშიაც თქვენ ქართული უნივერსიტეტისა და თქვენ მომავალ მოღვაწეობის შესახებ მე-კითხებოდით. აქამდის პასუხის მოცემა იმიტომ ვერ მოვახერხე, რომ ჯერ ბევრი რამ და მათ შორის ქონებრივ სახსარის რაოდენობა საბოლოოდ გამორკვეული არ იყო. ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების წესდება დამტკიცებულია და უკვე იურიდიული პიროვნებაა და საზოგადოებათა სარეგისტრაციო წიგნშია შეტანილი. ქართული უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებანიც სამინისტროს [2] მიერ კარგა ხანია დამტკიცებულია, მაგრამ, ჯერაც ეს დამტკიცებული ქალაქი არ გამოუგზავნიან ჩვენთვის. ამისი მიღების იმედიც გვაქვს აკ. ჩხენკელის დახმარებით. უნივერსიტეტს იანვარში ვხსნით, ქ[ართულ] გიმნაზიის შენობაში იქმნება მოთავსებული და მთელი ეს შენობა ჩვენი უნივერსიტეტის სრულ საკუთრებად იქცევა. ფულადაც ბევრი შეგროვდება: ამ ერთი წლის განმავლობაში რამდენიმე მილიონის თანხა უნდა შესდგეს ოთხ სხვადასხვა წყაროთგან. ამ თანხის სარგებელი მხოლოდ უნდა მოხმარდეს ჩვენს უნივერსიტეტს. საქმე მეცნიერულად ღირსეული დანესებულების შექმნაა. ამ მხრივ ყოველ ქართველ მეცნიერს დიდი პასუხისმგებლობა აწევს კისერზე. ამ ერთი წლის წინათ, თქვენთან საუბრის დროს, მე გაგიზიარეთ ეს აზრი და მოხარული ვარ, რომ მაშინაც და ეხლაც, თქვენ ამ დიად ეროვნულ საქმის მონაწილეობა მოისურვებ. კერძო უმაღლეს სასწავლებლების შესახები კანონისდა თანახმად და ჩვენ უნივერსიტეტის წესდებითაც პროფესორობა მხოლოდ სამეცნიერო ხარისხის მქონებელს შეუძლიან. ვისაც მხოლოდ სამაგისტრო გამოცდა აქვს ჩაბარებული, ის, სანამ დისერტაციას დაიცავდეს, პროფესორის მოვალეობის აღმასრულებლად იწოდება. ეხლა რაკი თქვენ სამაგისტრო გამოცდები მთლად ჩაბარებული არა გაქვთ, ეხლავე პროფესორის თანამდ[ებობის] აღმასრულებლად ვერ ავირჩევთ, არამედ მეცნიერ ხელმძღვანელად და ლექციების კითხვას შეუდგებით. გაზაფხულზე რომ გამოცდებს დაამთავრებთ, მაშინვე პროფ[ესორის] თანამდ[ებობის] აღმასრულებლად

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

აგირჩევთ, ხოლო თუ დისერტაციასაც დაიცავთ, პირდაპირ კათედრას მოგცემთ. ეხლა რაკი რუსეთში საქმეები ასე აირია და ღმერთმა უწყის მომავალი რას უქადის მას, ამიტომ ძალიან გთხოვთ ეცადოთ, რომ თუ შესაძლებელი იქმნება, გამოცდები მანდვე ხარკოვში დაამთავროთ. ამით თქვენც თავითგან მოიშორებთ ამ პირველს, მაგრამ აუცილებელს საფეხურს და თვით ჩვენ უნივერსიტეტისათვისაც უკეთესი იქმნება სამინისტროს თვალში, რომელსაც უნდა პროფესორთა სია წარვუდგინოთ, რომ ხარისხისა და მაგისტრანტობის მქონებელნი მაინც ბევრნი გვყანდეს. ეს ამას იმ შემთხვევისათვისაც გწერთ, თუ ესა მოსახერხებელი იქმნა. ჩვენ მთავრობის უნივერსიტეტის სახით უნდათ საქმე გაგვიძნელონ და გაგვიფუჭონ. ამ საქმის მოთავე და რუსული უნივერსიტეტის სულის ჩამდგმელი ნ. მარრია და ქ[ართულ] უნივერსიტეტს მეტოქესა უჩენს [3]. დარწმუნებული ვარ, არც ერთი ქართველი მეცნიერი მთავრობის რუსულ უნივერსიტეტში არ შევა და ყოველ ღონისძიებას იხმარს, რომ ქ[ართულ] უნივერსიტეტი თუ უკეთესი არა, ღირსეული მეტოქე იყოს მაინც მეცნიერებაში გამარჯვებული მთავრობის დანესებულებისა. როგორც რუს მიტრაპოლიტის დანიშვნით ქ[ართული] ეკლესიის ავტოკეფალიის დაჩრდილვა ჰსურთ, ისევე რუსული უნივერსიტეტის ტფილისში დაარსებით ჩვენ ავტონომიისა განხორციელების საწინააღმდეგო იარაღია [4]. ბ[ატონო] გიორგი, გთხოვთ თქვენი სურვილი ქ[ართულ] უნივერსიტეტში მოღვაწეობის შესახებ და ყველა ცნობები თქვენს ეხლანდელ მდგომარეობისა და მომავალ გეგმის შესახებ წერილობით მაცნობოთ, აგრეთვე ლექციების სათაური და რამდენს საათს დანიშნავთ. თქვენ, რამდენადაც ვიცი, იკისრებთ საზოგადო და შედარებით ენათმეცნიერების შესახებ ლექციების წაკითხვას. ამას გარდა, თუმცა ჩვეულებრივ ამ კათედრის წარმომადგენელნი სანსკრიტსაც კითხულობენ, მაგრამ ჩვენთვის უფრო მეტი მნიშვნელობა ძველ სპარსულსა აქვს და ამიტომ მე ასე ვფიქრობდი, რომ ეს ენა გაგვეხადა საფუძვლად ინდოევროპული ენათმეცნიერების შემსწავლელთათვის. ქართულისათვისაც ძველსა და ახალ სპარსულს უაღრესი მნიშვნელობა აქვს. თქვენ სწავლობდით ძველ სპარსულს, მომავალშიაც საშუალებას მოგცემთ, დასავლეთ ევროპის საუკეთესო მეცნიერებთან თქვენი ცოდნა ამ დარგში გააღრმავოთ და ჩვენ უნივერსიტეტში მას მკვიდრი საფუძველი შეუქმნათ. რაც წიგნებისა და სახელმძღვანელოების შეძენას შეეხება თქვენი დარგისათვის, გთხოვთ, რაც მანდ მოიძებნება რუსულად ან უცხო ენებზე, მაცნობოთ სათაურები და ღირებულება, ფულს გამოგიგზავნით, შეიძინეთ და წიგნები აქეთ გამოგზავნეთ. ხოლო რაც სამძღვარგარეთითგან უნდა იყოს გამოწერილი, იმის ნუსხა და ფასებიც შემატყობინეთ და ვეცდებით, რომ გამოვიწეროთ რამდენადაც ეხლანდელ პირობებში ეს მოსახერხებელი იქმნება. ველი თქვენს პასუხს. ჩემი მისამართი: ტფილისი, Александровская ул. д. 4, кв. 2 [5].

თქვენი პატივისმცემელი
ივ. ჯავახიშვილი

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

წყარო: ნერილის დედანი ინახება თსუ ისტორიის მუზეუმის ფონდში.

შენიშვნები და კომენტარები:

1. ნერილი გავზავნილია ხარკოვში, სადაც სწავლობდა გიორგი ახვლედიანი.
2. აქ რუსეთის დროებითი მთავრობის სახალხო განათლების სამინისტრო იგულისხმება. მის მიერ დამტკიცებული ქართული უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებანი თბილისში არ ჩამოსულა.
3. ნიკო მარი თავგამოდებით იბრძოდა თბილისში რუსულენოვანი ე. წ. კავკასიის უნივერსიტეტის დაარსებისათვის. ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტის დაარსებით ქართული მეცნიერების აღორძინებას ელტვოდა და ერის გამარჯვებელ პოლიტიკას უპირისპირდებოდა. ამის თაობაზე მომდევნო წლებში ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო მარის ურთიერთობა ძალიან გაფუჭდა.
4. საქართველოს ეკლესია თავისი ავტოკეფალიის აღდგენისათვის იბრძოდა და ივანე ჯავახიშვილიც აქტიურად იყო ჩართული ამ პროცესში. რუსები ქართველებს ავტოკეფალიაზე თანხმდებოდნენ, მაგრამ საქართველოში მცხოვრები მართლმადიდებელი რუსულენოვანი მოსახლეობის საქართველოს ეკლესიისათვის დაქვემდებარებას ეწინააღმდეგებოდნენ. თბილისსაც თავიანთი მაღალი რანგის სასულიერო პირის სამყოფელად განიხილავდნენ და ამით საქართველოს ეკლესიის დასუსტებას ლამობდნენ. ეს ყველაფერი პოლიტიკურ პროცესებთან იყო გადაჯაჭვული. ქართველები რუსეთის სახელმწიფოს დემოკრატიულ გარდაქმნას ელოდებოდნენ და მის ფარგლებში მთელი საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოპოვებას ცდილობდნენ. ივანე ჯავახიშვილი სწორედ ამ პროცესებზე მიაწვდიდა ადრესატს.
5. თანამედროვე თევდორე მღვდლის ქუჩა.

მიმართვები

В ЗАКАВКАЗСКИЙ КОМИССАРИАТ

Уполномоченного Общества Грузинского Университета
Приват-доцента Петроградского Университета
Ивана Александровича Джавахишвили

ЗАЯВЛЕНИЕ

Представляю при сем Основные Положения Устава Грузинского Университета, открываемого в Тифлисе с 1 января 1918 года и объяснительную с ним записку.

При этом считаю нужным заявить, что означенные положения своевременно были представлены в Особый Закавказский Комитет, бывший Председатель которого г.Харламов препроводил таковые на утверждение Министру Народного Просвещения. Министерство принципиально выразило свое согласие, но письменное сообщение об этом, вследствие неоднократных перемен как в составе Министерства, так равно и в самом Правительстве, не дошло до Общества Грузинского Университета.

В настоящее время, когда всю полноту власти воспринял Закавказский Комитет, прошу означенные положения утвердить.

Уполномоченный Общества Груз. Университета И.А. Джавахишвили

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო არქივი, ფონდი 2081, ანაწერი 1, საქმე 191, ფ. 6.

შენიშვნები და კომენტარები:

დოკუმენტი მანქანაზე ნაბეჭდია და შედგენილია რუსულ ენაზე. ბოლოში ივანე ჯავახიშვილის ხელით, შავი მელნით დამატებულია: Уполномоченный Общества Груз. Университета И.А. Джавахишвили. წერილის ადრესატია მაშინდელი სახელისუფლო ორგანო, ამიერკავკასიის კომისარიატი, მაგრამ, როგორც ეტყობა, ამ ორგანოს ჯერ კიდევ არა აქვს თავის საკანცელარიო ატრიბუტიკა შექმნილი და დოკუმენტზე დასმულ შტამზე იკითხება „ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი“ (ОЗАКОМ). დოკუმენტზე ხელით თარიღია მიწერილი „27. XI. 17“, რომელიც წერილის გაგზავნის დროს უნდა აღნიშნავდეს, თუმცა ბლანკზე 5 დეკემბერია მითითებული, რაც გაუგებარია, რადგანაც ცნობილია, რომ ამიერკავკასიის კომისარიატმა ივანე ჯავახიშვილის ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა 2 დეკემბერს.

ივანე ჯავახიშვილის მიმართვა უნივერსიტეტის სტუდენტებისა და მსმენელებისადმი

ბატონებო!

ჩვენი უნივერსიტეტის მთავარს მიზანს საზოგადო სამეცნიერო კვლევა-ძიების გარდა განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის მეცნიერული შესწავლა შეადგენს. ვინ არ იცის, რა ძვირფასი განძია შენახული ენათმეცნიერებისათვის კავკასიის მრავალფეროვანს ენებში და ქართულს მრავალსაუკუნოვან სამწერლო ენაში და კილოებში. ამიტომაც არის, რომ უკვე კარგა ხანია, რაც ევროპიელ მეცნიერთა გულისყური ამ საგნისაკენ იყო მიპყრობილი და მხოლოდ ჩვენ ენების სრული თავისებურობით აიხსნება, რომ მათ ენათმეცნიერების ამ დარგის სიძნელე ჯეროვნად ვერ სძლიეს. ვინ არ იცის, რამდენად საგულისხმიეროა, ჩვენი ქვეყნის წარსულიც. არც გასაკვირველია, რომ ჩვენი უნივერსიტეტის არსებობას სწორედ ჰუმანურ მეცნიერებათა დარგის გახსნით ეყრება საძირკველი. მაგრამ განა მართო ამ მხრივ ხომ არ არის საყურადღებო ჩვენი ტურფა საქართველო? მისი ბუნებაც იმოდენად არის მიმზიდველი მეცნიერისათვის თავის წიაღში შენახულ საიდუმლოებით, რაოდენადაც იგი მიმზიდველია თავის გარეგან სილამაზითაც. ჩვენში ბევრი ისეთი მცენარეა შენახული, ეხლაც ცოცხლობს და ხარობს, რომელნიც ევროპაში დიდი ხანია უკვე აღარ არსებობენ. მაშასადამე, ჩვენი ქვეყნის ბუნება მეცნიერისათვის თავისებური ბუნებისმეტყველების ცოცხალი წიგნია, რომელშიაც მრავალსაუკუნოვან წარსულის ამოკითხვა შეიძლება, უხვად არის ჩვენი სამშობლო სამკურნალო წყაროებითაც შემკული, რომლითაც თვით ბუნება დაავადებულს ადამიანს ჯანმრთელობას უბრუნებს და სიკვდილის კლანჭებისაგან იხსნის ხოლმე. მაგრამ მომეტებული მათგანი ჯეროვნად მეცნიერულად შესწავლილი არ არის არც შემადგენლობის მხრივ, არც მოქმედების მხრივაც. ყველაფერი თითქმის ღვთის ანაბარად არის მიტოვებული და ადამიანს ჩვენში ბუნების ეს განძეულობა უფრო ნაუხდენია, ვიდრე შესაფერისად გამოუყენებია. აი, აქაც ბევრი რაიმე არის გასაკეთებელი როგორც ქიმიკოსებისა, ისევე მკურნალებისათვის. ის მხურვალე სიყვარული მეცნიერებისადმი, რომლითაც ყოველი ჩვენგანი განსჭვალულია, როდესაც ამ დიად საქმის განხორციელებისათვის იღწვის და ის აღფრთოვანება, რომელიც ქართველ საზოგადოებას ეტყობა, იმის თავსმდება, რომ ჩვენი უნივერსიტეტი წარმატების გზას დაადგება, მისი დღეგრძელობა უზრუნველყოფილი იქმნება და მომავალში აყვავდება კიდევ. მე იმედი მაქვს, რომ ამას ხელს შეუწყობენ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები და მსმენელებიც თავიანთი მხნე და მუდმივ ნაყოფიერი მუშაობით.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

წყარო: [1918 წ.] საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი I, საქ. 24, ფ. 32 და ფ. 37. ივანე ჯავახიშვილის ავტოგრაფი.

შენიშვნები და კომენტარები:

პირველად დაიბეჭდა: საისტორიო მოამბე, 21-22, გვ. 361.

დოკუმენტი უთარილოა და იგი მის პირველ გამომცემელს, თ. ტაბლიაშვილს, სხვა დოკუმენტების მიხედვით აქვს დათარიღებული (საისტორიო მოამბე, №21-22, გვ. 361). შემდეგ ეს ნერილი დაბეჭდა თავის წიგნში გ. შარაძემ. იხ. უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი I. თბ. 1991, გვ. 13. დაბეჭდვით თქმა არ შეიძლება, 1918 წლის თუ რომელი სემესტრისთვის არის იგი მომზადებული. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვაქვეყნებთ.

დანართი I

საანკეტო ფურცელი ქართველ სტუდენტობის ყოფა-ცხოვრების გამოსარკვევად

(პასუხი უნდა დაინეროს იქ, სადაც **წერტილები ზის** ან **ხაზი** უნდა
გაეხვას ქვემოდან იმ სიტყვას, რომელიც თვით კითხვაში მოიპოვება)

1. ა). **ვაჟი ხართ თუ ქალი?** ბ). ცოლიანი თუ უცოლო? გ). გაუთხოვარი თუ გათხოვილი? დ). ცოლის ეროვნება; ქმრის ეროვნება
2. ა). **თქვენი წოდება** (თავადი, აზნაური, სასულიერო, მოქალაქე, გლეხი);
ბ). **სარწმუნოება** (მართლმადიდებელი, კათოლიკე, მაჰმადიანი, სომეხ-გრიგორიანი, მოსეს რჯულისა);
გ). თქვენი წლოვანება წლისა;
3. **სადაური ხართ** (ქართლელი, კახელი, სამცხე, საინგილო, თუშეთი, ხევსურეთი, ფშავი, მთიულეთი, იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა-ქობულეთი, სამურზაყანო, აფხაზეთი);
4. ა). **როდის** ბ). **სად** და
გ). **რა გვარი** საშუალო **სასწავლებელი** გაათავეთ (ტფ. ან ქუთ. ქართული გიმნაზია, მთავრობის გიმნაზია, რეალური სასწ., სასულიერო სემინარია, საოსტატო სემინარია, კადეტთა კორპუსი, საკომერციო სასწ. თუ „ექსტერნად“ დაიჭირეთ გამოცდა?);
5. ა). **სად** ბ). რომელ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობთ
გ). რომელ ფაკულტეტზე ან განყოფილებაზე
6. **რამდენი ფული გაქვთ** თვიურად სახარჯავად და ვისგან მოგდით:
მშობლებისაგან; ნათესავებისაგან; სტიპენდია
..... (ვისი სტიპენდია გაქვთ
.....); საკუთარი შრომით აღებული; სესხად
საერთოდ მან. კაპ.
7. **თვიური ხარჯი:** ბინა; სადილი; სხვა სასმელ-საჭმელი (საუზმე, ჩაი-შაქარი, ყავა და სხვა);
თამბაქო; წიგნები და ჟურნალ-გაზეთები;
დანარჩენი წვრილმანი; საერთოდ მან. კაპ.
8. თუ რაიმე ავადმყოფობა ან სენი გჭირთ, რომელი
და სად დაგემართათ

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

9. რა საგანი გაინტერესებთ სპეციალურად
10. იღებთ თუ არა მონაწილეობას ქართულს ან სხვა სათვისტომოში, აგრეთვე სამეცნიერო წრეებში (დაასახელებთ);
11. რამდენად იცით და შესწავლილი გაქვთ ქართული ლიტერატურა და ისტორია
12. ქართულს გარდა იცით ან მეგრულ-ჭანური ან სვანური ან აფხაზური?
13. რა უცხო ენები იცით კარგად
14. თანამშრომლობთ თუ არა ქართულ ან უცხო ჟურნალ-გაზეთებში
15. რომელ პოლიტიკურ მიმართულებას თანაუგრძნობთ ჩვენში

წყარო: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი, №792 (უცხო პირის მიერ ხელნაწერი ნიმუში) და №798-818 ნაბეჭდი ეგზემპლარებია, რომლებიც უკვე სხვადასხვა რესპოდენტის მიერაა შევსებული.

შენიშვნა და კომენტარები:

1907 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში შეიქმნა სტუდენტთა ქართული სამეცნიერო წრე, რომლის ხელმძღვანელი ივანე ჯავახიშვილი იყო. ამ წრემ 1913 წელს რუსეთსა და ევროპის სხვადასხვა ქალაქში არსებულ უნივერსიტეტებში მოსწავლე ქართველებს დაუგზავნა ზემოთ მოცემული საანკეტო ფურცელი. მისი ისეთი ეგზემპლარი, რომელიც ივანე ჯავახიშვილის მიერ იქნებოდა დაწერილი, არ გავაჩნია. შემორჩენილია მხოლოდ ერთი ხელნაწერი ნიმუში (უცხოების მიერ დაწერილი) და სტამბურად ნაბეჭდი, შევსებული და უკან დაბრუნებული ცალები. გამორიცხულია ეს ანკეტა სტუდენტთა სამეცნიერო წრეს დამოუკიდებლად შემუშავებინა. ივანე ჯავახიშვილიც ამ კრებულში მოყვანილ ერთ-ერთ მასალაში ამბობს, „ჩემგან მოხდენილმა ანკეტამ გამოარკვია“ [საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471. ან. I. №7. ფ. 78], უცხოეთში 1300 ქართველი სტუდენტი ყოფილაო. მაგრამ რადგანაც თავად ივანე ჯავახიშვილის ხელნაწერი არ გავაჩნია, მას დანართში ვათავსებთ.

სამწუხაროდ, პირდაპირი მითითება არ გავაჩნია, თუ როდის გაუჩნდა ივანე ჯავახიშვილს ქართული უნივერსიტეტის დაარსების იდეა, მაგრამ ირიბი მინიშნებები არაერთი მოგვეპოვება. ისინი წარმოდგენილ მასალებშიცაა. ივანე ჯავახიშვილისათვის ქართული უნივერსიტეტი არ იყო მხოლოდ განათლების მისაღები კერა,

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

რომლის მეშვეობითაც ქართველ ახალგაზრდებს უცხოეთში გადახვენა არ დასჭირდებოდათ. მისთვის იგი იყო ქართული მეცნიერების დაფუძნების საშუალება და ადგილი. ამიტომ 1907 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა ქართული სამეცნიერო წრისთვის დასახული მიზანი – ქართული ბიბლიოგრაფიის შედგენა, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა და სამეცნიერო ნაშრომების ქართულად წერა და მოხსენებების ქართულად კითხვა – იყო მომავალი ქართული უნივერსიტეტის საფუძველზე ფიქრი. ეს წრე, რომელმაც ევროპის ქვეყნებსა და რუსეთის უნივერსიტეტებში მყოფი ქართველი სტუდენტების გამოკითხვა მოაწყო, სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. ამაზე თავად მიუთითებდა ივანე ჯავახიშვილი 1917 წელს გაკეთებულ ერთ-ერთ მოხსენებაში. საქართველოს გარეთ „როგორც ჩემგან მოხდენილმა ანკეტამ გამოარკვია, სულ დაახლოებით 1300 ითვლება“ (უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471. აღ. I. №7. ფ. 78). ამ მიზეზით ქართველ სტუდენტთა წრის მომზადებულ ანკეტას აქვე ვბეჭდავთ.

დანართი II

საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო უნივერსიტეტის დაარსების შესახებ

რუსეთში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნილმა დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიის სამართავად შექმნა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი (ОЗАКОМ), რომელშიაც შევიდნენ რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები: რუსი ვ. ხარლამოვი (თავმჯდომარე), სომეხი მ. პაპაჯანოვი, აზერბაიჯანელი მ. ჯაფაროვი, ქართველები კ. აბაშიძე და აკ. ჩხენკელი.

ოფიციალური ხელისუფლების პარალელურად მოქმედი პოლიტიკური პარტიები, ბოლშევიკების გარდა, თავადვე ცდილობდნენ კრიზისიდან გამოსვლას და კომპრომისის მიღწევას. ისინი უკვე აპრილშივე შეიკრიბნენ და დაიწყეს ქართველი ერის წინაშე მდგარი მწვავე საკითხების მოგვარებაზე მსჯელობა. ხოლო 1917 წლის 12 აგვისტოს შეიქმნა საქართველოს ინტერპარტიული ბიურო. 1917 წლის 21 აგვისტოს მას საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო უწოდეს. მასში 4 პოლიტიკური პარტიიდან (სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები, სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები) 10-10 წარმომადგენელი იქნა არჩეული. სწორედ ამ საბჭომ მოიწვია 1917 წლის 19 ნოემბერს საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა და შეიქმნა საქართველოს ეროვნული საბჭო. ამ უკანასკნელმა 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ივანე ჯავახიშვილი ყველა შესაძლებლობის გამოყენებას ცდილობდა და მისივე ძალისხმევით საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს სხდომაზე ქართული უნივერსიტეტის დაარსების საკითხიც იხილებოდა. ამიტომ ამ საბჭოს სხდომის ოქმების იმ ნაწილს, სადაც აღნიშნულ საკითხზეა მსჯელობა, აქვე ვაქვეყნებთ.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო

სხდომის დღიური – 16 ენკენისთვე 1917 წ.

დაესწრნენ:

თავმჯდომარე [1]

თავმჯდომარის ამხანაგი გ. ლასხიშვილი

ხაზინადარი [2]

მდივანი პ. საყვარელიძე

წევრნი: ი. გედევანიშვილი, გ. გვაზავა, ნ. ქარცივაძე, ი. ჩერქეზიშვილი, შ. მიქელაძე, ს. ფირცხალავა, ქ. რაჭველიშვილი, დ. უზნაძე, კ. მესხი, ს. დადიანი, გ. ნათაძე, გ. ჟურული, გრ. ვეშაპიძე.

დაესწრნენ: ქართული ბათალიონის პოლკ[ოვნიკი] გარდაფხაძე, პროფ[ესორი] ჯავახიშვილი, ვარ. ჩერქეზიშვილი.

თავმჯდომარეობდა გ. ლასხიშვილი [3]

№№	გამსახილველი საგანი	განაჩენი	შესრულდა თუ არა
3	ქართული უნივერსიტეტის დაარსების საკითხი პროფ. ივ. ჯავახიშვილი მოხსენებას აკეთებს ქართული უნივერსიტეტის შესახებ. ორატორი არჩევს საკითხს ქართული უნივერსიტეტის დაარსების შესახებ-ლობაზე. გამოსთქვამს თავის მოსაზრებას, როგორც პროფესორთა და სტუდენტთა რიცხვზე, ისე მომავალ ქართულ უნივერსიტეტის ეკონომიურ მხარეზე. ქართულ უნივერსიტეტისათვის ორის უმთავრეს პირობის შექმნაა საჭირო, სახელდობრ – თვით ქართულ უნივერსიტეტის	გადაწყდა – ერთხმად, ერთი ხმის გამოკლებით – (გ. ვეშაპიძე თავს იკავებს) საქართველოს ეროვნული ინტერპარტიულმა საბჭომ ყოველი ღონე იხმაროს, რათა 1918 წლის იანვრიდან ქართული უნივერსიტეტი დაარსდეს თბილისში, თუ ამის წინააღმდეგ ნამეტანი დამაბრკოლებელი მიზეზები არ გამოჩნდა.	

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

<p>სრულუფლებიანობა და სტუდენტთა პროფესორთათვის სამხედრო ბეგარის მოხსნა. ორატორი არა სთვლის სახეიროდ დორპტის უნივერსიტეტის გადმოტანას საქართველოში, რადგან ყველა საჭირო სამეცნიერო საგნები და უნივერსიტეტის მდიდარი ბიბლიოთეკა არ იქნებიან გადმოტანილნი.</p>		
---	--	--

თავმჯდომარე [4]

მდივანი: პ. საყვარელიძე [5]

წყარო: საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს სხდომის ოქმები. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო არქივი, ფონდი 1823, ანაწერი 1, №1, 29-30.

შენიშვნა და კომენტარები:

1. სხდომას თავმჯდომარე არ ესწრება და ამიტომ არცაა მითითებული.
2. არც ხაზინადარია მითითებული.
3. სულ სხდომაზე განხილულ იქნა 7 საკითხი. პირველი 2 და ბოლო 4 საკითხი უნივერსიტეტს არ ეხება და ამიტომ გამოვტოვეთ.
4. სხდომის თავმჯდომარის მიერ ხელმოუწერელია.
5. ოქმი შედგენილია პ. საყვარელიძის მიერ.

საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო

სხდომის დღიური

23 ენკენისთვე 1917 წ. [1]

დაესწრნენ:

თავმჯდომარე [2]

თავმჯდომარის ამხანაგი გ. ლასხიშვილი

ხაზინადარი კ. მესხი

მდივანი პ. საყვარელიძე

წევრნი: შ. მესხიშვილი, ნ. ქარცივაძე, ს. ფირცხალავა, ს. დადიანი, შ. მიქელაძე, დ. ვაჩნაძე, ი. გედევანიშვილი, გ. ქიქოძე, გ. გვაზავა, ქ. რაჭველიშვილი, რ. ივანიცკი, ს. კედია, გ. ვეშაპიძე, ი. ჩერქეზიშვილი.

დაესწრნენ: სასკოლო საქმეთა გამო – პ. ქავთარაძე, ვ. ყიფიანი, ვ. ბურჯანაძე, არ. ნითლიძე. ეროვნული ბელის გამო – ბ. ქვარიანი.

თავმჯდომარეობდა გ. ლასხიშვილი

№№	განსახილველი საკითხი	განაჩენი	შესრულდა თუ არა
8	ქართულ უნივერსიტეტის დამარსებულ საზოგადოების მოწოდება	მოწოდება ნაკითხულ და ცნობად იქმნა მიღებული.	

თავმჯდომარე [3]

მდივანი: პ. საყვარელიძე [4]

წყარო: საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს სხდომის ოქმები. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო არქივი, ფონდი 1823, ანაწერი 1, №1, ფ. 32.

შენიშვნები და კომენტარები:

1. 23 ენკენისთვეს (სექტემბერს) მერვე საკითხად იყო გამოტანილი ქართულ უნივერსიტეტის დამარსებელი საზოგადოების მოწოდება. რას ითხოვდნენ და რისკენ მოუწოდებდნენ, არა ჩანს. უნდა ვივარაუდოთ, რომ უნივერსიტეტის დაარსების საქმეში დახმარებას ითხოვდნენ და ამისკენ მოუწოდებდნენ შეკრებილთ.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

2. სხდომას თავმჯდომარე არ ესწრება და ამიტომ არცაა მითითებული.
3. სხდომის თავმჯდომარის ხელმოწერა არ არის.
4. დანერილია პ. საყვარელიძის მიერ.

საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო

სხდომის დღიური – 19 ოქტომბერი 1917 წ.

დაესწრნენ:

ა. ჩხენკელი თავმჯდომარე [1]
 თავმჯდომარის ამხანაგი გ. ლასხიშვილი
 ხაზინადარი კ. მესხი
 მდივანი [2]

წევრნი: ა. ლომთათიძე, დ. ვაჩნაძე, შ. მესხიშვილი, ი. გედევანიშვილი, დ. უზნაძე, გ. ქიქოძე, გ. გვაზავა, დ. კაჩაური, შ. მიქელაძე, ი. ბარათაშვილი, გ. ვეშაპიძე, შ. ამირაჯიბი, რ. ინგოროყვა, ი. ჩერქეზიშვილი, მ. გავაშელი, ი. გობეჩია.

კრებას ესწრება აგრეთვე თავადაზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს წარმომადგენელი კ. აბხაზი.

თავმჯდომარეობდა გ. ლასხიშვილი [3]

№№	გამსახილველი საგანი	განაჩენი	შესრულდა თუ არა
2	სათეატრო და საუნივერსიტეტო ფონდის საკითხი. ქართულ დრამატულ საზოგადოების წარმომადგენელი შ. დადიანი და ქართულ უნივერსიტეტის დამაარსებელ საზოგადოების წარმომადგენელი პროფ. ი. ჯავახიშვილი იმის შესახებ, თუ რომელია საუკეთესო საშუალება ქართულ თეატრისა და უნივერსიტეტის ფონდის გასაძლიერებლად.	კრება პრინციპიალურად მომხრეა ლოტარეის გამართვისა და აღმასრულებელ კომიტეტს ანდობს საქმის გაძლოლას და ამ საკითხის ამ მოკლე ხანში გადაწყვეტას დაინტერესებულ საზოგადოებათა წარმომადგენლებთან ერთად.	

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

<p>მომხსენებელთა აზრით ამისათვის ერთ საუკეთესო საშუალებად უნდა ჩაითვალოს ხუთ მილიონიან მომგებიან ლოტარეის გამართვა. ითხოვენ საბჭოსაგან ამ საქმეში დახმარებას.</p>		
---	--	--

თავმჯდომარე [4]
 მდივანი: პ. საყვარელიძე

წყარო: საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს სხდომის ოქმები. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო არქივი, ფონდი 1823, ანაწერი 1, № 1, ფ. 35.

შენიშვნები და კომენტარები:

1. ოქმში მითითებულია, რომ სხდომას ესწრება თავმჯდომარე ა. ჩხენკელი, მაგრამ ქვემოთ წერია, რომ სხდომას თავმჯდომარეობს გ. ლასხიშვილი.
2. მდივნის გვარი აქ არ წერია და თუმცა ქვემოთ ხელს კი აწერს. ალბათ ამ დღესაც მდივანი პ. საყვარელიძე იქნებოდა.
3. სხდომაზე სულ განხილულ იქნა 5 საკითხი. პირველი და ბოლო სამი საკითხი უნივერსიტეტს არ ეხება და გამოვტოვეთ.
4. ოქმი სხდომის თავმჯდომარის მიერ ხელმოუწერელია.

დანართი III

უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები

1917 წლის 9 ოქტომბერს უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის, საკონტროლო საბჭოსა და საფინანსო კომისიის შეერთებულმა კრებამ დაადგინა, რომ უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის ანუ საბჭოს შედგენა მიენდოს პ. მელიქიშვილს, ივ. ჯავახიშვილს და ა. რაზმაძეს. როგორც ეტყობა, პროფესორთა კოლეგია მომდევნო დღეებში კიდევაც ჩამოყალიბდა.

უნივერსიტეტი იურიდიულად 2 დეკემბრის აქტით დაარსდა, როცა უნივერსიტეტის ძირითადი დებულებების დამტკიცებას ხელი მოაწერა ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარემ, ევგენი გეგეჭკორმა. მაგრამ იგი თუ ფუნქციონირებას არ დაიწყებდა, ყველაფერი მხოლოდ ქალაქზე დარჩებოდა. უნივერსიტეტის საზოგადოებამ კი 1917 წლის 6 დეკემბერს თავი შეიკავა უნივერსიტეტის იანვრიდან გახსნისაგან, მაშინ ივანე ჯავახიშვილმა კრებას ასეთი დადგენილება მიაღებინა: **„თუ მაინც და მაინც პროფესორთა კოლეგია საჭიროდ დაინახავს და მოახერხებს სწავლის ამთავითვე დაწყებას, უნივერსიტეტის საზოგადოება ეცდება ხელი შეუწყოს, რითაც შეეძლება“**.

სწორედ პროფესორთა კოლეგიამ (საბჭომ) გადაწყვიტა უნივერსიტეტის გახსნის ბედი. ამ ორგანოს მოქმედების თაობაზე, მართალია, ძუნწად, მაგრამ ძალზე ზუსტად მოგვითხრობს პროფესორთა საბჭოს ოქმები.

პროფესორთა საბჭოს ოქმები, რომლებიც ინახება საქართველოს ეროვნულ არქივში (უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, აღნ. I. საქმე №2) 2006 წელს გამოსცეს მანანა ლილუაშვილმა და ზურაბ გაიპარაშვილმა.

ჩვენ ამ გამოცემიდან ვბეჭდავთ მხოლოდ იმ ოქმებს, რომლებიც უნივერსიტეტის საზეიმოდ გახსნამდელ (1918 წლის 26 იანვარი) პერიოდს ასახავს. სამწუხაროდ, მათში ყოველთვის არაა მითითებული, ვინ რა ილაპარაკა განსახილველ კონკრეტულ საკითხზე, მაგრამ სხვა დოკუმენტებთან შეჯერება მკითხველს საშუალებას მისცემს, რომ უმრავლეს შემთხვევაში განხორციელებულ აქტივობებში ივანე ჯავახიშვილი დაინახოს.

ქართული უნივერსიტეტის საბჭოს წინასწარი სხდომის
დღიური № 01 26 ნოემბერი, 1917 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს 7. 10 საათზე.
(ბატ. ექვთიმე თაყაიშვილის ბინაზე)

დაესწრნენ: გოგიჩაიშვილი ფ; თაყაიშვილი ე; კეკელიძე დეკ. კორნ; უზნაძე დ;
შანიძე ა; ჯავახიშვილი ი.

თავმჯდომარეობდა: ივ. ჯავახიშვილი. **მდივანი:** ა. შანიძე.

- 1. განსახილველი საგანი:** რა ტიპისა უნდა იყოს ჩვენი უნივერსიტეტი? იმავე ტიპისა, როგორც რუსეთში, თუ სხვაგვარი?
განაჩენი: აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გადაწყდა, რომ უცხოეთის ბევრ უნივერსიტეტის მსგავსად, ერთი სიბრძნისმეტყველების ანუ საფილოსოფიო ფაკულტეტი დაარსდეს, შემდეგი განყოფილებებით:
1). ჰუმანურ მეცნიერებათა (რომელიც უდრის პეტერბურგის უნივერსიტეტის საისტორიო-ფილოლოგიური და აღმოსავლური ენების ფაკულტეტებს);
2). სამათემატიკო და
3). საბუნებისმეტყველო.
მხოლოდ ამ თავითვე გაიხსნას ჰუმანურ მეცნიერებათა განყოფილება.
- 2. განსახილველი საგანი:** ჩვენი სამეცნიერო ძალები.
განაჩენი: დასახელებულ იქნენ პროფესორებად: ს. ავალიანი, გ. ახვლედიანი, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ი. ჯავახიშვილი.
მეცნიერ ხელმძღვანელებად: ი. აბულაძე, ე. თაყაიშვილი, მ. წერეთელი.
ლექტორებად: მოლა ცივაძე (არაბული ენისათვის), მემედ აბაშიძე (ოსმალური-სათვის), ბ. Liamusn'ი (ფრანგული ენისა), ბ. A. Leist'ი (გერმანული-სათვის), ვ. ჩერქეზიშვილი (ინგლისურისათვის), პატრი გოზალიშვილი (იტალიურისათვის).
ჩამოთვლილ იყვნენ აგრეთვე ის პირნი, რომელთა უნივერსიტეტში დატოვება სასურველია: დ. ყიფშიძე, ს. ლომაია, ს. ყაუხჩიშვილი, გ. ქიქოძე და სხვა.
- 3. განსახილველი საგანი:** უნივერსიტეტის ბინა და თანხა.
განაჩენი: ვიზრუნოთ და ვეცადოთ, რომ ქართული გიმნაზიის შენობა როგორმე შევიძინოთ და აგრეთვე საადგილმამულო ბანკიდან 800 000 მანეთი მივიღოთ.

4. **განსახილველი საგანი:** უნივერსიტეტის ძირითად დებულებათა დამტკიცების საკითხი.

განაჩენი: უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი ხელახლად წარდგენილ იქნეს დასამტკიცებლად ამიერკავკასიის კომისარიატში, ვინაიდან პეტროგრადის დროებითი მთავრობის მიერ დამტკიცებულმა ქალაქდმა პოლიტიკური პირობების გამო ვერ ჩამოაღწია.

5. **განსახილველი საგანი:** ხარჯთ-აღრიცხვის საკითხი.

განაჩენი: მიენდო ფ. გოგიჩაიშვილს კრებაზე გამოთქმულ მოსაზრებათა მიხედვით შეადგინოს სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა და წარუდგინოს შემდეგ კრებას.

მდივანი ა. შანიძე.

ქართული უნივერსიტეტის საბჭოს სხდომის დღიური № 02
8 დეკემბერს, 1917 წელი

სხდომა დაიწყო საღამოს 8. 30 საათზე.
(საეპარქიო სასწავლებელში)

დაესწრნენ: ფ. გოგიჩაიშვილი; კ. კეკელიძე; ი. ყიფშიძე; ი. ჯავახიშვილი.

თავმჯდომარეობდა:

მდივანი:

- განსახილველი საგანი:** უნივერსიტეტის დებულებათა საკითხი.
განაჩენი: ივ. ჯავახიშვილმა კრებას მოახსენა, რომ ძირითადი დებულებანი უკვე დამტკიცებულია.
- განსახილველი საგანი:** ხარჯთ-აღრიცხვის საკითხი.
განაჩენი: წარმოდგენილ იქმნა ფ. გოგიჩაიშვილის მიერ ორი ხარჯთ-აღრიცხვა: ვრცელი და შემოკლებული (200 000 და 156 000). კრებამ შესაძლოდ დაინახა ხარჯების კიდევ შემოკლება 100 000 – 120 000 მანეთამდის.
- განსახილველი საგანი:** ხარჯების დასაფარავი შემოსავლის წყაროები.
განაჩენი: დასახელებულ იქმნა შემდეგი უმთავრესი წყაროები:
1). სწავლის ფული;
2). საუნივერსიტეტო საზოგადოების დახმარება;
3). ეროვნული საბჭოს დახმარება;
4). კერძო შემოწირულობანი.

მდივანი: ა. შანიძე.

ქართული უნივერსიტეტი. კერძო თათბირი. წინასწარი სხდომის
დღიური № 03 17 დეკემბერს, 1917 წელი

სხდომა დაიწყო ----- საათზე.

დაესწრნენ: ი. აბულაძე, კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე.

თავმჯდომარეობდა: არავინ

მდივანი: ა. შანიძე.

- 1. განსახილველი საგანი:** უნივერსიტეტის გახსნის დრო.
განაჩენი: გამოთქმულ იქმნა სურვილი, რომ უნივერსიტეტი გაიხსნას 14 იანვარს. გახსნაზე მოწვეულ იქმნან სხვადასხვა კულტურულ-გამნათლებელ საზოგადოებათა წარმომადგენლები.
- 2. განსახილველი საგანი:** უნივერსიტეტში მისაღებ პირთა ცენზის შესახებ.
განაჩენი: საჭიროდ იქმნა აღიარებული საშუალო სასწავლებლის ცენზი (სტუდენტთათვის): ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, რეალური სასწავლებელი, კომერციული წმ. ნინოს სასწავლებლები, სასულიერო სემინარია (ოთხი კლასი), სომეხთა სას. სემინარია, საეპარქიო სასწავლებლები, კადეტთა კორპუსი, საოსტატო ინსტიტუტი, ქალთა ინსტიტუტი.
- 3. განსახილველი საგანი:** უნივერსიტეტში ამ თავითვე წაკითხული საგნებისა და პროგრამების შესახებ.
განაჩენი: ჩამოთვლილ იქმნა ყველა ის საგნები, რომლებიც ახლადვე იქმნება წაკითხული შემდეგ დარგებიდან: 1. საფილოსოფიო, 2. საისტორიო, 3. სალიტერატურო, 4. საენათმეცნიერო, 5. სოციალურ-მეცნიერებათა და 6. საპედაგოგიო დარგებიდან.
- 4. განსახილველი საგანი:** უნივერსიტეტის გახსნისა და მისაღები პირობების შესახებ განცხადება გაზეთებში.
განაჩენი: ი. ყიფშიძემ და ა. შანიძემ იკისრეს სათანადო განცხადების შედგენა და გაზეთებში დაბეჭდვა.

მდივანი: ა. შანიძე.

ქართული უნივერსიტეტის საბჭოს სხდომის
დღიური № 04 19 დეკემბერს, 1917 წელი

სხდომა დაიწყო ----- საათზე.

დაესწრნენ: ი. აბულაძე, ე. თაყაიშვილი, პ. მელიქიშვილი, დ. უზნაძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ივ. ჯავახიშვილი.

თავმჯდომრეობდა: პ. მელიქიშვილი.

მდივანი: ა. შანიძე.

- 1. განსახილველი საგანი:** სამოსწავლო გეგმის შედგენის შესახებ.
განაჩენი: არჩეულ იქმნა კომისია, რომელსაც დაევალა სამოსწავლო გეგმის დაწვრილებით შემუშავება. კომისიაში არჩეულ იქმნენ: ივ. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, დ. უზნაძე.
- 2. განსახილველი საგანი:** უნივერსიტეტში სტუდენტებად მისაღებ პირთა განათლების ცენზის შესახებ.
განაჩენი: კერძო თათბირზე (17 დეკემბერს) მიღებული აზრი მოწონებული და დამტკიცებული იქმნა შემდეგის დამატებით: სტუდენტებად მიიღებიან აგრეთვე საოსტატო სემინარიაში კურს დამთავრებულნი მხოლოდ ფსიქო პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ დარგზე. ამასთანავე უნივერსიტეტს უფლება აქვს, როგორც ამ პირთ, ისე საზოგადოდ ყველა სტუდენტს დამატებითი გამოცდები მოსთხოვოს ამა თუ იმ საგანში დარგებისდა მიხედვით.
- 3. განსახილველი საგანი:** სწავლის ფულის რაოდენობა.
განაჩენი: გადახდეს ყველა მსმენელს (სტუდენტებსაცა და თავისუფალ მსმენელს) სემესტრში ასი მანეთი.
ხოლო იმ თავისუფალ მსმენელთ, რომელთაც ჰსურს ერთი ან ორი კერძო საგნის მოსმენა, გადახდეს სემესტრში ხუთი თუმანი.
- 4. განსახილველი საგანი:** ი. ჯავახიშვილმა კრებას აცნობა განსვენებულის კიტა აბაშიძის ანდერძი მისი წიგნთსაცავის ქ. უნივერსიტეტისადმი გადმოცემის შესახებ.
განაჩენი: კრებამ ფეხზე ადგომით პატივისცა განსვენებულის ხსოვნას და დაადგინა მთელი შემადგენლობით დაესწროს მის დასაფლავებას.

მდივანი: ა. შანიძე.

ქართული უნივერსიტეტის საბჭოს სხდომის

დღიური № 05 27 დეკემბერს, 1917 წელი

სხდომა დაიწყო შუადღის 12. 30 საათზე.
(ქ. გიმნაზიის შენობაში)

დაესწრნენ: ფ. გოგიჩაიშვილი, კ. კეკელიძე, პ. მელიქიშვილი, შ. ნუცუბიძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ი. ჯავახიშვილი.

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი.

მდივანი: ა. შანიძე.

1. **განსახილველი საგანი:** სამოსწავლო გეგმის შესამუშავებლად არჩეული კომისიის მოხსენება.

კომისიამ გადაწყვიტა, რომ ჩვენს უნივერსიტეტში საგნების დანაწილება დარგებისდა მიხედვით იყოს (ფილოსოფიური, პედაგოგიური, საენათმეცნიერო, საისტორიო, სალიტერატურო, სოციალურ მეცნიერებათა, მომავალში აგრეთვე ხელოვნებისა და საღვთისმეტყველო) და არა ენების მიხედვით, როგორც რუსულ უნივერსიტეტებშია (სლავურ-რუსული, კლასიკური, რომანულ-გერმანული). ამას გარდა, საერთო საგნებად, ე. ი. ყველასათვის სავალდებულო საგნებად ცნობილ იქმნა: ლოლიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფიის შესავალი, საქართველოს ისტორიის საზოგადო კურსი (დროებით) და ერთ-ერთი ევროპული ენა (ინგლის; ფრ; გერმ.). საზოგადო საგნები უნდა მოსმენილ იქმნენ ორის წლის განმავლობაში.

განაჩენი: გეგმა მოწონებულ იქმნა საერთოდ, მაგრამ არჩეულ იქმნა კიდევ კომისია, რომელსაც მიენდო საკითხის გადასინჯვა და ამა თუ იმ დარგში არასავალდებულო საგნების შემოკლება და თანაც პირველი სემესტრის ლექციების განაწილება და სტუდენტების ლექციებზე ჩანერის ტეხნიკა. კომისიაში მოჰყვნენ: ივ. ჯავახიშვილი, კორნ. კეკელიძე, ი. ყიფშიძე, შ. ნუცუბიძე, ფ. გოგიჩაიშვილი.

2. **განსახილველი საგანი:** სხვა უმაღლეს სასწავლებლებიდან გადმოსულ სტუდენტთა მიერ მოსმენილი საგნების ჩათვლის საკითხი.

განაჩენი: გადაწყდა, რომ შეიძლება ჩაეთვალოს მხოლოდ ის საგნები, რომელთაც ჰკითხულობენ სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები.

ამის შესახებ საგანგებოდ გამოცხადებული არ იქმნება, მაგრამ ყოველ კერძო შემთხვევაში დადებითად გადაწყვეტილი იქმნება.

მდივანი: ა. შანიძე.

ქართული უნივერსიტეტის საბჭოს სხდომის
დღიური № 06 3 იანვარს 1918 წ.

სხდომა დაიწყო დღისით 12. 30 საათზე.

დაესწრნენ: ე. თაყაიშვილი, კ. კეკელიძე, პ. მელიქიშვილი, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ი. ჯავახიშვილი.

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი.

მდივანი: ა. შანიძე.

- 1. განსახილველი საგანი:** ლექციების ნუსხა პირველ სემესტრში და მათი განაწილება:
ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა კომისიის მიერ შედგენილი ნუსხა პირველი სემესტრის ლექციებისა და მათი განაწილება.
განაჩენი: მოწონებული იქმნა.
- 2. განსახილველი საგანი:** სტუდენტებისა და თავისუფ. მსმენელთა სალექციო წიგნაკების შედგენა და დაბეჭდვა.
განაჩენი: მიენდო ი. ყიფშიძეს და ა. შანიძეს ამ საქმის მოგვარება.
- 3. განსახილველი საგანი:** უნივერსიტეტის წესდების განხილვა.
ივ. ჯავახიშვილმა დაიწყო მის მიერ შედგენილი საუნივერსიტეტო წესდების კითხვა, მაგრამ დროს უქონლობის გამო წესდების მთლად განხილვის საქმე სხვა დროისათვის გადაიდო. ახლა კი წაკითხულ იქმნა მხოლოდ ის თავი, რომელიც ორგანოებს შეეხება.
განაჩენი: უნივერსიტეტის ორგანოების შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიენდოს ბ. ივ. ჯავახიშვილს, კრებაზე გამოთქმული აზრების მიხედვით რამოდენიმე ცვლილება შეიტანოს წესდებაში და წარმოადგინოს შემდეგ კრებაზე დასამტკიცებლად.
- 4. განსახილველი საგანი:** ბოღბის მონასტერში არსებულ სასწავლებელში კურსდამთავრებულთა მიღების შესახებ.
განაჩენი: მიღებულ იქმნან საოსტატო სემინარიაში კურსდამთავრებულთა მსგავსად (იხ. 19 დეკემბრის ოქმი).

მდივანი: ა. შანიძე.

ქართული უნივერსიტეტის საბჭოს სხდომის დღიური № 07

10 იანვარს 1918 წლის

სხდომა დაიწყო შუადღის 12 საათზე.

(ბატ. ექვთიმე თაყაიშვილის ბინაზე)

დაესწრნენ: ი. აბულაძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ე. თაყაიშვილი, პ. მელიქიშვილი, შ. ნუცუბიძე, კ. კეკელიძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ი. ჯავახიშვილი.

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი.

მდივანი: ა. შანიძე.

1. **განსახილველი საგანი:** აუდიტორიების მოწყობა (საჯდომები, ელექტრონი, გათბობა).

განაჩენი: დაუკვეთოთ საჯდომი სკამების გაკეთება ხელოსანს კაკაბაძეს, რომელიც სულ მოკლე ხანში, უნივერსიტეტის გახსნამდე, გვპირდება 40 ცალი საჯდომის ჩაბარებას.

ელექტრონის შესახებ მოლაპარაკება გაიმართოს ელექტრონის სადგურთან და გიმნაზიის გამგე კომიტეტთანაო (ეს საქმე მიენდო ა. შანიძეს). გათბობას ჯერ-ჯერობით თავი დავანებოთო.

2. **განსახილველი საგანი:** უნივერსიტეტის გახსნის თადარიგი.

გამოითქვა აზრი, რომ გახსნილ იქმნას 26 იანვარს (დავით აღმაშენებლის დღეს, რომლის სახელზეა აშენებული ქართ. გიმნაზიის ეკლესია), რადგან 14 იანვრისათვის ვერ მოესწრება.

უნივერსიტეტის გახსნაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ქ. საუნივერსიტეტო საზოგადოების გამგეობამ და გახსნის დროს მოწვეულ უნდა იქმნეს ეროვნული საბჭო, უმაღლეს სასწავლებლების (პოლიტექნიკუმი, ქალთა უმაღლესი კურსები) წარმომადგენელი და სხვა და სხვა კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოებათა წარმომადგენლები და აგრეთვე უცხოელები.

განაჩენი: საბოლოოდ არაფერი დადგენილება ყოფილა ამის შესახებ.

3. **განსახილველი საგანი:** კვლავ ლექტორების შესახებ:

დასახელებულ იქმნენ ლექტორებად: ინგლისური ენისათვის ქ-ნი ვანდა ღამბაშიძე, ფრანგულისათვის – ქ-ნი ელისაბედ ორბელიანი და გერმანულისათვის ბატ. ილია ყიფშიძე.

განაჩენი: საბოლოოდ არაფერი დადგენილება ყოფილა ამის შესახებ.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

4. **განსახილველი საგანი:** უნივერსიტეტის წიგნთსაცავისათვის.
ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა მისი წერილი შავი ქვის საბჭოსადმი მიწერილი, სადაც ნათხოვნია, რომ საბჭომ უნივერსიტეტს დაუთმოს ის წიგნები, რომელიც მას საგანგებოდ ჰქონდა შექმნილი საქართველოს წარსულისა და აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ.
მსჯელობის დროს გამოიკვია, რომ შავი-ქვის საბჭოს ჰქონია აგრეთვე მინერალოგიური კაბინეტი და ფისიკური¹ და ქიმიური ლაბორატორიები.*
განაჩენი: საბოლოოდ არაფერი დადგენილება ყოფილა ამის შესახებ.
5. **განსახილველი საგანი:** უნივერსიტეტის ბლანკების დაბეჭდვა.
განაჩენი: დაიბეჭდოს ბლანკები ასეთი ზედწარწერით: „ქართული უნივერსიტეტი თფილისში“.
6. **განსახილველი საგანი:** კრებას მოხსენდა, რომ ილია ჭყონიას განუცხადებია სიტყვიერად, რომ უნივერსიტეტმა ნება დართოს, რომ მსმენელად ჩაწერა მასთანაც შეიძლებოდა.
განაჩენი: წინადადება უარყოფილ იქმნა.
7. **განსახილველი საგანი:** იუსტინე აბულაძემ შუამდგომლობა აღძრა, სპარსეთში მივდივარ და სპარსული ნაბეჭდი და ხელნაწერი წიგნების შესაძენად 300 მანეთი მომეცითო.
განაჩენი: დაადგინეს მიეცეს თხოვნისამებრ 300 მანეთი.

მდივანი: ა. შანიძე.

¹ ალბათ ფიზიკური უნდა ეწეროს. პირველი გამომცემლების მ. ლილუაშვილის და ზ. გაიპარაშვილის შენიშვნა.

* ივ. ჯავახიშვილმა ამასთანავე კრებას მოახსენა, რომ ბატონ ლა-გრანჟს შემოუთვლია, რომ ჩვენს უნივერსიტეტს შეუძლია საფრანგეთიდან, პასტერის ინსტიტუტიდან, ბაქტერიოლოგიური კაბინეტი მი [...]. ეს ოქმისეული შენიშვნაა, რომელსაც მოსდევს პირველი გამომცემლების შენიშვნა: „ქალაქის დაზიანების გამო დანარჩენი ტექსტი აღარ იკითხება“.

ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომის
დღიური № 01¹ 13 იანვარს 1918 წ.

სხდომა დაიწყო დილის 11. 30 საათზე.
(ქართ. გიმნაზიის შენობაში)

დაესწრნენ: ფ. გოგიჩაიშვილი, ე. თაყაიშვილი, პ. მელიქიშვილი, შ. ნუცუბიძე, კ. კეკელიძე² ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ი. ჯავახიშვილი.

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი.

მდივანი: ა. შანიძე.

- 1. განსახილველი საგანი:** წაკითხულ იქმნა ქართული უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი, უკვე დამტკიცებულნი ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ.
განაჩენი: დამტკიცება მიღებულ იქმნა ცნობად.
- 2. განსახილველი საგანი:** წაკითხულ იქმნა ახალი (შესწორებული) რედაქცია წესდების იმ ნაწილისა, სადაც უნივერსიტეტის ორგანოებზეა საუბარი.
განაჩენი: წესდების ეს ნაწილი დამტკიცებულ იქმნა.
- 3. განსახილველი საგანი:** აუდიტორიების მოწყობის საკითხი.
ბ. ივ. ჯავახიშვილმა კრებას მოახსენა, რომ მან საჯდომი სკამები უკვე შეუკვეთა ხელოსანს, რომელიც წერილობით დადებული ხელშეკრულების ძალით მოვალეა 24 ამ თვეს ჩაგვაბაროს სულ ცოტა 30 ცალი.
სააუდიტორიო ოთახები დ კორიდორები ბ. ივ. ჯავახიშვილს დაუთვალეირებია ინჟ. გ. ქურდიანთან ერთად. აქ წინადათვად აზნაურობას საავადმყოფო ჰქონია გამართული ომში დაჭრილთათვის. შენობა საშინელ მდგომარეობაში ყოფილა და მის შეკეთებას კარგა დიდი თანხა მოუწდება.
ლაზარეთის სალიკვიდაციო კომისიის წევრთან ისე შეთანხმებულან, რომ მთელს ხარჯს, რაც კი შენობის შეკეთებას მოუწდება, თავად-აზნაურობა გაიღებს. ხარჯთ-ალრიცხვის შედგენას ინჟინერი გ. ქურდიანი კისრულობს. ამ ხარჯთ-ალრიცხვას ჩვენ წარვუდგენთ და ფულს მივიღებთო. ამას გარდა, ჩვენს განკარგულებაში გადმოდის მთლად ელექტრონის მოწყობილობაო.
განაჩენი: მიღებულ იქნა ცნობად.

¹ რატომღაც დანომრვა თავიდანაა დაწყებული.

² პირველი გამომცემლების შენიშვნა: „ოქმის ერთი ვარიანტის მიხედვით, კ. კეკელიძე არ ესწრება სხდომას, მეორე ვარიანტში მოხსენიებულია სხდომის მონაწილეთა შორის“.

4. **განსახილველი საკითხი:** ლექტორთა მოწვევის საკითხი.
- ა). გერმანული ენისათვის.
ბ). ჯავახიშვილმა მოახსენა კრებას, რომ იგი მოელაპარაკა ბ. ართურ ლეისტს და უკანასკნელი თანახმა ყოფილა ემსახუროს ქართულ უნივერსიტეტს, რითაც კი შეუძლია.
- განაჩენი:** ცნობად.
- ბ). ინგლისური ენისათვის.
ბ). ჯავახიშვილმა კრებას მოახსენა, რომ მოლაპარაკება ჰქონია ქ-ნ ვანდა ლამბა-შიძესთან, რომელიც თანახმა ყოფილა, ლექტორობა იკისროს.
- განაჩენი:** ცნობად.
- გ). არაბული ენის ლექტორის შესახებ აკაკი შანიძემ განაცხადა, რომ მას ცნობა უნდა მოჰსვლოდა ბათუმიდან ჰასან აბაშიძისაგან მოლა ცივადის შესახებ, მაგრამ ჯერ არავითარი ცნობა არ მიმილიაო.
- დ). კრებამ სასურველად სცნო ახალი სომხურისათვის ლექტორის მოწვევა.
- განაჩენი:** და დაადგინა, მოწვეულ იქმნას ბ. მელიქისეტ-ბეკიანი, უკეთუ ამისათვის ამ თავიდანვე ფინანსური დაბრკოლება არ აღმოჩნდება.
5. **განსახილველი საგანი:** ბანკიდან ფულის გამოტანის წესრიგი.
- განაჩენი:** დაადგინეს: ქალაქი ყოველთვის ხელმოწერილი უნდა იყოს რექტორისა და საბჭოს მდივნის მიერ.
6. **განსახილველი საგანი:** უნივერსიტეტის გაჯსნის დრო და წესრიგი. რადგანაც უნივერსიტეტის გახსნა 14 იანვრისათვის, ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო, ვერ მოხერხდა, ამიტომ კრებამ საბოლოოდა დაადგინა:
- განაჩენი:** უნივერსიტეტი გაიჯსნას 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის დღეს: ამ დღეს უნივერსიტეტის გაჯსნისას საგანგებო სიტყვა უნდა იყოს წარმოთქმული. გახსნის წესრიგის საბოლოოდ შემუშავება და საპატიო წევრთა მოწვევის საკითხის განხილვა შემდეგისათვის გადაიდოს.
7. **განსახილველი საგანი:** უნივერსიტეტის გამგეობის წევრთა არჩევნები:
- ა). რექტორისა
ბ). სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანისა და
გ). პროფესორთა საბჭოს მდივნისა.
- განაჩენი:** ერთჯამად არჩეულ იქმნენ:
- ა). რექტორად დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი.
ბ). სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად პროფ. ივ. ჯავახიშვილი და
გ). პროფესორთა საბჭოს მდივნად პროფ. იოსებ ყიფშიძე.

8. **განსახილველი საგანი:** ხაზინადრის არჩევნები.
განაჩენი: ხაზინადრობა, კრების ერთსულოვანი თხოვნით, იკისრა პროფესორმა ფილიპე გოგიჩაიშვილმა.

მდივანი: ა. შანიძე.

ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომის
დღიური № 2 17 იანვარი, 1918 წ.

სხდომა დაიწყო დღის 1 საათზე.

დაესწრნენ: პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, ანდ. ბენაშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ი. ყიფშიძე.

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი.

მდივანი: ი. ყიფშიძე.

- 1. განსახილველი საგანი:** წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა წინა კრების ოქმი.
- 2. განსახილველი საგანი:** ლექციების განაწილება.
განაჩენი: მიენდო გამგეობას.
- 3. განსახილველი საგანი:** პროფესორებისა და ლექტორების მოწვევა.
- 4. განაჩენი:** მიენდო გამგეობას მოელაპარაკოს ნ. დუბროვსკის [1] იკისრებს თუ არა ლექციების კითხვას მსოფლიო ისტორიიდან ქართულ უნივერსიტეტში. ა. შანიძემ იკისრა ბათუმს წასვლა და იქ ქართველ მაჰმადიანებში ისეთი პირის გამოძებნა, რომელმაც არაბული ენა იცოდეს და უნივერსიტეტში ლექტორობა შეძლოს.
- 5. განსახილველი საგანი:** ივ. ჯავახიშვილმა მოახსენა საბჭოს, რომ არტურ ლეისტი თანახმაა, გერმანული ენის ლექტორობა იკისროს მხოლოდ უფროს ჯგუფთან და უცროსი ჯგუფისთვის კი საჭირო იქნება სხვა ვისიმე მოწვევაო, მაგ. ილია თევდორისძის ურუშაძისა, რომელიც თანახმაა ამ ადგილზეო.
განაჩენი: საბჭომ შესაძლოდ ვერ სცნო უსახსრობისა გამო ერთს ენაში ორი ლექტორი მოიწვიოს და სთხოვა ივ. ჯავახიშვილს ხელახლა მოელაპარაკოს არტურ ლეისტს, რომ მან იკისროს ორივე ჯგუფთან მეცადინეობა თუ არა და მოიწვიოს ილია ყიფშიძე.
- 6. განსახილველი საგანი:** უნივერსიტეტის გახსნის მოწყობა.
განაჩენი: გაიხსნას 26 იანვარს, დაიბეჭდოს საგანგებო მოსაწვევე ბარათები სამს ენაზედ – ქართულსა, ქართულ-რუსულსა და ქართულ-ფრანგულსას (იხ. „უნივერსიტეტის გახსნის დღის“ ქალაქდებში) [2]. მოსაწვევე პირთა და დაწესებულებათა სიის შედგენა მიენდოს გამგეობას. პარაკლისი გადახდით იქნას ეკლესიაში, ხოლო უნივერსიტეტი გაიხსნას საუნივერსიტეტო დარბაზში პირველ საათზედ. უნივერსიტეტი გახსნას ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარემ, შემდეგ სიტყვას წარმოსთქვამს რექტორი. მდივანი წაიკითხავს უნივერსიტე-

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

ტის დაარსების მოკლე ისტორიას, დასასრულ დეკანი წარმოსთქვამს სიტყვა-
ლექციას.

7. **განსახილველი საგანი:** გამგეობის მდივნისა და მდივნის თანაშემწის მონვევა.
განაჩენი: მიენდო გამგეობას მოინვიოს მდივნად ან დავითაშვილი ან ლადო
გეგეჭკორი, ხოლო მდივნის თანაშემწედ ვანო გველესიანი, ჯილდო მდივანს სა-
მასი (300) მანეთი თვეში, თანაშემწეს კი – ხუთმეტი თუმანი (15 მ.).
8. **განსახილველი საგანი:** პროფესორთა და ლექტორთა ჯამაგირები.
განაჩენი: პროფესორებს მიეცეს თვეში ხუთას-ხუთასი მანეთი, ხოლო ლექ-
ტორებს სამას-სამასი. პროფესორებს ჯამაგირები მიეცეთ 1918 წლ. 1 იანვრი-
დან, ლექტორებს კი იმ დღიდან, როდესაც მუშაობას შეუდგებიან. ჯამაგირები
რიგდებოდეს ყოველი თვის ხუთმეტში.
9. **განსახილველი საგანი:** წაკითხულ იქნა ექიმის ვახტანგ ლამბაშიძის მოხსენება
შესახებ იმისა, რომ მას ნება მიეცეს წაკითხოს უნივერსიტეტში უსასყიდლოდ
ხუთი ან ათი ლექცია ჰიგიენიდან.
განაჩენი: სასურველია, ხოლო რამდენად შესაძლებელი იქნება განხორცი-
ელება ადგილებისა და დროის მიხედვით, ამის გასინჯვა მიენდოს გამგეობას.
10. **განსახილველი საგანი:** პროფესორთა ოჯახის წევრების უნივერსიტეტში
მიღება.
განაჩენი: უსასყიდლოდ მიიღებოდნენ უნივერსიტეტში პროფესორთა ცოლ-
შვილნი.
11. **განსახილველი საგანი:** ფრანგული ენის ლექტორმა ელისაბედ ჯამბაკურ-ორ-
ბელიანისამ და ინგლისურისამ ვანდა ლამბაშიძემ წარმოადგინეს გეგმები, თუ
როგორ აპირებენ სტუდენტებთან მეცადინეობას.
განაჩენი: პროგრამების განხილვა მიენდოს ი. ყიფშიძეს და ა. შანიძეს.

პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, ი. ყიფშიძე,
ფ. გოგიჩაიშვილი, კ. კეკელიძე, ა. ბენაშვილი.

შენიშვნები და კომენტარები:

1. *დუბროვსკის შესახებ ა. კიკვიძე იგონებს: „1939 წლის შუა აპრილია, მზიანი
დღე, ლერმონტოვის ქუჩაზე ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მა-
ტერიალური კულტურის ინსტიტუტიდან გავდივართ ივ. ჯავახიშვილი, ს.
ჯანაშია და მე... უცბად ივანეს ყურადღება მიიქცია ჩვენს პირდაპირ ქუ-
ჩის მეორე მხარეზე მყოფმა ერთმა მოხუცმა, სახეზე მრისხანება დაეტყო.*

– თქვენ მას იცნობთ? – გადმოგვილაპარაკა. – როგორ არა, პროფესორი დუბროვსკია. – ეს ის ვაჟბატონია, რომელიც სულს უდგამდა ანტიქართულ კომპანიას, გარშემო იკრებდა უნივერსიტეტის მოწინააღმდეგეებს, დაგვცინოდა და ფეხის ყოველ ნაბიჯზე გაიძახოდა – ვნახოთ, როგორ უნივერსიტეტს თქვენ შექმნითო. მართლაც რომ გასაგები იყო ივანეს მრისხანე გახედვა დუბროვსკისაკენ, რომელსაც თავის მიერ დაგმობილ უნივერსიტეტში ახლა კათედრა ეჭირა... ამ ბრწყინვალე ლექტორმა ქართული მშვენივრად იცოდა, საქართველოში იყო აღზრდილი, მაგრამ ქართულად არ ლაპარაკობდა“. ა. კიკვიძე, მოგონებანი ივანე ჯავახიშვილზე; იხ. კრებული მიძღვნილი აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი. თბ. 1977, გვ. 125.

ივანე ჯავახიშვილს თავის ლექციების ჩამონათვალში რომ მსოფლიო ისტორიაზე ლექტორის გვარი არა აქვს მინერილი, იმის გამო უნდა იყოს, რომ არ ჰყავს კადრი. დუბროვსკი, როგორც პროფესორთა საბჭოს ოქმებიდან ჩანს, ივანე ჯავახიშვილის რექტორობისას არ ყოფილა მოწვეული.

2. ოქმში ასეა მითითებული და ამ მასალებს არქივში ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ.

ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომის
დღიური (პ. მელიქიშვილის ბინაზე) № 3 21 იანვარი. 1918 წ.

სხდომა დაიწყო დილის 10 საათზე.

დაესწრნენ: პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი. ანდ. ბენაშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ი. ყიფშიძე.

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი. **მდივანი:** ი. ყიფშიძე.

- 1. განსახილველი საგანი:** წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა წინა კრების ოქმი.
- 2. განსახილველი საგანი:** სასურველია თუ არა ეხლავე ნ. დუბროვსკის პროფესორად მონწვევა?
განაჩენი: დუბროვსკის მონწვევა გადაიდოს მეორე სემესტრისათვის.
- 3. განსახილველი საგანი:** ივ. ჯავახიშვილმა მოახსენა საბჭოს, რომ მას გრიგოლ ვეშაპელმა (ვეშაპიძე) სიტყვიერად განუცხადა სურვილი უნივერსიტეტში დარჩენისა საპროფესორო ხარისხზედ მოსამზადებლად.
განაჩენი: გადაიდო ამ საკითხის გადანყვეტა საზოგადოდ უნივერსიტეტში დატოვებულთა საკითხის გამორკვევამდის.
- 4. განსახილველი საგანი:** ივ. ჯავახიშვილმა განაცხადა, რომ მან დეპუტატთა საბჭოდან მიიღო 3 500 მანეთი უნივერსიტეტის ბინის შესაკეთებლად.
განაჩენი: გადაეცეს ხაზინადარს.
- 5. განსახილველი საგანი:** ივ. ჯავახიშვილმა განაცხადა, რადგან სამხედრო სასწავლებლები და ბევრი სხვა დაწესებულებანი იკეტება, ზომები უნდა იყოს მიღებული, რომ უნივერსიტეტს გადმოეცეს მათი ქონებაო.
განაჩენი: აღიძრას სადაც ჯერარს შესაფერისი შუამდგომლობა.

პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, ი. ყიფშიძე,
კ. კეკელიძე, ა. ბენაშვილი.

დანართი IV

მასალები გაზეთ „საქართველოდან“

გაზეთი „საქართველო“ გამოდიოდა 1915-1921 წლებში და იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო. მას 1915-1916 წლებში სანდრო შანშიაშვილი რედაქტორობდა, ხოლო 1917 წლიდან გრიგოლ ვეშაპელი.

„საქართველო“ სისტემატურად ეხმიანებოდა ქართული უნივერსიტეტის და-არსებისთვის გადადგმულ ნაბიჯებს. მის ფურცლებზე ქვეყნდებოდა ამ თემისადმი მიძღვნილი სტატიები და საგანგებო ინფორმაციები. ქვემოთ ამგვარი მასალებიდან მხოლოდ ისეთებია შერჩეული, სადაც იკვეთება ივანე ჯავახიშვილის აქტიური მონაწილეობა ამ წამოწყებაში.

გაზეთში დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის მიერ დაწერილი „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების წესდება“ (1917 წ. №211-212) და თბილისში 12 მაისსა და ქუთაისში წაკითხული მოხსენების ტექსტი (№№213, 216, 218). ამას გარდა, გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილის მიერ დაწერილი „ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა და ლექტორთა შემადგენლობა 1918 წ. პირველ სემესტრში“ (1918 წ. 25 (7) იანვარი. №20) და „სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ლექციებისა და გეგმის შესახებ“ (1918 წ. 26 (8) იანვარი. №21).

ეს მასალები დედნებთანაა შედარებული და აქვე სათანადო ადგილას იბეჭდება.

ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების კრება

12 მაისს, 1917 წელს, ქ. თბილისში მოწვეული იყო კრება, რომელსაც დაესწრნენ ყველა ქართულ საზოგადოებრივ საკულტურო საგანმანათლებლო და საკრედიტო დაწესებულებათა თავმჯდომარენი, დრო გამოშვებით გამოცემებისა და ქართულ მოქმედ პოლიტიკურ დასების მთავარ-გამგეობათა წარმომადგენენი.

ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება ქართულ უმაღლეს სასწავლებლის დაარსების აუცილებლობის შესახებ, რომელშიაც ქართული სამეცნიერო განათლების მოკლე მიმოხილვა იყო მოყვანილი, ხოლო შემდეგ ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობა სხვა და სხვა მხრივ იყო დასაბუთებული, ხოლო შემდეგ განმარტებული იყო ამ საქმის განხორციელების შესაძლებლობა და გეგმა.

კრების თავმჯდომარედ ე. თაყაიშვილი იქმნა არჩეული. ხანგრძლივ მსჯელობის შემდეგ კრებამ ერთხმად თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსება აუცილებელ საჭიროებად სცნო და დაადგინა, თუ დამაბრკოლებელი მდგომარეობა ხელს არ შეუშლის, უკვე 1918 წ. დამდეგიდან გაიხსნას ქართული უნივერსიტეტის ჯერ ერთი ფაკულტეტი, ხოლო შემდეგ, წინასწარ გეგმისდამიხედვით, თანდათანობით დანარჩენი ფაკულტეტები მიემატოს, სანამ სრულ უნივერსიტეტად არ იქცევა. ამასთანავე კრებამ გადასწყვიტა დაარსდეს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება, რომელმაც ამ დაწესებულების დაარსებაზე და ქონებრივ მხარეზე უნდა იზრუნოს. თავმჯდომარის წინადადებით კრებამ თავისი თავი დამფუძნებელ კრებად გამოაცხადა და წესდების შესამუშავებლად, სათანადო დაწესებულებაში წარსადგენად და საქმის განსახორციელებლად კომისია აირჩია, რომლის წევრებად არიან: კ. ნ. აფხაზი, ე. ს. თაყაიშვილი, ი. მ. ლორთქიფანიძე, მ. ა. გრუზინსკი, გ. დ. ჟურული, ფ. გ. გოგიჩაიშვილი და ივ. ა. ჯავახიშვილი. კრებამ აგრეთვე დაადგინა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრთ ბ-ნ აკაკი ჩხენკელს და კიტა აბაშიძეს ეთხოვოთ, რომ ამ კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ.

ამავე წლის 17 მაისს ქალაქ ქუთაისშიაც იყო მოწვეული საკულტურო, საგანმანათლებლო, საფინანსო დაწესებულებათა წარმომადგენლების კრება, რომელზედაც ივ. ა. ჯავახიშვილმა იგივე მოხსენება წაიკითხა. კრების თავმჯდომარედ ი. ოცხელი იყო არჩეული. მსჯელობის შემდეგ მთელმა კრებამ, ორის წინააღმდეგ, მომხსენებლის აზრი მოიწონა და თბილისში ქართულ უნივერსიტეტის დაარსება საჭიროდ სცნო. თბილისის კრების მსგავსად ქუთაისის კრებამაც თავისი თავი ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელ კრებად გამოაცხადა და ათი კაცისაგან შემდგარი კომისია აირჩია: ი. ბაქრაძე, გრ. გველეხიანი, მ. თაქთაქიშვილი, ა. ლორთქიფანიძე, ი. ოცხელი, ი. პურადაშვილი, მ. წერეთელი, მ. ფაღავა და ვ. ჭილაძე, რომელთაც თბილისის კომისიასთან ერთად, განზრახულ საქმის განხორციელებაზე უნდა ეზრუნათ.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

კომისიამ ქართ. უნივერსიტეტის საზოგადოების წესდება, უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებანი და ამ დებულებათა განმარტებითი მოხსენება შეადგინა და სათანადო დაწესებულებებს წარუდგინა. ქონებრივ სახსრის გამოსაძებნელად რამდენიმე გეგმა არის შემუშავებული და ქართულ უნივერსიტ. საზოგადოებისათვის ერთ დიდ თანხის გადასაცემად შესაფერისი ნაბიჯიც არის გადადგმული.

რაკი ქართულ პარტიათა შორის შეთანხმების შემდეგ ეროვნული საბჭო დაარსდა, ივ. ა. ჯავახიშვილმა ქართულ უნივერსიტეტის დაარსების შესახებ ეროვნულ საბჭოშიც მოხსენება წაიკითხა და საქმის ვითარება გააცნო. ამასთანავე მომხსენებელმა ეროვნულ საბჭოს სთხოვა ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის თავისი დასტურიც მიეცა. ეროვნულმა საბჭომ ერთხმად დაადგინა: ქართულ უნივერსიტეტის დაარსება თბილისში აუცილებელ საჭიროებად იყოს ცნობილი და უკვე ათას ცხრას თვრამეტ წლის დამდეგიდან გაიხსნას იგი.

ამის გამო ქართ. ეროვნ. საზოგადოების თბილისის კომისიამ გადასწყვიტა 2 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში (ფრეილინის ქ. 11) ხსენებული საზოგადოების გამგეობა და საკონტროლო საბჭო იქნება არჩეული. ამ დღეებში ყველა ქართულ გაზეთებში გამოქვეყნებული იქნება ხსენებული საზოგადოების წესდება და ივ. ჯავახიშვილის მიერ დამფუძნებელ კრებაზედ წაკითხული მოხსენებანი.

ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების წევრებად ჩანერა შეიძლება ილ. ე. ზურაბიშვილთან (დეპუტატთა საკრებულო, ფრეილინის ქ. 11). დამფუძნებელი წევრი იხდის წლიურად 25 მან. ერთდროულად 300 მან. ხოლო დამხმარე წევრი წლიურად 5 მან., ერთდროულად კი 100 მან.

წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ. 1 (14) ღვინობისთვე. №214 (შეცდომით დაბეჭდილია №235).

ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების წევრთა დამფუძნებელი კრება

ღვინობისთვის 3

კრება გახსნა ღამის 8 საათზე პროფ. ჯავახიშვილმა. კრების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ე. თაყაიშვილი, ხოლო საპატიო თავმჯდომარედ პროფ. მელ-იქიშვილი, რომელსაც ოვაცია გაუმართა საზოგადოებაში.

კრებას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. სხვათაშორის ბრძანდებოდა ამჟამად თბილისში მყოფი ვისკონის (ამერიკა) უნივერსიტეტის პროფესორი მისტერ როსი, რომელსაც თავმჯდომარის წინადადებით საზოგადოება ფეხზე ადგომით და ტაშით მიესალმა. უცხო სტუმარმა მადლობა გადაუხადა საზოგადოებას.

შემდეგ პროფესორმა ივ. ჯავახიშვილმა დაწვრილებით გააცნო საზოგადოებას ისტორია ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების დაარსებისა და ისიც, თუ რა მდგომარეობაშია ამჟამად თვით უნივერსიტეტის დაარსების საქმე. როგორც ჩვენს გაზეთში უკვე იყო აღნიშნული, უნივერსიტეტის წესდება შემუშავებულია და განათლების სამინისტროშია გაგზავნილი დასამტკიცებლად. თანახმად 1914 წლის კანონისა კერძო სასწავლებლების შესახებ, უნივერსიტეტის დაარსება მთავრობის მხრივ წესდების დაუმტკიცებლადაც შეიძლება, მაგრამ დამტკიცება საჭირო არის იმიტომ, რომ უნივერსიტეტს შეეძლოს სამეცნიერო ხარისხის მინიჭება ამა თუ იმ პროფესიისათვის და პროფესორები და მოსწავლეები განთავისუფლებულნი იქნენ სამხედრო ბეგარისაგან. სამინისტრომ თუ დროზე არ დაამტკიცა წესდება, საზოგადოებას სრული უფლება აქვს, ისედაც მოაწყოს უნივერსიტეტი. პროფ. ჯავახიშვილი შემდეგ შეეხება ზოგიერთ მოღვაწის აზრს შესახებ იმისა, ვითომც ცალკე ქართული უნივერსიტეტი საზიანო იყოს საერთო კულტურის განმტკიცებისათვის ამიერკავკასიაში და ნათლად დაამტკიცა სრული უსაფუძვლობა ასეთი აზრისა.

თავმჯდომარემ მცირე ხნით კრება შეწყვიტა წევრების ჩასაწერად საზოგადოებაში. კრების განახლებისას აღმოჩნდა, რომ დიდძალი ახალი წევრი შესძენია საზოგადოებას.

ამის შემდეგ კრებას უნდა აერჩია საზოგადოების გამგეობა, საფინანსო კომისია და სხვა ორგანოები, მაგრამ შალვა მესხიშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტის დაარსება დამოკიდებულია გამგეობისა და სხვა ორგანოების წევრთა ღირსებაზე და ენერჯიაზე; მიუცილებლად საჭიროა, ამ ორგანოში ისეთი პირები მოჰყვნენ, რომელნიც მთელი ქართველი ერის ნდობით არიან აღჭურვილნი; დღეს აქ არავინ იმყოფება წარმომადგენელი ჩვენი ხალხის ერთ-ერთი ძლიერი და გავლენიანი პარტიისა და შეუძლებელია ამ დიდ საქმეში იმის მხრივ მონაწილეობის მიუღებლობა

და სხვა. და ამიტომ ორატორმა მოითხოვა, რომ რამდენიმე დღით არჩევნები გაადაიდვას და ამ ხნის განმავლობაში შესაფერისი კაცები გამოვნახოთ.

წინადადება ხმის უმეტესობით შეწყნარებულ იქნა და კრება გადაიდვა მომავალი კვირის (ღვინობისთვის 8) საღამოს 8 საათისთვის. ეხლა კი არჩეულ იქნა სარეკომენდაციო კომისია კანდიდატებისა. კომისიაში შედიან: ექ[იმი] ვ. ღამბაშიძე, ივ. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, პ. მელიქიშვილი, ქ[ალბატო]ნი ნ. ნაკაშიძე, ს. ვირსალაძე, გ. დიასამიძე, შ. მესხიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, ი. მდივნიშვილი, ე. თაყაიშვილი, ალ. ჯავახიშვილი.

კრება დაიშალა. კომისიის წევრები კი იქვე დარჩნენ მოსალაპარაკებლად [1].

წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ. 5 (18) ღვინობისთვის, №218.

შენიშვნები და კომენტარები:

1. გაზეთები „საქართველო“ და „სახალხო საქმე“ ამ კომისიაში სხვადასხვა რაოდენობას და სხვადასხვა პერსონებს ასახელებს. პირველის მიხედვით კომისიაში 12 წევრია, მეორეს მიხედვით კი 10. „საქართველო“ ასახელებს და „სახალხო საქმე“ არა გ. დიასამიძეს, შ. მესხიშვილს, ი. მდივნიშვილს და ე. თაყაიშვილს. ხოლო, თავის მხრივ, მეორის მიერ ჩამოთვლილი პირები – ვ. კახაძე, ი. იმედაშვილი და გ. ჭრელაშვილი პირველში არ არიან. რაც შეეხება ამ კრების ოქმს, მასში მოხსენიებული არიან: პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ვ. ღამბაშიძე, ნ. ნაკაშიძისა, ი. იმედაშვილი, გ. ჭრელაშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, ვ. ბ. კახიძე და ს. ვირსალაძე. ამ დოკუმენტის მიხედვით სულ 9 წევრია და ალბათ ეს უფრო ზუსტია, რადგან კრების ოქმის შემდგენელს მეტი სიზუსტე მოეთხოვებოდა და დაიცავდა კიდევ.

ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების წევრთა კრება

ღვინობისთვის 8

კრების გაგრძელება დაიწყო ღამის 9 საათზე. თავმჯდომარეობს ისევ ბ[ატო]ნი ექ. თაყაიშვილი. ახალი წევრების მიღების შემდეგ კრება შეუდგა არჩევნებს. სარეკომენდაციო კომისიის მიერ შედგენილ კანდიდატთა სიები კენჭის უყრელად უცვლელად და ერთხმად იქნა დამტკიცებული. თანახმად ამ სიებისა გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია აკაკი ჩხენკელი, თავმჯდომარის ამხანაგად თავადი კ. ნ. აფხაზი, ხაზინადრად ვ. რ. ყიფიანი, გამგეობის წევრებად ექ. თაყაიშვილი და იას. ლორთქიფანიძე; გამგეობის წევრთა კანდიდატებად – კნ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანი, ივ. გომართელი და გ. რცხილაძე; საკონტროლო კომისიის წევრებად ვ. ჟურული, დ. ქუთათელაძე და ა. ლორთქიფანიძე. მათ კანდიდატებად თავ[ადი] დ. ჩხეიძე და ს. ტარუაშვილი; საფინანსო კომისიის თავმჯდომარედ – თავ[აფადი] იას. ლორთქიფანიძე, წევრებად – ქ[ალბატო]ნი ნ. ნაკაშიძე, ქ[ალბატო]ნი ვირსალაძისა, ბ[ატონ]ნი რ. დათეშიძე, ა. ფორაქიშვილი, ნ. წვერავა, ვ. კახიძე, გრ. გველესიანი, ი. დადიანი, აკაკი ხოშტარია, ლ. მამულაიშვილი, ნ. ჯაყელი, ნ. თავდგირიძე, ყ. კიკნაველიძე, გ. ოცხელი და სხვა. შევსება მცოდნე და საჭირო პირებით კიდევ შეიძლება.

არჩევნების შემდეგ პროფ[ესორი] ივ. ჯავახიშვილი ვრცლად შეეხო უნივერსიტეტის მოწყობის საქმეს და ამ საგნის გეგმა ვრცლად და სავსებით დაასურათხატა, ასე რომ პროფესორის განმარტება მალე ლექცია გამოვიდა და მხურვალე ტაშისცემა გამოიწვია. უნივერსიტეტისათვის, – განმარტა პროფესორმა ჯავახიშვილმა, – ამ თავითვე საჭიროა მოხერხებული ბინა, საჭირო თანხა და მომზადებული პროფესორები; ეს არის ქართული გიმნაზიის შენობა, რომლის ორი სართულის დროებით დათმობა ალუთქვა გიმნაზიის გამგე კომიტეტმა უნივერსიტეტს. უნივერსიტეტის მოწყობისა და შესანახ წყაროს შეადგენს საწვერო გადასახადი და სწავლის ფული, მაგრამ ერთიცა და მეორეც ფრიად უმნიშვნელოა და ამგვარი შემოსავლით უნივერსიტეტის შენახვის იმედი არავის არ უნდა გვქონდეს. საიმედო წყაროს სხვა სტატიები წარმოადგენენ: თბილისის საადგილმამულო ბანკს ჰქონია გადადებული 800 000 მანეთი, რომელიც უნივერსიტეტის გვარ დანესებულებისათვის არის დანიშნული. ბანკის რწმუნებულთა საგანგებო კრება ამ დღეებში განიხილავს საუნივერსიტეტო კომიტეტის შუამდგომლობას ამ თანხის გადადების შესახებ უნივერსიტეტისათვის და იმედი, რომ საკითხი სასურველად გადაწყდება, მაგრამ ესეც საკმარისი არ იქნება, ვინაიდან უნივერსიტეტს მოხმარდება არა მთელი თანხა, არამედ მისი პროცენტები. არის კიდევ წყარო, რომლის სრული იმედი გვაქვს: ეს არის დაპირება შავიქვის მწარმოებელთა საბჭოსი, რომელმაც განაცხადა, რომ ომის გათავების შემდეგ, როცა მადნის გადაზიდვა გაცხოველდება, საბჭო დიდ ფულს მიანოდებს ხოლმე ქა-

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

რთულ უნივერსიტეტსო. პროფესორს იმედი აქვს, რომ ერთი ფაკულტეტის შესანახ თანხას მაინც მიიღებს უნივერსიტეტი შავი-ქვის მრეწველთა საბჭოსაგან. გარდა ამისა, პროფესორი დარწმუნებულია, რომ უნივერსიტეტს კერძო პირებიც შემოსწირავენ ფულებს, აგრეთვე შესაძლებელია მომგებიანი ლატარიის მოწყობა, როგორც ეს პოლონეთში იყო და ამ საგნის შესახებ უნივერსიტეტის გამგეობა აღძრავს ნებართვას ფინანსთა სამინისტროს წინაშეო.

შემდეგ პროფესორი ჯავახიშვილი შეეხო უნივერსიტეტის სამოსწავლო მხარეს და განაცხადა, რომ ამ თავითვე თამამად შეიძლება საფილოსოფიო ფაკულტეტის მოწყობა, რომელშიაც შევა ფილოლოგია, ბუნებისმეტყველება და მათემატიკა. ამგვარი ფაკულტეტი გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში არსებობს და დიდი სარგებლობაც მოაქვს მეცნიერებისათვის. ამის შემდეგ მოეწყო საექიმო ფაკულტეტი, მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ეს განყოფილება უნივერსიტეტის, რომელსაც ბევრი კლინიკები სჭირდება, ერთობ რთულია. კლინიკებისთვის თბილისში ბევრი დანესებულებაა, რომელთა გამოყენება შეიძლება, მაგრამ მათი დაჭერა იქნება ვინმემ მოგვასწროს და ამიტომ საჭიროა დიდი ენერგია საქმის საჩქაროდ მოსაგვარებლად და ამ საქმეში უნივერსიტეტს დიდ სამსახურს გაუწევს ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება. იურიდიულ ფაკულტეტის მოწყობა უფრო საძნელოდ მიაჩნია პატივცემულ პროფესორს, რადგან ამისათვის ქართველებს არა ჰყავთ საკმაოდ მომზადებული მეცნიერები, მაგრამ შრომა და ენერგია თავისას გაიტანს.

ბატონმა გ. დიასამიძემ მოკლე სიტყვით მიმართა ბატონ ჯავახიშვილს და მადლობა გამოუცხადა საზოგადოების მხრივ.

დასასრულ წაკითხულ იქნა ბატონ ყარამან კიკნაველიძის წერილი, პროფ. ჯავახიშვილთან გამოგზავნილი. კიკნაველიძე აღტაცებას გამოსთქვამს ქართულ უნივერსიტეტის დაარსების გამო და 1000 მანეთს სწირავს საუნივერსიტეტო თანხას.

კრება დასრულდა. გამგეობის წევრები იქვე დარჩნენ სათათბიროდ.

წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ. 10 (23) ღვინობისთვე, №222.

ქართული უნივერსიტეტის დროებითი გამგეობის განცხადება უნივერსიტეტის გახსნის შესახებ

ქართული უნივერსიტეტის დროებითი გამგეობა აცხადებს, რომ

ქართული უნივერსიტეტი

თბილისში გაიხსნება 1918 წ. იანვრის შუა რიცხვებში

ამ თავითვე იქნება სიბრძნისმეტყველების ჰუმანურ მეცნიერებათა (ისტორიისა და ფილოლოგიის) განყოფილება. წაკითხული იქნება ლექციები საფილოსოფიო, საისტორიო, სალიტერატურო, საენათმეცნიერო, საპედაგოგიო და სოციალურ მეცნიერებათა დარგებიდან.

პროფესორთა, მეცნიერ ხელმძღვანელთა და ლექტორთა სახელები და გვარები, მათი საგნები და სალექციო საათები პირველ სემესტრში (მეცადინეობა იქნება საღამოობით) საგანგებოდ იქნება გამოცხადებული.

ნამდვილ სტუდენტებად მიიღებიან საშუალო სასწავლებლებში (ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, სასულიერო სემინარია (ოთხი კლასი), რეალურ, საკომერციო, საეპარქიო და წმ. ნინოს დედათა სასწავლებლები, საოსტატო ინსტიტუტი და სემინარია, კადეტთა კორპუსი და სხვა საშუალო განათლების პროგრამიანი სასწავლებელი) კურსდამთავრებულნი.

ნამდვილ სტუდენტად ჩასარიცხად საჭიროა: 1. თხოვნა ქართული უნივერსიტეტის დროებითი გამგეობის სახელზე (თხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს მთხოვნელის მისამართი), 2. მონაშობა განათლების ცენტრის შესახებ და 3. მეტრიკული მონაშობა.

თავისუფალ მსმენელთათვის საჭიროა მხოლოდ თხოვნა, განათლებისა და მეტრიკული მონაშობა სავალდებულო არ არის.

სწავლის ფასი, როგორც ნამდვილ სტუდენტებისა, ისე თავისუფალ მსმენელთათვის კი, რომელთაც მხოლოდ ერთისა ან ორი საგნის ლექციების მოსმენა ჰსურთ, გადასახადი სემესტრში ხუთი თუმანი.

ჩანერა შეიძლება იოსებ ყიფშიძესთან ქართული უნივერსიტეტის კანცელარიაში (ქართული გიმნაზიის შენობა) 12 საათიდან 2 საათამდე ყოველდღე გარდა კვირე უქმეებისა.

ქართული უნივერსიტეტის დროებითი გამგეობის წევრნი:

პ. მელიქიშვილი
ი. ჯავახიშვილი

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ. 21 (3) ქრისტეშობისთვე. №278.

შენიშვნები და კომენტარები:

ეს განცხადება შემოკლებით 1917 წლის დეკემბერში რამდენჯერმე მეორდება. 1918 წლიდან კი ყველა ნომერშია.

მომგებიან ლატარიის მომწყობ საბჭოსგან

ქართველ საზოგადოებას უთუოდ მოეხსენება, რომ გასული წლის ნოემბერში სამმა დაწესებულებამ – ქართულმა უნივერსიტეტმა, თბილისის დრამატულმა საზოგადოებამ და მსახიობთა კავშირმა – მთავრობისაგან ნებართვა მიიღო ხუთ მილიონიან მომგებიან ლატარიის მოწყობისა უნივერსიტეტის ხელუხლებელ ფონდის შესაქმნელად, თბილისში ქართული თეატრის შენობის აღსადგენად და მსახიობთა კავშირის ხელუხლებელ თანხის დასაარსებლად.

ნებართვის აღებისათვის სამივე დასახელებულ დაწესებულებას თავისი წარმომადგენელი ჰყავდა: უნივერსიტეტს – პროფ. ივ. ჯავახიშვილი, დრამატულ საზოგადოებას – სოლ. ახვლედიანი და მსახიობთა კავშირს – შალვა დადიანი, ხოლო, როდესაც ამ სამ რწმუნებულთ ნებართვა გამოიტანეს, თვით ლატარიის მოსაწყობად და მისი საქმის გასაძღოლად ზემოხსენებულმა დაწესებულებამ ცალ-ცალკე აირჩია თავიანთი რწმუნებულები. ქართული უნივერსიტეტის გამგეობამ წარმოაგზავნა – კონსტ. ნ. აფხაზი, პროფ. ჯავახიშვილი, იას. მერ. ლორთქიფანიძე; დრამატულმა საზოგადოებამ – იოს. ბარათაშვილი, სოლ. ახვლედიანი და შალვა მიქელაძე; ამ უკანასკნელის მაგივრად შემდეგში დრამატული საზოგადოების გამგეობის მიერ წარმოგზავნილ იქნა ნიკ. დავ. ერისთავი; ხოლო მსახიობთა კავშირის საბჭომ სოლ. ახვლედიანი, პეტრე ქავთარაძე და შალვა დადიანი. ამგვარად, სამივე დაწესებულებათა, რომელთა სახელზედაც ნებართვა არის აღებული და რომელიც იურიდიული პატრონია ლატარიის საქმისა, არჩეულ იქნა ლატარიის მომწყობი და გამძღოლი საბჭო და მთელი საქმის წარმოება ჩაჰბარდა ხსენებულ რწმუნებულთ.

ამ რწმუნებულთა მიერ შემდგარმა საბჭომ 1917 წ. დეკემბრის 12-ს, ოქმი №1, შეიმუშავა წესრიგი თავის მუშაობისა, საჭიროდ სცნო საბჭოს წევრად მოეწვია ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი, შეადგინა ხარჯთაღრიცხვა და სხვათა შორის გაანაწილა ლატარიის გამგეობის ჯამაგირებიც. ჯამაგირების განსაზღვრის დროს გაითვალისწინა სირთულე ხუთმილიონიანი ლატარიის განაღდებისა და შრომის საფასი თანამედროვე პირობების მიხედვით.

მთელი ხარჯთაღრიცხვა, რომელშიც ნავარაუდევია 133 200 მ. შეტანილი არ არის. მოსალოდნელი ხარჯები ბანკების, საკომისიოსი და გაზეთების განცხადებათა ჰონორარებისა ხელმეორედ გადასინჯულ იქნა 1917 წ. დეკემბრის 15-ს, ოქმი №2, ეროვნული საბჭოს წარმომადგენლის კონსტ. მესხის თანდასწრებით და გადაეცა განსახილველად და დასამტკიცებლად ქართული უნივერსიტეტის, დრამატული საზ. და მსახიობთა კავშირის გამგეობათ. სამივე დაწესებულებამ თავისი დასტური დასცა ხსენებულ ხარჯთაღრიცხვას: ქართულმა უნივერსიტეტმა 1917 წ. დეკემბრის 19-ს, დრამატ[ულმა] საზ[ოგადოებამ] 1917 წ. დეკემბრის 21-ს, მსახიობთა კავშირმა 1917 წ. 19-ს.

ამის შემდეგ 1917 წ. დეკემბრის 22-ს, ოქმი №3, საბჭომ აირჩია გამგეობა და თანახმად დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვისა შეუდგა უნიწარეს ყოვლისა ბილეთების ტექსტისა და ფორმის შემუშავებას, შეუკვეთა მხატვარს მათი განსახიერება და იწყო ნიმუშების განხილვა და ბეჭდვა. ხოლო ყოველივე ეს საქმიანობა მოითხოვს დიდძალ ფულს და საბჭომაც ბილეთების დასაბეჭდად, ქალაქის შესაძენად, მხატვარ-მესტამბეთა დასაკმაყოფილებლად და სხვა წინასწარი ხარჯებისათვის სთხოვა ქართულ თეატრის სამშენებლო კომიტეტს 1917 წ. დეკემბრის 22-ს, რომ მისთვის სესხად გადმოეცა მის მიერ შეგროვილი თანხა. თეატრის სამშენებლო კომიტეტმა 1917 წ. დეკემბრის 31-ს შეინწინარა ლატარიის საბჭოს თხოვნა იმ პირობით, რომ ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს დაედასტურებინა ეს სესხი და მხოლოდ ამის შემდეგ ფულის გადაცემა და ამის შესახებ ლატარიის საბჭოს და კომიტეტს შორის დაწვრილებით პირობის შემუშავება მინდობოდა ამავე კომიტეტის ბიუროს. ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტის ბიუროს სხდომის ყურნალი 18, 1918 წ. იანვრის 7-ისა, დაადასტურა სესხი. ამის შემდეგ 1918 წ. იანვრის 10-ს შედგა კრება ქართულ თეატრის სამშენებლო კომიტეტის ბიუროსი და თანახმად კომიტეტის დადგენილებისა ამ საქმის სისრულეში მოყვანა მიანდო ბიუროს თავმჯდომარეს და ხაზინადარს, თუმცა დღეისაქამომდე, ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო, ლატარიის საბჭოს არავითარი ფული არ მიუღია.

1918 წ. იანვრის 17-ს ლატარიის საბჭოს სხდომაზე ლატარიის გამგეობამ განაცხადა შემდეგი: „მიუხედავად იმისა, რომ ლატარიის ნებართვა გამოტანილი არის სამი დაწესებულების სახელზე – უნივერსიტეტის, დრამატული საზოგადოების და მსახიობთა კავშირისა – და ამ დაწესებულებათა მიერ არჩეულია ლატარიის მომწეობი საბჭო, ხოლო ამ საბჭოს მიერ, ჩვეულებისამებრ, არჩეულია გამგეობა ლატარიისა; მიუხედავად იმისა, რომ ხარჯთაღრიცხვაც ხსენებულ ლატარიის საბჭოსი დამტკიცებულია სამივე დაწესებულებათა – უნივერსიტეტის, დრამ[ატული] საზოგადოების და მსახიობთა კავშირის – გამგეობათაგან, მაინც საზოგადოების ერთ ნაწილში გაისმის საყვედურის ხმები ხარჯთაღრიცხვისა და გამგეობის არჩევნების გამო და ზოგიერთ გაზეთებში იბეჭდება მეტად მტრული განწყობილების და შეურაცხმყოფელი, უსამართლო წერილები, რაიც უნიწარეს ყოვლისა თვით ლატარიის მეტად საჭირო საქმეს დიდად აფერხებს, ამისათვის ლატარიის გამგეობა სთხოვს ლატარიის საბჭოს, ხელახლა გადასინჯოს მთელი ხარჯთაღრიცხვა და თავის განხილვის შემდეგ წარუდგინოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს დასადასტურებლად, იმავე დროს ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების, გამგეობის არჩევნების და საზოგადოდ მთელი ლატარიის უტყუარი ისტორია გამოაქვეყნოს პრესაში, ხოლო თვითონ გამგეობის მთელს შემადგენლობას გადაწყვეტილი აქვს, გადადგეს თანამდებობიდან და სთხოვს საბჭოს, მოახდინოს გამგეობის ხელახალი არჩევანი ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად, რათა ამ დიდ საქმეს ზიანი არ მიეცეს და მომავალი გამგეობა მაინც დაცული იყვეს უსამართლო საყვედურებისა და შეურაცხყოფისაგან“.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

საბჭო აგრეთვე გაეცნო გაზეთებში მოთავსებულ წერილებს: „Возрождение“, 1. 3 января 1918 г. საცა ჩამოთვლილია შემადგენლობა საბჭოსი და გამგეობისა, შემდეგ ჯამაგირები გამგეობისა და ბოლოს სწერია: „Так как на предварительные расходы по устройству лотарей и уплаты жалования председателю и директорам пока денег не имеется, то решили позаимствовать временно 50 000 р. из фонда груз. театра“ და სხვა.

„ერთობა“ №8, 12 იანვარი 1918 წ. მოგვყავს ზოგიერთი ადგილები: „... გამგეობა ამ დღეებში აურჩევია ქართულ ლატარიის გამმართველ კომიტეტს, ე.ი. ამ კომიტეტს თავის თავი აურჩევია გამგეობათ, ე.ი. კომიტეტი გამგეობად გარდაქმნილა...“

„გამგეობის წევრებმა თავის თავი აირჩიეს და ჯამაგირებიც დანიშნეს. ეხლა საჭირო იყო გამოერკვიათ, საიდან აეღოთ ეს ჯამაგირები“...

„კვლევა-ძიების შემდეგ აღმოაჩინეს, რომ ქართველ საზოგადოებას უკანასკნელი გროშები შეუგროვებია თეატრის ასაშენებლად“....

„ჯერ-ჯერობით განზრახული აქვთ გადაითრიონ ამ წვით და დაგვით შეგროვილ ფულებიდან 50 000 მ“.

„და მერე კიდევ, რასაც მოაგროვებენ იმის ქამას შეუდგენენ“...

ამ წერილის გაცნობის შემდეგ საბჭომ გამგეობის გადაწყვეტილება მართებულად სცნო და თვითაც ესეთ აზრს დაადგა: რაკი გაზეთებსა და საზოგადოებაში ატეხილი განგაში იმდენად ლატარიის ხელმძღვანელებს არა ავნებს, რამდენადაც თვით საშვილისშვილო დაწესებულებათა საქმის განხორციელებას, როგორც არის ქართული უნივერსიტეტი, ქართული თეატრი და ქართველ მსახიობთა კორპორაციის უზრუნველყოფა, ხოლო საქმეს სრული ნათელი მოეფინოს და არც რაიმე გამოურკვეველი იყოს, საბჭომ ერთხმად გადასწყვიტა, თანამდებობიდან მთელი შემადგენლობით გადადგეს და ეს გადაწყვეტილება აცნობოს უნივერსიტეტის, დრ[ამატული] საზ[აზოგადოები]ს, მსახ[იობთა] კავშირის გამგეობათ, ამისთვის მოწვეულ იქნას ამ გამგეობათა შეერთებული კრება 1918 წ. იანვრის 21-სათვის, ამიერკავკასიის ბანკში, დილის 11 საათზე და იმავე დროს ლატარიის გამგეობის წინადადების თანახმად მთელი ისტორია ლატარიის საქმისა გამოქვეყნებულ იქნას ადგილობრივ პრესაში, ხოლო სანამ ახალი ხელმძღვანელი არ გასჩენია ლატარიის საქმეს, მანამდე საბჭომაც და გამგეობამაც განაგრძონ თავიანთი მოქმედება.

ლატარიის საბჭოს თავმჯდომარე კ. აფხაზი, წევრნი: ნ. ერისთავი, ი. ბარათაშვილი, ივ. ა. ჯავახიშვილი.

გამგეობის თანათავმჯდომარე: იას. ლორთქიფანიძე, წევრნი: სოლ. ახვლედიანი, შალვა დადიანი, პეტრე ქავთარაძე.

წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1918 წ. 23 (5) იანვარი, №18 და 1918 წ. 24 (6) იანვარი, №16.

დანართი V

მასალები გაზეთ „სახალხო საქმედან“

გაზეთი „სახალხო საქმე“ საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევო-ლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო იყო და გამოდიოდა 1917-1921 წლებში. მისი რედაქტორ-გამომცემელი იყო პარტიის მთავარი კომიტეტის რწმუნებული სამსონ ფირცხალავა.

გაზეთმა აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. მის ფურცლებზე უხვად ქვეყნდებოდა აღნიშნული საქმის მხარდამჭერი წერილები. მან გარკვეული ადგილი დაუთმო უნივერსიტეტის დაარსებისათვის მზადების გაშუქებას და სხვა ინფორმაციებს.

გაზეთში გამოქვეყნდა:

1. „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების წესდება“ (26 სექტემბერი. №60. 1917 წ.);
2. „მოხსენება ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ“ (1917 წლების 29-30 სექტემბერი – 3 ოქტომბერი – 4 ოქტ. №62-63, 65 (რომელსაც შეცდომით 66 ანერია), 67 (68 ანერია);
3. „ქართული უნივერსიტეტის კოლეგიუმისა, მეცნიერ-ხელმძღვანელთა და ლექტორთა შემადგენლობა 1918 წ. პირველ სემესტრში“ (25 (7) იანვარი. 1918 წ. №154.);
4. „ტფილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ლექციებისა და სამოსწავლო გეგმის შესახებ“ (25 (7) იანვარი. 1918 წ. №154).

ქართული უნივერსიტეტის დაარსება ტფილისში

12 მაისს 1917 წელს ქ. ტფილისში მოწვეული იყო კრება, რომელსაც დაესწრნენ ყველა ქართული საზოგადოებრივ საკულტურო საგანმანათლებლო და საკრედიტო დაწესებულებათა თავმჯდომარენი, დროგამოშვებით გამოცემებისა და ქართულ მოქმედ პოლიტიკურ დასების მთავარგამგებობათა წარმომადგენელი.

ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება ქართულ უმაღლეს სასწავლებლის დაარსების აუცილებლობის შესახებ, რომელშიაც ქართულ სამეცნიერო განათლების მოკლე მიმოხილვა იყო მოყვანილი, ხოლო შემდეგ ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობა სხვა და სხვა მხრივ იყო დასაბუთებული. შემდეგ განმარტებული იყო ამ საქმის განხორციელების შესაძლებლობა და გეგმა.

კრების თავმჯდომარედ ე. თაყაიშვილი იქნა არჩეული. ხანგრძლივ მსჯელობის შემდეგ კრებამ ერთხმად ტფილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსება აუცილებელ საჭიროებათ სცნო და დაადგინა, თუ დამაბრკოლებელი გარემოება ხელს არ შეუშლის, უკვე 1918 წ. დამდეგიდან გაიხსნას ქართული უნივერსიტეტის ჯერ ერთი ფაკულტეტი, ხოლო შემდეგ, წინასწარ გეგმისდა მიხედვით, თანდათანობით დანარჩენი ფაკულტეტები მიემატოს, სანამ სრულ უნივერსიტეტად არ იქცევა. მასთანავე კრებამ გადასწყვიტა დაარსდეს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება, რომელმაც ამ დაწესებულების დაარსებაზე და ქონებრივ მხარეზე უნდა იზრუნოს. თავმჯდომარის წინადადებით კრებამ თავისი თავი დამფუძნებელ კრებად გამოაცხადა და წესდების შესამუშავებლად, სათანადო დაწესებულებაში წარსადგენად და საქმის განსახორციელებლად კომისია აირჩია, რომლის წევრებად არიან კ. ნ. აფხაზი, ე. ს. თაყაიშვილი, ი. მ. ლორთქიფანიძე, მ. ა. გრუზინსკი, გ. დ. ჟურული, ფ. გ. გოგიჩაიშვილი და ივ. ა. ჯავახიშვილი. კრებამ აგრეთვე დაადგინა, ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრთ ბატონ აკაკი ჩხენკელს და კიტა აბაშიძეს ეთხოვოთ, რომ ამ კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ.

ამავე წლის 17 მაისს ქალაქ ქუთაისშიც იყო მოწვეული საკულტურო, საგანმანათლებლო, საფინანსო დაწესებულებათა წარმომადგენლების კრება, რომელზედაც ივ. ჯავახიშვილმა იგივე მოხსენება წაიკითხა. კრების თავმჯდომარედ ი. ოცხელი იყო არჩეული. მსჯელობის შემდეგ მთელმა კრებამ, ორის წინაღობა, მომხსენებლის აზრი მოიწონა და ტფილისში ქართულ უნივერსიტეტის დაარსება საჭიროდ სცნო. ტფილისის კრების მსგავსად ქუთაისის კრებამაც თავისი თავი ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელ კრებად გამოაცხადა და ათი კაცი-საგან შემდგარი კომისია აირჩია (ი. ბაქრაძე, გრ. გველესიანი, მ. თაქთაქიშვილი, ა. ლორთქიფანიძე, ი. ოცხელი, ი. პურადაშვილი, მ. ფაღავა, ს. წერეთელი და ვ. ჭილაძე), რომელსაც ტფილისის კომისიასთან ერთად განზრახულ საქმის განხორციელებაზე უნდა ეზრუნა.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

კომისიამ ქართ. უნივერსიტეტის საზოგადოების წესდება, უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებანი და ამ დებულებათა განმარტებითი მოხსენება შეადგინა და სათანადო დაწესებულებებს წარუდგინა. ქონებრივ სახსრის გამოსაძებნადაც რამდენიმე გეგმა არის შემუშავებული და ქართულ უნივერსიტ. საზოგადოებისათვის ერთ დიდ თანხის გადასაცემად შესაფერისი ნაბიჯებიც არის გადადგმული.

რაკი ქართულ პარტიათა შორის შეთანხმების შემდეგ ეროვნული საბჭო დაარსდა, ივ. ა. ჯავახიშვილმა ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ ეროვნულ საბჭოშიც მოხსენება წაიკითხა და საქმის ვითარება გააცნო. ამასთანავე მომხსენებელმა ეროვნულ საბჭოს სთხოვა ქართულ უნივერსიტეტის დაარსებისათვის თავისი დასტურიც მიეცა. ეროვნულმა საბჭომ ერთხმად დაადგინა: ქართულ უნივერსიტეტის დაარსება ტფილისში აუცილებელ საჭიროებად იყოს ცნობილი და უკვე ათას ცხრაას თვრამეტ წლის დამდეგიდან გაიხსნას იგი.

ამის გამო ქართ[ული] უნივე[რსიტეტის] საზოგადოების ტფილისის კომისიამ გადასწყვიტა 2 ოქტომბერს საღამოს 8 საათზედ დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში (ფრეილინის ქუჩა 11) ხსენებული საზოგადოების წევრად პირველი საზოგადოკრება მოიწვიოს, რომელზედაც საზოგადოების გამგეობა და საკონტროლო საბჭო იქნება არჩეული. ამ დღეებში ყველა ქართულ გაზეთებში გამოქვეყნებული იქნება ხსენებული საზოგადოების წესდება და ივ. ა. ჯავახიშვილის მიერ დამფუძნებელკრებაზედ წაკითხული მოხსენება.

ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების წევრად ჩანწერა შეიძლება ილ. ზურაბიშვილთან დეპუტატთა საკრებულოში (ფრეილინის ქუჩა 11).

დამფუძნებელი წევრი იხდის წლიურად 25 მან. ან ერთდროულად 300 მან, ხოლო დამხმარე წევრი წლიურად 5 მ. ან ერთდროულად 100 მან.

წყარო: „სახალხო საქმე“, 23 სექტემბერი, №58, 1917 წ.

ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების კრება

3 ოქტომბერს, სამშაბათს, საღამოს 8-ნახევ[არ] ს[აათზე], დეპუტ[ატთა] საკრებულოს დარბაზში გაიმართა ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების კრება.

კრებას დაახლოებით 300 კაცამდე დაესწრო. მათ შორის იყვნენ ჩვენი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები. აღსანიშნავია, რომ კრებას დაესწრო აგრეთვე ამერიკელი პროფესორი ბ[ატონი] მისტერ როსი, რომელიც ბ[ატონმა] ვ. ჩერქეზიშვილმა მოიყვანა. კრება უცხო სტუმარს ტაშის კვრით და ფეხზე ადგომით მიესალმა.

კრება გახსნა პროფ[ესორმა] ივ. ჯავახიშვილმა, როგორც საქმის ინიციატორმა. მან საზოგადოებას წინადადება მისცა, თავმჯდომარე აერჩიათ. არჩეულ იქნენ ბ-ნნი პროფ. მელიქიშვილი საპატიო თავმჯდომარედ და ე. თაყაიშვილი თავმჯდომარედ.

ამის შემდეგ პროფ. ივ. ჯავახიშვილმა მიჰმართა კრებას სიტყვით. მან მოკლედ გააცნო დამსწრეთ ისტორია ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დაარსებისა. აზრი ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა რუსეთის პირველ (1906 წ.) რევოლუციის დროს დაიბადა. მაგრამ რევოლუციის სწრაფმა დამარცხებამ ამ აზრის განხორციელებას ხელი შეუშალა. ხოლო აზრის მუშაობა ამ საკითხის ირგვლივ მაინც არ შეწყვეტილა ვინრო წრეებში. 1914 წ. 1 ივლისის კანონის შემდეგ, როცა შესაძლებელი იყო უკვე ამ აზრის განსახორციელებლად პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა, პეტროგრადის ქართველობამ გამართა ამის შესახებ თათბირი და სცნო აუცილებლად ქართული უნივერსიტეტის დაარსება. იყო მოლაპარაკება ტფილისის ვინრო წრეებშიც. დღევანდელმა რევოლუციამ საკითხი ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა უფრო მწვავედ დაგვიყენა წინ. რომ დიდი ხნის ოცნება ხორცშესხმული სინამდვილედ ქცეულიყო, საჭირო იყო, რომ ამ საქმეს ფართე ეროვნული ხასიათი მიეღო, რომ ის ერის ზრუნვის საგნად გამხდარიყო. ამისთვის ბ. ჯავახიშვილმა კვლავ პეტროგრადის ქართულ საზოგადოებაში აღძრა საკითხი და საზოგადოება თანაგრძობით მოეკიდა მას.

შემდეგ, მიმდინარე წელს, 12 მაისს, აქ ტფილისში და ამავე წლის 17 მაისს ქუთაისში ბ[ატონმა] ი. ჯავახიშვილმა დაინტერესებულ წრეებში ნაიკითხა მოხსენება ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ. ორივედან თანხმობა განაცხადეს. ინტერპარტიულ საბჭოშიც მიიღეს ეს აზრი. საქმის გასაძლოად არჩეულ იქნა 10 კაცისაგან შემდგარი კომიტეტი ტფილელი და ქუთათური საზოგადო მოღვაწეთაგან. კომიტეტს დავალებული ჰქონდა, შეედგინა წესდება ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოებისა და ქართულ უნივერსიტეტის წესწყობილებისა. კომიტეტმა თავისი ვალი შეასრულა: წესდება უკვე შედგენილი და დაბეჭდილია, ძირითადი დებულებანი ქართულ უნივერსიტეტის წყობილებისა წარედგინა ადგილობრივ დროებით მთავრობას, ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტს. კომიტეტი თანაგრძობით მოეკიდა ქართულ უნივერსიტეტის დაარსების საქმეს, დებულებანი

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

დაადასტურა; ხოლო ორი მუხლის გამო, რომელთაგან ერთი ეხება იმას, რომ ქართულ უნივერსიტეტს ჰქონდეს უფლება სამეცნიერო ხარისხის მინიჭებისა და მეორე იმას, რომ ქართულ უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები და ლექტორები თავისუფალი უნდა იყვნენ სამხედრო ბეგარისაგან და სტუდენტებსაც შეღავათი უნდა ჰქონდეთ ბეგარის მოხდაში, როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტებისა. ეს დებულებანი გაიგზავნა კომიტეტის მიერ პეტროგრადს განათლების მინისტრთან დასამტკიცებლად. კანონის ძალით სავალდებულო არ იყო ძირითადი დებულებების წარდგენა მთავრობასთან, მაგრამ ეს იმ მიზნით იყო ჩადენილი, რომ ქართულ უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოველი უფლებით ყოფილიყო მოსილი, რაც ისე შეუძლებელი იყო. ჯერ პეტროგრადიდან პასუხი არ არის. თუ სამი თვის განმავლობაში პასუხი არ მივიღეთ, მაშინ ჩვენ უფლება გვაქვს, უკვე საქმეს შევუდგეთ, მუშაობა დავინყოთ, გავხსნათ ქართული უნივერსიტეტი ფორმალურის წესით.

ასე რომ, ბატონებო, კანონის მხრით არავითარი დაბრკოლება აღარ გვიდგას წინ. საქმე მოგვარებულია.

შემდეგ ბატონი ი. ჯავახიშვილი შეეხო საკითხს ქართულ უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ. ქართული უნივერსიტეტი ჩვენთვის აუცილებელია როგორც ერთად-ერთი მტკიცე საფუძველი პოლიტიკური და კულტურული აღორძინებისა. ნაციონალიზაცია სკოლისა და სახელმწიფო და საზოგადო დანესებულებებისა, რაც ახლო მომავალს საქმეა და დროებითი მთავრობის მიერაც აღიარებულია, უნივერსიტეტოდ წარმოუდგენელია. არიან მოაზრებები, მათ შორის პროფ. მარიც, რომელნიც ფიქრობენ, რომ ქართული და საზოგადო კაცობრიული ინტერესებისათვის უმჯობესია ერთი რუსული უნივერსიტეტი ან უნივერსიტეტი რუსულ-ქართულ-სომხური განყოფილებებით. ვითომც ეს შეჰქმნის ძლიერ ამიერკავკასიურ კულტურას, ცალკე ეროვნული უნივერსიტეტები კი შეაჩერებენ ამ კულტურის განვითარებას. ეს აზრი უსაფუძვლოა. წარსულშიაც ქართველები და სომხები ცალ-ცალკე ენეოდნენ კულტურულ მუშაობას, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მათთვის საზოგადო კულტურული ღირებულებანი შეექმნათ. საქმე შემოქმედების უნარშია და რომელ ენაზედაც ეს შემოქმედება სწარმოებს, სულ ერთია. ხოლო შემოქმედება კულტურული მხოლოდ ეროვნულ ფარგლებში შეიძლება. თუ ქართველებს შესწევთ ნიჭი, ისინი ქართულ უნივერსიტეტშიაც შესძლებენ საზოგადო კაცობრიულ ღირებულებათა შექმნას. თუ არა და რუსული ენაც ვერ უშველის მათ. ხოლო მე იმედი მაქვსო, დაამთავრა ბატონმა] ჯავახიშვილმა, რომ თუ ქართველი ერი ქართველ მეცნიერებისათვის თავდადებულ მუშაკებს ჩააყენებს მუშაობის შესაფერ პირობებში, გამართლდება ფრანგ მოგზაურის შარდენის დაკვირვება ქართველების შესახებ. ის ამბობს: ქართველებს დიდი ნიჭი აქვს და მიდრეკილება მეცნიერულ აზროვნებისაკენ და რომ ისინი შესაფერ პირობებში იყვნენ ჩაყენებული, დიდად დანიანურდებოდნენ ამ მხრითო. მაშ! შევქმნათ ეს აუცილებელი პირობები მეცნიერული მუშაობისა, დავაარსოთ და უზრუნველყოთ ქარ-

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

თული უნივერსიტეტი და უეჭველია გამოჩნდება ჩვენში ისეთი ნიჭიერი ახალგაზრდები, რომელნიც ღირსეულად გადაუხდიან ქართველ ერს იმ ვალს, რასაც ეხლა მათ[თთვის] უნივერსიტეტს ვხსნით.

ამის შემდეგ თავმჯდომარე სწყევტს კრებას 5 წუთით, რომ დამწრეთ, ვისაც წინანდელ, დამფუძნებელ კრებას არ დასწრებიან, ჩანერილიყვნენ საზოგადოების წევრებად და მით ხმის უფლებით მიეღოთ მონაწილეობა ამ კრებაზე განსახილველ სხვა საკითხების გადაჭრაში. ჩაენერა თითქმის ყველა დამწრეთაგანი. უმრავლესობა დამფუძნებელ წევრად, რომელიც 25 მანეთს იხდის წლიურად წესდების ძალით (წესდებანი დარიგდა კრებაზე).

დასვენების შემდეგ ბ[ატონ] თავმჯდომარემ შეწყვეტილი კრება განაგრძო. ბ[ატონმა] ი. ზურაბიშვილმა, რომელიც იღებდა წევრებს, წაიკითხა სია ჩანერილ წევრებისა, რომელნიც მიღებული იქნენ საზოგადოების წევრებად.

ქუთაისის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იქაც ბევრი ჩაენერა წევრად, მაგრამ მათი სია არ წამომიღიაო. კრებამ გადასწყვიტა, ისინიც მიღებულ იქნენ საზოგადოების წევრებად.

შემდეგ ბ[ატონი] თავმჯდომარე კრების მორიგ საქმეებზე გადადის. ეს საქმეები იყო: უნივერსიტეტის[საზოგ[ადოების] გამგეობის საკონტროლო საბჭოსი და საფინანსო კომისიის არჩევა. კომიტეტმა წარმოადგინა კანდიდატების სიები, მაგრამ კრებამ ბ[ატონი] ვ. ლამბაშიძის წინადადების თანახმად ისურვა ახალი სიების შემუშავება.

კრება დროებთ შეწყდა.

განახლებისას დაასახელეს ახალი სიები, მაგრამ არც ეს სიები დაამტკიცა კრებამ, ცალმხრივად არის შედგენილიო. ცხარე კამათი ასტყდა ამ საკითხის ირგვლივ. ზოგი ორატორი (შ. მესხიშვილი) მოითხოვდნენ არჩევნების გადადებას მომავალ უფრო მრავალრიცხოვან კრებამდე, სადაც წარმოდგენილი იქნება ყველა ქართველები. კრებაზე არ იყვნენ ს[ოციალ]-დ[ემოკრატიები] წარმომადგენლები, გარდა ალიონელებისა; ზოგმა კი (გრ. რცხილაძე) ამის წინააღმდეგ გაილაშქრა: მეორედ ასეთ მრავალრიცხოვან კრებას ვერ შეკრებთო. ხმის უმეტესობით გადაწყდა არჩევნების გადადება შემდეგ კრებამდე, რომელიც დაინიშნა კვირისთვის, სალამოს 8 საათისთვის. ხოლო ამ კრებამ აირჩია სარეკომენდაციო კომისია შემდეგ პირთაგან: პროფ. პ. მელიქიშვილი, პროფ. ი. ჯავახიშვილი, ექ. ვ. ლამბაშიძე, ქ. ნინო ნაკაშიძე, ვ. კახაძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ალ. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, ექ. ვირსალაძე, ი. იმედაშვილი და გ. ქრელაშვილი.

ამ კომისიას ევალება, მომავალი კრებისათვის შეიმუშაოს კანდიდატის სია საზოგადოების გამგეობისა, საკონტროლო საბჭოსი და საფინანსო კომისიისა.

წყარო: „სახალხო საქმე“, 1917 წ. 6 ოქტომბერი, №69.

შენიშვნები და კომენტარები:

წყაროში 6 ოქტომბერი. №69 არასწორად არის მითითებული. სინამდვილეში უნდა იყოს 68. 1917 წ., რადგან სათვალავი აირია 65-დან და მას შეცდომით 66 დაენერა.

გაზეთები „საქართველო“ და „სახალხო საქმე“ განსხვავებულ ცნობებს გვანვდის ამ კომისიაში წევრთა რაოდენობისა და პერსონების შესახებ (იხ. გვ. 155).

ივანე ჯავახიშვილი

ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი დაიბადა აპრილს 11-ს 1876 წელს. ხოვლეელია (ხოვლე მდებარეობს სადგურ გრაკალიდან 5 ვერსის მანძილზე). საშუალო განათლება მიიღო ტფილისის მე-3 და 1 გიმნაზიაში, სადაც მან კურსი 1895 წელს დაასრულა. გიმნაზიაში მისი სურვილი იყო, ხელი მოეკიდა და საფუძვლიანად შეესწავლა სარწმუნოებათა გავლენა ხალხის ყოფა-ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებაზე, მაგრამ პეტერბურგის უნივერსიტეტში რომ აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე შევიდა, აქ იგი გაიტაცა საქართველოს ისტორიის შესწავლამ. უნივერსიტეტში ლექციებს უსმენდა პროფესორ ა. ცაგარელს, ვ. როზენს, ნ. მარს, პ. კოკოვცოვს და სხვებს. უნივერსიტეტი დაამთავრა 1899 წელს და ოქროს მედლით იქნა დაჯილდოებული ამ თხზულებისთვის: „წმიდათა ცხოვრებანი გრიგოლ წერენცის სომხურ სალიტერატურო ძეგლებში“. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ გაგზავნილ იქნა სწავლის განსაგრძობად ევროპაში და რამოდენსამე ხანს პროფესორ ჰარნაკთან მუშაობდა ბერლინში. ამ დროს ეკუთვნის მისი გერმანული თარგმანი „წმ. ევსტათე მცხეთელის წამებისა“ (დაიბეჭდა „პრუსიის სამეცნიერო აკადემიის სხდომათა უწყებაში“ 1901 წელს). აგრეთვე მისი ხელმძღვანელობითა და დახმარებით კ. შულცემ თარგმნა ქართულიდან გერმანულად „წმ. მონამის აბო თბილელის წამება“. (დაიბეჭდა ჰარნაკის „ტექსტებსა და გამოკვლევებში“, ახალი წყება, VIII, 4).

პეტერბურგს რომ დაბრუნდა, ჩარიცხულ იქნა იქაურ უნივერსიტეტში პრივატ-დოცენტად (1903 წლის 1 იანვრიდან) და ლექციების კითხვა დაიწყო. სამაგისტრო დისერტაცია კი დაიცვა 12 მაისს 1907 წელს. დისერტაციის საგანია „სახელმწიფო წეს-წყობილება ძველ საქართველოში და ძველ სომხეთში“, ნ. 1.

1917 წლამდე ივ. ჯავახიშვილი პეტ. უნივ. აღმ. ენების ფაკულტეტზე პრივატ-დოცენტად ირიცხებოდა და ქართველი ერის ისტორიის სხვადასხვა დარგიდან ლექციებს კითხულობდა ქართულად და რუსულად.

1918 წლის 13 იანვრის ქართულ უნივერსიტეტის საბჭომ აირჩია ივ. ჯავახიშვილი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად.

ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა სამეცნიერო ასპარეზზე მრავალმხრივია და მეტად ნაყოფიერი. მის კალამს მრავალი შრომა ეკუთვნის, რომლითაც მან ახალი ეპოქა შექმნა ქართულ საისტორიო მწერლობაში. თავის შრომებს ის ათავსებდა „მომამბეში“, რუსეთის საარქეოლოგიო საზოგადოების აღმოსავლური განყოფილების „ზაპისკებში“, „ბიზანტიის ქრონიკებში“, „სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალში“, „რუსეთის სამეცნიერო აკადემიის უწყებაში“, „საქრისტიანო აღმოსავლეთში“ და სხვაგან.

აქ საკმარისია დავასახელოთ მხოლოდ უმთავრესები: „წმ. მოციქულის ანდრეას მოღვაწეობა საქართველოში“, „ხალხის აღწერის დავთრები“, „საქართველოს

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

მეფე და მისი უფლების ისტორია“, „სახელმწიფო წეს-წყობილება საქართველოში ძველად“ (დისერტაცია), პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში მეცხრამეტე საუკუნეში (რუსულად; ეს წიგნი ცენზურისაგან აკრძალული იყო), „სომეხ-ქართველთა ეკლესიის განხეთქილება (სამეცნიერო აკადემიის ჟურნალში 1905 წ.), „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ ნ. 1 (უკანასკნელი წიგნის ერთი ნაწილი ეს ეს არის დაიბეჭდა „პრომეთეს“ პირველ ნომერში ამ სათაურით: ქალაქები, საქალაქო წეს-წყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში 17-18 სს.“), „ქართველი ერის ისტორია“, ნ. 1 და 2 (1913 და 1914 წწ.), „ქართული ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები უწინ და ახლა“, ნ. 1 (1916 წ.)

ამათ გარდა დაბეჭდილი აქვს მრავალი წვრილ-წვრილი გამოკვლევა კრიტიკარეცენზია.

ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის ერთ დამახასიათებელ თვისებას ის შეადგენდა, რუსულ უნივერსიტეტში მსახურობდა, მაგრამ მაინც დაჟინებით ქართულად აქვეყნებდა თავის შრომებს. თითქმის არა დაუნერია ისეთი, რომ უცხო ენაზე გამოექვეყნებინოს და ქართულად არა. ბოლო ხანებში მაინც სულ ქართულად სწერდა.

ამის გარდა აღნიშნული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ მისი თაოსნობით და ხელმძღვანელობით პეტერბურგის უნივერსიტეტში დაარსდა და მუშაობდა „ქართული სამეცნიერო წრე“, რომელშიაც მოხსენებათა კითხვა ქართულ ენაზე სწარმოებდა და ამ წრეში წაკითხულ მოხსენებათა კრებული უკვე გამოიცა (1915 წ.)

წყარო: „სახალხო საქმე“, 26 (8) იანვარი, პარასკევი, 1918 წ., №155.

ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებისგან

ამა წლის 26 იანვარს გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი.

ამიერიდან კულტურული ალორძინების საქმე უზრუნველყოფილია.

გამოუთქმელია უნივერსიტეტის მნიშვნელობა ერის ცხოვრებაში.

ჩვენს უმაღლეს სამეცნიერო ტაძარში თავს მოიყრიან უცხოეთში გაბნეული ქართველი მეცნიერები, გაჩაღდება მუშაობა და მკვიდრი საფუძველი ჩაეყრება ჩვენს განახლებულს ცხოვრებას.

ყოველი დარგი ჩვენი ცხოვრებისა მოითხოვს შესაფერისად მომზადებულ მუშაკს, მრავალს მშრომელს და ასეთი პირების საფუძველიან მომზადებას იკისრებს და შესძლებს მხოლოდ ქართული უნივერსიტეტი.

თუ გვინდა, რომ ჩვენი საკუთარი მეცნიერება გვექნეს, თუ გვსურს, რომ სხვა განათლებულ ერებს გვერდში ამოვუდგეთ, უნდა ყოველმხრივ ხელი შევუწყოთ უნივერსიტეტს, რადგან ამას მხოლოდ ის შეგვაძლებინებს.

თუ გვინდა, რომ კვლავ გაცხოველდეს ის კულტურული მუშაობა, რომელსაც ეწეოდნენ ქართველი მოღვაწენი ძველად საქართველოში, უნდა ყოველნაირად ხელი შევუწყოთ ქართულ უნივერსიტეტს.

ქონებრივი უსახსრობის გამო სამწუხაროდ შეუძლებელი გახდა ამ თავითვე ყველა ფაკულტეტების დაარსება. დღეს მხოლოდ ჰუმანურ მეცნიერებათა ფაკულტეტი გაიხსნა. ამავე მიზეზის გამო ბევრი ქართველი მეცნიერის მოწვევაც შემდეგისათვის გადაიდო.

უნივერსიტეტის გახსნა-მოწყობა მეტად დიდ ხარჯს მოითხოვს: სადგომი, ნიგონთსაცავი, კაბინეტები, ლაბორატორიები, კლინიკები, პროფესორთა და მოსამსახურეთა შტატი და სხ. და სხ. მეტად ძვირი ჯდება.

ვიდრე საქართველო პოლიტიკურად მოეწყობოდეს, მანამდე ქართული უნივერსიტეტის შენახვა **საზოგადოების და კერძო პირთა მოვალეობას შეადგენს; აქედან ცხადია თვითეული ჩვენგანის მოვალეობაც.**

გინვეთ ყველას, **აუცილებლად დახმარება აღმოუჩინოთ ქართულ უნივერსიტეტს** შეძლებისდაგვარად. ნევრად ჩანერა ხომ ყველასათვის სავალდებულოა. ამ საერო და საერთო საქმეში ყველა უნდა შევერთდეთ, განზე გადგომა არავის ეპატიება.

ქართული უნივერსიტეტის გამგეობა და ფინანსური კომისია.

ფულის მიღება:

1. ამიერკავკასიის ბანკში;
2. საურთიერთო ნდობის ბანკებში;
3. ადგილობრივ აგენტებთან.

წყარო: „სახალხო საქმე“, 15 (28) თებერვალი, 1918 წ., №172.

დანართი VI

უნივერსიტეტის საზოგადოების ოქმები

ვინაიდან საქართველოში რუსეთის ხელისუფლება უნივერსიტეტის დაარსებას ყოველნაირად აფერხებდა, მით უფრო თუ იგი ქართული იქნებოდა, ამიტომ, ივანე ჯავახიშვილის გეგმის მიხედვით, საქართველოში უნივერსიტეტის დაარსება კერძო თაოსნობაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული. ამისთვის შეიქმნა უნივერსიტეტის საზოგადოება. ამ საზოგადოებამ დიდი სამუშაო შეასრულა, რომელიც მის ოქმებშია ასახული. მასში ისიც კარგად ჩანს, თუ რა დიდძალი ენერჯია შეაღია ივანე ჯავახიშვილმა ქართული უნივერსიტეტის შექმნას. ამიტომ ეს ოქმები უკლებლივ ყველა ამ დანართშია მოცემული. ისინი საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივშია თავმოყრილი (ფონდი 471. ან. I. საქმე 1 და 3) და პირველად ქვეყნდება.

ოქმი 1917 წ. მაისის 12 დღეს [1]

ქ. ტფილისი

კრებას დაესწრნენ: თავ. ივ. ალ. ჯავახიშვილი, 2. გ. ნ. ყაზბეგი, 3. თავ. კ. ნ. აფხაზი, 4. დეკანოზი კორნ. კეკელიძე, 5. ექ. სვ. თაყაიშვილი, 6. თავ. გ. გ. მაღალაშვილი, 7. ვ. რ. ყიფიანი, 8. ფ. გ. გოგიჩაიშვილი, 9. თავ. ი. მ. ლორთქიფანიძე, 10. გ. დ. ყურული, 11. თავ. დავ. გიორგ. ჯორჯაძე, 12. გ. ზ. ქურდიანი, 13. ლუარს. ბოცვაძე, 14. სეით იაშვილი, 15. ი. ბ. ლორთქიფანიძე, 16. მ. ვ. მაჩაბელი, 17. თავ. ნიკ. მიხ. მელიქიშვილი, 18. გაბ. ივ. თულაშვილი, 19. თავ. კ. ზ. მაყაშვილი, 20. სერ. კაკაბაძე, 21. იოსებ იმედაშვილი, 22. ლეონ შენგელაია, 23. აკაკი შანიძე, 24. დიტო უზნაძე, 25. გრიგ. ვეშაპიძე, 26. ანასტასია მიხ. წერეთლისა, 27. დავ. სულიაშვილი და 28. ილია ზურაბიშვილი.

კრების მომწვევემა პროფ. ივანე ჯავახიშვილმა განაცხადა, რომ განსაკუთრებული ბარათები დაეგზავნათ ყველა ქართულ სამეცნიერო, საზოგადო, კულტურულ და საკრედიტო დაწესებულებათა საბჭო-გამგეობათ, პოლიტიკურ პარტიათა მთავარ კომიტეტებს და პერიოდულ გამოცემათა რედაქციებს და ეთხოვით [2] თავიანთი წარმომადგენლების გამოგზავნა დღევანდელ კრებაზედ მონაწილეობის მისაღებად. – აგრეთვე ეთხოვათ კრებაზედ დასწრება ამიერკავკასიის მთავარ კომიტეტის წევრთ ბ[ატონ]თ აკაკი ჩხენკელს და ი. გ. (კიტა) აბაშიძეს.

შემდეგ პროფ[ესორმა] ჯავახიშვილმა სთქვა, რომ დღევანდელ კრების საგანია, როგორც მოწვევის ბარათებშია აღნიშნული, მოხსენება ქართულ უმაღლეს სამეცნიერო სასწავლებლის ანუ ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტის დაარსების შესახებ.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

ამასთანავე პროფ[ესორმა] ჯავახიშვილმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება ზემო-ხსენებულ საგნის შესახებ. წაიკითხვის შემდეგ, მისივე თხოვნით, კრებამ საჭიროდ სცნო თავმჯდომარის არჩევა კამათისა და საუბრის ხელმძღვანელობისათვის. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ბ[ატონ]ი ე. ს. თაყაიშვილი.

ხანგრძლივის კამათის შემდეგ, რომელიც შეეხებოდა იმას, თუ რა ტიპისა (უნივერსიტეტი თუ სპეციალური) უნდა იყოს ქართული უმაღლესი სასწავლებელი და როგორ გამონახოს ნივთიერი საშუალება ამ დაწესებულების განსახორციელებლად, კრებამ ერთხმად მიიღო მომხსენებლის წინადადება და გადასწყვიტა დაარსდეს ქართული თავისუფალი უნივერსიტეტი ყოველის სათანადო ფაკულტეტებით; მხოლოდ ამ თავად უნდა გაიხსნას სიბრძნისმეტყველების განყოფილება (ფილოსოფიური და ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი) – რომელსაც, მომხსენებლის ანგარიშით, დასჭირდება წელიწადში ზედმინევენით 120 000 მანეთი შესანახად, თუ ბინა უსასყიდლოდ ექნება.

ამასთანავე ერთდროულ ხარჯებისათვის (მოწყობა) მოუწდება 25. 000 მან.

კრებამ აგრეთვე დაადგინა, არჩეულ იქნას კომისია, რომელიც შეიმუშავებს ხარჯთაღრიცხვას მომავლის უნივერსიტეტისას და აღნიშნავს ამა თუ იმ ღონისძიებას საჭირო თანხის შესადგენად.

კომისიაში არჩეულ იქნენ: თავ. ივ. ა. ჯავახიშვილი, თავ. კ. ნ. აფხაზი, ე. ს. თაყაიშვილი [3], ვ. რ. ყიფიანი, თავ. ი. მ. ლორთქიფანიძე, გ. დ. ჟურული და ფ. გ. გოგინიაშვილი.

ამასთანავე კრებამ დაადგინა: ეთხოვოს ამიერკავკასიის მთავარ კომიტეტის წევრთ ბ[ატონ] აკაკი ჩხენკელს და თავ[ად] ი. გ. (კიტა) აბაშიძეს მიიღონ მონაწილეობა ხსენებულ კომისიის მოქმედებაში.

დასასრულ, თავმჯდომარის წინადადებით, კრებამ დაადგინა: დაარსდეს განსაკუთრებული საზოგადოება ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტისა, რომლის დამფუძნებელ კრებად დღევანდელი კრება ჩაითვალოს.

თავმჯდომარე კრებისა	ე. თაყაიშვილი [4]
მდივანი	ილ. ზურაბიშვილი [5]
	იას. ლორთქიფანიძე [6]

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე 1, ფ. 1.

შენიშვნები და კომენტარები:

1. ოქმი ხელის საბეჭდ მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტია.
2. ასე წერია.
3. ეს ხელითაა ჩამატებული.
4. ხელმოწერა.
5. ხელმოწერა.
6. ხელმოწერა.

ოქმი 1917 წლის მაისის 17 ქ. ქუთაისში შემდგარი
საფინანსო და კულტურულ დაწესებულებათა და პრესის [1]
წარმომადგენლების კრების სხდომისა. [2]

კრების მომწვევი: პროფ[ესორი] ი. ჯავახიშვილი.

კრების საგანი: ქართული უმაღლესი სასწავლებლის დაარსება ტფილისში.

კრებას დაესწრნენ: ქ.ქ. [3] მ. ყაუხჩიშვილის ქალი, თ. აბაშიძისა, მ. გველესიანისა; ბ. ბ. [4] გ. გველესიანი, ა. ლორთქიფანიძე, ს. წერეთელი, ი. ქუთათელაძე, ი. ჩიქოვანი, მ. ფალავა, დ. ნიჟარაძე, ი. ბაქრაძე, გ. ურატაძე, მამა ო. შუშანი, ტ. ჯაფარიძე, ა. გორგაძე, კ. გაბარაშვილი, მ. თაქთაქიშვილი, ი. ოცხელი, ი. პურადაშვილი, ვ. ჭილაძე, ვ. ბერიძე, ა. წერეთელი, ვ. იმნაძე, პ. ყიფიანი, ა. ჯანელიძე.

სხდომა გახსნა პროფ[ესორმა] ი. ჯავახიშვილმა, რომელმაც ჯერ კრებას გააცნო საქმის ვითარება ტფილისში, ხოლო შემდეგ ვრცელი მოხსენება წაიკითხა, სადაც აღნიშნა ქართული სამეცნიერო დაწესებულების საჭიროება და ისტორიული შესავლის შემდეგ დაასაბუთა უნივერსიტეტის უპირატესობა სამეცნიერო აკადემიისა და უმაღლესი სპეციალური სასწავლებლის წინაშე.

მოხსენების მოსმენის შემდეგ კრებამ ბ[ატონ] ჯავახიშვილის წინადადებით აირჩია თავმჯდომარე ი. ი. ოცხელი და მდივანი. გაიმართა კამათი, რომლის შემდეგ მთელმა კრებამ ორის წინააღმდეგ გაიზიარა მომხსენებლის შეხედულება და საჭიროთ სცნო ტფილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსება.

პროფ[ესორმა] ი. ჯავახიშვილმა წაიკითხა თავისი მოხსენების მეორე ნაწილი: მომავალი უნივერსიტეტის ორგანიზაცია და საჭირო ხარჯები. მცირე კამათის შემდეგ კრებამ გადაწყვიტა თავისი თავი დამფუძნებლათ გამოაცხადოს და აირჩიოს ათი კაცი, რომელნიც შეუერთდებიან ტფილისში მსგავსადვე არჩეულს ათი კაცისაგან შემდგარ კომიტეტს და განზრახული საქმის განხორციელებისათვის იზრუნებენ. ფარული კენჭისყრით არჩეულ იქმნენ შემდეგი პირნი: ბაქრაძე ი., გველესიანი გრ. თავმჯდომარე საურთიერთო ნდობის ბანკისა, თაქთაქიშვილი მ., ლორთქიფანიძე ა., ოცხელი ი., პურადაშვილი ი., ფალავა მ., ჩიქოვანი ი., წერეთელი ს., ჭილაზე ვ. (კრებამ გადაწყვიტა ათი კაცისთვის მეთერთმეტეც მიემატებინათ).

ამის შემდეგ თავმჯდომარემ კრების სახელით მადლობა გადაუხადა კრების მომწვევს და მომხსენებელს ბ[ატონ] ი. ჯავახიშვილს და სხდომა დახურულათ გამოაცხადა.

თავმჯდომარე: ი. ოცხელი [5]

მდივანი: ა. ჯანელიძე [6]

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 47, ანაწერი 1, საქმე 1, ფ. 4.

შენიშვნა და კომენტარები:

1. „და პრესის“ ივანე ჯავახიშვილის მიერაა ჩამატებული.
2. ეს ოქმი ალ. ჯანელიძის მიერაა ხელით დანერილი.
3. ქარაგმაში „ქ.ქ.“ იგულისხმება „ქალბატონები“.
4. ქარაგმაში „ბ.ბ.“ იგულისხმება „ბატონები“.
5. ხელმოწერა.
6. ხელმოწერა.

ოქმი (კერძო კრება) 1917 წ. მაისის 24 დღეს [1]

ქ. ტფილისი.

ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტის კომისიის კრება.

კრებას დაესწრნენ: თავ[ადი] ი. ა. ჯავახიშვილი, თავ[ავადი] კ. ნ. აფხაზი, თავ[ავადი] ი. მ. ლორთქიფანიძე და ფ. გ. გოგიჩაიშვილი.

რადგანაც დამსწრეთა კრებული მცირერიცხოვანი იყო, - ამიტომ კომისიას ოფიციალური სხდომა არა ჰქონია. გაიმართა კერძო თათბირი.

სხვათა შორის ი. ა. ჯავახიშვილმა აცნობა კრებულს ოქმი ქუთაისში, 17 ამა მაისს, გამართულ კრებისა უნივერსიტეტის დაარსების შესახებ და დასძინა, რომ ამ ჟამად ქუთათურთა მიერ არჩეულ კომისიას სხდომები აქვს ამ საგნის გამო. ასეთივე კრებები საჭიროა ტფილისშიაც და შემდეგ მოხდეს შეერთებული კრება ორივე კომისიისა – ტფილისში.

კერძო საუბრის დროს, სხვათაშორის, აღიძრა აზრი იმის შესახებ, რომ საჭირო თანხის შესადგენათ, სხვა და სხვა საკრედიტო დაწესებულებათა და კერძო ქველმოქმედთა შორის ფულის მოგროვების გარეშე, – შესაძლებელია გაიმართოს, მთავრობის ნებართვით, საჭირო მომგებიანი ლოტარეა [2], – რაც ერთბაშად დიდი თანხის შედგენის საშუალებას მისცემს უნივერსიტეტის საზოგადოებას.

შემდეგი კრება დაინიშნა კვირისათვის, 28 მაისს, ნაშუადღევს 1 საათზედ დეპ[უტატთა] საკრებულოს დარბაზში.

თავმჯდომარე კერძო კრებისა [3]

მდივანი კერძო კრებისა ილ. ზურაბიშვილი [4]

იას. ლორთქიფანიძე [5]

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე 1, ფ. 3.

შენიშვნა და კომენტარები:

1. *ოქმი ხელით საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტია.*
2. *ასე წერია.*
3. *ხელმოწერა არაა.*
4. *ხელმოწერა.*
5. *ხელმოწერა.*

ოქმი 1917 წ. ივნისის 3 დღესა [1]

ქ. ტფილისი

ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტის
საზოგადოების კომისიის კრება

დაესწრნენ: თავ[ადი] კ. ნ. აფხაზი, თავ[ავადი] ი. ა. ჯავახიშვილი, თავ[ავადი] ი. მ. ლორთქიფანიძე, ვ. რ. ყიფიანი, გ. დ. ჟურული, ფ. გ. გოგიჩაიშვილი და თავ[ავადი] გ. აბაშიძე [2].

თავ[ადმა] კ. ნ. აფხაზმა აუწყა კრებას, რომ ეს მესამე კრებაა კომისიისა, საერთო სხდომის შემდეგ, მაგრამ არცერთხელ სათანადო კვორუმი არ ყოფილა და ამიტომ საქმე კერძო თათბირით თავდებოდა ხოლმე. თათბირი, რასაკვირველია, ეხებოდა მთავარ საგანს – ფულის შოვნისას, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავითარი თვალსაჩინო საშუალება არ არის ნაჩვენები. სხვათა შორის, აზრი იყო გამოთქმული საჯარო მომგებიან ლოტარეის [3] გამართვის შესახებ, როგორც ერთი იმისთანა საშუალებისა, რომლითაც ფულის შეგროვება ადვილად მოხერხდება; მხოლოდ გამოსარკვევი ის არის, მოგვცემს თუ არა მთავრობა ამის ნებართვას. ამის გარდა, სხვა ღონისძიებად დასახელებული იყო ქართველთა შორის უწყებულ გარდასახადის განწერვა შემოსავლის კვალობაზედ. ამ წინადადების შესაფერის მოხსენების შედგენა მიიღო თავის თავზედ თავ[ადმა] ი. მ. ლორთქიფანიძემ. აგრეთვე გამოითქვა აზრი კოოპერატივების მიერ დახმარების შესახებაც. საქართველოში კოოპერატივები ბლომად არის და თითოეულმა მათგანმა მცირე წვლილიც რომ გამოიღოს – მაინც საკმარისი თანხა შესდგება.

თავ[ავადი] ივ. ჯავახიშვილი. ამ საქმის დახანება მეტი არ შეიძლება. საჭიროა გამორკვეულ იქმნას საბოლოოდ, შეიძლება თუ არა მომავალ წლიდან უნივერსიტეტის გახსნა. მხოლოდ წინადადეგ დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ უსახსრობის გამო უნივერსიტეტის არსებობა უცბად არ შესწყდება. ამ შემთხვევაში გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავაყენებთ მონვეულ პროფესორებს, რომელნიც ახლა უზ-

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

რუნველყოფილნი არიან რუსეთის უნივერსიტეტებში და მხოლოდ ეროვნული იდეის გამო მზად არიან დასთმონ ახლანდელი თავიანთი ადგილები, ოღონდ კი სამშობლო მეცნიერებას ემსახურონ. ქართველ პროფესორთა კონტიგენტი სრულ საშუალებას გვაძლევს ამთავითვე ორი ფაკულტეტი დავაარსოთ – სიბრძნისმეტყველებისა და საბუნებისმეტყველო, ოღონდ ნივთიერი სახსარი იყოს.

ფილ. გუგინაიშვილი. ყველა ქართული საზოგადო საქმე მცირედის ნივთიერის საშუალებით დანყებულა და ასე თუ ისე ბოგინობს და ასრულებს მეტ-ნაკლებობით თავის კულტურულ დანიშნულებას. ქართულ უნივერსიტეტს, რალა თქმა უნდა, უფრო მკვიდრი საფუძველი სჭირია, რაც დიდ თანხას მოითხოვს, მაგრამ ერთბაშად ქართველებს არ შეუძლიანთ ამოტელა თანხის შედგენა. მაინცა და მაინც ეს გარემოება როდი უნდა გვაბრკოლებდეს და უნდა ეხლავე შევეცადნეთ ამ დიად საქმის განხორციელებას. ეჭვს გარეშეა, ეს ისეთი დიდმნიშვნელოვანი საქმეა, რომ ქართველი საზოგადოება უეჭველად ხელს შეუწყობს მის არსებობას. ამიტომ ყოველნაირი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ საქმე დავიწყოთ, თუ გინდა მცირედი თანხითაც, ოღონდ კი ერთი-ორი წლისთვის კი საკმარისი იყოს. ამ თანხისათვის ფულს გამოიღებენ როგორც საკრედიტო დაწესებულებანი, ისე კერძო პირნი და მათ შორის ჩვენი ვაჭარ-მრეწველნი.

შემდეგ კრებამ მოისმინა თავ[ად] ი. მ. ლორთქიფანიძის წერილობითი განცხადება გადასახადის შემოღების გამო და მიიღო იგი საყურადღებოდ.

ნივთიერ სახსრის გამოძებნის შესახებ თათბირის დროს აღძრული იყო საკითხი იმის შესახებ, იქნება გამოიყენებოდეს ამ საქმისათვის ის თანხა, რომელიც შემდგარია ტფილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის გირავნობის ფურცლების სავალდებულო განაღდების ზედმეტი გადასახადისაგან (სვერხობიაზატელნოე პოგაშენიე ზაკ. ლისტ.). ეს თანხა 800 000 მ[ანეთს] უდრის. განცხადების შედგენა ბანკის მიერ იკისრა ვ. ყიფიანმა.

გამოთქმულ იქმნა სურვილი, რომ ყველა აქ ჩამოთვლილი კომბინაციები შემუშავებულ იქმნას, რათა გამოირკვეს საბოლოოდ, რომელი ამ საშუალებათაგანი შეიძლება განხორციელდეს ახლო მომავალში და რომლის გადადება შეიძლება მერმისისათვის.

დასასრულ, გადანყვეტილ იქმნა შემუშავდეს პროექტი ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოებისა, რათა წარედგინოს იგი მთავრობას დასამტკიცებლად.

ამ პროექტის შედგენა იკისრა თავ[ადმა] ი. ა. ჯავახიშვილმა.

ალიძრა საკითხი კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ, მაგრამ რადგანაც დამსწრეთა შორის არავინ იკისრა ეს თანამდებობა, არჩევანი გადაიდო შემდეგისათვის. კომისიის მდივნის მოვალეობა იკისრა თავ[ადმა] ი. ა. ჯავახიშვილმა. მის ამხანაგად არჩეულ იქმნა ი. ვ. ზურაბიშვილი.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

კომისიის წევრნი:

იას. ლორთქიფანიძე [4]

ივ. ჯავახიშვილი [5]

მდივნის ამხანაგი

ილ. ზურაბიშვილი [6]

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე 1, ფ. 7-8.

შენიშვნა და კომენტარები:

1. ოქმი ხელით საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტია.
2. აქ შეცდომაა, ალბათ კიტა აბაშიძე იგულისხმება და მამის სახელის (გიორგი) ინიციალი „გ“ წერია, მაგრამ თავად კიტასი კი გამორჩენილია. მას ხან ოფიციალური სახელით „ივანე“ მოიხსენიებდნენ, მაგრამ იცნობდნენ როგორც „კიტას“.
3. ასე წერია.
4. ხელმოწერა.
5. ხელმოწერა.
6. ხელმოწერა.

ოქმი 1917 წ. ივნისის 15 დღესა [1]

ქ. ტფილისი.

ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების საორგანიზაციო
კომისიის კრება

დაესწრნენ:

თავ[ავადი] კ. ნ. აფხაზი, თავ[ადი] ი. ა. ჯავახიშვილი, ე. ს. თაყაიშვილი, ი. მ. ლორთქიფანიძე, ვ. რ. ყიფიანი, ფ. გ. გოგიჩაიშვილი და გ. ჟურული.

თავ[ადმა] ი. ა. ჯავახიშვილმა აუწყა კრებას, რომ მან უკვე შეიმუშავა პროექტი ქართულ უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების წესდებისა და იგი პროექტი დღეს მოხსენდება კრებას. ამასთანავე მან დასძინა, რომ სათანადოდ სცნო უნივერსიტეტის სახელწოდებიდან ამოქმად სიტყვა „თავისუფალი“. ეს სიტყვა კერძოობით ხასიათს აძლევს გაზრახულ დანესებულებას, მაშინ როდესაც საქართველოს ავტონომიის წყობილებაში ხსენებული უნივერსიტეტი იქნება მთავრობის უნივერსიტეტი. ამიტომ მას ეწოდება: „ქართული უნივერსიტეტი“.

აგრეთვე, თავ[ადმა] ი. ა. ჯავახიშვილმა აცნობა კრებას, რომ იგი შეეკითხა წერილით პეტროგრაღში თავ[ად] ზურ[აბ] დავ[ითის ძე] ავალიშვილს საჭირო მომგებიან

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

ლატარეის შესახებ. იმედია, თავ[ადი] ავალიშვილი დანვრილებით ცნობებს მოგვანვდის ამ საგნის შესახებ.

შემდეგ ნაკითხულ იქმნა პროექტი წესდებისა. – ზოგიერთი მცირე შესწორებისა და წესდებით განსაზღვრულ ამა თუ იმ თანხის და გადასახადის რაოდენობის გამორკვევის შემდეგ, – კრებამ გადასწყვიტა საბოლოო რედაქცია წესდების მოისმინოს 22 ამა ივნისს, როდისთვისაც დაინიშნა კომისიის კრება. იმავე კრებაზე განხილულ უნდა იქნას ზედმინევენითი ხარჯთაღრიცხვა მომავალ უნივერსიტეტისა.

კომისიის წევრნი:

იას. ლორთქიფანიძე [2]

ივ. ჯავახიშვილი [3]

მდივნის ამხანაგი

ილ. ზურაბაშვილი [4]

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე 1, ფ. 14.

შენიშვნა და კომენტარები:

1. ოქმი ხელით საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტია.
2. ხელმოწერა შავი მელნით და წვრილი ხელწერით.
3. ხელმოწერა შავი მელნით და მსხვილი ხელწერით.
4. ხელმოწერა მწვანე მელნით.

ოქმი 1917 წ. ივნისის 22 დღესა [1]

ქ. ტფილისი.

ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების საორგანიზაციო კომისიის კრება

დაე სწ რ ე ნ :

თავ[ადი] კ. ნ. აფხაზი, თავ[ადი] ი. ა. ჯავახიშვილი, ვ. რ. ყიფიანი, ექ. ს. თაყაიშვილი, ფ. გ. გოგიჩაიშვილი.

მომხსენებელმა თავ. ი. ა. ჯავახიშვილმა წაიკითხა შესწორებული რედაქცია [2] ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტის საზოგადოების წესდების პროექტის და თვით უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი.

მომხსენებლისავე წინადადებით კრებამ გადასწყვიტა: უნივერსიტეტის სახელწოდებიდან გამოტოვებულ იყოს სიტყვა „თავისუფალი“ და ამ უმაღლეს სასწავლებელს ეწოდებოდეს „ქართული უნივერსიტეტი“, საზოგადოებას კი „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

ხანგრძლივ კამათის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი ნორმები საწევრო გადასახადისა: დამფუძნებელი წევრი იხდის ერთდროულად და არა უმცირეს 300 მან. ან ყოველწლიურად – 25 მან.; ხოლო დამხმარე წევრი იხდის ერთდროულად – 100 მან. ან ყოველწლიურად 5 მან.

როგორც საზოგადოების წესდება, აგრეთვე უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი, მცირე შესწორებით, რომელიც სხდომაზევე იყო შეტანილი ნაკითხულ პროექტებში, – კრებამ ერთხმად მიიღო.

კომისიის წევრნი

ივანე ჯავახიშვილი [3]

მდივნის ამხანაგი

ილ. ზურაბიშვილი [4]

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე 1, ფ. 16.

შენიშვნა და კომენტარები:

1. ოქმი ხელის საბეჭდ მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტია.
2. ეს ორი სიტყვა მწვანე მელნითაა ჩამატებული. ეტყობა, ილ. ზურაბიშვილი ნაბეჭდს ასწორებდა. კრებაზე დასწრების მოსაწვევები მისი ხელითაა დაწერილი და შავი პირი უნდა იყოს, გასაგზავნი კი ალბათ იბეჭდებოდა.
3. ხელმოწერა შავი მელნით.
4. ხელმოწერა მწვანე მელნით.

ოქმი 1917 წ. აგვისტოს 3 დღესა [1]

ქ. ტფილისი.

ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების საორგანიზაციო კომისიის კრება

დაეწინააღმდეგებ:

თავ. კ. ნ. აფხაზი, გ. დ. ჟურული, თავ. ი. ა. ჯავახიშვილი, ე. ს. თაყაიშვილი, თავ. იას. მერ. ლორთქიფანიძე.

კრებაზე მყოფმა წევრებმა, – ტფილისის ნოტარიუსის გიორგი ლუარსაბის ძე მაჭავარიანის თანდასწრებით, – ხელი მოაწერეს უნივერსიტეტის საზოგადოების წესდებას და უნივერსიტეტის ძირითად დებულებათა პროექტს და ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის მიმართ წარსადგენ განცხადებას ამ პროექტების დამტკიცების შესახებ.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

ამასთანავე წარმომადგენლობა და მსვლელობა ამ საქმეში დაევალა თავ. ი. ა. ჯავახიშვილს; სხვათა შორის მასვე მიენდო იმ ცვლილებათა შეტანა ზემოხსენებულ პროექტებში, რომელთა აუცილებლობას საქმის ვითარება მოითხოვს.

კომისიის დანარჩენი წევრები, – რომელნიც ან კრებას არ დაესწრნენ, სათითაოდ უნდა გამოცხადდნენ ნოტარიუსთან და ხელი მოაწერონ წესდებას და ძირითად დებულებათ.

კომისიის წევრნი

იას. ლორთქიფანიძე [2]

ივ. ჯავახიშვილი [3]

მდივნის ამხანაგი

ივ. ზურაბიშვილი [4]

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე 1, ფ. 18.

შენიშვნა და კომენტარები:

1. ოქმი ხელის საბეჭდ მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტია.
2. ხელმოწერა მქრქალი შავი მელნით.
3. ხელმოწერა მუქი შავი მელნით.
4. ხელმოწერა მწვანე მელნით.

ოქმი 1917 წ. სექტემბრის 20 დღესა [1]

ქ. ტფილისი

ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების საორგანიზაციო კომისიის კრება

დაეხსრნენ:

თავ[ადი] ი. ა. ჯავახიშვილი, თავ[ავადი] კ. ნ. აფხაზი, ვ. რ. ყიფიანი, ფ. გ. გოგიჩაიშვილი, თავ[ავადი] მ. ა. გრუზინსკი, თავ[ავადი] ი. მ. ლორთქიფანიძე.

თავ[ადმა] ი. ა. ჯავახიშვილმა აუწყა დამსწრეთ, რომ ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების წესდების პროექტი და იმავე უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი თავისს დროზედ წარდგენილ იქმნა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტში. ამ კომიტეტის თავმჯდომარემ ბ[ატონ]მა ხარლამოვმა შესაძლოდ სცნო საზოგადოების წესდების დამტკიცება, მხოლოდ იმ პირობით, რომ წესდებიდან ამოშლილი ყოფილიყო ის მუხლები, რომლებიც შეეხება საზოგადოების უფლებას საჯარო ლო-

ტარების გამართვისას. ხარლამოვის განცხადებით, ამ უფლების მინიჭება შეადგენს უმაღლესს მთავრობის კომპენტენციას. ზემოაღნიშნულ გამონაკლისით წესდება გადაეცა ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციოდ. რაც შეეხება უნივერსიტეტის ძირითად დებულებათ ამის პროექტი გაიგზავნა სამინისტროში, რადგანაც მისი დამტკიცება შეუძლიანთ მხოლოდ სამინისტროს. ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრის ბ[ატონ] ჩხენკელის წარმომადგენელი ბ[ატონ] ნიკოლოზ ქარცივაძე დაპირებულია მისწეროს ბ[ატონ] ჩხენკელს პეტროგრადში, დააჩქაროს ძირითადი დებულებათა დამტკიცება.

აწინდელი ვითარება საზოგადოების დაარსებისა ისეთია, რომ საქმის დაწყება შეიძლება იურისტების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ქართული უნივერსიტეტი [ს] საზოგადოების რეგისტრაცია ჯერ არ მომხდარა, მაინც საზოგადოებას შეუძლიან უკვე მოქმედებას შეუდგეს. რადგანაც ამგვარი დაწესებულებანი ეგრეთ ნოდებულ განცხადებით წესით მოქმედებენ. რეგისტრაცია აძლევს ამ დაწესებულებას იურიდიულ სახეს [2] რასაც საქმის დაწყებისათვის არა აქვს მნიშვნელობა.

რადგანაც ამ ახლო ხანში დაარსდა ქართული ეროვნული ინტერპარტიული საბჭო, თავ. ი. ა. ჯავახიშვილმა საჭიროდ სცნო, მოხსენება უნივერსიტეტის დაარსების შესახებ წაეკითხა ამ საბჭოში. საბჭომ ერთხმად მიიღო წინადადება ქართულ უნივერსიტეტის დაარსების გამო და გამოსთქვა სურვილი, რომ თუ გარემოება ხელს შეუწყობს, უნივერსიტეტი გახსნილი იყოს მომავალ წლის დამდეგიდან.

მაშასადამე, ახლა ისეთი ვითარებაა საქმისა, რომ შესაძლებელია მოვიწვიოთ საზოგადოების პირველი კრება გამგეობისა და საკონტროლო საბჭოს ასარჩევად. ეს უფრო განაცხოველებს უნივერსიტეტის დაარსების იდეას და მეტ გულისხმიერებას გამოიწვევს საზოგადოებაში. ამის გარდა, გამგეობა, როგორც უფლებრივი ორგანო საზოგადოებისა, თვით შეუდგება სახსარის გამოძების საქმეს. ჯერ-ჯერობით ერთი ნაბიჯი ამ მხრივ უკვე გადადგმულია: ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის რწმუნებულების მიერ ხელმოწერილი განცხადებაა შეტანილი ბანკის გამგეობაში საგანგებო კრების მოწვევის შესახებ. ამ კრებამ უნდა გადასწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა უნივერსიტეტს მოხმარდეს ის თანხა, რომელიც შემდგარია ხსენებულ ბანკის გირავნობის ფურცლების სავალდებულო განაღების ზედმეტის გადასახადისაგან (сверхобязательное погашение закладных листовъ).

დასასრულ თავ. ი. ა. ჯავახიშვილმა დასძინა, რომ წინასწარ განზრახულის კრებისა [3], გაზეთებში დაბეჭდილი იქნება წესდება საზოგადოებისა, ძირითადი დებულებანი უნივერსიტეტისა და მისი მოხსენება უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ.

მოისმინა რა მოხსენება თავ. ი. ა. ჯავახიშვილისა, კრებამ დაადგინა: მოიწვიოს პირველი კრება ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოებისა ორშაბათს, ამა წლის 2 ოქტომბერს, საღამოს რვა საათზედ, სადეპუტატო საკრებულოს სადგომში.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

კომისიის წევრნი:

იას. ლორთქიფანიძე [4]

ივ. ჯავახიშვილი [5]

მდივნის ამხანაგი: ილ. ზურაბიშვილი [6]

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე 1, ფ. 22.

შენიშვნა და კომენტარები:

1. ოქმი ხელის საბეჭდ მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტია.
2. ეს სიტყვა გადაშლილია და ფანქრით წერია: „პიროვნების უფლებას“, ივანე ჯავახიშვილის ხელია.
3. დედანში ასე წერია: „**წინასწარ განძრახულის კრებისა**“, მანქანაზე ბეჭდვის ლაფსუსია. უნდა ეწეროს: „**წინასწარ კრების მიერ განძრახულის მიხედვით**“.
4. ხელმოწერა.
5. ხელმოწერა.
6. ხელმოწერა.

ოქმი 1917 წ. ოქტომბრის 3 დღესა [1]

ქ. ტფილისი.

ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების
პირველი საერთო კრება

კრებას დაესწრნენ:

– კრების შედგენ[ლობა] [2]

I. დამფუძნებელი კრების მონაწილეთა რიცხვიდან შემდეგი პირნი:

ი. ა. ჯავახიშვილი, ე. ს. თაყაიშვილი, გ. ნ. ყაზბეგი, დეკანოზი კ. კეკელიძე, გ. გ. მაღალაშვილი, ვ. რ. ყიფიანი, ფ. გ. გოგიჩაიშვილი, ი. მ. ლორთქიფანიძე, გ. ზ. ქურდიანი, ლუარ. ბოცვაძე, სეით იაშვილი, ი. ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მ. მელიქიშვილი, კ. ზ. მაყაშვილი, იოსებ იმედაშვილი, აკაკი შანიძე, გრ. ვეშაპიძე, ა. მ. წერეთლისა, დავ. სულიაშვილი და ილ. ზურაბიშვილი.

II. ორმოცამდე ქალი და კაცი, რომელთაც უკვე სურვილი განაცხადეს საზოგადოების წევრობისა და სანევრო ფულიც შემოიტანეს.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

და III. მრავალი ქალი და კაცი, რომელნიც შემდეგში, კრების შეწყვეტის დროს ნევრად ჩაენერნენ და ფულიც შემოიტანეს.

– კრების გახსნა

სალამოს 9 საათზედ, საორგანიზაციო კომისიის მინდობილობით, კრება გახსნა პრივ.-დოც. ი. ა. ჯავახიშვილმა და სთხოვა კრებას აერჩია საზოგადოების კრების თავმჯდომარე. თავისის მხრით ი. ა. ჯავახიშვილმა დაასახელა დამფუძნებელ კრების ყოფილი თავმჯდომარე ე. ს. თაყაიშვილი.

– თავმჯდომარის არჩევა

კრებამ ერთხმად და ტაშისკვრით თავმჯდომარედ აირჩია ე. თაყაიშვილი.

– საპატიო თავმჯდომარის არჩევა

თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ერთხმად და მხურვალე ტაშისკვრით საპატიო თავმჯდომარედ აირჩია დამსახურებული პროფესორი პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი.

– ი. ჯავახიშვილის სიტყვა.

შემდეგ პრ[ივატ]დოც[ენტმა] ი. ა. ჯავახიშვილმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა ქართულ უნივერსიტეტის დაარსების აზრის აღორძინება, თან და თანი განვითარება და პრაქტიკული საქმიანობა ამ აზრის განსახორციელებლად. შემდეგ მან აღნუსხა მთავარი თეზისები თავისის მოხსენებისა, რომელიც წაკითხული იყო საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზედ, გააცნო საზოგადოებას მთავარი მუხლები წესდებისა და უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი. დასასრულ აუწყა დამსწრეთ წესდებისა და ძირითად დებულებათა დამტკიცების საქმის ვითარება. სხვათა შორის ი. ა. ჯავახიშვილი ვრცლად შეეხო საკითხს ეროვნულ უნივერსიტეტის უპირატესობისას კავკასიის საერთო უნივერსიტეტთან შედარებით და მრავალის მოსაზრებით დაასაბუთა თავისი აზრი ამ უპირატესობის შესახებ.

პრ[ივატ] დოც[ენტ] ჯავახიშვილის მოხსენება საზოგადოებამ დიდის ტაშისკვრით მიიღო.

– ამერიკელ პროფესორის დასწრება

მოხსენების დროს, თავმჯდომარის თანხმობით და ვარლამ ჩერქეზიშვილის თანხლებით, დარბაზში შემოვიდა ამერიკელი პროფესორი მისტერ როსი.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისტერ როსი სალამს უძღვნის ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების პირველ კრებას და ნებას ითხოვს კრებაზე დასწრებისას.

კრება დიდის ტაშისკვრით და ფეხზე ადგომით მიესალმა მისტერ როსს.

ი. ჯავახიშვილის მოხსენების შემდეგ თავმჯდომარემ კრება შესწყვიტა და დამსწრეთ წინადადებით მიმართა – ვისაც სურვილი გაქვთ საზოგადოების წევრობისა, ახლავე ჩაენერეთ და გადასახადიც შემოიტანეთ.

– კრების განახლება და სიის წაკითხვა

წევრების ჩანწერვის შემდეგ განახლდა კრება. წაკითხულ იქნა სია ახლად ჩანწერილ წევრებისა.

– წევრების მიღება

თავმჯდომარის წინადადებით, ამ სიაში აღნიშნული პირები დამფუძნებელ კრების მონაწილეთა მიერ მიღებულ იქნენ ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების წევრებად.

– ქუთაისის კომისიის წარმომადგენლის განცხადება

ქუთაისის საორგანიზაციო კომისიის წარმომადგენელმა მექ. ფალავამ განაცხადა, რომ ხსენებულ კომისიასაც ჰყავს ჩანწერილი წევრები, მხოლოდ სია იმ პირთა თან არ აქვს.

კრებამ გადასწყვიტა ეს პირნიც მიიღოს წევრებად.

– განცხადება თავმჯდომარისა არჩევნების შესახებ

ამის შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ასარჩევია საზოგადოების გამგეობის ხუთი წევრი, ამათ შორის ერთი თავმჯდომარე და ერთიც ხაზინადარი, სამი ამათი კანდიდატი, სამი წევრი საკონტროლო საბჭოსი, ორი ამათი კანდიდატი და საფინანსო კომისიის წევრები. თუმცა ეს უკანასკნელი ორგანო წესდებით განსაზღვრული არ არის, მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რომ საზოგადოებას შეუძლიან იყოლიოს სხვა და სხვა დარგის კომისიები. საორგანიზაციო კომისიის აზრით, საფინანსო კომისია უაღრესად საჭიროა და დიდად მნიშვნელოვანი საზოგადოების ნივთიერ სახსრის მოსახვეჭად. ამიტომ აუცილებელია ამ კომისიის პირველსავე კრებაზე შედგენა სათანადო პირთაგან.

ამასთანავე თავმჯდომარემ დასძინა: რათა გაადვილებულიყოს დასახლებულ ორგანოთა არჩევა, წინასწარვე შემუშავებულ იქმნა კრების ხელმძღვანელად კანდიდატთა სია.

წაკითხულ იქნა კომისიის მიერ შედგენილი სია.

– კამათი არჩევნების შესახებ

გაიმართა კამათი. გამოთქმული იყო აზრი ახალი სიების შედგენის საჭიროების შესახებ.

თავმჯდომარემ კრება შესწყვიტა ახალ სიების შესადგენად.

სხდომის განახლებისას კრებას მოხსენდა ახლად შედგენილი საკანდიდატო სიები, მაგრამ კრება არც ამ სიებით დაკმაყოფილდა.

– კრების გადადება და სარეკომენდაციო კომისია.

ხანგრძლივის კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა: გაგრძელება კრებისა თანამდებობის პირთა ასარჩევად შემდეგ კვირის (8 ოქტომბრისათვის) საღამოს 8 საათისათვის გადაიდოს.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

ამასთანავე კრებამ აირჩია სარეკომენდაციო კომისია კანდიდატთა სიების შესადგენად. კომისიაში არჩეულ იქნენ: პროფ. პ. გ. მელიქიშვილი, პროფ. დოც. ი. ჯავახიშვილი, ვ. დ. ლამბაშიძე, ნ. ი. ნაკაშიძისა, იოსებ იმედაშვილი და გ. ჭრელაშვილი, ფ. გ. გოგიჩაიშვილი, ვ. ბ. კახიძე და ს. ს. ვირსალაძე.

საპატიო თავმჯდომარე	პ. მელიქიშვილი [3]
კომიტეტის თავმჯდომარე	ე. თაყაიშვილი [4]
მომხსენებელი	ივ. ჯავახიშვილი [5]
მდივანი	ილ. ზურაბიშვილი [6]

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე №3, ფ. 1-2.

შენიშვნები და კომენტარები:

1. ოქმი ხელის საბეჭდო მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტია.
2. ოქმის შინაარსი მონაკვეთების მიხედვითაა დაყოფილი და ყველა დასათაურებულია. წერია ქალაქის მარცხენა ველზე. ასეა ქვემოთაც.
3. ხელმოწერა.
4. ხელმოწერა.
5. ხელმოწერა.
6. ხელმოწერა.

ოქმი 1917 წ. ოქტომბრის 8 დღესა [1]

ქ. ტფილისი

ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების პირველი საერთო კრება
(გაგრძელება 3 ოქტომბრის კრებისა)

კრებას დაესწრნენ:

– კრების შემადგენლობა

ორასამდე დამფუძნებელი და დამხმარე წევრი და მრავალი გარეშე პირნი.

კრება გაიხსნა საღამოს 9 საათზედ პროფ[ესორ] პ. გ. მელიქიშვილის საპატიო თავმჯდომარეობით და ე. ს. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

– ახალი წევრები და მათი მიღება

წაკითხულ იქმნა სია იმ პირთა, ვინც 3-ს ოქტომბრის კრების შემდეგ, საზოგადოების წევრად ჩაენერა და სანევრო გადასახდელიც შემოიტანა.

კრებამ ერთხმად დაადგინა – ყველა ეს პირნი მიღებულ იქნან საზოგადოების წევრებად.

– თანამდებობის პირთა საკანდიდატო სიები

შემდეგ თავმჯდომარემ აუწყა კრებას, რომ თანახმად 3-ს ოქტომბრის კრების დადგენილებისა, სარეკომენდაციო კომისიამ შეიმუშავა საკანდიდატო სიები ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების თანამდებობის პირთა და საფინანსო კომისიის წევრებისა.

წაკითხულ იქმნა ეს სიები:

გ ა მ გ ე ო ბ ა :

1. თავმჯდომარე – ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრი აკაკი ივანეს ძე ჩხენკელი;
2. თავმჯდომარის ამხანაგი – კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აბხაზი;
3. ხაზინადარი – ვასილ როსტომის ძე ყიფიანი;
4. წევრი – ექვთიმე სვიმონის ძე თაყაიშვილი;
5. „ – იასონ მერაბის ძე ლორთქიფანიძე;
(იგივე თავმჯდომარე საფინანსო კომისიისა).

ამათი კანდიდატები:

6. მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა;
7. ივანე გედეონის ძე გომართელი;
8. გრიგოლ სვიმონის ძე რცხილაძე;

საკონტროლო საბჭო:

1. გიორგი დურმიშხანის ძე ჟურული;
2. დავით ქუთათელაძე;
3. იოსებ ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე;

მათი კანდიდატები:

4. დავით ჩხეიძე
5. სოფრონ ტარუაშვილი

საფინანსო კომისია:

1. თავმჯდომარე – იასონ მერაბის ძე ლორთქიფანიძე;
2. რაჟდენ ყარამანის ძე დათეშიძე;

3. ადამ ივანეს ძე ფორაქიშვილი;
4. ნიკოლოზ ესტატეს ძე წვერავა;
5. ვასილ ბესარიონის ძე კახიძე;
6. ალექსანდრე სვიმონის ძე ლორთქიფანიძე;
7. გრიგოლ გველესიანი;
8. იოსებ იულონის ძე დადიანი;
9. აკაკი ივანეს ძე ხოშტარია;
10. ლევან ქაიხოსროს ძე მამულაიშვილი;
11. ნიკოლოზ იოსების ძე ჯაყელი;
12. თავ. ნიკოლოზ ყარამანის ძე თავდგირიძე;
13. ყარამან სვიმონის ძე კიკნაველიძე;
14. გრიგოლ ოცხელი;
15. რეჯებ ბეგ ნიჟარაძე;
16. ისრაელ გორელიშვილი;
17. ნინო იოსების ასული ნაკაშიძისა;
18. ანასტასია მიხეილის ასული წერეთლისა;
19. სოფიო ნიკოლოზის ასული ნაკაშიძისა;
20. ანასტასია დავითის ასული ვირსალაძისა;
21. გიორგი გვაზავა [2]

– სიების მიღება და ერთხმად არჩევა კანდიდატებისა

სიების წაკითხვის შემდეგ, რადგანაც არავისგან შეკითხვა არ შემოსულა, რომ არჩევა კენჭის ყრით ყოფილიყო, თავმჯდომარე შეეკითხა კრებას თითოეულ კანდიდატის შესახებ, ირჩევს თუ არა კრება დასახელებულ პირს აღნიშნულ თანამდებობაზედ. ყველა სიაში მოხსენებულნი კანდიდატები ერთხმად იქნენ არჩეულნი.

– საფინანსო კომისიის შევსება

კრებამ ერთხმად მიიღო გრ. დიასამიძის წინადადება, რომ საფინანსო კომისიის წევრთა შემადგენლობა შეესებულ იქმნას გიორგი გვაზავას არჩევით.

– მოხსენება ი. ჯავახიშვილის.

ამის შემდეგ პრ[ივატ] დოც[ენტმა] ივ. ჯავახიშვილმა წარმოთქვა სიტყვა სამოქმედო გეგმის შესახებ. უწინარეს ყოვლისა ივ. ჯავახიშვილი შეეხო უნივერსიტეტის ნივთიერ მხარეს. მან აღნიშნა, რომ სანევრო გადასახადისა და სწავლის ფულიდან შემოსული თანხა, რასაკვირველია, არა კმარა უნივერსიტეტის არსებობისათვის. ამიტომ საჭიროა სხვა გვარი უფრო ძლიერი და მუდმივი წყარო. სხვათა შორის, აღნიშნა, რომ ერთ-ერთ ამ წყაროდ შეიძლება იყოს ის თანხა, რომელიც სათავად-აზნ. საადგილ-მამულო ბანკშია მოგროვილი გირავნობის ფურცლების გასანაღდებელ თანხის ზედმეტ გადასახადით. ეს თანხა აღემატება 800 000 მან., მაგრამ ესეც არ კმარა, რადგანაც, თუ ეს თანხა უნივერსიტეტისთვის გადაიღება,

მაშინ მხოლოდ თანხის % მოხმარდება უნივერსიტეტს და არა თვით თანხა. ამის გარეშე სავარაუდოა აგრეთვე დაპირება სხვა და სხვა საფინანსო დაწესებულებათა. მაგალითად, შავი ქვის მრეწველთა საზოგადოება დიდს დახმარებას აღუთქვამს იმ დღიდგან, როდესაც მისი მოქმედება, ახლა შეფერხებული, განახლდება და გაძლიერდება. იმედია, ერთი ფაკულტეტის შესანახ ხარჯს მაინც გაუძღვება იგი. არ არის აგრეთვე დაკარგული ის იმედი, რომ, როგორც განზრახული იყო, უნივერსიტეტის საზოგადოებას მიეცემა მთავრობისაგან ნებართვა საჭირო მომგებიან ლატარეის გამართვისა, რასაც შეუძლიან ერთდროულად და ყოველწლივად დიდი თანხა მოუგროვოს უნივერსიტეტს. სრული იმედია, რომ კერძო პირებიც ქართველ მეცენატთა შორის უხვ დახმარებას გაუწევენ ამ დიად ეროვნულ საქმეს.

მოხსენების მეორე ნაწილში ი. ჯავახიშვილი შეეხო უნივერსიტეტში სამოსწავლო საქმის დაყენებას. მისის აზრით, ამთავითვე შეიძლება დაარსდეს ფაკულტეტი სიბრძნისმეტყველებისა. – ეს ფაკულტეტი შეიცავს ჰუმანურ სამეცნიერო საგნებს – როგორც მაგალითად, ფილოსოფიას, საისტორიო-საფილოლოგიო და სპეციალურ საგნებს – ბუნებისმეტყველებისას და მათემატიკისას. ასეთი სისტემა – ერთ ფაკულტეტზე რამდენიმე დარგის შეერთებისა – გერმანული სისტემაა და ყოვლად ხელსაყრელი, განსაკუთრებით ქართული უნივერსიტეტისათვის. ასე, თუ ამთავითვე საბუნებისმეტყველო განყოფილების გახსნა ქონებრივად შევძელით, მაშინ, რაკი სამკურნალო ფაკულტეტის პირველი ორი კურსი იგივეა, რაც საბუნებისმეტყველო განყოფილებისა, – ორი წლის შემდეგ შესაძლებელია მოეწყოს სამკურნალო ფაკულტეტი; ამიტომ ახლავე შეგვიძლიან გამოვაცხადოთ სამკ. ფაკ. დაარსება. მხოლოდ, რადგანაც ამ ფაკულტეტს დასჭირდება სხვა და სხვა კლინიკები, – საჭიროა ამ თავითვე ზრუნვა, რომ ზოგიერთი ადგილობრივი სამკურნალო გადაეცეს ქართულ უნივერსიტეტს. ამ მხრივ უნივერსიტეტს დახმარება უნდა გაუწიოს ქართველ მკურნალთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებამ. – რაც შეეხება იურიდიულ ფაკულტეტის გახსნას, ეს უფრო საძნელოა, რადგანაც სამეცნიერო ხარისხიანი იურისტები ქართველთა შორის, გარდა 1-2, არ მოიპოვებია. მაშინ როდესაც სხვა დარგის მეცნიერებისათვის 30-მდე სწავლულია უკვე ხარისხიანი.

ამის შემდეგ, ი. ჯავახიშვილმა ვრცლად განმარტა, როგორ იქნება მონყობილი ისტორიკო-ფილოლოგიური განყოფილება უნივერსიტეტისა და აღნიშნა, რომ ამ განყოფილებაზედ სწავლება იქნება, სხვათა შორის, არაბულის და სპარსულის ენებისა და მეცნიერებისა, რომ უნივერსიტეტი გაჰყავნის ამ ქვეყნებში თვალსაჩინო მონაფეთ, მეცნიერებაში გასაწვრთნელად და მერე მათვე გამოიყენებს თავისთვის.

– მადლობა ი. ჯავახიშვილისადმი

გრ. დიასამიძის წინადადებით, კრებამ მადლობა გამოუცხადა ი. ა. ჯავახიშვილს, როგორც ამ საქმის თაოსნობისათვის, აგრეთვე დაულალავის ნაყოფიერის სამეცნიერო მუშაობისათვის.

– ყარ[ამან] კიკნაველიძის შემოწირულება

ამ დროს დარბაზში შემოვიდა ყარამან კიკნაველიძე და ივ. ჯავახიშვილს კონვერტი გადასცა, რის შემდეგ იგი კრებიდან წავიდა.

კონვერტში აღმოჩნდა ასი თუმანი ფულად და შემდეგი შინაარსის წერილი: მეც-ნიერს ივ. ჯავახიშვილს. – ღრმად პატივცემულო ბატონო ივანე! ქართული უნივერსიტეტის დაარსების აზრმა უზომოთ გამახარა, ვინაიდან ვგრძნობ, რომ ამ აზრის განხორციელებით ჩვენს ქვეყანას აღორძინების ახალი ხანა უდგება. ნება მიბოძეთ მე, როგორც ჩვენის ერის წინამსვლელობის მონატრე ერთმა ქართველთაგანმა, ერთდროულ დახმარებად ჯერ-ჯერობით მოგართვათ ასი თუმანი (ათასი მანეთი) ქართულ უნივერსიტეტის დასაარსებელ თანხის გასაძლიერებლად. იმედია თქვენის ჩვეულებრივის მუყაითობით, ჩვენს სამშობლოს მალე ეღირსება საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი ჩვენს დედა-ქალაქ ტფილისში. – დავშთები მარადის თქვენი ღრმად პატივისმცემელი ყარამან სვიმონის ძე კიკნაველიძე. ღვინობისთვის 8. 1917 წ.

კრება მხურვალე ტაშით მიეგება წერილის წაკითხვას. დადგენილ იქნა მადლობა გამოცხადოს ბ[ატონ] კიკნაველიძეს.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ კრება დახურა.

საპატიო თავმჯდომარე	პ. მელიქიშვილი [3]
კომიტეტის თავმჯდომარე	ე. თაყაიშვილი [4]
მომხსენებელი	ივ. ჯავახიშვილი [5]
მდივანი	ი. ზურაბიშვილი [6]

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი 3, საქმე 1, ფ. 3-5.

შენიშვნები და კომენტარები:

1. ოქმი ხელის საბეჭდ მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტია.
2. ეს ხელითაა მიწერილი, რადგან კრებამ იგი მოგვიანებით დაამატა, ამ სიაში არ მოხვდა და ვილაცამ ძალიან გვიან ფანქრით მიანერა.
3. ხელმოწერა.
4. ხელმოწერა.
5. ხელმოწერა.
6. ხელმოწერა.

ოქმი 1917 წელსა ოქტომბრის 9 დღესა [1]

ქ. ტფილისი

ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობისა, საკონტროლო საბჭოსი და საფინანსო კომისიის პირველი შეერთებული კრება

დაესწრნენ:

გამგეობის წევრნი: კ. ნ. აფხაზი, ე. ს. თაყაიშვილი, ვ. რ. ყიფიანი, ი. მ. ლორთქიფანიძე.

გამგეობის წევრთა კანდიდატი: მ. ვ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა

საკონტროლო საბჭოს წევრი: დ. ქუთათელაძე.

საფინანსო კომისიის წევრნი: რ. ყ. დათეშიძე, ნ. ე. წვერავა, ვ. ბ. კახიძე, ა. ს. ლორთქიფანიძე, ლ. ქ. მამულაიშვილი, ნ. ყ. თავდგირიძე, ნ. ი. ნაკაშიძისა, ა. მ. წერეთლისა და ა. დ. ვირსალაძისა.

კერძოდ: პრივ. დოც. ი. ა. ჯავახიშვილი და ი. თურქია.

კრებას თავმჯდომარეობდა – თავმჯდომარის ამხანაჟი [2] კ. ნ. აფხაზი. (თავმჯდომარე ა. ი. ჩხენკელი კრებას ვერ დაესწრო, რადგანაც ამავე დროს ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის სხდომაზე იმყოფებოდა). ამასთანავე კ. ნ. აფხაზმა განაცხადა, რომ ამ რიგობაზედ იგი თანახმაა ითავმჯდომარეოს, მაგრამ საერთოდ კი სთხოვს გამგეობას – გაანთავისუფლოს თავმჯდომარის ამხანაგის თანამდებობიდან და სხვა პირი აირჩიოს [3].

კრებამ განიხილა შემდეგი საგნები:

– **უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის შედგენა**

1. ქართულ უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის შედგენის შესახებ.

თანახმად მე-7 §-ს I პუნქტისა უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებათა კრებამ დაადგინა: ქართულის უნივერსიტეტისათვის პროფესორების მონვევა და პროფესორთა კოლეგიის შედგენა მიენდოს: ნოვოროსიის უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორს პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილს, პეტროგრადის უნივერსიტეტის დოცენტს ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილს და მოსკოვის უნივერსიტეტის დოცენტს ანდრია მიხეილის ძე რაზმაძეს.

– **სამკურნალო ფაკულტეტის გამო.**

2. ი. ა. ჯავახიშვილის წინადადება ქართულ უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დაარსების შესახებ.

დაადგინა: ეთხოვოს ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებას და მოსკოვის უნივერსიტეტის დოცენტს გაბრიელ გრიგოლის ძე ლამბარაშვილს – ერთად იქონიონ მსჯელობა იმის შესახებ, თუ როდის არის – ახლო მომავალში – შეს-

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

აძლებელი, რომ ქართულ უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტიც დაარსდეს. ამასთანავე სასურველია გამორკვეული იყოს აუცილებლად საჭირო საფაკულტეტო საგნების ნუსხა და განხორციელების წინასწარი გეგმა. ამას გარდა, უნდა გადასწყდეს, თუ ადგილობრივ საავადმყოფოების შორის რომლის გამოყენება შეიძლება საუნივერსიტეტო კლინიკად და რა და რა საშუალებაა საჭირო, რომ განზრახული საავადმყოფოები აუცილებლად ფაკულტეტის კლინიკად იქმნას ცნობილი.

– მსჯელობა ფინანს[სურ] საქმის გამო.

3. სხვადასხვა წინადადება და მოსაზრებანი ნივთიერ საშუალებათა გამოსაძებნელად.

დადგენილება: დაევალოს გამგეობას – იზრუნოს, რომ დაჩქარებულ იქმნას სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა საგანგებო საზოგადო კრების მოწვევა იმ განცხადების განსახილველად, რომლითაც განზრახულია უნივერსიტეტისათვის გადაიდოს თანხა – 860 000 მან. [4]. შემდგარი ხსენებულ ბანკის გირავნობის ფურცლების გასანაღებელ თანხის 10 % ზედმეტ გადასახადისაგან.

ეთხოვოს საფინანსო კომისიას შეიმუშაოს დაწვრილებით საკითხი როგორც ამ თანხის შესახებ, აგრეთვე ის ფინანსური კომბინაციები და წინადადებანი, რომელნიც აღძრეს ზოგიერთმა წევრებმა, სახელდობრ კერძო შემოწირულობათა გაძლიერების, საკრედიტო და სხვა დაწესებულებათა მიერ დახმარების, თვითდაბეგვრის და სხ. ღონისძიებათა შესახებ.

სხვადასხვა დადგენილებანი:

– საზოგ[ადოების] ბინის შესახებ.

4. გამგეობამ და სხვა ორგანოებმა დროებით ბინა იქონიონ თავადაზნაურობის სადეპუტატო საკრებულოს სადგომში (ფრელინის ქუჩა 11).

– გამგეობის მდივნის მოწვევა.

5. გამგეობის მდივნად მოწვეულ იქნას ამა წლის 1 ოქტომბრიდან 1918 წ. 1 იანვრამდე, ილია ელეთერის ძე ზურაბიშვილი და სასყიდლად მიეცეს თვეში ათი თუმანი.

– ბეჭდის შეკვეთა.

6. შეკვეთილ იქმნას საზოგადოების ბეჭედი შემდეგის წარწერით „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“.

– ფულის შესახებ.

7. სანევრო და სხვა შემოწირულების სახით შემოსული ფული შეტანილ იქმნას ბანკში და ანგარიშის გასამართლებელი საბუთები გადაეცეს ხაზინადარს ვ. რ. ყიფიანს.

– უნივერ[სიტეტის] სადგომის შესახებ.

8. აღიძრას მიწერ-მოწერა და მოლაპარაკება ქართულ გიმნაზიის საზოგადოების გამგე კომიტეტთან იმის შესახებ, თანახმაა იგი თუ არა დაუთმოს უნივერ-

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

სიტეტის საზოგადოებას განზრახული უნივერსიტეტის მოსათავსებლად სადგომი და რანაირ პირობებში.

- თავმჯდომარის ამხანაგი კ. აფხაზი [5]
წევრნი გამგეობისა: ე. თაყაიშვილი [6]
ი. ლორთქიფანიძე [7]
ნ. წვერავა (ხელს აწერს) [8]
ვ. ყიფიანი [9]
საფინანსო კომისიის წევრნი:
ნ. ნაკაშიძე [10]
დ. ქუთათელაძე [11]
დ. დათეშიძე (ხელს აწერს) [12]
ივ. ჯავახიშვილი [13]

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე 3, ფ. 6-7.

შენიშვნები და კომენტარები:

1. ოქმი ხელით საბეჭდ მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტია.
2. ასე წერია.
3. ეს ბოლო წინადადება ხელითაა მწვანე მელნით ჩამატებული.
4. მგონი აქ ბეჭდვის შეცდომაა. უნდა იყოს 800 000 მან.
5. ხელმოწერა.
6. ხელმოწერა.
7. ხელმოწერა.
8. ხელმოწერა ასე იკითხება, მაგრამ გაუგებარია, იგი გამგეობის წევრი არაა და რატომ აწერს ხელს? მგონი, ადგილი შეეშალა და აქ მოაწერა. ქვემოთ უნდა მოეწერა.
9. ხელმოწერა.
10. ხელმოწერა.
11. ხელმოწერა.
12. ამ პირის ხელწერა უნდა იყოს. მაგრამ აქ რატომ? ზემოთ უნდა მოეწერა.
13. ხელმოწერა.

ოქმი 1917 წ. ნოემბრის 17 დღესა [1]

ქ. ტფილისი

ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის სხდომა

დაესწრნენ: ა. ი. ჩხენკელი, თავ[ადი] კ. ნ. აფხაზი, ე. ს. თაყაიშვილი
თავმჯდომარეობდა ა. ი. ჩხენკელი

თავმჯდომარემ აუწყა კრებას საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს მონაწერი, – 13 ნოემბრის თარიღით და 109 - №-რით, – ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების ერთის წარმომადგენლის არჩევს შესახებ, რომელმაც 19 ნოემბრისათვის მოწვეულ საქართველოს ეროვნულ ყრილობაში უნდა მიიღოს მონაწილეობა და სთხოვა კრებას კანდიდატი დაესახელებინათ.

კრებამ ერთხმად წარმომადგენლად აირჩია პრივატდოცენტი თავადი ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი.

თავმჯდომარე	ა. ჩხენკელი [2]
წევრნი:	იას. ლორთქიფანიძე [3] თ. კ. აფხაზი [4] ე. თაყაიშვილი [5]
მდივანი:	ილ. ზურაბიშვილი [6]

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე 3, ფ. 8.

შენიშვნები და კომენტარები:

1. ოქმი ხელით საბეჭდ მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტია.
2. ხელმოწერა.
3. ხელმოწერა.
4. ხელმოწერა.
5. ხელმოწერა.
6. ხელმოწერა.

ოქმი ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის
და საფინანსო კომისიის შეერთებულის კრებისა
1917 წ. დეკემბრის 6 დღესა [1]

ქ. ტფილისი.

დაესწრნენ:

გამგეობის წევრნი: კონსტ[ანტინე] აფხაზი, იასონ ლორთქიფანიძე, ექვ-
თიმე თაყაიშვილი და ვასილ ყიფიანი.

კანდიდატები: მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანისა.

საფ[ინანსო] კომისიის წევრნი: ანასტასია წერეთლისა, ანასტასია ვირ-
სალაძისა, ნინო ნაკაშიძისა, ვასილ კახიძე და გიორგი გვაზავა.

უნივერსიტეტის კოლეგიის წარმომადგენელნი: პროფ[ესორი] პეტრე
მელიქიშვილი და პრივატ-დოცენტი ივანე ჯავახიშვილი.

გამგეობის მდივანი: ილია ზურაბიშვილი.

თავმჯდომარეობს კონსტ[ანტინე] აფხაზი

მომგებ[იანი] ლატერეა [2].

თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ ქართულ უნივერსიტეტის საზოგა-
დოების გამგეობამ, ქართულ დრამატულ საზოგადოების გამგეობამ და ქართულ
მსახიობთა კავშირის გამგეობამ, – ერთმანეთთან შეთანხმებით, გადასწყვიტეს
გამართონ მომგებიანი ლოტარეა [3], ამ დაწესებულებათა ნივთიერ საშუალებათა
გასაძლიერებლად. ადგილობრივ მთავრობის ნებართვა უკვე გამოითხოვეს, ლო-
ტარეის შემოსავალი ნავარაუდევია ხუთ მილიონამდე. ამ ფულიდან 500 000 მანეთი
მოგებად იქნება განაწილებული; 200 000 მანეთამდე მოწყობის ხარჯი იქნება; და-
წარჩენი თანხა განაწილდება ხსენებულ საზოგადოებათა შორის იმ პირობით, რომ
მსახიობთა კავშირს მიეცემა 5 %, დრამატულ საზოგადოებას 47 1/2 % და უნივერსი-
ტეტის საზოგადოებას 47 1/2 %. – ამჟამად ამ საქმის მომწყობი კომისია სდგება და
საჭიროა უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობამ აირჩიოს თავისი წარმომადგე-
ნელნი ხსენებულ კომისიაში, თითოეულ ხსენებულ დაწესებულებიდან არჩეულ
უნდა იქნან სამ-სამი წარმომადგენელი.

დადგენილება: მოისმინა რა ზემოხსენებული ცნობა, კრებამ დაადგინა, რომ
ლოტარეის მომწყობ ორგანიზაციაში უნდა შევიდნენ სამ-სამი წარმომადგენელი
უნივერსიტეტის და დრამატულ საზოგადოებებიდან, მხოლოდ მსახიობთა კავში-
რიდან ერთი წარმომადგენელი.

ამასთანავე კრებამ გამოთქვა სურვილი, რომ ხსენებულ ორგანიზაციაში მო-
წვეული იყვნენ საქართველოს ეროვნული საბჭოს, ამიერკავკასიის კომისარიატის

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

და სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელნი, რადგანაც, კრების აზრით, მათი მონაწილეობა უფრო მეტ ავტორიტეტს მისცემს ხალხის თვალში ხსენებულ ლოტარეას.

წარმომადგენლებად არჩეული იქმნენ: იასონ ლორთქიფანიძე, კონსტანტინე აფხაზი და ივანე ჯავახიშვილი, ხოლო მათ კანდიდატებათ: ვასილ ყიფიანი და ვასილ კახიძე.

ხარჯთაღრიცხვა.

პრივატ. დოც[ენტმა] ივანე ჯავახიშვილმა აუწყა კრებას უნივერსიტეტის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა, რომლიდანაც სჩანს, რომ უნივერსიტეტს მომავალ სააკადემიო წლის განმავლობაში დასჭირდება 200 000 მან. თუ ბინა უსასყიდლოდ ექმნება და თუ მარტო სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტი იქნება გახსნილი. ნახევარი ამ თანხისა შემოსულ სწავლის ფულით დაიფარება, ხოლო 100 000 მან. საზოგადოებამ უნდა გაიღოს.

ამასთანავე ი. ჯავახიშვილმა აუწყა კრებას სრული ნუსხა ამთავითვე განზრახულ ფაკულტეტის სამეცადინო საგნებისა და სთქვა, რომ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება მხოლოდ 1918 წლის სექტემბრიდან დაიწყება. რაც შეეხება სამკურნალო ფაკულტეტს, მისი გახსნა ორ წელიწადზე ადრე ვერ მოხერხდება.

პროფ[ესორმა] პეტრე მელიქიშვილმა განაცხადა, რომ იგი ემხრობა ივანე ჯავახიშვილს და იმ აზრისაა, რომ ჯერ-ჯერობით საფილოლოგიო ფაკულტეტი უნდა გაიხსნას, რაც შედარებით უფრო ადვილია და იაფიც, მერე საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი და მხოლოდ ამის შემდეგ სამკურნალო ფაკულტეტი.

კამათი უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საკითხმა უნივერსიტეტის გახსნის შესახებ.

ივანე ჯავახიშვილი იმ აზრისა იყო, რომ უნივერსიტეტი უეჭველად 1918 წ. იანვარში უნდა გაიხსნას. ამის შესახებ უკვე იყო გამოცხადებული, საზოგადოება ამის მოლოდინშია, პროფ-ლექტორებიც დათათბირებულნი არიან და შეუძლებელი მდგომარეობა შეიქმნება, თუ ეს დაპირება არ იქმნა განხორციელებული.

დამსწრეთა უმრავლესობა, და მათ შორის პროფ[ესორი] პეტრე მელიქიშვილიც, იმ აზრს ადგა, რომ არც ნივთიერი მდგომარეობა და არც ტექნიკური ვითარება უნივერსიტეტის მოწყობისა, – აგრეთვე პოლიტიკური კონიუნქტურა – საშუალებას არ იძლევა, რომ უნივერსიტეტი – იანვარში გაიხსნას. უფრო ხელსაყრელია უნივერსიტეტის გახსნა 1918 წ. სექტემბრამდეს გადაიდოს. ამ დროისათვის ყველაფერი შეიძლება მოგვარდეს.

დადგენილება.

საბოლოოდ კრების უმრავლესობამ (წინააღმდეგნი იყვნენ ი. ჯავახიშვილი, მ. ორბელიანისა და ნ. ნაკაშიძისა) ის აზრი გამოსთქვა, რომ შეუძლებელია უნივერსიტეტის იანვარში გახსნა ნივთიერის უსახსრობის, ტექნიკურად მოუწყობლობის და გართულებულ პოლიტიკურ ვითარების გამო. ამიტომ კრება საჭიროდ სცნობს, ეს გახსნა გადადებულ იქმნას 1918 წ. სექტემბრამდე, როდესაც ყველა ეს

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

დაბრკოლებანი თავიდან აცილებული იქმნება. თუ მაინცა და მაინც პროფესორთა კოლეგია საჭიროდ დაინახავს და მოახერხებს სწავლის ამთავითვე დაწყებას, – უნივერსიტეტის საზოგადოება ეცდება ხელი შეუწყოს, რითაც შეეძლება.

ექიმ[თა] და ბუნებისმეტყველ[ელთა] საზოგ[ადოებაში] წარმომ[ადგენლის] არჩევა.

პროფ. პეტრე მელიქიშვილმა, თანახმათ ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების მინდობილობისა, წინადადება შემოიტანა – ამ საზოგადოების ერთი წარმომადგენელი მიღებულ იქმნას უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობაში – წევრის უფლებით.

კრებამ დაადგინა – ეს წინადადება მიღებულ იქმნას.

თავმჯდომარის ამხანაგი [4]: კ. აფხაზი [5]

წევრები: იას. ლორთქიფანიძე [6]

ვ. ყიფიანი [7]

პ. მელიქიშვილი [8]

ნ. ნაკაშიძე [9]

ე. თაყაიშვილი [10]

ივ. ჯავახიშვილი [11]

მდივანი: ილ. ზურაბიშვილი [12]

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი 3, საქმე 1, ფ. 9-10.

შენიშვნები და კომენტარები:

1. ოქმი ხელით საბეჭდ მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტია.
2. ასე წერია.
3. ასე წერია.
4. ეს ბოლო სიტყვა ხელითაა მიწერილი.
5. ხელმოწერა.
6. ხელმოწერა.
7. ხელმოწერა.
8. ხელმოწერა.
9. ხელმოწერა.
10. ხელმოწერა.
11. ხელმოწერა.
12. ხელმოწერა.

ოქმი ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის
სხდომისა 18 დეკემბერი 1917 წ. [1]

ქ. ტფილისი

დაესწრნენ:

კონსტანტინე აფხაზი, იასონ ლორთქიფანიძე და ექვთიმე თაყაიშვილი.
გამგეობის მდივანი – ილია ზურაბიშვილი.

– ლატარეის მონყობის ხარჯთაღრიცხვა.

გამგეობამ განიხილა მომგებიან ლატარეის მომწყობ საბჭოს მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვის პროექტი, 133 200 მ. ნავარაუდები და დაამტკიცა იგი.

ამასთანავე გამგეობამ მიიღო მხედველობაში ის გარემოება, რომ ამ ხარჯ-თაღრიცხვაში არ არის შეტანილი ზოგიერთი სხვა მოსალოდნელი ხარჯი (მაგალითად ბანკების საკომისიო და გაზეთში მოსათავსებელ განცხადებებისა), რაც შემდეგში უნდა იყოს ნავარაუდები.

– მდივნის თანაშემწის მონვევა

გამგეობამ მიიღო მდივნის ილია ზურაბიშვილის განცხადება მდივნის თანაშემწის მონვევის საჭიროების შესახებ და დაადგინა: მდივნის თანაშემწედ მონვეულ იქმნას ბ-ნი ილია ჭყონია. ჯამაგირად დაენიშნოს მას 1918 წლის 1 იანვრიდან ის 10 თუმანი თვიურად, რომელიც გადაწყვეტილი ჰქონდა მდივან ზურაბიშვილს, რადგანაც ამ უკანასკნელმა თავიდანვე უარი განაცხადა სასყიდელის მიღებაზე.

თავმჯდომარის ამხანაგი კ. აფხაზი [2]

წევრები: ია. ლორთქიფანიძე [3]

ე. თაყაიშვილი [4]

მდივანი: ილ. ზურაბიშვილი [5]

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე 3, ფ. 11.

შენიშვნები და კომენტარები:

1. *ოქმი ხელით საბეჭდ მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტია.*
2. *ხელმოწერა.*
3. *ხელმოწერა.*
4. *ხელმოწერა.*
5. *ხელმოწერა.*

ოქმი ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის
სხდომისა. 20 იანვარი 1918 წ. [1]

ქ. ტფილისი.

დაესწრნენ:

აკაკი ჩხენკელი, კონსტანტინე აფხაზი, ექვთიმე თაყაიშვილი, იასონ ლორთქიფანიძე და ვასილ ყიფიანი, უნივერსიტეტის წარმომადგენელი დოც[ენტი] ივანე ჯავახიშვილი.

გამგეობის მდივანი; ილია ზურაბიშვილი.

თავმჯდომარეობდა აკაკი ჩხენკელი.

უნივერსიტეტის] გახსნა.

ივანე ჯავახიშვილმა – აუნყა კრებას, რომ ქართულ უნივერსიტეტის გახსნა, – პროფესორთა კოლეგიის თაოსნობით, განზრახულია 26 ამა იანვრისათვის. 27-კი დაიწყება ლექციების კითხვა. უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობამ მონაწილეობა უნდა მიიღოს უნივერსიტეტის გახსნის ზეიმში, როგორც მასპინძელმა.

სადღესასწაულო კრებას გახსნის საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას. მერე სიტყვას წარმოსთქვამს უნივერსიტეტის რექტორი – პროფ. პეტრე მელიქიშვილი. შემდეგ ნაკითხული იქმნება უნივერსიტეტის] [2] საბჭოს მდივნის დოც. იოსებ ყიფშიძის მიერ მოკლე ისტორია უნივერსიტეტის დაარსებისა და დასასრულ ივანე ჯავახიშვილი წარუდგენს კრებას მოხსენებას უნივერსიტეტის მომავალ მოქმედებისას.

ამის შემდეგ ივანე ჯავახიშვილმა ნაკითხა დღესასწაულზე მოწვეულ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, თანამდებობის პირთა და სხვა სია, რომელიც შვესების შემდეგ, დამტკიცებულ იქმნა.

კრებამ გადასწავიტა:

1. მიიღოს დღესასწაულში მონაწილეობა;

2. ეთხოვოს აკაკი ჩხენკელს სიტყვის წარმოთქმა უნივერსიტეტის] საზოგადოების გამგეობის სახელით; 3. მიენდოს კონსტანტინე აფხაზს დღესასწაულის წესრიგის ხელმძღვანელობა და სტუმართა მიღება და 4. გამგეობის შემდეგი კრება შესდგეს 21 ამა იანვარს, დღის 11 საათზედ ამიერკავკასიის ბანკის შენობაში.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

თავმჯდომარე:	[3]
წევრები:	ვ. ყიფიანი [4] კ. აფხაზი [5] იას. ლორთქიფანიძე [6] ე. თაყაიშვილი [7] ივ. ჯავახიშვილი [8]
მდივანი:	ილ. ზურაბიშვილი [9]

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე 3, ფ. 12.

შენიშვნები და კომენტარები:

1. ოქმი ხელით საბეჭდ მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტია.
2. წერია გამგეობის და გადახაზულია, მის ნაცვლად ხელით ჩანერილია საბეჭდოს.
3. ხელმოწერა არაა.
4. ხელმოწერა.
5. ხელმოწერა.
6. ხელმოწერა.
7. ხელმოწერა.
8. ხელმოწერა.
9. ხელმოწერა.

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის სხდომის
დღიური იანვრის 21. ნელინადი 1918 [1]

დაესწრნენ:

თავმჯდომარის ამხანაგი კ. ნ. აფხაზი,
გამგეობის წევრნი: ე. თაყაიშვილი და ვ. ყიფიანი.
მდივნის ამხანაგი ი. ჭყონია

№	განხილვის საგანი	გადაწყვეტილება
	წინადადება ლატარიის მომწყობ საბჭოსი, რომ მისი შემადგენლობა შევსებულ იქმნას ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის კიდევ ერთი წარ- მომადგენლით.	შენყნარებულ იქნას წინადადება და წარმომადგენლათ უნივერსიტეტის გამგეობის მხრით ლატარიის მომწყობ საბჭოში დაინიშნოს ვასილ როსტომის ძე ყიფიანი.

ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის

თავმჯდომარის ამხანაგი კ. აფხაზი [2]

გამგეობის წევრნი:

ე. თაყაიშვილი [3]

ვ. ყიფიანი [4]

მდივნის ამხანაგი ი. ჭყონია [5]

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი
471, ანაწერი 1, საქმე 3, ფ. 13.

შენიშვნები და კომენტარები:

1. ხელით ნაწერი ცალხაზიან დიდი ფორმატის ფურცელზე შავი მელნით,
1 გვერდზე.
2. ხელმოწერა.
3. ხელმოწერა.
4. ხელმოწერა.
5. ხელმოწერა.

დანართი VII

მოსხენება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 20 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო-სამეცნიერო სესიის სხდომაზე 1938 წლის 25 მაისს

თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ისტორიის დანერა მე არასოდეს განძრახული არ მქონია. მოულოდნელად მიხდება ამ საკითხის შესახებ ლაპარაკი, მოუმზადებლად. ჩემს ხელში არ არის ყველა ის საბუთი, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იყო ამ საკითხის შესახებ დალაგებული მოხსენების ნაკითხვა, ამიტომაც ჩემი დღევანდელი მოხსენება, ნამდვილი მოხსენების მაგივრად, მოგონება იქნება ამ საკითხთან დაკავშირებით, რაც ოცი წლის წინათ მოხდა. ყოველივეს ზედმიწევნით მოგონება ძნელია, განსაკუთრებით, თუ გაითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გახურებული მუშაობის დროს არ სცალია ადამიანს მოვლენების აღბეჭდვისათვის და ბევრი რამ, რასაც მნიშვნელობა ექნებოდა ეხლა მაშინდელი ამბების აღდგენისათვის, აღბეჭდილი არ არის არსად; ადამიანის მეხსიერება მთლიანად ვერ იკავებს ყველაფერს ერთნაირად. ამიტომაც ერთი ადამიანის მოგონება, რასაკვირველია, სრული არ იქნება, შესაძლებელია, რომ სწორიც არ იყოს, შესაძლებელია ადამიანი შეცდეს, მაგრამ ზოგადად ვეცდები, რამდენადაც შესაძლებელია, მოვიგონო ის ბრძოლა, ურომლისოდაც ამ საქმის დაგვირგვინება ყოვლად შეუძლებელი იყო.

საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების შესახებ მოგვეპოვება ცნობა 1799 წელს შედგენილი საქართველოს რეფორმების პროექტშივე. ეს პროექტი დამტკიცებული იყო, და ამ პროექტის თანახმად, აღმოსავლეთ საქართველოში სამი უმაღლესი სასწავლებელი უნდა დაარსებულიყო: ერთი თბილისში, ერთი გორში და ერთი თელავში. რასაკვირველია, ეს უმაღლესი სასწავლებელი უნივერსიტეტი არ იყო, უნივერსიტეტის შექმნა მაშინ საქართველოს არ შეეძლო. იგი იყო ლიცეუმის მსგავსი, როგორც მაშინ გავრცელებული იყო უმაღლესი სასწავლებლის ნაცვლად.

საქართველოში მოსპობილი იყო ქართული ენა, როგორც სავალდებულო ენა. მე-19 საუკუნის განმავლობაში, როგორც აღნიშნული იყო კიდევ აქ თავმჯდომარის მიერ [1] არაერთხელ აღძრულა საკითხი უნივერსიტეტის, ან, საერთოდ, უმაღლეს სასწავლებლის დაარსების შესახებ, მაგრამ მაშინ ქართულ უმაღლეს სასწავლებელზე კი არ ოცნებობდნენ, – რომლის განხორციელება იმ პირობებში სრულიად შეუძლებელი იყო, იმიტომ რომ სწავლება ქართულად არ შეიძლებოდა, – არამედ ეს უნდა ყოფილიყო სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი სავალდებულო რუსული ენით, რომელიც, რასაკვირველია, საქართველოს მოსახლეობისათვის, ხალხისათვის გაუგებარი იქნებოდა. მეტის თქმა შემიძლია: ქართველმა ინტელიგენციამ თვითონ

არ იცოდა ხეირიანად ქართული ლაპარაკი. თქვენ, რასაკვირველია, ვერ წარმოიდგენთ ასეთ მდგომარეობას ამჟამად, მაგრამ ჩვენს თაობას უნახავს, თავისი ყურით მოუსმენია ისეთი კრება, – მთავრობის მიერ მოწვეული კი არა, – სადაც არც ერთი სიტყვა ქართული არ ყოფილა წარმოთქმული, მეტიც ქართველ ინტელიგენციას საყველპურო ლაპარაკის გარდა, სხვა საგანზე ქართულად ლაპარაკი არ ეხერხებოდა. ეს ჩვეულებრივი იყო და თუ გნებავთ, ამის გამო ქართული ენა არასავალდებულოდ ცხადდებოდა. ის იკითხებოდა მესამე კლასამდე ან მეექვსე გაკვეთილიდან ან იმ დროს, როდესაც გერმანულს და ფრანგულს ასწავლიდნენ, და ამ არასავალდებულო საგანს თითქმის არავინ სწავლობდა.

ამგვარად, ქართველი ინტელიგენცია სრულიად დაშორებული იყო ხალხს, ხალხისა და ინტელიგენციისათვის გაუგებარი იყო ხშირად ზრახვები, რომლებიც მათ ჰქონდათ. მე, რასაკვირველია, არ ვგულისხმობ პოლიტიკურ საკითხებს, – პოლიტიკური საკითხები გაშუქებული იყო და პრესაშიაც მოიპოვებოდა, – მე ვგულისხმობ სამეცნიერო მწერლობას და სამეცნიერო აზროვნებას.

ქართველი ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი, რომელიც იმდენად ბედნიერი იყო, რომ უმაღლეს სასწავლებელში შესვლა შეეძლო, მოკლებული იყო უმეტეს ნაწილად უფლებას – თავის სამშობლოში ემსახურა. მაშინ ისეთი წესი არსებობდა, რომ ქართველებს გზავნიდნენ სხვაგან, არაქართული მოსახლეობის ადგილას, ამგვარად, განათლებული ინტელიგენცია ჩამოშორებული იყო თავის ქვეყანას, მას რომ სურვებოდა კიდევ ემოღვაწევა იმ სფეროში, რომელიც მას დასახული ჰქონდა მიზნად, ამის შესაძლებლობა არ იყო.

მე მაგონდება ერთი ამბავი, რომელიც ფრიად დამახასიათებელი არის მაშინდელი მდგომარეობისათვის, რომ გაითვალისწინოთ, რამდენად დაკნინებული იყო მაშინ ქართული ენა. ამიერკავკასიაში [2] განათლების საქმეს განაგებდა ცნობილი რუსი-ფიკატორი იანოვსკი, რომელსაც, უნდა ითქვას, თავისებურად უყვარდა კულტურაც და, თუ გნებავთ, კავკასიის წარსულიც. მან დააარსა ორგანო, ე.წ. „Материалы для описания местностей и племён Кавказа“, რომელშიაც საინტერესო და საყურადღებო მასალები იბეჭდებოდა, მაგრამ იმაზე დაუძინებელი მტერი არ ჰყოლია ქართულ ენას. მე მაგონდება ერთი ამბავი და, თუ გადაფურცლავთ გაზეთებს, იპოვით ასეთი ამბავის აღწერილობას: ის შევიდა სასწავლებელში, ერთ კლასში, რომელსაც ასწავლიდა ქართველი მასწავლებელი და რომლის მოწაფეებიც ქართველები იყვნენ, ჰკითხა (მოთხრობის მიხედვით, რომელსაც არჩევდნენ, – იმ მოთხრობაში იყო აღნიშნული „ვოდოპადი“) – როგორ არის ქართულად „ვოდოპადი“. მასწავლებელი დაიბნა, პასუხი ვერ გასცა. ჰკითხა მოწაფეს, მოწაფემაც ვერ უპასუხა. მაშინ თქვა: უცნაურია: ქვეყანაში, სადაც ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ასეთი მოვლენაა, შეუძლებელია, არ იყოს სიტყვა მისი გამომსახველი. რამდენად ღარიბი უნდა იყოს ენა, რომ ასეთი სიტყვა არ იყოსო!. ამის შესახებ მთელი გოდება იყო დაწერილი მაშინდელ ქართულ პრესაში, რომ ასეთ დაკნინებაში ვართ, რომ მასწავლებელს არ სცოდნია ასეთი რამ

და ჩამოთვლილი იყო. „ვოდოპადო“-სთვის მაშინ ქართულში არა ერთი სიტყვა არსებობდა, არამედ მრავალი: ჩანჩქერი, დანჩქერი, გოჩგოჩანა, რასაც საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონშიც შეხვდებით და სხვ.

აი, ეს დამახასიათებელია! თქვენ გგონიათ, რომ იმ მასწავლებელმა მართლაც არ იცოდა არცერთი ეს სიტყვა? არა, მან იცოდა, მაგრამ როდესაც მოულოდნელად ჰკითხეს, მოგონება ვერ შეძლო და ცნობილია, რომ, როდესაც ადამიანი არ ვარჯიშობს, შესაძლებელია, არათუ სიტყვა დაავინწყდეს, ენა დაავინწყდეს, – რომელიც მან კარგად იცოდა, – არამედ ლაპარაკის უნარიც კი დაკარგოს. სამკურნალო მეცნიერებაში ცნობილია ერთი შემთხვევა: ქალმა განაცხადა ჟინიანობის გამო, – იმიტომ რომ მშობლებმა არ აუსრულეს სურვილი, – ოცი წლის განმავლობაში არ ვილაპარაკებო! ეს ამბავი მოხდა ამერიკაში. ოცი წლის შემდეგ, როდესაც მოიწვია თავისი მახლობლები და საზეიმოდ უნდა დაემტკიცებინა, რომ მან აღასრულა ეს აღთქმა და ოცი წლის თავზე დაიწყებდა ლაპარაკს, მას მხოლოდ პირის და ტუჩების ამოდრავებალა შეეძლო, მაგრამ არცერთი ბგერა აღარ აღმოხდა, მოდუნებული ჰქონდა ის აპარატი, რომელიც მეტყველებას განაგებს.

ამგვარად, ქართულ ენას არათუ განვითარების შესაძლებლობა მოსპობილი ჰქონდა, არამედ პირდაპირ ისეთი პირობები იყო, რომ უნდა დაევიწყა ინტელიგენციას ქართული ენა. რასაკვირველია, ხალხი, მასა, რომელიც ეროვნული განძის მატარებელია, განაგრძობდა ამ ენაზე ლაპარაკს, მაგრამ ინტელიგენციისათვის ეს ენა უკვე დედაენა აღარ იყო და უნდა მოგახსენოთ, რომ, თუ თქვენ დაუკვირდებით ქართულ მწერლობას – ბარათაშვილიდან დაწყებული – შეატყობთ, რომ ბევრი რუსულად აზროვნებდა და ქართულად წერდა. აზროვნებას მიჩვეული იყვნენ რუსულად, – ქართულად თავიანთი აზრის გამოთქმა უძნელდებოდათ. ხშირად მათთვის ქართული გაუგებარი იყო, ისინი ფიქრობდნენ სხვანაირად. ასეთ მდგომარეობაში, ბუნებრივია, არავის ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ ქართული უნივერსიტეტიც შესაძლებელია დაარსდეს, და როდესაც თხოულობდნენ, ქართული უნივერსიტეტი დაარსდესო, ამ ნიადაგზე ბრძოლა წარმოებდა. ქართველების გარდა, ამ ბრძოლაში ჩაებნენ სომხები. ქართველები თხოულობდნენ უნივერსიტეტს, სომხები – პოლიტექნიკუმს. ეს, რასაკვირველია, მაშინდელი მთავრობისათვის ხელსაყრელი იყო, მას არცერთი არ უნდოდა! როდესაც ორი მოქიშპეა – კარგია, ორივეს უარყოფს. ყოველ შემთხვევაში, მიზანი მიღწეული იყო – რაც შეიძლება უფრო დიდი ხნით გადადებულიყო უნივერსიტეტის დაარსება. თუ რატომ იყო უნივერსიტეტის მომხრე ქართველი ინტელიგენცია და რატომ მიზანშეწონილად მიაჩნდათ სომხებს პოლიტექნიკუმი, ამის გარკვევას არ შეეუდგები. არათუ ამის გამო წარმოებდა ბრძოლა, არამედ ადგილის გამოც: ნავთლულში, ვაკეში თუ საბურთალოში! აქაც ქიშპობის მეტი არაფერი იყო. ასეთ მდგომარეობაში იყო საკითხი, და რა უმაღლესი სასწავლებელი უნდა შექმნილიყო ასეთ პირობებში, ადვილი წარმოსადგენია.

საყურადღებო გარემოებაა, რომ განსვენებული ვასილ პეტრიაშვილი ეცადა ორჯერ, თავისი მოღვაწეობა გადმოეტანა საქართველოში. მან, პირველმა, სცადა ქიმიის მეცნიერების გამოყენება და ორი საუცხოო ფუძემდებელი გამოკვლევა დაბეჭდა ქართულად. ამისდა მიუხედავად, ეს თავგამოდებული ადამიანი, რომელიც თავს ანებებს უნივერსიტეტს, სადაც პატივისცემით სარგებლობს, – ეს იყო ოდესაში, – ვერ ეღიროსა ქუთაისში მაინც ლაბორატორია შეექმნა და ამ ლაბორატორიაში ემუშავა ქართველ ქიმიკოსებთან ერთად. როდესაც ეს საქმე ჩაიშალა, მან სცადა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დირექტორობა. ოძისში უნდა დაარსებულიყო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, რასაკვირველია, რუსული, სხვა სასწავლებელი არ არსებობდა. ვასილ პეტრიაშვილი, რომელიც, თუ გნებავთ, ამ იერარქიული თვალსაზრისით და ქონებრივადაც უნდა დაქვეითებულიყო, ანებებდა თავს უნივერსიტეტს, – იქ იყო დამსახურებული პროფესორი, – გადმოდოდა, ოძისში თანხმდებოდა სამსახურს, ოღონდ მშობლიურ ხალხთან ჰქონოდა საქმე. ქართველ თავადაზნაურობას თითქოს არ აღმოაჩნდა ფული, რომ ეს სასწავლებელი გაეხსნათ, თქვენ აქედან წარმოიდგინეთ, რა სავალალო პირობები იყო; თანამედროვე თაობას ვერც კი შეუძლია გაიგოს იმ სულიერი ტანჯვის მთელი საშინელება, რომელიც ყოველ ჩვენგანს მაშინ გამოვლილი ჰქონდა. ჩვენი მცირერიცხოვანი ჯგუფი, ვისაც კი სურდა ქართულად მოეხერხებინა მეცნიერული ლაპარაკი, ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ მართლაც არ შეეძლო ეს. განათლებულ ადამიანს სჭირდება როგორც მათემატიკიდან, ისე ფიზიკიდან და სხვა მეცნიერებიდან სხვადასხვა ტერმინები, შესადარებლად თუ სხვა დებულების დასამტკიცებლად. არც ერთი ამ ტერმინთაგანი ან არ იყო, ან არ აგონდებოდათ. არსებობდა მხოლოდ ორი სახელმძღვანელო, ისიც კერძოდ შექმნილი: შ. ყიფიანის მიერ გეომეტრია იყო დაწერილი და შემდეგ ვ. ყიფიანის მიერ – ალგებრა. მე მახსოვს, გიმნაზიაში ვსწავლობდი და ვგრძნობდი, რომ ვერ ვახერხებდი სწავლას ისე, როგორც საჭიროა; როცა ვსწავლობდი სასწავლებელში რუსულად გეომეტრიას, შინ ვბრუნდებოდი, ავიღებდი მამაჩემის მშვენიერ ბიბლიოთეკიდან წიგნს (ყველა წიგნი მოიპოვებოდა იქ, რაც კი კავკასიაში და საქართველოში იყო გამოცემული) და ვიზეპირებდი გეომეტრიას, რომ როგორმე მესწავლა, რუსულად შესათვისებელი, მინდოდა, რომ ქართულადაც იმავე აზრის გამოთქმა შესაძლებელი ყოფილიყო.

აი, ასეთი მდგომარეობა იყო. ქართული ენა არათუ სასწავლებელში და დაწესებულებებში იყო აკრძალული, არამედ თვით ქართველმა ინტელიგენციამ ისეთი პირობები შექმნა თავიდანვე, რომ ბევრს აღარ შეეძლო შინაურობაში ქართულად ლაპარაკი. უნდა მოგახსენოთ, რომ თუ სასწავლებლებში და დაწესებულებებში ქართული ენის ალაგმვა თვითმპყრობელური მთავრობის ბრალია, ის დანაშაული, რომელიც მეორე სფეროს ეხება, თვითონ ქართული ინტელიგენციისვე დანაშაულია, და გულახდილად უნდა ითქვას, რომ ჩვენს მოწინავე წოდებას, რომელიც გამარუსებულ გავლენას არათუ თავის წრეში ამტკიცებდა, არამედ ხალხშიც უნებლიეთ თუ შეგ-

ნებულად ავრცელებდა, დიდი ბრალი მიუძღვის იმაში, რომ ჩვენი კულტურის განვითარება შეფერხებული იყო. ბოლოს და ბოლოს, ისეთი სულისკვეთება არსებობდა ჩვენში, რომ თუ მთავრობა არ დააარსებდა სახელმწიფო უნივერსიტეტს, არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა, გულხელდაკრეფილი შესცქეროდნენ ასეთ მდგომარეობას და უცდიდნენ, როდის გაიხსნებოდა თბილისში უმაღლესი სასწავლებელი.

აი, ასეთი მდგომარეობა გახლდათ, როდესაც ჩვენ ვსწავლობდით საშუალო სასწავლებელში და როდესაც გვიხდებოდა ყოფნა უმაღლეს სასწავლებელში. უნდა აღვნიშნო, რომ საინტერესო მოვლენა იყო: სადაც კი ქართველი მეცნიერი გამოჩნდებოდა რუსეთის რომელსამე საუნივერსიტეტო ქალაქში, იქ პატარა ბუდე გაჩნდებოდა ქართველი ინტელიგენციისა. ასე: ოდესაში ვასილ პეტრიაშვილმა ძლივძლივობით გაიკვლია გზა, მისი დატოვება უნდოდათ მხოლოდ იმიტომ, რომ გამოჩენილი მეცნიერი იყო. ვასილ პეტრიაშვილის დარჩენამ გამოიწვია, თავის მხრივ, პეტრე მელიქიშვილის დარჩენა. მას შემდეგ ოდესის უნივერსიტეტი გახდა კერა ქართველი ინტელიგენციისა. რასაკვირველია, ეს კერა რუსული სასწავლო მეცნიერებისა იყო, მაგრამ, ვისაც გული შესტკიოდა, შეეძლო იგი თავისი ხალხისათვის გამოეყენებინა, და ვასილ პეტრიაშვილის ღვაწლი დაუფიქრარი უნდა დარჩეს იმიტომ, რომ მან გაბედა, პირველმა, ამ მხრივ ნაბიჯის გადადგმა.

რამდენჯერ გამიგონია, რომ ქართული მეცნიერული მწერლობა ვერ შეიქმნებოდა. 1917 წელს ამას გვიმტკიცებდნენ, რომ ქართული მეცნიერების დაფუძნება შეუძლებელიაო და ვასილ პეტრიაშვილმა არათუ უარყო, არამედ დაამტკიცა, რომ საუცხოო სამეცნიერო თხზულების დაწერა შეუძლია, დასწერა და გამოსცა კიდევ ისეთი თხზულება, რომელიც არ ჩამორჩება არც ერთ ევროპულ ენაზე დაწერილს! მაგრამ ეს შესძლო ვასილ პეტრიაშვილმა, ვინაიდან გრძნობდა პასუხისმგებლობას, რომ, თუ შენ ბედნიერი ხარ იმდენად, რომ დანიინაურდი და მეცნიერებას დაეუფლე, ვალდებული ხარ – შენი დაბეჭავებული ხალხის საკეთილდღეოდ გამოიყენო შენი ცოდნა. სამწუხაროდ, ეს ბევრს არ ესმოდა. გამოჩენილი მეცნიერი იყო ივანე თარხნიშვილი, – განა მას არ შეეძლო, მაგრამ არც ერთი თხზულება ქართულად არ დაუწერია, აგრეთვე სხვებსაც, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ და არ გამოეყენებიათ. მაინც დამახასიათებელია, – როგორც აღვნიშნე, – სადაც ერთი გაჩნდებოდა, მის გარშემო მოიყრიდა ახალგაზრდობა თავს. ეს ამტკიცებს, რომ მეცნიერების წყურვილი არსებობდა. ამგვარად გაჩნდა კერა მოსკოვში, პეტროგრადში (ეხლანდელ ლენინგრადში), ხარკოვში, ნაწილობრივ თბილისშიაც. ყველაზე უკეთესად საამისო პირობები იყო მაშინდელ პეტერბურგში, სადაც უნდა შექმნილიყო ქართული მეცნიერებისათვის მტკიცე ნიადაგი. ამრიგად, თუ ცოტა მოგვიანებით დაგვირგვინდა საქმე, მე მგონია ეს გარემოებას არ უნდა მიენეროს, რომ ხელშემწყობი პირობები არ იყო. ხელშემწყობი პირობებისდა მიუხედავად, ჩვენი ღრმა რწმენით, ვისაც ნიჭი აქვს, ვისაც სიყვარული აქვს და ვისაც ხალხისადმი პასუხისმგებლობა ესმის, ყველაფრის გადალახვა შეუძლია, ყველაფრის გაკეთება შეიძლება. როდესაც იმართლებენ თავს,

რომ ხელისშემწყობი პირობები არ იყო, ეს მთლიანად სწორი არ არის. ყოველ შემთხვევაში, ეს გადაჭარბებულია, და მარტო რუსეთის ძველი მთავრობის ბრალი არ არის, რომ ჩვენი ენაც და სამეცნიერო მწერლობაც ისეთ სავალალო მდგომარეობაში იყო, – ჩვენი ინტელიგენციის ბრალიც არის. ჩვენი მონინავე საზოგადოებისა, რომლის ხელშიაც იყო სვე-ბედი ქართული კულტურისა.

რა უნდა გაკეთებულიყო, რომ ასეთ უმწეო მდგომარეობაში მყოფი საქმე გამო-სწორებულიყო? პირველი, რასაც უნდა მიქცევოდა ყურადღება – ეს არის ქართული კულტურის შესწავლა; ქართული კულტურის ცოდნა მოგვცემდა საშუალებას იმ ძველი მარაგის გამოსაყენებლად, რომელზედაც უნდა აღმოცენებულიყო, თუ გნებავთ, აღმდგარიყო მკვდრეთით ძველი ქართული მეცნიერება – ოდესღაც მდიდარი, მაგრამ შემდეგ დაკნინებული. ამ მიზნით საჭირო იყო ტერმინოლოგიის მასალების დაგროვება. ამასთანავე, საშუალება უნდა ჰქონოდა ახალგაზრდობას, მეცნიერება შეესწავლა ქართულად და მსჯელობის უნარი გამოემუშავებინა. ამისთვის 1907 წელს დაარსებული იყო პეტერბურგში ქართული სამეცნიერო წრე. თითქმის სრულიად მარტივი და უმნიშვნელო ამბავია, მაგრამ ამ სამეცნიერო წრეში სტუდენტები რომ თავს იყრიდნენ, მსჯელობა წარმოებდა ქართულად. მოხსენებები ინერებოდა ქართულად სხვადასხვა დარგიდან. კამათი, მსჯელობა ქართულად წარმოებდა და ვარჯიში დაიწყო, ენა გაიკვთა ახალგაზრდობამ და განუვითარდა ქართული მეცნიერების უნარი, რომელიც მანამდე არ ჰქონდა. ჩვენ უნდა გვცოდნოდა აგრეთვე ძველი მარაგი, რომელიც შექმნილი იყო ძველად. მე იმას კი არ ვგულისხმობ მხოლოდ, რაც საუკუნეთა განმავლობაში იყო გაკეთებული, მე მოგახსენებთ იმის შესახებ, რაც მე-19 საუკუნეში იყო მოპოვებული. გარწმუნებთ, რომ არსებობს არა ერთი თხზულება, რომელიც სამჯერ-ოთხჯერ დაიბეჭდა, მაგრამ ბევრმა არც იცოდა, რომ ოდესღაც გამოქვეყნებული იყო ესა თუ ის ნიგნი. ამგვარი კულტურის ტრადიცია არ არსებობდა. ის ძვირფასი მასალა ხალხური შემოქმედებისა და სხვაგვარი მასალა, რომელიც უმთავრესად ქართულ გაზეთებში იყო გაფანტული, სრულიად იკარგებოდა. ამრიგად, ამ მასალის გამოყენება შეეძლო ადამიანს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითონ შეადგენდა თავისთვის ბიბლიოგრაფიას და შემდეგ ჩაიხედავდა, თუ დასჭირდებოდა. აი, ასეთი, სრულიად შეუწყნარებელი, სავალალო მდგომარეობის გამო პეტერბურგის ქართულმა სამეცნიერო წრემ დაისახა ამოცანად, რომ ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის სრული ბიბლიოგრაფია შეედგინა (მთელი მე-19 საუკუნე – 1910 წლამდის).

პირველი ნაწილი ამ ბიბლიოგრაფიისა დაბეჭდა, დანარჩენი მასალა ეხლაც ინახება მეცნიერებათა აკადემიაში, ლენინგრადში. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რომ მომავალში ამ ძვირფასი მასალების გამოცემა მოხერხდეს, რათა ყოველ ჩვენგანს შესაძლებლობა ჰქონდეს ისარგებლოს ამ მასალით.

ამგვარად, სამეცნიერო წრის მუშაობამ საშუალება მისცა ახალგაზრდობას დასნაფებოდა მეცნიერებას თავის დედაენაზე და ამის ნაყოფი გახლავთ პირველი

კრებული, რომელიც დაიბეჭდა. პეტერბურგის ქართული სამეცნიერო წრის კრებული, რომელშიაც სხვადასხვა დარგების გამოკვლევები იყო დაბეჭდილი, დაწერილია სტუდენტების მიერ, ხელოვნების, ისტორიის, სამართლის, ეკონომიკის – ყველა ამ დარგის – შესახებ წერილებია მოთავსებული. ამგვარად, საქმე ნაწილობრივ გაიჩარხა.

რასაკვირველია, იბადებოდა კითხვა: შესაძლებელი იყო თუ არა, რომ ქართული უნივერსიტეტი შექმნილიყო, უნივერსიტეტის შესაქმნელად საჭირო სამეცნიერო ძალა გვეყავდა თუ არა. ცნობების შეკრებამ გამოარკვია, რომ იყო პატარა უნივერსიტეტისათვის შესაქმნელი ძალა, იყო 30 კაცამდე გაფანტული სხვადასხვა უნივერსიტეტში. ეს მანუგეშებელი მდგომარეობა იყო, მაგრამ მსმენელები იქნებოდნენ? ვაითუ უნივერსიტეტი ცარიელი ყოფილიყო! უნდა გვეცოდნოდა – რომელი, რა დარგი უფრო აინტერესებდათ.

ამ მიზნით 1910 წელს ჩატარდა აღწერა ყველა სტუდენტისა, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. ამ აღწერამ კინალამ მთელი საქმე ჩაშალა: დაიწყეს კვლევა – რა წრეა ეს წრე, რისთვის კრებენ ამ ცნობებს და მხოლოდ იმიტომ, რომ თვით უნივერსიტეტის გამგეობა შესაძლებელია პასუხისმგებელი გამხდარიყო, წრე გადაურჩა ამ საქმეს და უნივერსიტეტისათვის საკმაო ცნობები იქნა შეკრებილი. ამ წრემ დაამტკიცა, რომ საქართველოს 1000-ზე მეტი სტუდენტი ჰყავს სხვადასხვა დარგზე. 1000 სტუდენტი პატარა პროვინციული უნივერსიტეტისათვის სრულიად საკმაო იყო მაშინდელი დროისათვის. ამგვარად, მსმენელები გვეყავდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ უნიადაგო, უსაფუძვლო, სასაცილო ოცნებად ეჩვენებოდა ადამიანს, რომ ვინმეს გაებედა მაშინ ეთქვა რაიმე ამაზე.

1914 წელს მსოფლიო ომი რომ ატყდა და შეტაკება მოხდა გერმანიასა და ძველ თვითმპყრობელურ რუსეთს შორის, დიდი წინასწარმეტყველება და ნიჭი არ იყო საჭირო, ეწინასწარმეტყველა ვინმეს, რომ ძველი რუსეთი, თვითმპყრობელობის მიერ მონობაშიც ჩამწყვედებული, დამარცხებული იქნებოდა. ვინც რუსეთის ისტორია იცის, კარგად ეცოდინება: თუ რაიმე ღირსებია რუსეთში მცხოვრებ ხალხებს, მხოლოდ მაშინ, როდესაც თვითმპყრობელობა დამარცხებულია.

1917 წელს რევოლუცია მოხდა. რევოლუციის დაწყებისთანავე დაიბადა იმედი, რომ კერძო სასწავლებლის სახით მაინც შესაძლებელი იქნებოდა ადამიანს ეზრუნა უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის. თებერვალში ერთი პირის კერძო ბინაზე [3] მოწვეული იყო პირველი თათბირი ამ საკითხის განსახილველად. ამ თათბირის მონაწილენი აქ ბრძანდებიან [4] და ამ თათბირზე გადაწყდა, რომ აუცილებლად უნდა გვეცადა, კერძო სასწავლებლის სახით მაინც გაგვეხსნა უმაღლესი სასწავლებელი. ამ გადაწყვეტილებას ის ჯგუფი არც ისტორიულად ითვალისწინებდა და არც უფიქრია, რომ დიდ საქმეს აკეთებდა. ეს რომ ასეა, იქიდან შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ არც ოქმი ყოფილა შედგენილი და, გულახდილად უნდა მოგახსენოთ, მე ეხლა არც რიცხვი მახსოვს, როდის იყო ეს სხდომა, ვიცი მხოლოდ – ვინ

იყო მონაწილე ამ სხდომისა. დიახ, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ შეიძლება გადაართოებული წრის მოწვევა, ვინც საქართველოში იყვნენ მეცნიერები. მათთან ერთად, მათ შორის, შემთხვევით პეტრე მელიქიშვილიც ბრძანდებოდა თბილისში, უმაღლეს კერძო კურსებზე იყო მოწვეული. ამ ამბის წყალობით იმავე 1917 წლის 12 მაისს მოწვეული იყო საჯარო სხდომა, რომელზედაც მოხსენება იყო წაკითხული იმის შესახებ, რომ საჭიროა კერძო უმაღლესი სასწავლებლის დაარსება თბილისში. უნდა ითქვას, რომ აღფრთოვანებით შეხვდა საზოგადოება ამ ამბავს, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ უნივერსიტეტის მაგივრად სჯობდა სპეციალური სასწავლებელი დაარსებულიყო. პრაქტიკული მიმართულება უკეთესი არისო. ამ 12 მაისის სხდომას მოჰყვა 17 მაისის ასეთივე საჯარო სხდომა ქუთაისში. ქუთაისში უფრო მეტი აღმოჩნდა პოლიტიკური კუთხის მომხრე და უფრო გაცხარებული ბრძოლა წარმოებდა. თბილისში და ქუთაისში არჩეული იყო კომიტეტი, რომელსაც დახმარება უნდა გაენია ამ აზრის გატარებისათვის. დაარსდა ე.წ. თბილისის უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოება. დაიწყო მუშაობა. პირველი კრების აღფრთოვანებამ, აღგზნებამ ცოტა ფოლიც შესძინა ამ აზრს, მაგრამ შემდეგ, როგორც ქართველ საზოგადოებაში არაერთხელ მომხდარა, ეს აღფრთოვანება როგორღაც განელდა. უგულობა ცხადად იგრძნობოდა, ამ გამგეობის კრებები იშლებოდა ხოლმე. გულახდილად მოგახსენებთ, კრებები დიდი დაგვიანებით იმართებოდა. ისეთი დიდი დამსახურებული მეცნიერი, როგორც მელიქიშვილი იყო (საერთოდ, მეცნიერები მიჩვეული არიან წესიერ სხდომებს) და სხვა მონაწილეები, უნდა მოგახსენოთ, იშვიათად ესწრებოდნენ სხდომებს. არ ეტყობოდა, რომ ის აღფრთოვანება, რომელიც პირველ კრებაზე იყო, ხანგრძლივი აღმოჩნდებოდა. მე ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ თქვენთვის გასაგები იყოს, შემდეგ რაც მოხდა.

დადგა დრო, როდესაც ეს იდეა პრაქტიკულად უნდა განხორციელებულიყო. დროებითი მთავრობა იყო. წესდება უნდა წარგვედგინა. წესდება დაინერა. ვთხოულობდით უმარტივეს რაიმე უმაღლესი სასწავლებლის გახსნას.

პირველი მუხლი ასეთი იყო: ამ უმაღლეს სასწავლებელს, – თუ მის უფლებამოსილ პროფესორთა სხდომაზე სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი საჯარო პაექრობით დაიცავდა დისერტაციას, – სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება ჰქონოდა; რომ პროფესორ-სტუდენტთათვის სამხედრო ბეგარის შეღავათი ყოფილიყო. როგორც მოგეხსენებათ, ასეთი წესი იყო, რომ პროფესორი და სტუდენტები განთავისუფლებული იყვნენ, სანამ დამთავრდებოდა მეცადინეობა. წავიდა ეს თხოვნა, თავმჯდომარე მაშინ ხარლამოვი იყო, მან გვიპასუხა, მე ამ საკითხის გადაწყვეტა არ შემიძლია, უნდა გავგზავნო თხოვნა პეტერბურგსო. გავგზავნა. თითქმის იმედი გადაწყვეტილი გვქონდა. ამავე დროს, გამოიჩინა, რომ დროებით მთავრობას გადაეწყვიტა თბილისში გაეხსნა მთავრობის უმაღლესი სკოლა. ტელეგრამა გავგზავნეთ, გვაცნობეს – კერძო უნივერსიტეტის დაარსების შესახებ ფოსტით შეგატყობინებთო. ფოსტით გამოგზავნილი ჩვენ არ მიგვიღია. მოხდა ოქტომბრის დიდი

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

რევოლუცია და უკვე მათი ნებართვა არ იყო საჭირო. შეიძლება ითქვას, ოქტომბრის რევოლუცია რომ არ მომხდარიყო, ჩვენ არავინ უნივერსიტეტის გახსნის უფლებას არ მოგვცემდა (ტაში).

შემდეგ როგორი პირობა იყო: უნდა დაწერილიყო მოხსენება, რომელშიაც, სამ-ნუხაროდ, ორი ცნობილი მეცნიერი იყო გარეული, ორი აკადემიკოსი, ერთი – როგორც განათლების მინისტრი, მეორე – როგორც მომხსენებელი, და ნათქვამი იყო, რომ თვით ქართველებისათვისაც ხელსაყრელი არ არის, ბოლოს და ბოლოს, ქართული უნივერსიტეტის გახსნა. ეს დამაზიანებელ გავლენას მოახდენს ქართულ სამეცნიერო აზრზე, მაგრამ თხოულობენ და რატომ არ მივსცეთ ნება, მხოლოდ – თბილისში თუ გაიხსნება, შესაძლებელია იყოს მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტი რუსულადო. ამას გარდა იქ არც ერთი სხვა უმაღლესი სასწავლებელი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ქართული უნივერსიტეტი სახალხო უნივერსიტეტი იყო და არასგზით არ შეიძლება, რომ სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება ჰქონდეს მიცემული, არც სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლდებო. მე მოგახსენებთ, რით იყო გამოწვეული, რომ სამეცნიერო ხარისხისა და სამხედრო ბეგარის საკითხი იყო შეტანილი. ჩვენ ყველას კარგად გვესმოდა, რომ სამეცნიერო ხარისხზე არ არის დამოკიდებული მარტო მეცნიერება. ისეთი მეცნიერნიც იყვნენ, რომელთაც სამეცნიერო ხარისხის მოპოვებისთვის არ უზრუნიათ, მაგრამ უდიდესი ღვაწლი მიუძღვით. მხოლოდ ცხადი იყო, რომ თუ ჩვენ უმაღლესი სასწავლებლის შექმნა გვსურდა, ჩვენი თანამშრომლები ისეთი კვალიფიკაციისა უნდა ყოფილიყვნენ, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის კვალიფიკაციაზე დაბლა არ მდგარიყვნენ. ეს შეიძლებოდა მხოლოდ იმ გარკვეული წესით, რომელიც მაშინ არსებობდა და რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ეხლაც არსებობს. ეს – ერთი გარემოება. შესაძლებელია, ეთქვას, რომ მოზრდანდით და სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცავით! დიახ, ეს შეიძლებოდა, რომ ისეთი სულიერი განწყობილება არ ყოფილიყო, რომელიც წარმოიშვა ასეთი დასკვნით. ყოველ შემთხვევაში, შეეძლოთ არც ერთი მეცნიერისათვის ხარისხი არ მიენიჭებინათ და, ამგვარად, ამ უმაღლეს სასწავლებელს დაბალი ხარისხის სასწავლებლის ფასი ჰქონოდა.

მეორე გარემოება, რომელიც გვაიძულებდა, რომ სამხედრო ბეგარიდან განთავისუფლებული ყოფილიყვნენ, გახლდათ ის, რომ, თუ ეს საქმე არ მოგვარდებოდა, ყოველ მობილიზაციის დროს უნივერსიტეტი უნდა დაკეტილიყო და პროფესორიდან მოყოლებული სტუდენტამდე უნდა ნასულიყვნენ სამხედრო სამსახურში.

აი, ასეთი მდგომარეობა იყო, როდესაც უნივერსიტეტის დაარსებაზე პრაქტიკულად დაისვა საკითხი. შეტანილი იყო ეროვნულ საბჭოში განცხადება, რომ, აი, იხსნება კერძო სასწავლებელი, რაიმე ქონებრივი დახმარება მიეცით ამ უმაღლეს სასწავლებელსო. მე მახსოვს, რა გაცხარებული კამათი იყო მაშინ, საბჭომ უარყო – ჩვენ მაგისტრის ფული არ გვაქვსო, ფული არ აღმოჩნდა! მოწვეული იყო დამხმარე საზოგადოების კრება. ამ დამხმარე საზოგადოების კრებაზე რომ გაიგეს, ასეთი

ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის

უარყოფითი პასუხი იყო მიღებული ეროვნული საბჭოსაგან, დაფრთხნენ – ჩვენ საიდანღა გავიღოთ ფულიო. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ უნდა ჩაშლილიყო საქმე, ჩვენ არ ვკისრულობთო, პირდაპირ ნათქვამი იყო; ვერ ვიკისრებთ პასუხისმგებლობას, რომ უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნასო. ცოტა ფული, მართალია, იყო, მაგრამ ეს ფული მოხმარდებოდა მხოლოდ ჯამაგირს. ბინაც არსებობდა, განსვენებული ცხვედაძის მიერ აშენებული გიმნაზიისთვის, საკმაოდ დიდი და გამოსადეგი უნივერსიტეტისათვის. შთამომავლობამ უნდა დააფასოს ამ უანგარო მოღვაწის ღვაწლი. დაცინვის მიუხედავად, მან ააგო ეს შენობა, რომელშიაც ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით.

შენობა იყო, მაგრამ თავისუფალი იყო მხოლოდ ზემოთა სართული. ამ ზემოთა სართულზე მოთავსებული იყო საავადმყოფო (ლაზარეთი). რასაკვირველია ლაზარეთი დაიშალა. დარჩა სრულიად ცარიელი, გაპარტახებული ზემოთა სართული. ამგვარად, შენობა პატარა სამოთახიანი ფართობისა იყო. ავეჯი არა გვექონდა, განათება არ იყო, არც გათბობა. მუშაობა უნდა დაგვეწყობიანვარში, ფული იყო საჭირო. ის ფული, რაც გვექონდა, ძლივს ყოფნიდა იმ ავეჯს და გათბობას, რაც აუცილებელი იყო. ასეთ პირობებში ადვილად შეიძლება ადამიანმა ყოველგვარი სასოება დაკარგოს. იმ დროს უმრავლესობა ფიქრობდა, რომ არ კმარა პასუხისმგებლობა ამ საზოგადოების გამგეობისა და, ამგვარად, საქმე უნდა ჩაშლილიყო. მაშინ პატარა ჯგუფმა [5] სთხოვა გამგეობას: თუ თქვენ ვერ კისრულობთ პასუხისმგებლობას, ნუ დაუშლით იმ ხალხს, რომელსაც უნდა თავისი პასუხისმგებლობით გახსნას უნივერსიტეტი, ის კისრულობს პასუხისმგებლობასო. ეს თანხმობა მიღებული იყო და, ამგვარად, გაიხსნა უნივერსიტეტი.

26 იანვარს შედგა საზეიმო სხდომა. საკმაოდ გულცივად შეხვდა მაშინდელი მენშევიკური მთავრობა უნივერსიტეტის გახსნას [6]. გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი არ ყოფილა გახსნაზე: იყო მხოლოდ ერთი წევრი საკუთარი თაოსნობით. ამგვარად, მოკლებული იყო ყოველგვარ დახმარებას ეს ჯგუფი, რომელსაც უხდებოდა ასეთი მძიმე და პასუხსაგები საქმის დაწყება. მე მინდა მოგახსენოთ, რომ საქმე შესაძლებელია კატასტროფით დამთავრებულიყო და გამკილავი ჩვენში ბევრი მოიძებნებოდა მაშინ; ვაი იმათ, თუ მართლაც ასე წავიდოდა საქმე! ქუჩებში, გოლოვინის პროსპექტზე (მაშინ გოლოვინის პროსპექტი ეწოდებოდა) ბევრი ქართველი ინტელიგენტი დაბრძანდებოდა, რომელიც დაცინვით იხსენიებდა ამ საქმეს; აი რაღაცას ბორძიკობენ და მაშინ გაიგებენ ამ საქმის უსარგებლობას, როდესაც პირველ ლექციას ვერ წაიკითხავენო.

ამგვარად, 26 იანვარს, როდესაც გაიხსნა პირველი საზეიმო სხდომა, აუარებელი ხალხი დაესწრო, როგორც აღინიშნა, ძალაუფლების მქონებული წრეები ცივად შეხვდნენ მას. მხოლოდ რკინისგზის მუშების დელეგაცია მოვიდა წითელი დროშით (მხურვალე ტაში. ფეხზე დგებიან).

საზეიმო სხდომის შემდეგ ჩვენ ლექციები არ დაგვიწყია იმიტომ, რომ განათება არ გვქონდა და არც ავეჯი იყო მზად. მხოლოდ პირველ თებერვალს დავიწყეთ ლექციების კითხვა. ლექციები სალამობით მიმდინარეობდა. ჩაენერა 500-მდე კაცი და ქალი, როგორც ახალგაზრდები, ისე ხანშიშესულები. რაც ყველაზე უფრო საინტერესო იყო, პირველ ქართულ უნივერსიტეტში ჭალარა ხალხს ნახავდით, ნახავდით ისეთებსაც, რომელთაც უნივერსიტეტი გათავებული ჰქონდათ, დიპლომიც მიღებული, მაგრამ უნდოდათ, რომ დედაენაზე მოესმინათ ლექციები.

